ოპოზიციის ბუნებრივი მარცხი A2

"პრომიშლენნიე ინვესტორი" საქართველოში A3

ჯორჯ ბუში "ჰამასის" სამიზნეში A5

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 30 მარტი, 2004 წელი. №75 (624)

ფასი 50 თეთრი

## საქართველოს პრეზიდენტის განცხადება

მინდა, საბოლოოდ შევაჯამოთ ის, რაც ეხება არჩევნებს.

რა თქმა უნდა, შედეგების დაფიქსირება ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმეა, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ბოლო 12 წლის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციებმა პირველად დააფიქსირეს, რომ საქართველოში არჩევნები ჩატარდა პრაქტიკულად ევროპული სტანდარტების დონეზე!

ასეთი შეფასება საპარლამენტო არჩევნებს არსად არ ჰქონია მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეზე, არც ერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში, რა თქმა უნდა, ბალტიის ქვეყნების გარდა.

ამ მხრივ საქართველო სრულიად განსაკუთრებულ სიტუაციაში ექცევა და მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო საარჩევნო კომისიების იმ წევრებს, რომელთაც ჩვენი სიღარიბის და პრობლემების მიუხედავად ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მიეცათ მთელი რეგიონისთვის და ბევრი სხვა ქვეყნისთვის გაკვეთილი იმისა, როგორ უნდა ტარდებოდეს არჩევნები!

ჩემი ამბიციაა, რომ საქართველო თანდათან გახდეს ნორმალური, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული ქვეყანა!

რა თქმა უნდა, პირველ რიგში ეს ეხება ცხოვრების დონეს და ამაზე ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს, მაგრამ არჩევნები ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი იყო!

მე უბრალოდ გამიხარდა, რომ დღეს ყველა უცხოელმა დამკვირვებელმა და ევროთათბირმა ერთხმად დააფიქსირა ეს პროგრესი.

ეს არის თითოეული ქართველი ამომრჩევლის გამარჯვება და ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებაში!

ამავე დროს მინდა, ცალკე მივმართო ჩვენს მოქალაქეებს აჭარაში!

მინდა, ვუთხრა მათ გულწრფელი და გულითადი, ჩემი პირადი დიდი მადლობა!

მიუხედავად იმისა, რომ აჭარა სავსეა შეიარაღებული ბანდიტებით!

მიუხედავად იმისა, რომ ეს ხალხი იმყოფება გამგებლების, პოლიციის უფროსების, სხვადასხვა დონის ხელმძღვანელების წნეხში!

მიუხედავად იმისა, რომ მთელი წინა საარჩევნო კამპანია აჭარაში პრაქტიკულად ჩაიშალა, იმიტომ, რომ მთელი ამ კვირების განმავლობაში, არჩევნების დღის ჩათვლით, იქ იყო გამოცხადებული უკანონოდ საგანგებო მდგომარეობა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და პირდაპირი გამოწვევაა კანონიერების რეჟიმისა საქართველოში!

იმის გამო, რომ იქ იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომელმაც ძალიან კარგად იმუშავა, იმის გამო, რომ იქ იყო ძალიან ბევრი საერთაშორისო დამკვირვებელი - მაგრამ მთავარი მაინც ხალხის გამბედაობა და აქტიურობა იყო - არჩევნების ტოტალური გაყალბება პირველად საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ აჭარაში ველარ მოხერხდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 9 | |
| ქუთაისი | 9 | |
| ბათუმი | 6 | |
| სოხუმი | 8 | |
| ფოთი | 6 | |
| თელავი | 8 | |
| ზუგდიდი | 9 | |
| გორი | 6 | |
| ახმეტა | 9 | |
| ჭიათურა | 6 | |
| გაგრა | 7 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0050 |
| ევრო | 2.4246 |
| გირვანქა სტერლ. | 3.6270 |
| რუბლი | 0.0704 |

# ქართული პარადოქსი და ევროპული შეფასება

ლელა მჭედლიძე

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაცია, მისი ხელმძღვანელის მეთაურობით, "ქართული პარადოქსის" წინაშე აღმოჩნდა. იორში ასკვნის, რომ **"ეს არჩევნები უფრო მეტად დემოკრატიული და უკეთ ორგანიზებული იყო, ვიდრე წინა. რის შედეგადაც მივიღეთ ერთპარტიული პარლამენტი."** თუმცა, იორში იქვე განმარტავს, რომ ასეთი იყო თავად ქართველი ხალხის ნება. საერთო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ უცხოელ დამკვირვებელთა განცხადებით, არჩევნების პროცესს "ჩრდილი მიაყენა აჭარაში დაფიქსირებულმა დარღვევებმა", ევროპის საბჭოს საპარლამენტო დელეგაციის წევრთა აზრით, არჩევნები ღია და თავისუფალი იყო. მათიას იორშის თქმით, მიუხედავად იმისა, **"რომ არჩევნების ორგანიზების მხრივ**

გაგრძელება A3 გვერდზე




ევროპელი დამკვირვებლები ქართულ პარადოქსს ქართველი ხალხის ნებად მიიჩნევენ.

# აბაშიძის ადგილი

## ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არ დარჩა

გაერთიანებული ოპოზიცია "ჩვენი აჭარა" საპარლამენტო არჩევნების მეორე დღეს აჭარის უზენაესი საბჭოს ვადამდელი არჩევნების ჩატარებას ითხოვს.

"ოპოზიციამ აჭარაში ასლან აბაშიძის "აღორძინებაზე" შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ აბაშიძეს არა აქვს უფლება, აჭარა ერთპიროვნულად მართოს," - განაცხადა "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთმა ლიდერმა ედვარდ სურმანიძემ გუშინ, "ნაციონალური მოძრაობის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე. "ჩვენი აჭარა" კმაყოფილია 28 მარტს აჭარაში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებით და ამჯერად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ვადამდელი არჩევნების ჩატარებას მოითხოვს.

"არჩევნებმა დაადასტურა, რომ აბაშიძის ადგილი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არ დარჩა და იგი უნდა შეეგუოს აზრს პოლიტიკური სცენიდან წასვლის შესახებ. გადამწყვეტი ბრძოლა აბაშიძის ხელისუფლების წინააღმდეგ ახლა იწყება და იგი მხოლოდ მაშინ დასრულდება, როცა აჭარის მოსახლეობა მშვიდობიანი გზით აიძულებს მას პოლიტიკიდან წასვლას," - აღნიშნა სურმანიძემ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მისია

## რომელიც დღეს გაცილებით დიდია

მაია ჭალაგანიძე

*საზოგადოება მზად იყო რევოლუციური გარდაქმნებისთვის და ეს მოხდა. რამდენად არის მზად სულიერად საქართველოს მოსახლეობა, გადაიტანოს რყევები, არჩევნები, ჩამოუყალიბებელი დემოკრატია, ბრალდებები, დაჭერები, რადიკალიზმი - ყველაფერი ის, რაც 70 წლის აკრძალული სულიერი ცხოვრების შემდეგ დაგვატყდა თავს?*

*ეს, შეიძლება, ეკლესიურად მცხოვრებმა რომელიმე მრევლმა იცის კიდეც, მაგრამ ზოგჯერ იქნებ ეკლესიამ იმაზე მეტი უნდა გააკეთოს, ვიდრე ტაძარში ქადაგებაა? და თუ ხალხი ვერ მიდის ქრისტეს სახლში, იქნებ ქრისტეს მსახურნი უნდა გამოვიდნენ ასპარეზზე, გნებავთ, ქუჩაში, დარბაზებში, გააკეთონ მეტი და საკუთარი ცოდვილი მრევლი პირისპირ არ შეატოვონ რყევებს, ჩამოუყალიბებელ დემოკრატიას, ბრალდებებს, დაჭერებს, რადიკალიზმს... ჩვენი დღევანდელი სტუმარია დმანისის ეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული).*

**- საქართველოს ეკლესიას ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე სხვადასხვა მისია ჰქონდა, დღეისათვის რა არის ეკლესიის უპირველესი ამოცანა?**

- ვფიქრობ, რომ დღეს ეკლესიის მისია გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე აქამდე შეიძლება ყოფილიყო. დღეს მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციის, გლობალიზაციის

გაგრძელება B1 გვერდზე

# „ივერია" გაბრწყინდება?!

ნესტან ნიჟარაძე

*ხუთას ტურისტზე გათვლილ სასტუმროში დღეს 330 ოჯახი ანუ 1300 ადამიანი ცხოვრობს. მაშინ, როდესაც სასტუმრო "ივერია" შენდებოდა, არავინ იცოდა, რომ გარდა თავისი ბუნებრივი ფუნქციისა, მას სასტუმროსათვის ერთი უჩვეულო, დროის სიმბოლოს ფუნქციის შესრულებაც მოუწევდა.*

ჯერ კიდევ ოცი წლის წინ "ივერია" ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის კეთილდღეობითა და სტუმართმოყვარეობით გამორჩეული საქართველოს ერთგვარი სიმბოლო იყო. "ივერია" დღესაც საქართველოს, უფრო სწორად კი, ახალი საქართველოს სიმბოლოა. ამ და სხვაგვარი სიმბოლოებით დრო, რომელშიც ვცხოვრობთ, სამწუხაროდ, ძალიან მდიდარია. მაგრამ ეს ერთი, რომელსაც სასტუმრო "ივერია" ჰქვია განსაკუთრებულია. იქ, სადაც იგი მდებარეობს (ქვეყნის დედაქალაქის ცენტრალურ მოედანზე), მისი არშემჩნევა შეუძლებელია. იგი აკვირვებს თბილისის სტუმრებს და აფორიაქებს თბილისელებსაც, რომელთა თვალიც ამ უკანასკნელი 12 წლის მანძილზე არ და ვერ მიეჩვია იმას, რომ სასტუმრომ არა მხოლოდ სახე იცვალა, არამედ ახალი საქართველოს სიმბოლოდაც იქცა. და ვიდრე ვიღაცას უკვირს, ვიდრე ვიღაცას არ მოსწონს, ვიდრე ვიღაცას, უბრალოდ არ უნდა, ვიდრე, ვიდრე... "ივერია" თავისი ცხოვრებით ცხოვრობს. საკმარისია იქ თუნდაც ერთი დღის გატარება იმის მისახვედრად, რომ "ივერია" აღარც უბრალოდ სასტუმრო და აღარც მხოლოდ აფხაზეთიდან ლტოლვილთა თავშესაფარია. დღეს სასტუმრო "ივერია" ქალაქია, ქალაქი-ქალაქში.



გაგრძელება A8 გვერდზე

## "ლინქსის" აჭარული შთაბეჭდილებები

გიორგი ასანიშვილი

*არჩევნების დემოკრატიულობის თითქმის უტყუარ საზომს საერთაშორისო დამკვირვებელთა შეფასებები წარმოადგენს. ნეიტრალურ უცხოელებს, როგორც წესი, "შენდობა არა აქვთ" და მათი კრიტიკული შენიშვნები თუ დადებითი შეხედულებები ლამის "კანონის ძალას" იძენენ. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, სულაც არ არის მეორეხარისხოვანი, თუ რა დასკვნები გააკეთეს 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებზე ავტორიტეტული საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციის, ლონდონის საინფორმაციო ქსელის "ლინქსის" წარმომადგენლებმა.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## "აჭარის ხელისუფლებას სამართლიანი არჩევნების ჩატარება არ სურს"

თამარ მჭედლიშვილი

*გუშინ, საღამოს რვა საათზე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ იმ მომენტისთვის არსებული მონაცემების შემაჯამებელი ბრიფინგი გამართა. თუმცა, სანამ კონკრეტული პარტიისა თუ ბლოკის შედეგებს გამოაქვეყნებდა, ზურაბ ჭიაბერაშვილმა კვლავ საკმაოდ მკვეთრი განცხადებები გააკეთა აჭარის საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობასა და მთლიანად, იქ შექმნილი ვითარების თაობაზე. მისი თქმით, "უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა საქართველოში გამართული არჩევნების დემოკრატიულობას სერიოზული ჩრდილი მიაყენა და 28 მარტს აჭარის ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ მას სამართლიანი არჩევნების ჩატარება არ სურს". როგორც ჩანს, ცესკო-ს აჭარიდან შემოსული თითოეული საჩივრის დეტალური განხილვა მოუწევს. ამასთან, არ არის გამორიცხული, ხულოს საარჩევნო ოლქში კენჭისყრის შედეგები ცესკო-მ მთლიანად გააუქმოს, რადგან, როგორც გაირკვა, უბნებიდან საოლქო კომისიაში დაულუქავი დოკუმენტაცია შედიოდა. "არ არსებობს იმის არანაირი მტკიცებულება, რომ ეს ბიულეტენები საოლქომდე სხვაგან არ მიდიოდა", - აცხადებს ზურაბ ჭიაბერაშვილი.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## არჩევნებისას მომხდარი დანაშაული დაუსჯელი აღარ რჩება

თამარ კაციტაძე

*2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები, რომელსაც ვარდების რევოლუცია მოჰყვა, ისტორიას ჩაბარდა. დღეს აქტუალურია 28 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები და მისი ჩატარების კანონიერება. უცხოელი დამკვირვებლებისა და თვით ქართული საზოგადოების შეფასებით, ორი დღის წინანდელი არჩევნები, მართალია, ბოლომდე საერთაშორისო სტანდარტების დონეზე არ ჩატარებულა, მაგრამ მან აშკარად დამაკმაყოფილებლად ჩაიარა. ამაზე მეტყველებს იმ დარღვევების ხარისხი და რაოდენობა, რომლებმაც სამართალდამცველთა ყურადღება დაიმსახურა.*

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 ოფიციოზი | A7 სამართალი | A8 რეალიები

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4-B6 რეკლამა | B7 სპორტი | B8 სხვადასხვა

# აბაშიძის ადგილი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არ დარჩა

პირველი გვერდიდან



თემურ სახიტაშვილის ფოტო

ედვარდ სურმანიძე და კობა ხაბაზი.

მისივე თქმით, ოპოზიციას "არანაირი საფუძველი არა აქვს, ელოდოს, როდის მოსწყინდება ასლან აბაშიძეს ხელისუფლებაში ყოფნა" და "იმ პირობებში, როცა მოსახლეობაზე ზეწოლის მიუხედავად, აბაშიძემ თავისივე მოედანზე წააგო არჩევნები, ოპოზიციას უფლება აქვს, ხვალვე დააყენოს აჭარის უზენაესი საბჭოს ვადამდელი არჩევნების ჩატარების საკითხი."

სურმანიძის მტკიცებით, თუ ასლან აბაშიძე აჭარაში ვადამდელი არჩევნების ჩატარებას თავისი ნებით არ დათანხმდება, "ჩვენ აჭარაში" გაერთიანებული პოლიტიკური მოძრაობები და გაერთიანებები თავისი აქტიურობითა და საპროტესტო აქციებით "აიძულებენ მას, ან ვადამდელი არჩევნების ჩატარებას დათანხმდეს, ან უპირობოდ გადადგეს." **24 საათი**

## მოკლედ

### "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობას იწყებს

"საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია" ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობას იწყებს. ამის მიზეზად პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების მასობრივ გაყალბებას და ხელისუფლების მხრიდან "ლეიბორისტების" პარლამენტს მიღმა დატოვებას ასახელებს. როგორც ნათელაშვილმა გუშინ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მიხეილ სააკაშვილმა დიდი ხნის "დანაპირები" შეასრულა და "ლეიბორისტული პარტია" "ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში არ შეუშვა". "რაც უნდა მოხდეს, სამარცხვინო ხალხით დაკომპლექტებულ პარლამენტში შესვლაზე პარტია თავადაც უარს იტყვის," - აღნიშნა ნათელაშვილმა და დასძინა, რომ "ლეიბორისტული პარტია" "მართალი სიტყვის" თქმას ქუჩიდან შეეცდება. ნათელაშვილის განცხადებით, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების მსგავსი გაყალბება და უკანონობა შევარდნაძის დროსაც არ მომხდარა. "ქვეყანაში "საახოვიზმის" ტირანია იწყება, რომელიც ოკეანის გაღმიდან სომხური და ებრაული ლობის მიერ იმართება. გარე ძალების უმთავრესი მიზანი ქართული კულტურის განადგურება, ეკონომიკის, განათლების გაჩანაგება და რწმენის შებღალვაა," - აღნიშნა პარტიის ლიდერმა. მისი თქმით, საარჩევნო პროცესებში უხეშად ჩაერია ცნობილი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილიც. ნათელაშვილი ხელისუფლებას სრულ დაუმორჩილებლობას უცხადებს და საქართველოს მოსახლეობას ქვეყნის "უცხო სხეულებისგან" გათავისუფლებას ჰპირდება. **ინტერ-პრესი**

### "ახლები" და "მრეწველები" პარლამენტში მმართველ პარტიას გააკონტროლებენ

მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი დავით გამყრელიძე ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" მიერ გამოქვეყნებული პარალელური დათვლის შედეგებით კმაყოფილია და აცხადებს: პროგნოზი იმის შესახებ, რომ ოპოზიცია პარლამენტში შესვლას ვერ მოახერხებს, არ გამართლდა. "ჩვენ ვიქნებით ის ძალა, რომელიც შეძლებს, გააკონტროლოს მმართველი პარტია პარლამენტში," - განაცხადა გამყრელიძემ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მემარჯვენე ოპოზიციის შესვლა პარლამენტში ძალზე სათუოა. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებელი საერთაშორისო მისიების ხელმძღვანელები მიიღო. პარლამენტის ბიუროს ოთახში შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა. შეხვედრის დაწყებამდე საერთაშორისო დამკვირვებლების მისიების ხელმძღვანელთა უმეტესობამ კომენტარისგან თავი შეიკავა. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას ევროპარლამენტის წევრმა დიმიტრიუ ვოლჩიჩმა განაცხადა, საქართველოში 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები, მსოფლიო სტანდარტების მიხედვით, შეიძლება ნორმალურად შეფასდეს. რაც შეეხება მის პოზიციას საქართველოს პარლამენტის ერთპარტიულობასთან დაკავშირებით, ვოლჩიჩმა განაცხადა, რომ ოპოზიციურ პარტიებს სამომავლოდ კარგად მუშაობა მოუწევთ, რათა მომავალ პარლამენტში მოხვდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შემოდგომისთვის დანიშნულ აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში, შესაძლოა, რუსეთის საგანგებო სიტუაციების მინისტრის სერგეი შოიგუს მეგობარმა ნოდარ ხაშბამ მიიღოს მონაწილეობა. სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, 1995 წლიდან არძინბასთან დაპირისპირებული, მოსკოვში მოღვაწე ნოდარ ხაშბა აფხაზეთში მოძრაობის დაფუძნებით თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტობისთვის სერიოზულად ემზადება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ჭიათურა.** ჭიათურის რაიონში საპარლამენტო არჩევნები, პროპორციულთან ერთად, მაჟორიტარული წესითაც ჩატარდა. არჩევნებში ხუთი კანდიდატი იყრიდა კენჭს. როგორც ჭიათურის საარჩევნო ოლქში განაცხადეს, არჩევნებმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა და მეორე ტურის გამართვა გარდაუვალია. მეორე ტურში ერთმანეთს "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი ნუკრი ჭუმბურიძე და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი თენგიზ მოცრაძე დაუპირისპირდებიან. ჭუმბურიძემ 4 407 ხმა მიიღო, ხოლო მოცრაძემ - 4 782. ჭიათურაში სულ 28 777 ამომრჩეველია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დსთ-ს ქვეყნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ, რომელსაც დსთ-ს აღმასრულებელი მდივანი იური იაროვი ხელმძღვანელობს, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით პრესას საკუთარი დასკვნები გააცნო. დსთ-ს დამკვირვებელთა შეფასებით, საქართველოში 28 მარტის ხელახალი არჩევნები, 2 ნოემბრის არჩევნებთან შედარებით, დემოკრატიულად და გამჭვირვალედ წარიმართა, თუმცა საერთაშორისო სტანდარტებისგან მაინც საკმაოდ შორს დგას. უცხოელი დამკვირვებლების განსაკუთრებით უარყოფით დამოკიდებულებას ერთპარტიული პარლამენტის პერსპექტივა იწვევს და ოპოზიციური ძალების გარეშე დარჩენილი პარლამენტის არსებობას დემოკრატიისთვის საშიშ მოვლენად მიიჩნევენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადების 65 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, დაგეგმილი 31 მარტის ნაცვლად, ოპერის თეატრში 9 აპრილს გაიმართება. ეროვნული თანხმობის კომისიის ხელმძღვანელი, სახელმწიფო მინისტრი გურამ აბსანძე ამ ფაქტს მასსა და პრეზიდენტის მეუღლეს მანანა არჩვაძე-გამსახურდიას შორის არსებული "მცირედი გაუგებრობით" ხსნის. სახელმწიფო მინისტრის თქმით, მას ჰქონდა მცდელობა, გარკვეული მოლაპარაკება ეწარმოებინა ზვიად გამსახურდიას მეუღლესთან საიუბილეო ღონისძიებებთან დაკავშირებით, თუმცა შეთანხმება ვერ შედგა. მანანა არჩვაძის პრეტენზიების მიზეზებს აბსანძე არ აკონკრეტებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ კოდორის ხეობაში ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნების ახალი თარიღი განსაზღვრა. ცსკ-ს დადგენილებით, კოდორის ხეობის აჟარის, გენწვისის და ჩხალთის საარჩევნო უბნებში კენჭისყრა არაუგვიანეს 6 აპრილისა უნდა ჩატარდეს. კენჭისყრის ჩატარების ზუსტ თარიღს ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისია დაადგენს, რომელშიც კოდორის ხეობის აღნიშნული უბნები შედის. 28 მარტს კოდორში არჩევნები ვერ ჩატარდა, რადგან რთული მეტეოროლოგიული პირობების გამო ვერტმფრენი, რომელსაც საარჩევნო ბიულეტენები უნდა ჩაეტანა, ხეობაში ვერ ჩაფრინდა. **ინტერ-პრესი**

# საქართველოს პრეზიდენტის განცხადება

პირველი გვერდიდან

იყო ძალიან სერიოზული გაყალბება, განსაკუთრებით მაღალმთიან აჭარაში, იყო სერიოზული შეტაკებებიც!

თუ წინა არჩევნებში ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაიწერა ხმების ასი პროცენტი, მაგალითად წინა არჩევნებზე მათ დაიწერეს 360 ათასი ხმა, ამ არჩევნებზე ვერ შეძლეს დაახლოებით 60 ათას ხმაზე მეტის დაფიქსირება!

ეს არ არის მათი კეთილი ნების დამსახურება!

სამწუხაროდ, ადგილობრივი ხელმძღვანელობის არანაირი განსაკუთრებული იმედი არ მაქვს!

ჩემო ძვირფასო აჭარლებო, ეს იყო თქვენი გამბედაობის და თავდადებულობის გამოხატულება!

მინდა, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გითხრათ ამისთვის!

ამას ძალიან დიდ გამარჯვებად ვაფასებ!

ეს ნიშნავს, რომ დემოკრატიზაციის პროცესი აჭარაშიც შეუქცევადია!

მინდა ეს მოგილოცოთ, თუმცა გითხრათ, რომ რა თქმა უნდა, წინ დიდი ბრძოლა გვაქვს!

ბრძოლა ბანდიტების განიარაღებისთვის და მინდა ისინი გავაფრთხილო, მათთან არ იქნება არანაირი კომპრომისი, ან ახლავე დააწყობენ იარაღს, ან მე შესაბამის ნაბიჯებს გადავდგამ!

იარაღი ექნება მხოლოდ საქართველოს ოფიციალურ ფორმირებებს!

მე შევიტანე, აგრეთვე, პარლამენტში კანონი და როგორც კი იგი შეიკრიბება, მას მიიღებს იმის თაობაზე, რომ აჭარის უშიშროების სამინისტრო გაუქმდეს და ის ფორმირებები, რომელიც სამინისტროს გააჩნია, უკანონოდ შეარაღებულ და ბანდიტურ ფორმირებად გამოცხადდეს!

ეს არის ჩვენი მიდგომა აჭარისადმი, ჩვენი მიდგომა ზოგადად საქართველოსადმი!

საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამყარდეს კანონის უზენაესობა!

მინდა კიდევ ერთხელ სიამოვნებით აღვნიშნო ის შეფასებები, რომელიც არის, ამავე დროს მინდა ვთქვა, რომ რა თქმა უნდა, საქართველოში სრულ დემოკრატიამდე კიდევ ძალიან დიდი გზაა გასავლელი!

ჩვენ მრავალი ბრძოლა გვაქვს კიდევ გადასატანი!

რა თქმა უნდა, არ იქნება სულ ასეთი იდეალური სიტუაცია, როგორიც ამ შემთხვევაში ჩემთან დაკავშირებულ პოლიტიკურ ძალას შეექმნა, მომავალში ბევრად მეტი პლურალიზმი იქნება, მაგრამ მთავარია, რომ ეს იყოს ნამდვილი ქართული დემოკრატიის გამოვლინება!

გუშინ საქართველომ, ძველი ეპოქისგან განსხვავებით, დიდი ნახტომი გააკეთა!

ასეთია მთელი მსოფლიოს ერთსულოვანი აზრი!

*სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური*

# ოპოზიციის ბუნებრივი მარცხი

სახელმწიფო მინისტრი გურამ აბსანძე საპარლამენტო არჩევნებში სახელისუფლებო ბლოკის გრანდიოზულ გამარჯვებას ძალზე ლოგიკურად მიიჩნევს, ისევე, როგორც ოპოზიციური პარტიების დამარცხებას. გამარჯვება ტირან შევარდნაძის გადამგდებ ხალხს ერგო, დამარცხება - იმათ, ვინც ასეთ დროს განზე გადგა.

**"გამარჯვებას ვულოცავ მოსახლეობას, რომელმაც ხმა მისცა ძალებს, ვინც გადააგდო ტირანი ედუარდ შევარდნაძე. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, რომ ოპოზიციის იმ წარმომადგენლებმა, რომლებიც "ვარდების რევოლუციის" პერიოდში არ იდგნენ ხალხის გვერდით, დამარცხება იგემეს,"** - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა. აბსანძეს იმედი აქვს, რომ პრეზიდენტი, ახლად არჩეულ პარლამენტთან ერთად, ქვეყნის ფეხზე წამოსაყენებლად ყველაფერს გააკეთებს. თუმცა, ახალ ხელისუფლებას ძველი პრეზიდენტიც ახსოვს. საქმე მხოლოდ ის არის, რომ ახლა ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირებით, ჩვენს ხელისუფლებას ცოტა გეგმები შეეცვალა. 65 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, დაგეგმილი 31 მარტის ნაცვლად, 9 აპრილს გაიმართება.

გეგმების ამგვარი ცვლილება ექსპრეზიდენტის ქვრივს მანანა არჩვაძეს და გურამ აბსანძეს შორის შეუთანხმებლობამ გამოიწვია. ეროვნული თანხმობის კომისიის ხელმძღვანელი, სახელმწიფო მინისტრი გურამ აბსანძე არ აკონკრეტებს, თუ რატომ არის ზვიად გამსახურდიას ქვრივი ხელისუფლების მხრიდან ამ ღონისძიების აღნიშვნის წინააღმდეგი. მაგრამ მაინც 31 მარტს ხელისუფლება ოპერის თეატრის შენობას მანანა არჩვაძეს უთმობს, თავად კი ამ მიზნით 9 აპრილს გეგმავს ღონისძიებას.

**"ზვიად გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტი იყო და სახელმწიფომ ვალდებულება აიღო, რომ მისი როლი და დამსახურება დაფასდება. ზვიად გამსახურდიას იუბილეს აღნიშვნაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეც, რომელიც პანაშვიდს გადაიხდის, და საქართველოს პრეზიდენტი,"** - აცხადებს მინისტრი. მისივე განცხადებით, ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას კონსტანტინე გამსახურდიაც დაესწრება.

*24 საათი*

# გაბერილიდან - "ყველაზე ამბიციურამდე"

*რვა თვის წინათ მას "კაპიტულაცია კონტრაბანდის წინაშე" უწოდეს, ერთი თვის წინათ - ყველაზე ამბიციური; სხვადასხვა დროს კი ოპტიმისტურს, რეალურს, მწირს, გამჭვირვალეს და გაბერილსაც ეძახდნენ. რა სახელწოდებით შევა 2004 წლის ბიუჯეტი აპრილის შუა რიცხვებში უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, ჯერჯერობით, უცნობია; სამაგიეროდ, უკვე განსაზღვრულია მისი პარამეტრები. გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში ბიუჯეტთან დაკავშირებით კიდევ ერთი თათბირი შედგა. თათბირზე კვლავ ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები შეაჯერეს. პრემიერ-მინისტრის გაფრთხილების შესაბამისად, ბიუჯეტთან დაკავშირებული პრეტენზიები მინისტრებს არ გაუხმოვანებიათ - გუნდურობა ერთ აზრზე ყოფნასაც გულისხმობს.*

წინასწარი მონაცემებით, ცენტრალური ბიუჯეტი შემოსავლებისა და გრანტების ნაწილში 6 პროცენტით, ანუ თითქმის 59 მილიონი ლარით იზრდება. სამწუხაროდ, ზრდა, ძირითადად, გრანტების ხარჯზე უნდა განხორციელდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ბიუჯეტი დიდ ნაწილში კვლავ უცხოურ დახმარებებზე იქნება დამოკიდებული. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დეფიციტის მოცულობა 101 მილიონი ლარით იზრდება. მისი დაფინანსებაც, ძირითადად, საგარეო წყაროებზეა გათვლილი, საშინაო კი მცირდება.

ყურადღებას ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე გავამახვილებთ: საგრძნობლად იკლებს შემოსავლები პრივატიზაციიდან და, შარშანდელთან შედარებით, ის 22 მილიონი ლარით მცირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ან სახელმწიფოს აღარ დარჩა საპრივატიზაციო ორგანიზაციები - რაც არასწორია, ან მასზე გარკვეული მორატორიუმი ცხადდება. მეორე მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლებში მცირდება დივიდენდები სახელმწიფო საწარმოებიდან. გაუგებარია, თუ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების გასხვისებას არ ვაპირებთ, მაშინ რატომ იკლებს დივიდენდები? ხომ არ ნიშნავს ეს მათი მართვის ეფექტიანობის შემცირებას?

ახალი პროექტის მიხედვით, თითქმის არ იზრდება სამინისტროებისა და უწყებების შენახვის ხარჯები. უმრავლეს შემთხვევაში - მცირდება, თუ არ ჩავთვლით მცირე გამონაკლისს, მათ შორის - პროკურატურას, სადაც ხელფასები გაიზარდა. საპრეზიდენტო ფონდი, რომელიც შარშან არაერთი მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა, კვლავ იარსებებს.

სოციალური დაპირებების ნაწილში 23 მილიონ ლარამდეა ჩადებული ძველი ვალების გასასტუმრებლად. სავარაუდოდ, აქ საუბარია მხოლოდ გასულ წელს დაგროვილ დავალიანებებზე. არადა, ახალ ხელისუფლებას მძიმე მემკვიდრეობა ერგო: 1998 წლიდან დაგროვილი 135-დან 140 მილიონამდე საპენსიო და 70 მილიონამდე სახელფასო დავალიანება და უამრავი შეუსრულებელი სოციალური ვალდებულება.

რაც შეეხება საგარეო ვალს, მხოლოდ მისი პროცენტების დასაფარავად ბიუჯეტში 90 მილიონი ლარია ჩადებული, ძირითადი თანხის მომსახურებისთვის - 99 მილიონი. სამწუხაროდ, ეს საკმაოდ დიდი თანხაა ჩვენი ბიუჯეტისთვის და მისი შემოსავლების 22 პროცენტს შეადგენს, თუმცა ფინანსთა მინისტრი ოპტიმისტურადაა განწყობილი და იმედი აქვს, რომ "პარიზის კლუბში" გარკვეულ შეთანხმებას მიაღწევს.

ბიუჯეტში ჩადებულია წლის ბოლომდე პენსიების 3-3 ლარით მატება. ფინანსთა სამინისტრო 1 ივნისიდან მეტად დააფინანსებს მასწავლებელთა ხელფასებს, სოციალურად დაუცველ და ხელმოკლე ოჯახებს, საელჩოების შენახვისა და მივლინების ხარჯებს.

## ოფიციოზი

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 260

*2004 წლის 28 მარტი ქ. თბილისი*

ანატოლი სობჩაკის ხსოვნის უკვდავყოფის ღონისძიებათა შესახებ.

1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების დამდგენი საპარლამენტო კომისიის საქმიანობაში შეტანილი განუზომლად დიდი წვლილისა და ქართველი ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ანატოლი სობჩაკის ხსოვნის უკვდავსაყოფად:

1. თბილისში 9 აპრილის სახელობის სკვერში დაიდგას ანატოლი სობჩაკის ბიუსტი.

2. ქ. თბილისის მერიამ (ი. ზოდელავა):

ა) განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის ანატოლი სობჩაკის სახელის მინიჭების შესახებ;

ბ) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს 2004 წლის 9 აპრილს ანატოლი სობჩაკის ბიუსტის საზეიმო გახსნის ცერემონიის მომზადება-გამართვა.

3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ს. ზურაბიშვილი), ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტრომ (თ. სულუხია) და ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) უზრუნველყონ ანატოლი სობჩაკის ბიუსტის სანქტ-პეტერბურგიდან თბილისში შეუფერხებელი ჩამოტანის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 230

*2004 წლის 20 მარტი ქ. თბილისი*

საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატოს) ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ.

საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატოს) ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით:

1. შეიქმნას უწყებათაშორისი დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

რევაზ ბეშიძე - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორი

პაატა გაფრინდაშვილი - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე

ვახტანგ კაპანაძე - საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე

მამუკა კუდავა - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აშშ-ის დეპარტამენტის დირექტორი

დავით ნაირაშვილი - ნატოში საქართველოს მისიის სამხედრო წარმომადგენელი

ვასილ სიხარულიძე - ნატოში საქართველოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილე

2. საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატოს) ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის პროექტზე მუშაობის დასრულების მიზნით აღნიშნული სამუშაო ჯგუფი მივლინებულ იქნეს ქ. ბრიუსელში ნატოს შტაბბინაში და გამართოს მოლაპარაკება ალიანსის წევრი ქვეყნების დელეგაციებთან და ნატოს შესაბამის სამსახურებთან ა.წ. 28 მარტიდან 7 აპრილამდე პერიოდში.

3. უწყებათაშორის დროებით სამუშაო ჯგუფს მიენიჭოს უფლებამოსილება, რომ შეიტანოს ცვლილებები სამოქმედო გეგმის პროექტში.

4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, თავდაცვის სამინისტრომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ, იუსტიციის სამინისტრომ, ეკონომიკის სამინისტრომ და ფინანსთა სამინისტრომ აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყონ ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდება უწყებათაშორისი დროებითი სამუშაო ჯგუფისათვის.

5. საქართველოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების წარმომადგენელთა მივლინების ხარჯები ანაზღაურდეს შესაბამისი უწყებების მიერ.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 108

*2004 წლის 26 მარტი ქ. თბილისი*

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებებისათვის განაკვეთების, წელთა ნამსახურობისათვის დანამატის, კვების ულუფის ფინანსური კომპენსაციისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დანამატებისა და კომპენსაციის ოდენობის შესახებ.

"ფინანსური პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ეკონომიკური დანაშაულის სფეროში პრევენციული, ოპერატიულ-სამძებრო, მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების საქმეში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, აგრეთვე მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისა და შემდგომში მათი შენარჩუნების მიზნით:

1. დამტკიცდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა თანდართული თანამდებობრივი განაკვეთები (დანართი №1), სახელმწიფო სპეციალური წოდების განაკვეთი (დანართი №2), წელთა ნამსახურობისათვის დანამატი (დანართი №3).

2. განისაზღვროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე თანამშრომელთა კვების ულუფის ფინანსური კომპენსაცია 59 ლარის ოდენობით.

3. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ზ. ნოღაიდელმა და ეკონომიკის მინისტრმა ი. რეხვიაშვილმა შეიტანონ შესაბამისი ცვლილებები "საქართველოს სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების სამხედრო მოსამსახურეთა, აგრეთვე წინასწარი გამოძიების იზოლატორებში დაკავებულთა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სასჯელმისჯილთა სასურსათო ულუფების წარმატებების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა და ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრების 2000 წლის 6 ნოემბრის №106/46 ერთობლივ ბრძანებაში.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) გაითვალისწინოს ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფა.

*მიხეილ სააკაშვილი*

### დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 26 მარტის №108 ბრძანებულებით

**დანართი** №1

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა თანამდებობრივი განაკვეთი.

| თანამდებობის დასახელება | განაკვეთი (ლარი) |
|---|---|
| პოლიციის უფროსი | 590.00 |
| პოლიციის უფროსის მოადგილე | 580.00 |
| დეპარტამენტის უფროსი | 575.00 |
| დეპარტამენტის უფროსის მოადგილე | 565.00 |
| სამმართველოს უფროსი, სპეციალური დანიშნულების რაზმის უფროსი | 555.00 |
| სამმართველოს უფროსის მოადგილე, სპეციალური რაზმის უფროსის მოადგილე | 550.00 |
| მთავარი ბუღალტერი | 545.00 |
| სამსახურის უფროსი, კანცელარიის უფროსი | 540.00 |
| სამსახურის უფროსის მოადგილე | 535.00 |
| განყოფილების უფროსი | 530.00 |
| განყოფილების უფროსის მოადგილე | 525.00 |
| უფროსი გამომძიებელი, უფროსი ოპერატიული თანამშრომელი, უფროსი ინსპექტორი | 520.00 |
| გამომძიებელი, ოპერატიული თანამშრომელი | 510.00 |
| ინსპექტორი | 450.00 |
| უფროსი ბუღალტერი | 400.00 |
| უფროსი სპეციალისტი, ბუღალტერი, პოლიციელი | 350.00 |
| სპეციალისტი, რეფერენტი | 300.00 |
| ოპერატორი | 250.00 |
| დამხმარე თანამშრომელი | 150.00 |

### დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 26 მარტის №108 ბრძანებულებით

**დანართი** №2

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა სახელმწიფო სპეციალური წოდების განაკვეთი.

| სახელმწიფო სპეციალური წოდება (ფინანსური პოლიციის) | განაკვეთი (ლარი) |
|---|---|
| გენერალ-მაიორი | 14.00 |
| პოლკოვნიკი | 13.00 |
| ვიცე-პოლკოვნიკი | 12.00 |
| მაიორი | 11.00 |
| კაპიტანი | 10.00 |
| უფროსი ლეიტენანტი | 9.00 |
| ლეიტენანტი | 8.00 |
| უმცროსი ლეიტენანტი | 7.00 |
| უფროსი სერჟანტი | 6.00 |
| სერჟანტი | 5.00 |
| უმცროსი სერჟანტი | 4.00 |
| რიგითი | 3.00 |

### დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 26 მარტის №108 ბრძანებულებით

**დანართი** №3

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა წელთა ნამსახურობისათვის დანამატი.

1. ფინანსური პოლიციის სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე თანამშრომელს სამხედრო, სამართალდაცვის ან იმ სპეციალურ სამსახურებში, სადაც დაწესებულია სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდებები, წოდებით წელთა ნამსახურობისათვის ეძლევა დანამატი თანამდებობრივი და სახელმწიფო სპეციალური წოდების განაკვეთების ჯამის შემდეგი პროცენტული ოდენობით:

ა) 5 წლამდე - 10%;
ბ) 5-დან 10 წლამდე - 20%;
გ) 10-დან 15 წლამდე - 25%;
დ) 15-დან 20 წლამდე - 30%;
ე) 20-დან 25 წლამდე - 35%;
ვ) 25-დან 30 წლამდე - 40%;
ზ) 30 წელზე მეტი - 45%.

2. ფინანსური პოლიციის სახელმწიფო სპეციალური წოდების არმქონე თანამშრომელს წელთა ნამსახურობისათვის ეძლევა დანამატი თანამდებობრივი განაკვეთის შემდეგი პროცენტული ოდენობით:

ა) 5 წლამდე - 10%;
ბ) 5-დან 10 წლამდე - 20%;
გ) 10-დან 15 წლამდე - 25%;
დ) 15 წელზე მეტი - 30%.

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 107

*2004 წლის 26 მარტი ქ. თბილისი*

"საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ".

საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

"საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 23.07.2001 წ. №78, მუხლი 555) დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. რეესტრის მე-8 მუხლის "ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ე) ფინანსთა სამინისტროს საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების თავმჯდომარეები, გენერალური ინსპექციის უფროსი, ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი".

2. ამოღებულ იქნეს რეესტრის მე-9 მუხლის "ს" ქვეპუნქტი.

3. ამოღებულ იქნეს რეესტრის მე-11 მუხლის "ა" ქვეპუნქტი.

4. VII თავის შემდეგ დაემატოს თავი VII 1 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"თავი VII 1 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის სახელმწიფო თანამდებობები

**მუხლი 26 1. მთავარი საჯარო თანამდებობები**

ა) პოლიციის უფროსი;
ბ) პოლიციის უფროსის მოადგილე;
გ) პოლიციის დეპარტამენტის უფროსი.

**მუხლი 26 2. წამყვანი საჯარო თანამდებობები**

ა) პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
ბ) პოლიციის სამმართველოს უფროსი;
გ) პოლიციის სამსახურის უფროსი;
დ) პოლიციის მთავარი ბუღალტერი;
ე) პოლიციის კანცელარიის უფროსი;
ვ) პოლიციის განყოფილების უფროსი;
ზ) პოლიციის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი;
თ) პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმის უფროსი;
ი) პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე;
კ) პოლიციის სამმართველოს განყოფილების უფროსი;
ლ) პოლიციის სპეციალური დანიშნულების რაზმის უფროსის მოადგილე;
მ) პოლიციის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსის მოადგილე;
ნ) პოლიციის დეპარტამენტის სამმართველოს განყოფილების უფროსი.

**მუხლი 26 3. უფროსი საჯარო თანამდებობები**

ა) პოლიციის სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე;
ბ) პოლიციის სამსახურის უფროსის მოადგილე;
გ) პოლიციის განყოფილების უფროსის მოადგილე;
დ) პოლიციის დეპარტამენტის სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე;
ე) უფროსი გამომძიებელი;
ვ) უფროსი ოპერატიული თანამშრომელი;
ზ) უფროსი ინსპექტორი;
თ) უფროსი ბუღალტერი;
ი) ოპერატიული თანამშრომელი;
კ) ინსპექტორი;
ლ) გამომძიებელი;
ზ) უფროსი სპეციალისტი;
ნ) სპეციალისტი.

**მუხლი 26 4. უფროსი საჯარო თანამდებობები**

ა) რეფერენტი;
ბ) ბუღალტერი;
გ) პოლიციელი;
დ) ოპერატორი".

*მიხეილ სააკაშვილი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# "ლინკსის" აჭარული შთაბეჭდილებები

პირველი გვერდიდან

ამ ორგანიზაციის მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი სტეფენ ნაში აცხადებს, რომ 28 მარტის არჩევნები, 2 ნოემბრის არჩევნებთან შედარებით, ნაკლები დარღვევებით ჩატარდა. ბრიტანელი ხაზს უსვამს, რომ ამჯერად გაცილებით მოწესრიგებული იყო ამომრჩეველთა სიები, გარკვეული წარმატებები იქნა მიღწეული საარჩევნო პროცესებში ეროვნული უმცირესობების ჩართვისა და მონაწილეობის თვალსაზრისით, უფრო ორგანიზებული და გამჭვირვალე იყო ცესკო-ს საქმიანობა. თუმცა, დამკვირვებელთა ჯგუფის ხელმძღვანელის თქმით, აღნიშნული დადებითი მომენტები გააქარწყლეს იმ დარღვევებმა, რომლებსაც აჭარაში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ჰქონდა ადგილი.

"ლინკსის" კიდევ ერთი წარმომადგენელი ლოურენს ბროენსი აღნიშნავს, რომ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები, მთლიანობაში, მშვიდად და ორგანიზებულად წარიმართა, მაგრამ მისთვის დაუვიწყარია ის "შთაბეჭდილებები", რომელიც აჭარაში მიიღო.

**"აჭარაში ქაოსს ქმნიდნენ საარჩევნო კომისიებში შემავალი "აღორძინების" წევრები. ისინი ცდილობდნენ, ურნებში ზედმეტი ბიულეტენები ჩაეყარათ და ხშირად ამას წარმატებით ახერხებდნენ კიდეც. ხდებოდა მარკირების წესის უგულებელყოფა. იყო კარუსელის შემთხვევებიც,"** - აცხადებს ბროენსი, რომლის მტკიცებითაც **"ამ დარღვევებს ადგილობრივი დამკვირვებლები პასიურად ადევნებდნენ თვალს და თითქმის არ რეაგირებდნენ მათზე."**

"არჩევნების მედია-ცენტრში" გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე "ლინკსის" წარმომადგენლებმა იმ რთულ ურთიერთობებსაც გაუსვეს ხაზი, რომელიც აჭარის საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებსა და საარჩევნო ადმინისტრაციებში პრეზიდენტის მიერ დანიშნულ წარმომადგენლებს შორის ჩამოყალიბდა.

**"აჭარის ხელისუფლებამ არ უზრუნველყო არჩევნების ჩატარებისთვის ნორმალური პირობების შექმნა. მთელი საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოცხადებული და, იურიდიული თვალსაზრისით, საკამათო საგანგებო მდგომარეობის პირობებში. სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრებები აჭარელ ამომრჩეველს დამახინჯებული ფორმით მიეწოდებოდა,"** - ნათქვამია "ლინკსის" მიერ გუშინ გაკეთებულ ოფიციალურ წერილობით განცხადებაში.

არჩევნების სხვადასხვა ასპექტებზე საუბრისას, ბრიტანელმა სტუმრებმა ერთ დეტალზეც გაამახვილეს ყურადღება. **"ხუთ თვეში სამი არჩევნების ჩატარება რეკორდია,"** - ქართველების "შესაძლებლობებით" გაკვირვებას ვერ მალავს სტეფენ ნაში.



"აჭარაში 'აღორძინების' წარმომადგენლები ქაოსს ქმნიდნენ".

# "აჭარის ხელისუფლებას სამართლიანი არჩევნების ჩატარება არ სურს"

პირველი გვერდიდან

28 მარტის არჩევნებმა ცხადყო, რომ დღეისთვის "აღორძინება" პოლიტიკური ბანკროტია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ფაქტში მოულოდნელი არაფერი ყოფილა. ნოემბრის რევოლუციის შემდეგ ასლან აბაშიძის პარტია აჭარიდან თუ პასიური მხარდამჭერები თვალსა და ხელს შორის ეცლებოდა. ხელახალი საპარლამენტო არჩევნების წინ "აღორძინებას" საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში რაიონული ორგანიზაციები აუმხედრდნენ. პარტიის ყოფილი წევრები ან "ნაციონალურ მოძრაობაში" გადავიდნენ ან პარტიულობაზე, საერთოდ, უარი თქვეს.

აქედან გამომდინარე, სრულიად კანონზომიერია კენჭისყრის შედეგები, რომლის მიხედვითაც, ამჟამად არსებული ინფორმაციით, "აღორძინებამ" მთელ საქართველოში მხოლოდ 81 190 ხმა მიიღო. ავიღოთ უფრო დეტალური, რომ წინასწარი ინფორმაციით, თავად რეგიონის ტერიტორიაზე "აღორძინებამ" დაახლოებით 63 000 ხმა მიიღო, და ეს მაშინ, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები საარჩევნო პროცესებში აშკარად ერეოდნენ. შედარებისთვის შეგახსენებთ, რომ ორი ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებზე, ოფიციალური მონაცემებით, აჭარაში "აღორძინებას" ხმა მისცა 212 ათასზე მეტმა ამომრჩეველმა. მთლიანად კი, პარტიამ 2 ნოემბერს საკუთარ პოლიტიკურ ყულაბაში 359 ათასი ხმის მობილიზება შეძლო (თუმცა, რა გზით, ეს საერთოდ სხვა თემაა).

გუშინ კი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ აჭარიდან არაორაზროვნად მიუთითა, რომ ის მონაცემები კი, რომლებიც აჭარაში წინასწარი ინფორმაციის თანახმად დაფიქსირდა, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია. შეიარაღებული ადამიანები, უბნების დარბევა, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების დაშინება (თავად უბნებზე შედეგების დათვლის დროს აღმოჩენილ დარღვევებზე რომ არაფერი ვთქვათ) - ეს ის სურათია, რომელსაც, აჭარაში გამართული არჩევნების მსვლელობის კომენტირებისას, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხატავს. ასე რომ, სულაც არ არის გამორიცხული, არჩევნების შედეგები არა მხოლოდ ხულოს რაიონში გაბათილდეს. **"ამის რეალური შესაძლებლობა ნამდვილად არის"**, - აცხადებს ზურაბ ჭიაბერაშვილი. თანაც, იგი ხაზგასმით მიუთითებს, რომ საქართველოში არჩევნების ორმაგი სტანდარტებით გამართვას საბოლოოდ უნდა დაესვას წერტილი. **"არ მინდა ისე გაიგოთ, რომ საქართველოს სხვა რაიონებში დარღვევები არ ყოფილა, მაგრამ ის, რაც ორი დღის განმავლობაში აჭარაში ხდებოდა, რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს"**, - განუცხადა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ "24 საათს".

რაც შეეხება არჩევნების საერთო შედეგებს: გუშინ, საღამოს რვა საათისათვის არსებული მონაცემების თანახმად, შვიდპროცენტიანი ბარიერი მხოლოდ "ნაციონალურმა მოძრაობამ" გადალახა (74, 9 პროცენტი). ბარიერთან ახლოს იმყოფებოდა ბლოკი "მემარჯვენე ოპოზიცია - "მრეწველები" - "ახლები" (6,4 პროცენტი). 4,83 პროცენტი ჰქონდა პოლიტიკურ მოძრაობა "თავისუფლებას". 4,47 პროცენტი - "ლეიბორისტულ პარტიას". "ჯუმბერ პატიაშვილი - პოლიტიკური გაერთიანება "ერთობას" ხმა ამომრჩეველთა 2,85 პროცენტმა მისცა. ხოლო ბლოკ "ედპ - ტრადიციონალისტებს" - 2,63 პროცენტმა. ყველა დანარჩენ პარტიას, ჯერჯერობით, ერთპროცენტიანი ბარიერიც კი არ ჰქონდა დაძლეული. თუმცა უნდა ითქვას, რომ იმ დროისათვის, როცა ეს მონაცემები გამოქვეყნდა, მხოლოდ 289 864 ბიულეტენი იყო დათვლილი.

# ქართული პარადოქსი და ევროპული შეფასება

პირველი გვერდიდან

**გარკვეული ხარვეზები შეიმჩნეოდა, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იყო. ხელისუფლებამ კი უკვე მიიღო პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელიც მთელი საქართველოსთვის სასარგებლო აუცილებელი რეფორმების გასატარებლად სჭირდება".** ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას მიაჩნია, რომ კონტრასტი, 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, ძალზე საგრძნობია. **"მე იმედს მაძლევს 28 მარტს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები და იმედს ვიტოვებ, რომ დემოკრატიის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება,"** - განაცხადა ევროსაბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელმა. ამავე დროს, იორშს იმის თქმაც არ დავიწყნია, რომ საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო ბარიერის დაწევასა და ცესკო-ს პარიტეტული წესით დაკომპლექტებაზე უნდა ეზრუნა. მაგრამ ახლა ევროპის საბჭოს წარმომადგენლები საქართველოს ბარიერის დაწევის თაობაზე მიღებული სერიოზული დაპირებებით სტოვებენ.

დამკვირვებელთა ე.წ. წინასწარ დასკვნაში წერია, რომ **"აჭარის ხელისუფლებას არ უცდია საარჩევნო კამპანიის პერიოდში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად საჭირო პირობები შეექმნა. ეს ნათლად აისახა ოპოზიციის მხარდამჭერი საარჩევნო ადმინისტრაციების წარმომადგენლებისა და ჟურნალისტების დაშინებაში, რაც ზოგჯერ ძალისმიერ ხასიათსაც ატარებდა."** დამკვირვებლებმა ისიც შენიშნეს, რომ აჭარის რეგიონის გამოკლებით, ქართულ მასმედიას საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება ჰქონდა. თუმცა, სახელმწიფო ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებებში ძალზე დიდი ყურადღება ეთმობოდა ხელისუფლებას და მის მხარდამჭერ პარტიებს.

მეტეხში გამართულ პრესკონფერენციაზე იორშის შეფასება სავსებით გაიზიარა ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელმა ბრიუს ჯორჯმა. მისი აზრით, არჩევნები საკმაოდ კარგად ჩატარდა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის - აჭარაშიც, "თუმცა, გარკვეულ გართულებებს მაინც ჰქონდა ადგილი". ჯორჯის შეფასებით, არჩევნებში მონაწილე პარტიები საარჩევნო კამპანიის დროს ძალიან პასიურობდნენ, რაც, მისი აზრით, არჩევნებში მონაწილე პარტიების მწირი ფინანსური შესაძლებლობებით და არჩევნებისთვის მოსამზადებელი პერიოდის სიმოკლით იყო გამოწვეული.

უცხოელ დამკვირვებელთა მხრიდან ძირითადი პრეტენზიები, როგორც აღვნიშნეთ, მაინც აჭარის მიმართ არსებობდა. ცნობისათვის, იორშის მოწონება, აჭარაში არჩევნების ჩასატარებლად გაწეული დიდი სამუშაოს გამო, ევროპის საბჭოს სპეციალურმა წარმომადგენელმა პლამენ ნიკოლოვმა დაიმსახურა. მიუხედავად კრიტიკული განცხადებებისა, იორში და დელეგაციის სხვა წევრები მიიჩნევენ, რომ წინანდელთან შედარებით, აქაც ნაკლები დარღვევები იყო. შესაბამისად, "შესაძლებელია, რომ მომავალში დემოკრატიული არჩევნები აჭარაშიც ჩატარდეს". გამგზავრების წინ ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაციამ საქართველოს ახალ ხელისუფლებას ქვეყანაში ოპოზიციის განვითარების შესახებ რჩევა დაუტოვა - ისეთი გარემოს შექმნა ან, უბრალოდ, მისთვის ხელის შეწყობა, სადაც ოპიზიციური აზრის გამოთქმა და ოპოზიციური ძალების გაერთიანება-მოქმედება შეზღუდული არ იქნება.

# "სამართლიანი არჩევნებისთვის" თითქმის ყველაფერი ნათელია

გიორგი ასანიშვილი

*"სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ" (ხელმძღვანელი თამარ ჟვანია) გუშინ იმ მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც მან 2600-ზე მეტ საარჩევნო უბანზე განახორციელა. 28 მარტს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ძირითადად, ამომრჩეველთა აქტივობას აკვირდებოდნენ და ხმების პარალელურ დათვლას აწარმოებდნენ. "სამართლიანი არჩევნების" მონაცემები ასეთია: "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატებმა" მიიღეს ხმების 67,78 პროცენტი, "მრეწველები-ახლებმა" - 7,75 პროცენტი, "დემოკრატიული აღორძინების კავშირმა" - 6,6 პროცენტი, მოძრაობა "თავისუფლებამ" - 4,72 პროცენტი, "ედპ-ტრადიციონალისტებმა" - 2,38 პროცენტი, ბლოკმა "ჯუმბერ პატიაშვილი-"ერთობა" - 2,19 პროცენტი...*

თამარ ჟვანიას მტკიცებით, აღნიშნული მაჩვენებლები ერთობ ზუსტი, პრეზენტაბელურია და მათი ცდომილების ალბათობა "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატებისთვის" 0,2 პროცენტს, ხოლო დანარჩენი პარტიებისთვის 0,5 პროცენტს არ აღემატება. ჟვანია იმედოვნებს, რომ მისი ორგანიზაციის მონაცემები ცესკო-ს მიერ დადასტურებულ შედეგებს დაემთხვევა.

თუ "სამართლიანი არჩევნების" "ციფრული ბაზა" ზუსტია, მაშინ გამოდის, რომ ახალი პარლამენტი ორ, მაქსიმუმ, სამსუბიექტიანი იქნება - "ნაციონალურ მოძრაობა-დემოკრატებსა" და "მრეწველები-ახლებს" საკანონმდებლო ორგანოში ყოფნა გარანტირებული აქვთ, ხოლო "აღორძინება" ამ შანსს ინარჩუნებს.

როგორც აღვნიშნეთ, ხმების პარალელურ დათვლასთან ერთად, "სამართლიანი არჩევნები" ამომრჩეველთა აქტივობასაც აკვირდებოდა. თამარ ჟვანიას ინფორმაციით, ელექტორატის აქტივობის საბოლოო მაჩვენებელმა 62,62 პროცენტი შეადგინა.

არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი კვირას გამართულ არჩევნებს საკმაოდ კრიტიკულად აფასებს.

**"ნაცვლად იმისა, რომ საპარლამენტო არჩევნები, საპრეზიდენტოსთან შედარებით, წინგადადგმული ნაბიჯი ყოფილიყო, მოხდა პირიქით: 28 მარტს დაფიქსირებული დარღვევების რაოდენობა საგრძნობლად აღემატება 4 იანვრის დარღვევებს. საზოგადოების მოლოდინი, რომ საარჩევნო კულტურა ამაღლდებოდა და 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიის სტანდარტების მაქსიმალური დაცვით ჩატარდებოდა, სამწუხაროდ, არ გამართლდა,"** - დანანებით შენიშნა თამარ ჟვანიამ სასტუმრო "მარიოტში" გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

ამასთან, "სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რიგ რეკომენდაციებსაც სთავაზობს. თამარ ჟვანიას თქმით, სასურველია, რომ ცესკო-მ დარღვევის თითოეულ ფაქტზე სათანადო რეაგირება მოახდინოს, არჩევნების შედეგების შეჯამების პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე გახადოს და ამომრჩეველთა სიების სრულყოფაზე განაგრძოს მუშაობა, რათა მომავალში, არჩევნების დღეს, ამომრჩეველთა დამატებითი რე-

# "პრომიშლენნიე ინვესტორი" საქართველოში

## მიზანი - ერთიანი სამთო-მეტალურგიული ჰოლდინგი

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

*ინტერვიუ რუსეთის საინვესტიციო კომპანია "პრომიშლენნიე ინვესტორის" ვიცე-პრეზიდენტთან კობა ნაყოფიასთან.*

რუსეთის საინვესტიციო კომპანია "პრომიშლენნიე ინვესტორის" მხრიდან საქართველოს ეკონომიკურ ექსპანსიაზე ამტყდარი აჟიოტაჟის მიუხედავად, რუსული მხარე უკან დახევას არ აპირებს.

კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი კობა ნაყოფია ამბობს, რომ ხსენებული კომპანია მართავს რუსეთში ინვესტირებულ 100 მილიონ დოლარზე მეტი მოცულობის პირდაპირი ინვესტიციების ფონდს. "პრომიშლენნიე ინვესტორიში" შემავალი საწარმოების წლიურმა ბრუნვამ კი გასულ წელს 1 მლრდ დოლარი შეადგინა. მისი თქმით, რუსეთში გავლენიანი კომპანიის სახით საქართველოს საქმიან წრებს დღეს სერიოზული პარტნიორი, ხოლო შევარდნაძის გარემოცვის დღესაც მოქმედ პოლიტიკოს-ბიზნესმენებს საშიში მეტოქე გამოუჩნდათ.

მოსკოვში ვიზიტით მყოფ საქართველოს პრეზიდენტს ხსენებული კომპანიის თავკაცები რუსეთის ბიზნეს-ელიტის სხვა წარმომადგენლებთან ერთად სამუშაო საუზმეზე სასტუმრო "გრანდ-მარიოტში" შეხვდნენ. 5 თებერვალს კი კომპანიიდან პრეზიდენტ სააკაშვილის სახელზე გაიგზავნა ოფიციალური წერილი, სადაც საუბარია საქართველოში "პრომილშენნიე ინვესტორის" მხრიდან უკვე გაწეულ სამუშაოებსა და ზესტაფონის "ფეროსა" და "ჭიათურმანგანუმთან" დაკავშირებულ ნოვაციებზე. წერილში ხაზგასმითაა მინიშნებული, რომ კომპანია არ აპირებს მხოლოდ მანგანუმის მრეწველობით შემოფარგვლას და მზადაა, განიხილოს საქართველოს ეკონომიკაში ინვესტირების სხვა საშუალებებიც.

- ჩვენი კომპანიის სტრატეგია სწორედ ის არის, რომ ამ ორი საწარმოს აქტივების ბაზაზე შეიქმნას ერთიანი სამთო-მეტალურგიული ჰოლდინგი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში მანგანუმის მრეწველობის აღორძინებას. ჩვენი კომპანიის გრძელვადიანი პრესპექტივაა, რომ შეიმატოს აქტივები არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთსა და სხვა მეზობელ ქვეყნებში, რათა მსოფლიო ბაზარზე ფეროშენადნობთა ფართო ასორტიმენტით გავიდეთ, - აცხადებს ბატონი ნაყოფია. მისი კომენტარით, "ჭიათურმანგანუმში" არსებული პრობლემების გადასაწყვეტად კომპანია მზად არის, 18 მლნ დოლარის პირდაპირი ინვესტიცია განახორციელოს, საწარმოში საერთაშორისო რანგის სააუდიტორე კომპანია შეიყვანოს და ადგილობრივი მეცნიერ-ექსპერტების დახმარებით "ჭიათურმანგანუმის" მიმართ სწორი საინვესტიციო სტრატეგია ჩამოაყალიბოს. "პრომიშლენნიე ინვესტორი" "ჭიათურმანგანუმისა" და "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნებს" განიხილავს, როგორც ერთიან სამთო-მეტალურგიულ კომპლექსს და მისი ამუშავებისათვის სრულ მზადყოფნაშია.

"პრომიშლენნიე ინვესტორის" ვიცე-პრეზიდენტი "24 საათს" გამოუტყდა, რომ უკვე იყო მათზე ზეწოლის მცდელობა შევარდნაძის გარემოცვის ბიზნესმენებისა და პოლიტიკოსების მხრიდან, რათა რუსულ კომპანიას საკუთარი პაკეტი "დეკომეტალის" ქართული მხარისათვის მიეყიდა.

- გვემუქრებოდნენ იმით, რომ ჩვენი წილის შესამცირებლად საწესდებო კაპიტალს გაზრდიდნენ. ჩვენ მათთან ბრძოლას მხოლოდ სასამართლოს ძალით, სამართლებრივი პროცედურებით ვაპირებთ. სინამდვილეში "დეკომეტალი" შირმაა, რომლის უკანაც ყოფილ ხელისუფლებასთან დაახლოებული პოლიტიკოსები და ბიზნესმენები დგანან, მათ შორის ზოგიერთი "ცნობილი" პარლამენტარიც. ავსტრიული კომპანიის შემოსვლის შემდეგ, კარგი საბაზრო ფონის მიუხედავად, რატომღაც იზრდება საწარმოს ვალები. ეს მაშინ, როცა პროდუქციის თვითღირებულება ფაქტობრივად არ გაზრდილა იმის ხარჯზე, რომ ელექტროენერგიას საწარმო ძველი ტარიფებით იღებს და "ჭიათურმანგანუმიდან" კონცენტრატი საკმაოდ დაბალ ფასებში მიეწოდება. მსოფლიო ფასებმა კი მზა პროდუქციაზე თითქმის სამჯერ იმატა. ამის მიუხედავად საწარმოს ვალები იზრდება. ეს გაკვირვებას იწვევს დღეს, როცა მაღალრენტაბელურია ფეროშნადნობთა წარმოება. არ მომხდარა პროდუქციის თვითღირებულების ცვლა, გასაყიდმა ფასმა კი 3-ჯერ იმატა. ჩვენ, როგორც აქციონერებს, არ გვაძლევენ საფინანსო დოკუმენტებში ჩახედვის, პროფესიონალური მენეჯმენტ-ანალიზის საშუალებას. საწარმოს მართვაში ჩვენი მიდგომები საწარმოთა კაპიტალიზაციის დონის ამაღლებაში გამოიხატება, მისი ანგარიშსწორების მთელი საქმიანობის გამჭირვალეობა, ზესტაფონისა და მთლიანად იმ რეგიონის მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა, ხელფასების რეალური მატება, ბიუჯეტში სოლიდური გადასახადების შეტანაა ჩვენი მიზანი. ამის ნაცვლად ყველაფერში ხელს გვიშლიან.

**- რატომ ვრცელდება საქართველოში ინფორმაცია, რომ თქვენი კომპანია ქართული საწარმოების გაჩერებას აპირებს?**

- ეს აბსურდია. საქმე ის არის, რომ მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში მანგანუმის მარაგი მხოლოდ უკრაინას, საქართველოსა და ყაზახეთს აქვს. ყველაფრით მდიდარ რუსეთს მხოლოდ ეს რესურსი აკლია, ამიტომაა დაინტერესებული მანგანუმისაგან მიღებული ფეროშენადნობების გამოყენებით. ეს ტექნოლოგია რუსეთში უმაღლეს დონეზეა დახვეწილი. დღეს ცნობილია, როგორი მაღალი ტემპებითაც ვითარდება რუსეთის მეტალურგია. რასაკვირველია, ამ ფონზე იზრდება ფეროშენადნობთა მოხმარების მოცულობა და განა ამის მერე ამგვარი საწარმოს გაჩერებით ვიქნებით დაინტერესებული? პირიქით. რუსული მეტალურგია დღეს მეტად საინტერესო ბიზნესია. ფერო სწორედ ის პროდუქციაა, რომელიც ლიკვიდურია მსოფლიო და მათ შორის რუსეთის ბაზარზე. ყველა რუსული კომპანია დაინტერესებულია, რომ ყოფილ საბჭოთა ტერიტორიაზე ამგვარმა საწარმოებმა მზარდი ტემპებით იმუშაოს, რათა მოთხოვნები დაკმაყოფილდეს. თუ დავაკვირდებით ფეროშენადნობთა რუსულ ბაზარს, აქ უკრაინის პროდუქციას პირველი ადგილი უკავია, როცა საქართველოს უკრაინაზე არანაკლები პოტენციალი გააჩნია.

**- რითი ხსნის "პრომიშლენნიე ინვესტორი" ზესტაფონის ქარხნის იაფად შესყიდვის ფაქტს?**

- "ფერო", გარკვეული საინვესტიციო პროგრამის შესრულების პირობით, 7 მლნ დოლარად გაიყიდა. დღეს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, ეკონომიკის სამინისტროდან გამოითხოვოს პრივატიზაციასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი და თვალი გადაავლოს "ფეროს" ახალი მეპატრონის მიერ შემოთავაზებულ ორგვერდიან(?!) ე. წ. ბიზნეს-გეგმას, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. იქ არაა მითითებული სრულიად ელემენტარული რამ: საინვესტიციო საშუალებების რაოდენობა, ანუ, კონკრეტულად "დეკომეტალი" საწარმოში ინვესტიციის სახით რა ოდენობის თანხის დაბანდებას აპირებს. ვეყრდნობდით რა საქართველოში ამ დარგში არსებული უდიდესი სამეცნიერო სკოლის წარმომადგენელთა აზრს, ვაცხადებთ, რომ უახლოეს წელიწადნახევარში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, ჩვენი იქ მისვლის შემთხვევაში, კომპანია "პრომიშლენნიე ინვესტორი" მზადაა, 30 მლნ დოლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელოს, რაც ამ საწარმოს ეფექტურობის იმ დონეზე გაიყვანს, რომელიც ფეროშენადნობთა ბაზარზე არსებულ კონიუნქტურას პასუხობს. ამის შესახებ უკვე წერილობით ვაცნობეთ საქართველოს მთავრობას. ჩვენი კომპანია მზად არის, 30 მილიონი პიდაპირი ინვესტიციების სახით დააბანდოს საქართველოში.

**- ნაყოფიას სიტყვებით, იმ პროცედურის შესახებ, თუ როგორ იქნა პრივატიზებული სახელმწიფოს ხელში არსებული საკონტროლო პაკეტი, ქართული საზოგადოება შესაძლოა, სწორად ინფორმირებული არ იყოს.**

- "პრომიშლენნიე ინვესტორის" ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ ისინი აპირებდნენ 2003 წელს მთავრობის მიერ დაგეგმილ ტენდერში მონაწილეობას, ანუ მათს ინტერსებში არ შედიოდა "ფეროს" პრივატიზება პირდაპირი მიყიდვის გზით. მათთვის ცნობილი იყო, რომ ფეროს 25 პროცენტს შვეიცარული კომპანია "ნოვარკო" ფლობდა. ტენდერის პირობების დასაკმაყოფილებლად "პრომიშლენნიე ინვესტორიმ" საჭიროდ ჩათვალა, "ნოვარკოს" აქციათა პაკეტი შეეძინა. 29 მაისს შედგა თათბირი, რომელზეც მაშინდელ სახელმწიფო მინისტრს, ეკნომიკისა და ვაჭრობის მინისტრებს დაევალათ, "საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 1 თებერვლის თათბირის გადაწყვეტილების (ოქმი №3) შესაბამისად მიმდინარე წლის 10 ივნისამდე სახელმწიფო კანცელარიაში წარმოედგინათ მეცნიერებთან, დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და ორგანიზაციებთან შეთანხმებული წინადადებები სააქციო საზოგადოება "ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნისა" და სააქციო საზოგადოება "ჭიათურმანგანუმის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივების განსახელმწიფოებრიობის პირობების შესახებ." ამ ფაქტიდან ერთი კვირის შემდეგ, 2003 წლის 6 ივნისის სხდომის ოქმში იგივე აბზაცი შემდეგი ინტერპრეტაციით იკითხება: "საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავალებს ...დაასრულონ მუშაობა სააქციო საზოგადოება "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა" და სააქციო საზოგადოება "ჭიათურმანგანუმის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციების გასაყიდი ფასისა და გასაყიდი ფასის სიდიდიდან გამომდინარე ოპტიმალური სატენდერო პირობების შემუშავებისათვის იმ მიზნით, რომ გასაყიდი ფასი და შესაბამისი სატენდერო პირობები პასუხობდეს სახელმწიფო ინტერესებს და იყოს რეალური, ანუ მისაღები პოტენციური ინვესტორისათვის. აღნიშნულ პროექტში აქტიურად ჩაერთონ როგორც სათანადო პროფესიონალები და კვალიფიციური მეცნიერები, ასევე პოტენციური ინვესტორები, სატენდერო პირობების პრესაში გამოქვეყნების ვადა განისაზღვროს მიმდინარე წლის 25 ივნისით."

ამ დროს ხდება წარმოუდგენელი რამ: თათბირებზე მიღებული გადაწვეტილების სრული იგნორირებით კომპანია "დეკომეტალი" ჩუმად მიმართავს პრეზიდენტ შევარდნაძეს 2003 წლის 5 ივნისს აუქციონში მონაწილეობის მიღებაზე სურვილით და აუდიენციას ითხოვს 16-18 ივნისის ჩათვლით, - აცხადებს კობა ნაყოფია და განაგრძობს, - საიდუმლო შეხვედრა შევარდნაძესთან შედგა. 20 ივნისს ეს პირები თხზავენ წერილს, თუ რა პირობებით შეუძლიათ, შეიძინონ ქარხანა და 29 ივნისს ხდება საწარმოს პრივატიზება პირდაპირი მიყიდვის გზით, პრეზიდენტის ბრძანების შესაბამისად. ეს მაშინ, როცა 25 ივნისს სატენდერო პირობები უნდა გამოქვეყნებულიყო და საზოგადოება ერთი თვით ადრე უნდა ყოფილიყო ინოფრმირებული საწარმოს პრივატიზების შესახებ. აქ უკვე ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, როგორაა დარღვეული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, როგორ დაირღვა თვით სამოქალაქო კოდექსიც. აი, მთელი სიმართლე "ჩუმად" გაყიდვის ტექნოლოგიაზე. მინდა, ქართულმა საზოგადოებამ იცოდეს ისიც, რომ "პრომიშლენნიე ინვესტორის" თავისი პაკეტი საქართველოში არ შეუძენია. მან იგი შვეიცარიაში შეიძინა, - დასძენს ნაყოფია.

# 2 მილიონი და არც ერთი თეთრით ნაკლები

## სად ქრება ავტოსადგომებიდან შემოსული მილიონი ლარი?!

*დედაქალაქის ბიუჯეტი ავტოპარკირებიდან ყოველწლიურად სულ ცოტა მილიონ ლარს კარგავს. ექსპერტების გაანგარიშებით, ავტოსადგომებიდან ამოღებული თანხის მხოლოდ მესამედი თუ აღწევს ქალაქის ხაზინამდე, დანარჩენი კი ადგილობრივი ხელისუფლების რამდენიმე სტრუქტურაში, იერარქიის მიხედვით ნაწილდება. ორი თვის წინათ თბილისის ხუთივე რაიონის გამგებელი და მოსაკრებელი სამსახურების უფროსები შეიცვალნენ, თუმცა სურათი უცვლელი დარჩა - ავტოსადგომებიდან ამოღებული თანხები დღესაც საეჭვოდ ორთქლდება; მეტიც, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, წელს, იანვარ-თებერვალში, პარკირებიდან ქალაქის ბიუჯეტში 55 პროცენტით ნაკლები შევიდა.*

ეთერ მამულაშვილი

ოფიციალური ინფორმაცია, თუ რამდენი ფასიანი ავტოსადგომი და რამდენი ავტომანქანის ადგილია დღეს თბილისში, უცნობია. არც ერთი შესაბამისი სტრუქტურა ამის თაობაზე ზუსტ ინფორმაციას არ ან ვერ ფლობს. იმ მონაცემების თანახმად, რომელიც "24 საათმა" რაიონული გამგეობებიდან მოიპოვა, თბილისის ერთ რაიონში საშუალოდ 50 ავტოსადგომია. დიდუბე-ჩუღურეთში ეს ციფრი ასამდე იზრდება. თითოეულ ავტოსადგომზე საშუალოდ 10-13 ადგილია, ანუ, მარტივი გათვლით, დღეს თბილისში, სულ მცირე, 300 ავტოპარკინგია, შესაბამისად - 3000-3900 ავტომანქანის სადგომი ადგილით. თუმცა, როგორც საკრებულოს ანტიკორუფციული კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ბესიკ ჯუღელი ირწმუნება, დედაქალაქში არარეგისტრირებული ავტოპარკინგების რიცხვიც საკმაოდ სოლიდურია; მაგალითად: ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მათ გააჩნიათ ავტოპარკირების 52 დისლოკაციის ადგილი, თუმცა, ხსენებული კომისიის წევრების ინფორმაციით, ამ რაიონში ამჟამად 76 ადგილია. კომისიის წევრების მტკიცებით, ანალოგიური ვითარებაა დედაქალაქის დანარჩენ რაიონებშიც. კომისიამ ამ ცოტა ხნის წინათ თბილისში პარკირებასა და გარე ვაჭრობაში არსებული მდგომარეობა დეტალურად შეისწავლა.

### რა თანხა გროვდება ავტოსადგომებიდან?

რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ამ კითხვაზე პასუხი არც ერთი რაიონის მოსაკრებელი სამსახურის უფროსს არ გააჩნია. ისინი მთლიანად ენდობიან იმ ბრიგადირებს, რომლებიც ყოველი დღის ბოლოს ავტოსადგომების მორიგეებისგან აკრეფილ ლარებს ეროვნულ ბანკში რიცხავენ და რომლებიც დღიურ გეგმას საკუთარი სურვილის მიხედვით აწესებენ.

არსებობს ბრიგადირების მიერ დაწესებული გეგმა, რომელიც, ოფიციალური მონაცემებით, 3-9 ლარამდე მერყეობს (ეს რაიონსა და თავად ავტოპარკინგის მდებარეობაზეა დამოკიდებული), თუმცა, ოფიციალური ნიხრი რეალობისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, არაოფიციალური გეგმა 7-50 ლარის ფარგლებში მერყეობს. "24 საათი" რამდენიმე ავტოსადგომის მორიგეს გაესაუბრა. თითოეული მათგანი დღიური გეგმის საკმაოდ მაღალ განაკვეთზე წუწუნებს. **"რაღა მიჭირდა, 9 ლარს რომ ვაბარებდე. დღის ბოლოს ბრიგადირს 15 ლარი უნდა ჩავაბარო. მართალია, გეგმას ძლივს ვასრულებ, მაგრამ სახლში წასაღებზეც ხომ უნდა ვიზრუნო? აბა, ჩემი 20 ლარი ხელფასი ვის რაში ეყოფა?"** - კითხულობს 67 წლის თამაზი, რომელსაც დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ერთ-ერთი ავტოსადგომი უკვე მეხუთე წელია, რაც აბარია.

ხშირად ავტოსადგომების მორიგეები გეგმას საკუთარი ჯიბიდან ასრულებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ სამსახურის დატოვება მოუწევთ. დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებსა და გამზირებზე მდებარე ავტოსადგომების მორიგეებს დღიური გეგმა თითქმის ორჯერ მეტი აქვთ, ვიდრე მათ პერიფერიებში მდგომ კოლეგებს; მაგალითად - რუსთაველზე, "მაკდონალდის" გვერდით მდებარე ავტოსადგომიდან ყოველ საღამოს ბრიგადირს 32 ლარი მიაქვს; ელბაქიძის დაღმართზე მდგომ მორიგეებს დღიურ გეგმად 12 ლარი დაუწესეს; რესპუბლიკის მოედანზე მდგომი მათი კოლეგები კი ყოველდღიურად ბრიგადირებს 26 ლარს აბარებენ; თავისუფლების მოედანზე, მაჩაბლის ქუჩაზე - 10 ლარი; მელიქიშვილზე, სასტუმრო "საქართველოსთან" - 17 ლარი; ვაკეში, "ჩაის სახლთან" მდებარე ავტოსადგომიდან ყოველდღიურად 18 ლარი იკრიბება; სასტუმრო "მერიოტის" გვერდით მდგომი მორიგეები კი დღის ბოლოს 12 ლარს აბარებენ; ცენტრალური ფოსტის უკან მდებარე ავტოსადგომიდან დღის განმავლობაში 22 ლარი გროვდება; რესტორან "ნიკალსათან" - 18, "ლაღიძის წყლებთან" - 16, თავისუფლების მოედანზე მდებარე სილამაზის სალონ "ოცნებასთან" - 22 ლარი, ქაშუეთის მიმდებარე ტერიტორიაზე - 14 ლარი, მერიასთან, ტაბიძის ქუჩაზე - 13 ლარი; ცეკავშირის მიმდებარე ტერიტორია - 50 ლარი; კოსტავაზე, კაზინო "ევროპასთან" - 16.



*ავტოსადგომებიდან ამოღებული თანხის მხოლოდ მესამედი აღწევს ქალაქის ხაზინამდე.*

იმ ქუჩებზე კი, სადაც ადამიანის ფეხი, მით უმეტეს - მანქანა ნაკლებად ხვდება, დღიური გეგმა 7-10 ლარამდე მერყეობს. ამ არაოფიციალური დღიური გეგმის შესახებ ინფორმაცია "24 საათს" ერთ-ერთი ავტოსადგომის მორიგემ მიაწოდა, რომელიც უკანსკნელი ათი წლის განმავლობაში სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა რაიონში მუშაობდა.

ის დღესაც ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე ავტოსადგომზე მუშაობს და ბრიგადირის მიერ დაწესებულ 19-ლარიან გეგმას თითქმის ათსაათიანი სამუშაო გრაფიკის პირობებში ძლივს ასრულებს. მის ვინაობას ამჯერად არ დავასახელებთ, თუმცა ამ მონაცემების რეალურობას საკრებულოს საქალაქო მეურნეობისა და ანტიკორუფციული კომისიების მიერ ამ ცოტა ხნის წინათ ჩატარებული კვლევაც ადასტურებს. ხსენებული კომისიის წევრები, რომლებიც ქალაქში არსებულ ვითარებას უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში დეტალურად იკვლევდნენ, დღიური გეგმის საკმაოდ მაღალ განაკვეთს ადასტურებენ. მათ მიერ მოწოდებული ციფრები ზუსტად ემთხვევა ჩვენი ინკოგნიტო რესპონდენტის მიერ დასახელებულ რიცხვებს. ამრიგად, არითმეტიკას თუ მოვიშველიებთ, ერთი ავტოსადგომის მორიგე საკუთარ ხელმძღვანელობას დღეში საშუალოდ 13 ლარს აბარებს, რომლის მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი აღწევს ბიუჯეტამდე. ეს კი მარტივი გაანგარიშებითაც იოლად დასტურდება. თუკი ერთი ავტოსადგომიდან ამოღებულ დღიურ 13 ლარს 300-ზე გავამრავლებთ (ქალაქში არსებული ავტოსადგომების რაოდენობა), გამოვა, რომ ქალაქის ხაზინაში ავტოპარკინგიდან დღეში 3900 ლარი უნდა გროვდებოდეს. იმის გათვალისწინებით, რომ კვირაობით ავტოსადგომები მცირეოდენი დატვირთვით მუშაობს, 3900 გავამრავლოთ 25 დღეზე. ამ უხეში გათვლით, ავტოპარკირებიდან ბიუჯეტში ყოველთვიურად, სულ ცოტა, 97 ათასი ლარი უნდა შედიოდეს, როცა წელს, იანვარ-თებერვალში (ანუ ორ თვეში), პარკირებიდან ამოღებული თანხის ოდენობამ 80 ათას ლარს ძლივს მიაღწია.

### არაკონტროლირებადი ავტოსადგომები

ცალკე საუბრის თემაა აღურიცხავი ავტოსადგომები, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ვერ (ან არ) კონტროლდება. როგორც ამბობენ, ასეთები დედაქალაქის თითქმის ხუთივე რაიონში უხვად არის. სხვათაშორის ამ ინფორმაციას რაიონის გამგებლებიც არ უარყოფენ; მეტიც, "24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით, დაახლოებით, ოთხი თვის წინათ მთაწმინდა-კრწანისის მაშინდელმა გამგებელმა ქალაქის პოლიციას წერილობით მიმართა, სადაც იგი დახმარებას ითხოვდა. **"მთაწმინდა-კრწანისის რაიონში 70 ავტოსადგომია. შესაბამისი სამსახურების მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, ვერ ხერხდება გარკვეული ავტოსადგომების გაკონტროლება და შესაბამისი თანხების ბიუჯეტში მიმართვა."** მიზეზად გამგებელი კომერციული სტრუქტურების მეპატრონეთა თვითნებობას ასახელებდა. ამაში კი გამგებელი შემდეგს გულისხმობდა: ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე განთავსებული ზოგიერთი კაზინოს, რესტორნისა და სუპერმარკეტის მფლობელებს მათ წინ არსებული ავტოსადგომები უკანონოდ აქვთ მითვისებული; შესაბამისად - აქედან აკრეფილი თანხა ბიუჯეტში კი არა, მეწარმეთა ჯიბეებში ხვდება. მსგავსი თვითნებობა დღესაც ხშირად ხდება.

### რა იქნება წელს?

შარშან ავტოპარკირებიდან ბიუჯეტში 600 ათასი ლარი შევიდა - გეგმით გათვალისწინებულზე 280 ათასი ლარით ნაკლები. ახალ გამგებლებსა და მოსაკრებელი სამსახურების უფროსებს გასული წლის პარამეტრების შესრულებაც კი ძალიან უჭირთ. რამდენიმე მათგანმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ეს ტენდენცია წლის ბოლომდე გაგრძელდება. ვაკე-საბურთალოს რაიონს შარშან ავტოპარკირებიდან ბიუჯეტში 104 ათასი ლარი უნდა შეეტანა (გეგმის მიხედვით), თუმცა 2003 წელი გამგეობამ 60-მილიონიანი გარღვევით დაასრულა. რაიონის ახალი მოსაკრებელი სამსახურის უფროსი ზურაბ ბერიძე აცხადებს, რომ 104-ათასიანი გეგმის შესრულება წელს მასაც გაუჭირდება. ასეთ განცხადებებს მოსაკრებელი სამსახურების უფროსები მაშინ აკეთებენ, როცა საკრებულოს წევრები დედაქალაქის 2004 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში ავტოპარკირებიდან, სულ მცირე, ორი მილიონი ლარის გათვალისწინებას ვარაუდობენ. **"ორი მილიონი ლარი და არც ერთი თეთრით ნაკლები,"** - იმუქრებიან საკრებულოს დეპუტატები.

***ცნობისათვის:*** *მიმდინარე წლის პირველ ორ თვეში გლდანი-ნაძალადევის გამგეობამ ავტოპარკირების მოსაკრებლიდან ბიუჯეტში 3300 ლარი შეიტანა, ისანი-სამგორმა - 9000, ვაკე-საბურთალომ - 10200, მთაწმინდა-კრწანისმა - 19700, ხოლო დიდუბე-ჩუღურეთმა - 37700 ლარი, სულ - 79900 ლარი. თუ ამ ტემპებით გაგრძელდა, წლის ბოლომდე ბიუჯეტში 880 ათასი ლარი უნდა*

## მოკლედ

### ივლისში ქართულ ავიაბაზარს "აკია" და "KLM" შეემატება

დღეს, 31 მარტს, ბრიტანული ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეისის" თბილისის ოფისი ფუნქციონირებას წყვეტს. ამის მიზეზად კომპანიაში საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას ასახელებენ. ივლისში კი ქართულ ავიაბაზარზე ორი ახალი უცხოური ავიაკომპანია შემოვა.

"24 საათი" უკვე წერდა, რომ "ბრითიშ ეარვეისის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს, ბრიტანეთის მთავრობის, საქართველოს ახალი მთავრობისა და "ბრითიშ მედითერანეან ეარვეისის" გამუდმებული მცდელობის მიუხედავად, მდგომარეობა უცვლელი დარჩა - საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელობამ არ შეცვალა გადაწყვეტილება, "არ დაეშვა ბრიტანული ავიაკომპანიის მიერ საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის საჰაერო მიმოსვლის აღდგენა."

სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციაში დარჩენილი პასუხისმგებელი პირები დღეისათვის მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით მუშაობენ, ამიტომ აღნიშნული ფაქტის კომენტირებისგან თავს იკავებენ; თუმცა აცხადებენ, რომ ბაზრის მონოპოლიზაციაზე საუბარი ზედმეტია, რადგან მიმდინარე წლის ივლისში ქართულ ავიაბაზარზე ისრაელის ავიახაზების (ავიაკომპანია "აკია") და ჰოლანდიური ავიაკომპანია "KLM"-ის შემოსვლა იგეგმება. ორივე კომპანია შესაბამის დოკუმენტაციას ქართულ მხარეს, სავარაუდოდ, 1 აპრილისათვის წარუდგენს.

*24 საათი*

### "იტერას" გეგმები იცვლება

მაშინ, როცა "გაზპრომმა" მოპოვებული გაზის დაგეგმილი ოდენობა ვერ გაასაღა და გაზის შენახვის პრობლემები შეექმნა, მის მიერ შევიწროებული "იტერა" პროფილს იცვლის და ნავთობმომპოვებლის ამპლუაში გვევლინება. "როსნეფტთან" ერთობლივად მან თურქმენბაშის სამფლობელოებში შეჭრა და თურქმენული ნავთობსაბადოების ათვისება განიზრახა.

ამ მიზნით, ორიოდე დღის წინ სააქციო საზოგადოება "ზარიტის" დამფუძნებლები - "იტერას", "როსნეფტის", "თურქმენნეფტისა" და "ზარუბეჟნეფტის" წარმომადგენლები - თურქმენბაშის შეხვდნენ და ორიოდე საათი დასტყუეს. "ზარიტი", კასპიის თურქმენული შელფის ათვისების მიზნით, წინდახედულმა მენავთობეემა და "იტერამ" ჯერ კიდევ 2002 წელს დააფუძნეს. თუმცა, მანამდე, სანამ მის მონაწილეთა ნუსხაში თურქმენული "თურქმენნეფტი" არ გამოჩნდა, ეს საკითხი ადგილიდან არ იძროდა.

"იტერა" თავის ახალ გატაცებას "ბიზნესის დივერსიფიცირების" სურვილით ხსნის. თუმცა, არაფერს ამბობს "გაზპრომთან" ამ ბოლო დროს გართულებულ ურთიერთობებზე. გაზის რუსულ გიგანტთან ჭიდაობისას გასულ წელს კომპანიამ სოლიდური ზარალი განიცადა. სხვათა შორის, ამ "ზარალის" უშუალო გამომწვევ მიზეზად რუსი ანალიტიკოსები ყველაზე ხშირად "იტერას" თავკაცის იგორ მაკაროვისა და "გაზპრომის" ყოფილი ხელმძღვანელის რემ ვიახირევის მეგობრობას ახსენებენ - ჩანს, ეს მეგობრობა ისევ გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ვიახირევი ახლა რუსეთის ხელისუფლებისთვის არასასურველ პიროვნებად ითვლება.

*მაია ურუშაძე*


### "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ.

**1 აპრილს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**

წერეთლის გამზირის(ნაწილობრივ), აღმაშენებლის გამზირის(ნაწილობრივ), თამარ მეფის გამზირის(ნაწილობრივ), აბასთუმნის, ბორჯომის, ბათუმის, ფიფიას, გორის, გოგოლის, იამანიძის, მაიაკოვსკის, ქურდიანის, საგურამოს, ცაბაძის, წინამძღვრიშვილის(ნაწილობრივ), ჩუბინაშვილის, გოგი დოლიძის, კლდიაშვილის, ნინოშვილის, სურამის, ევდოშვილის, ვახუშტი ბაგრატიონის, ცაბაძის, დიდუბის, ფოთის, მარცხენა სანაპიროს, ქუთაისის ქუჩების მაცხოვრებლებს.



## უფროსი კონსულტანტი გარემოს დაცვის დარგში

"ბი-პი"-ს მილსადენების პროექტებისთვის, "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით, IRA Ltd ეძებს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირს, გარემოს დაცვის დარგში უფროსი კონსულტანტის თანამდებობის დასაკავებლად. იგი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი ბრითიშ პეტროლეუმის მილსადენის პროექტისთვის საქართველოში, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ზედამხედველობით.

**სამუშაოს აღწერა:**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საოპერაციო უფროსი კონსულტანტი გარემოს დაცვის დარგში ანგარიშვალდებული იქნება საოპერაციო მენეჯერის მიმართ. მისი როლი შეიცვლება, პროექტის წინსვლასთან ერთად და შესაბამის პირს შეექმნება კარიერის განვითარების შესაძლებლობები. როლი შეიძლება შეიცვალოს წინასაექსპლუატაციო ეტაპიდან საექსპლუატაციო ეტაპზე გადასვლის დროს.

უფროსი კონსულტანტი გარემოს დაცვის დარგში პასუხისმგებელი იქნება ადგილებზე მოქმედი ხელმძღვანელობისა და ზედამხედველებისთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე, პროაქტიური კონსულტაციების სახით, ყველა საქმიანობის მონიტორინგის გზით, რათა საქართველოში მოქმედმა სამუშაო ძალებმა განაგრძონ გარემოს დაცვის კონტროლის ყველა საჭირო ზომების მიღება, რომლებიც დააკმაყოფილებს როგორც კომპანიის, ასევე საერთაშორისო, აგრეთვე მარეგულირებელი ორგანოების გარემოსდაცვით სტანდარტებს. ამ თანამდებობაზე მომუშავე პირის სამუშაო ადგილი საქართველოში იქნება, თუმცა მას მოეთხოვება აზერბაიჯანში მოგზაურობაც.

იგი მჭიდროდ ითანამშრომლებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის უფროს საოპერაციო კონსულტანტთან გარემოს დაცვის დარგში (აზერბაიჯანი), რათა უზრუნველყოფილი იყოს ეკოლოგიური და სოციალური საკითხების მიმართ მიდგომათა შეთანხმებულობა.

**როლები და პასუხისმგებლობები**

ამჟამად როლები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

- კონსულტაციები გაუწიოს ადგილზე მომუშავე მენეჯერებსა და ზედამხედველებს და განახორციელოს იმ პროცედურების და პრაქტიკის მონიტორინგი, რომლებიც აუცილებელია ISO 14001-ის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების, საოპერაციო HSO მენეჯმენტის სისტემების და მარეგულირებელი ორგანოების და ბრითიშ პეტროლეუმის გარემოსდაცვითი სტანდარტების განხორციელებისთვის
- განახორციელოს გარემოში ნარჩენების დაცლის შესახებ მონაცემების მონიტორინგი და განიხილოს ბუნებრივი გარემოს გამოკვლევები, რათა საჭიროებისამებრ რეკომენდაცია გაუწიოს მაკორექტირებელ ღონისძიებებს
- ჩაატაროს ოფიციალური და არაოფიციალური ინსპექციები და შემოწმებები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის აზერბაიჯანისა და საქართველოს მონაკვეთებზე, შეთანხმებული პროცედურების განხორციელების მონიტორინგის უზრუნველსაყოფად
- მონაწილეობა მიიღოს ეკოლოგიური ინციდენტების შემსწავლელი ჯგუფების მუშაობაში და მოამზადოს ანგარიშები ამ ინციდენტების შესახებ
- მონაწილეობა მიიღოს საექსპლუატაციო ჯგუფის მიერ მანქანა-დანადგარების სუსტი მუშაობის გამოკვლევაში, როდესაც ასეთი მუშაობა დაუშვებელია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით
- მოამზადოს სტანდარტული შიდა და გარე ანგარიშები და შეაგროვოს მონაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია ISO 14001 გარემოსდაცვითი დოკუმენტით
- მოამზადოს პრეზენტაციები საზოგადოების ინფორმირებისთვის, გარემოსდაცვითი ფორუმებისა და თანამშრომლებთან საუბრებისთვის და ჩაატაროს ტრენინგები ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვის სფეროში
- იმუშაოს ადგილზე მომუშავე ხელმძღვანელებთან და ზედამხედველებთან და კონსულტაციები გაუწიოს მათ, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ყველა სახის საოპერაციო ღონისძიების ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედება, მილსადენის არსებობის მთელი დროის განმავლობაში (მაგ. ნარჩენების მენეჯმენტი და გარემოში გამოტყორცნების კონტროლი)
- იყოს წამყვანი კოორდინატორი ადგილებზე მომუშავე ხელმძღვანელებთან და ზედამხედველებთან და ნავთობის დაღვრის სფეროში კონტრაქტორებთან, ნავთობის დაღვრაზე რეაგირების გეგმების შედგენისას, სწავლებისას და დასუფთავების ოპერაციების დროს.
- დაამყაროს ადგილობრივი კავშირები ოპერატორებთან, პროექტებთან, მარეგულირებელ ორგანოებთან, ეკოლოგიური ლობირების ჯგუფებთან და სხვა კომპანიებთან, გარემოს დაცვის სფეროში
- დაესწროს საჯარო შეხვედრებს, როგორც აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის წარმომადგენელი ბინებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სფეროში

კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- უნდა ჰქონდეს გარემოს დაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილება (იდეალურია 2 წლის გამოცდილება ამ სფეროში)
- ჰქონდეს ურთიერთობის კარგი უნარი
- კარგად შეეძლოს კომპიუტერზე მუშაობა (Microsoft office)
- შეეძლოს მუშაობა, როგორც ჯგუფის წევრს
- სასურველია განათლება გარემოს დაცვის სფეროში
- კარგად ფლობდეს ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებს.

**როგორ შეიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ გაქვთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება ამ როლის შესრულებისთვის, გათხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ბიოგრაფია (CV) და შეავსით შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მიიღოთ ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე. განცხადებების მიღების ბოლო ვადაა სამშაბათი, 13 აპრილი, 2004 წ.

საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

**განხილული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატს მიიწვევენ გასაუბრებაზე და შესთავაზებენ სამუშაოს.**

**ადამიანური რესურსების დეპარტამენტი**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია**
**BP Georgia**
**საბურთალოს ქ. N38**
**თბილისი, საქართველო.**

# საგამოძიებო კომისია კონდოლიზა რაისის საჯარო დაკითხვას ითხოვს

ნიკა თარაშვილი

ამერიკის შეერთებულ შტატებში 11 სექტემბრის მოვლენების შემსწავლელი კომისიის მუშაობა, როგორც ჩანს, საპრეზიდენტო არჩევნების შემადგენელი ნაწილი ხდება. სპეციალური კომისია მიიჩნევს, რომ ამასთან დაკავშირებით, ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველმა კონდოლიზა რაისმაც უნდა მისცეს ჩვენება და ეს სრული საჯაროობის პრინციპის დაცვით უნდა მოხდეს. დამოუკიდებელი კომისიის წევრებს სურთ, კონდოლიზა რაისისაგან ამომწურავი პასუხები მოისმინონ რიჩარდ კლარკის მიერ წაყენებულ ბრალდებებზე.

ტერორიზმის საკითხებში ერთ-ერთი წამყვანი ამერიკელი ექსპერტი და პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი კლარკი ირწმუნება, რომ ბუშს შესაძლო ტერაქტების შესახებ ხშირად აფრთხილებდნენ და მისმა ადმინისტრაციამ ეს გაფრთხილებები, უბრალოდ, უგულებელყო. კლარკი მიიჩნევს, რომ "ალ-ქაიდასა" და "თალიბანის" წინააღმდეგ ბუშისეული პოლიტიკა არაადეკვატური და არათანმიმდევრული იყო და ასეთადვე რჩება, რაც ამერიკის უსაფრთხოებას უთხრის ძირს. კლარკი, რომელიც ბუშამდე კიდევ სამი პრეზიდენტის მრჩეველი იყო, მიიჩნევს, რომ ვაშინგტონს ჯერ კიდევ 11 სექტემბრამდე უნდა დაეწყო "ალ-ქაიდას" ქსელისა და ავღანეთში ტერორისტული ბანაკების ლიკვიდაცია. მისი თქმით, 11 სექტემბრის შემდეგ აქცენტის ერაყზე გადატანა სრულიად გაუგებარი იყო. თუმცა, აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა უარყო ეს ბრალდება და განაცხადა: **"თუ გადავხედავთ იმას, რაც გაკეთდა, დავინახავთ, რომ ჩვენ ავღანეთში შევედით და არა ერაყში."**

მსგავს ბრალდებებს აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, კონდოლიზა რაისიც უარყოფს. იგი ამბობს, რომ ანტიტერორისტულ პოლიტიკაში ბუშის ადმინისტრაცია 11 სექტემბრის მოვლენებამდე წინამორბედი ბილ კლინტონის სტრატეგიას აგრძელებდა და მხოლოდ ნიუ-იორკის ტრაგედიის შემდეგ შეიმუშავა საკუთარი ხედვა. ბუშის მრჩეველმა დასძინა, რომ 11 სექტემბერი პრეზიდენტისათვის მხოლოდ 230-ე სამუშაო დღე იყო და მას ამ მოკლე დროში საკუთარი


კონდოლიზა რაისი

პოლიტიკის შემუშავება არ შეეძლო. **""ალ-ქაიდას" ქსელის განადგურება 11 სექტემბრამდეც რომ დაგვეწყო, ჩვენი შეფასებებით, ეს პროცესი მაინც 4-5 წელი გაგრძელდებოდა. ანუ ამით 11 სექტემბრის თავიდან აცილება ვერ მოხერხდებოდა,"** - თქვა კონდოლიზა რაისმა. კომისია კატეგორიულად მოითხოვს რაისისაგან პასუხებს. თუმცა თავად რაისი, როგორც ჩანს, ფიცის ქვეშ ჩვენების მიცემის სურვილით ნაკლებად "იწვის". იგი აპელირებას თავის "განსაკუთრებულ უფლებებსა" და ამერიკის კონსტიტუციაზე აკეთებს და ტელეკომპანია "სი-ბი-ეს"-ის ეთერში აცხადებს, რომ პრეზიდენტის მრჩეველს არ შეუძლია ფიცის ქვეშ საჯარო ჩვენებების მიცემა. რაისი ამასთანავე ამატებს, რომ იგი მზადაა, გააგრძელოს კომისიასთან თანამშრომლობა დახურულ სხდომებზე. პრეზიდენტის მრჩევლის დასაცავად გამოვიდა სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი, რომელიც აცხადებს, რომ რიჩარდ კლარკმა უსაფუძვლოდ გააკრიტიკა ქალბატონი რაისი. **"მე ვფიქრობ, არ ღირს დოქტორ რაისის კრიტიკა,"** - აღნიშნავს პაუელი.

კომისიის ხელმძღვანელმა, ექს-გუბერნატორმა ტომ კიანიმ თავისი მხრიდან პირობა დადო, რომ რაისს სასამართლო უწყებას არ გაუგზავნის და საქმე კიდევ ერთ "სასამართლო ბატალიად" არ გადაიქცევა. კომისიის წევრები იმედოვნებენ, რომ მათ მოთხოვნებს გაგებით მოეკიდებიან და ეს ეხება არამარტო კონდოლიზა რაისს, არამედ თავად პრეზიდენტ ბუშს და ვიცე-პრეზიდენტ ჩეინისაც. ორივე მიწვეულია კომისიის სხდომაზე ჩვენების მისაცემად, თუმცა მათი საჯარო გამოსვლების თარიღი ცნობილი არ არის.

ამასობაში, ბუშსა და მის გარემოცვაზე ზეწოლას დემოკრატებიც აძლიერებენ. ამჯერად, პრეზიდენტობის კანდიდატმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ პრეზიდენტის მრჩევლის აღიარებით ჩვენებას ამერიკის ყველა მოქალაქემ უნდა მოუსმინოს. "სი-ბი-ეს"-ის ეთერში კონდოლიზა რაისის გამოსვლის კომენტირებისას, კერიმ სარკაზმით აღნიშნა: **"თუ მას შეუძლია გამონახოს დრო სატელევიზიო გადაცემა "60 წუთში" გამოსასვლელად, მან იგივე 60 წუთი იმისთვისაც უნდა გამონახოს, რომ კომისიის წინაშე ფიცის ქვეშ მისცეს ჩვენება."** შეგახსენებთ, რომ კონდოლიზა რაისმა კომისიას უკვე მისცა ჩვენება, თუმცა ეს დახურულ სხდომაზე მოხდა.

მსგავსი ბრალდებები შეუძლებელია არ აისახოს პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის რეიტინგზე. ეს კი, მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების გათვალისწინებით, ბუშის ხელმეორედ არჩევას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მიუხედავად ამისა, ბუშის ადმინისტრაციას ამერიკელების ნახევარზე მეტი ისევ ენდობა. ჟურნალ "ნიუსვიკის" მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ უჩვენა, რომ ამერიკელთა 57 პროცენტს სახელმწიფოს მიერ უსაფრთხოების სფეროში გატარებული პოლიტიკა ეფექტურად მიაჩნია.

# ჯორჯ ბუში "ჰამასის" სამიზნეში

"ჰამასის" ახალი ლიდერი აბდელ აზიზ ალ-რანტისი ამ თანამდებობაზე არჩევის შემდეგ პირველად წარსდგა მხარდამჭერების წინაშე. ღაზას სექტორში ისლამის უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრას 5 ათასამდე პალესტინელი ესწრებოდა. **"აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ისლამის მტერია,"** - განაცხადა რანტისმა და პალესტინელებს თეთრი სახლის ლიდერის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა. რანტისმა პირობა დადო, რომ შეერთებული შტატებისა და ისრაელის წინააღმდეგ წმინდა ომს გააგრძელებს და კიდევ უფრო მწვავე ხასიათს მისცემს.

მისი თქმით, ის სულაც არ არის გაკვირვებული, რომ შეერთებულმა შტატებმა ვეტო დაადო გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელიც "ჰამასის" სულიერი ლიდერის შეიხ აჰმედ იასინის მკვლელობას გმობდა. **"ამერიკამ ალაჰის წინააღმდეგ ომი გამოაცხადა, ხოლო ალაჰმა კი აშშ-ს საპასუხო ომით უპასუხა. ჩვენ პასუხს გავცემთ პრეზიდენტ ბუშს და ისრაელის პრემიერ-მინისტრს არიელ შარონს,"** - განაცხადა შეკრებილი აუდიტორიის წინაშე რანტისმა.

აღსანიშნავია რამდენიმე დღის წინანდელი მისი განცხადება, რომ "ჰამასი" მხოლოდ პალესტინის და ისრაელის ტერიტორიაზე იმოქმედებს. ბუშის წინააღმდეგ გაკეთებულმა განცხადებამ კი ამ ორგანიზაციას უკვე საერთაშორისო მასშტაბები შესძინა. დამკვირვებლები გამოთქვამენ შიშს, რომ ამიერიდან "ჰამასი" "ალ-ქაიდასთან" ერთად დაიწყებს მოქმედებას და ოსამა ბინ ლადენის ორგანიზაციის მჭიდრო პარტნიორი გახდება. ექსპერტთა ვარაუდით, მოვლენათა ამგვარი განვითარება საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დასავლეთს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

# სპეცოპერაცია "მთების ქარიშხალი" გრძელდება

გუშინ არაბულმა და რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია "თალიბანის" ლიდერზე მოლა ომარზე განხორციელებული თავდასხმის შესახებ. გავრცელებული ცნობის თანახმად, მასზე ამერიკელებმა საჰაერო იერიში განახორციელეს, რის შედეგადაც მოლა ომარი მძიმედ დაიჭრა, ხოლო მისი ოთხივე პირადი მცველი ადგილზე განადგურდა. "თალიბანის" ლიდერი მხარში და ფეხშია დაჭრილი. თავდასხმა ავღანეთის საზღვარზე, პაკისტანის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში მოხდა, სადაც "ალ-ქაიდას" და "თალიბანის" მებრძოლები, უკვე ორი კვირაა, გააფთრებულ ბრძოლებს აწარმოებენ პაკისტანის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. არაბულ საინფორმაციო საშუალებებზე დაყრდნობით, რუსული მედია იუწყება, რომ მოლა ომარის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ ის ორი თვის განმავლობაში სიარულს ვერ შეძლებს. ამის შესახებ მის ექიმს პაკისტანური გაზეთისათვის "აუსაფისათვის" განუცხადებია.

ბრიტანული გაზეთი "სანდი ექსპრესი" იუწყება, რომ თებერვლის ბოლოს აშშ-ს და ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა ბინ ლადენისა და მოლა ომარის ადგილსამყოფელის დადგენა მოახერხეს. ცოტა ხნით ადრე კი "ვაშინგტონ ტაიმსმა" განაცხადა, რომ მათი ლიკვიდაციის და დაპატიმრებისათვის ამერიკელებმა ელიტარული დანაყოფი "სპეცჯგუფი 121" აამოქმედეს, რომელსაც ვიცე-ადმირალი უილიამ მაკრეივენი ხელმძღვანელობს. ეს სწორედ ის რაზმია, რომელმაც გასული წლის ბოლოს ერაყის ყოფილი დიქტატორი სადამ ჰუსეინი დააპატიმრა.

უკვე ორი კვირაა, რაც ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე მოლა ომარისა და ბინ ლადენის მოხელთების მიზნით მასშტაბური სპეცოპერაცია "მთების ქარიშხალი" მიმდინარეობს. თავდაპირველად იყო ეჭვი, რომ ამ რაიონში ბინ ლადენის მარჯვენა ხელი და პირადი ექიმი აიმან ალ-ზავაჰირი იმყოფებოდა, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ ვაზირისტანის პროვინციაში გამაგრებულ ისლამისტებს დაუდგენელი ჩეჩენი პიროვნება ხელმძღვანელობდა. ორი დღის წინ, ტელეკომპანია "ალ-ჯაზირამ" თავად ზავაჰირის განცხადება გადასცა ეთერში. ამერიკელმა ანალიტიკოსებმა უკვე დაადასტურეს, რომ აუდიო ჩანაწერი მართლაც ბინ-ლადენის მოადგილეს ეკუთვნის.

ზავაჰირი მუსულმანებს პაკისტანის პრეზიდენტის მუშარაფის დამხობისაკენ მოუწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ ზავაჰირი იქ არ აღმოჩნდა და დაუდგენელი ჩეჩენი პიროვნებაც შესაძლოა უკვე გაქცეული იყოს, პაკისტანის 70 ათასკაციანი არმია კვლავ დაჟინებით განაგრძობს ვაზირისტანის პროვინციაში ანტიტერორისტულ სპეცოპერაციას. მათ ზურგს უმაგრებს ამერიკელთა 8 ათასკაციანი დანაყოფი და 200 ფრანგი ჯარისკაცი. სპეცოპერაცის შედეგად უკვე დაპატიმრებულია 120 ისლამისტი მებრძოლი, მაგრამ მათმა დაკითხვამ ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო. მათ არ იციან "ალ-ქაიდას" ლიდერების ადგილსამყოფელი. ამავე დროს, სააგენტო "როიტერმა" პაკისტანის ხელისუფლებაზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია "ალ-ქაიდას" დაზვერვის უფროსის ლიკვიდაციის თაობაზე. **"ის სპეცოპერაციის დროს მოკლეს,"** - განაცხადა პაკისტანის არმიის წარმომადგენელმა გენერალ-მაიორმა შაუქათ სულთანმა.

თუკი მოლა ომარზე თავდასხმის შესახებ ინფორმაცია დადასტურდა, ეს კიდევ უფრო გააძლიერებს სპეცოპერაციის გაგრძელების მოტივაციას. ამდენად, გამორიცხული არ არის, რომ ანტიტერორისტული კოალიციის ტყვეობაში სულ მალე თალიბანის ლიდერი ვიხილოთ. ეს კი ბინ ლადენის გარშემო ანტიტერორისტულ რკალს საგრძნობლად შეავიწროებს.

# აფეთქება ტაშკენტში

გუშინ დილით უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში მძლავრი აფეთქების ხმა გაისმა. აფეთქება ქალაქის ძველ ნაწილში, ხალხმრავალ ადგილას - ბაზართან მოხდა, სადაც, ჩვეულებრივ, ყოველდღიურად მილიციის თანამშრომლები იყრიან ხოლმე თავს. ეჭვობენ, რომ ეს ტერაქტი სწორედ მილიციის წინააღმდეგ იყო მიმართული. უზბეკეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, აფეთქების შედეგად 4 ადამიანია დაღუპული და 70-ზე მეტი დაჭრილი. "ინტერფაქსმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომ ტაშკენტის პარალელურად აფეთქებები მოხდა უზბეკეთის მეორე ქალაქ ბუხარაში. ზოგიერთი ცნობით, აფეთქებები ქვეყნის სხვა რეგიონებშიც იყო დაგეგმილი. წინასწარი მონაცემებით, ბუხარაში ორი აფეთქება განხორციელდა. მსხვერპლის შესახებ, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, აფეთქება ტაშკენტში კამიკაძე ქალმა მოაწყო. ტერაქტის ადგილის წინასწარი დათვალიერებაც ამ ვერსიაზე მიუთითებს. შემთხვევის ადგილზე ნაპოვნია შაჰიდის ცხედარი. ტაშკენტში უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები იქნა შემოღებული და ქალაქის გასასვლელთან დააკავეს ავტომობილი, რომელშიც აღმოჩენილი იქნა შაჰიდის ქამრები.

შუა აზიური რესპუბლიკის დედაქალაქში ტერაქტები ხუთი წლის წინაც მოხდა. 1999 წლის 16 თებერვალს ქალაქის რამდენიმე რაიონში აფეთქებების შედეგად 20 ადამიანი დაიღუპა და 100-მდე დაიჭრა. მაშინ ტერაქტის ორგანიზება "უზბეკეთის ისლამურ მოძრაობას" დაბრალდა. ზოგიერთი სააგენტოს ინფორმაციით, ამ ორგანიზაციას "ალ-ქაიდას" ქსელთან აქვს კავშირი.

"უზბეკეთის ისლამური მოძრაობა" იმ 15 ორგანიზაციის რიცხვში შედის, რომლებიც რუსეთის მიერ ტერორისტულად არის შერაცხული.

გუშინ, ტაშკენტის ტერაქტთან დაკავშირებით გავრცელდა რამდენიმე ვერსია. ერთ-ერთი ვერსიით, ეს იყო პრეზიდენტ კარიმოვის დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული აქცია. უზბეკეთი ავტორიტარულ სახელმწიფოს წარმოადგენს და, ტრადიციულად, მილიცია რეჟიმის მძლავრ დასაყრდენად ითვლება. აღსანიშნავია, რომ აფეთქებები სწორედ მილიციის თანამშრომლებზე იყო გამიზნული. თუმცა, არსებობს მეორე, არანაკლებ სარწმუნო მოსაზრებაც, რომ იგი შესაძლოა "ალ-ქაიდას" შურისძიების აქტი იყოს. შეგახსენებთ, "ალ-ქაიდას" შურისძიების შედეგად, 11 მარტს მადრიდის სადგურში 202 ადამიანი დაიღუპა. უზბეკეთი აქტიურად მონაწილეობდა ანტიტერორისტულ კამპანიაში 2001 წელს. მისი ტერიტორიიდან ხდებოდა დარტყმების განხორციელება ავღანეთზე. უზბეკეთში დღესაც დარჩა აშშ-ს ბაზები. ასე რომ, გამორიცხული არ არის, ორშაბათის ტერაქტები "ალ-ქაიდას" ხელწერა იყოს.

# ადგილობრივი არჩევნები და შირაკის დილემა

საფრანგეთში კვირას გამართულმა ადგილობრივმა არჩევნებმა პრეზიდენტ ჟაკ შირაკის პარტიას უდიდესი დარტყმა მიაყენა. შესაბამისად, ოპოზიციურმა პარტიებმა დამაჯერებლ წარმატებას მიაღწიეს. პირველადი მონაცემების თანახმად, მემარცხენე ბლოკმა, რომელშიც გაერთიანებულნი არიან სოციალისტები, კომუნისტები და მწვანეები, ამომრჩეველთა ხმების 50 პროცენტი მოიპოვა. მმართველმა კონსერვატიულმა ბლოკმა 37,5 პროცენტი მიიღო, ხოლო ნაციონალისტურმა ფრონტმა, რომელსაც სათავეში ჟან მარი ლეპენი უდგას, ხმათა 13 პროცენტი მიიღო.

დამკვირვებლები უკვე ერთხმად მიუთითებენ, რომ 29 მარტის ადგილობრივი არჩევნები ჟაკ შირაკისათვის კატასტროფული აღმოჩნდა.

**"ხელისუფლებისათვის ეს გაკვეთილი უნდა იყოს. ამიტომ, დაწყებული რეფორმები უნდა გაგრძელდეს, რადგანაც ეს გარდაუვალი აუცილებლობაა,"** - განაცხადა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ჟან პიერ რაფარენმა.

საგულისხმოა, რომ არჩევნების პირველ ტურში ოპოზიციამ მხოლოდ 40 პროცენტი მიიღო, ხოლო ხელისუფლებამ - 35 პროცენტი. მეორე ტურში კი მემარცხენე ოპოზიციურმა გაერთიანებამ, თავისი შედეგი მთელი ათი პროცენტით გააუმჯობესა.

როგორც ვარაუდობენ, ადგილობრივი არჩევნების ასეთი შედეგები აუცილებლად გამოიწვევს საფრანგეთის მთავრობაში საკადრო გადაადგილებებს და ცვლილებებს, რადგანაც მმართველი პარტიის რეიტინგი უკვე ძალზე დაცემულია. ამას მოწმობს ამომრჩეველთა მაღალი აქტივობაც, რომელიც კვირას დაფიქსირდა - დაახლოებით, 60 პროცენტზე მეტი ამომრჩეველი გამოცხადდა საარჩევნო ურნებთან, რათა პრეზიდენტ შირაკისა და მმართველი პარტიის მიმართ თავისი უკმაყოფილება დაეფიქსირებინა. მოსახლეობაში დღითიდღე იზრდება უკმაყოფილება მთავრობის მიერ განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური პოლტიკის გამო. კერძოდ, ხელისუფლებამ შეამცირა სოციალური სფეროების დაფინანსება, ასევე მკვეთრად გაზრდილია უმუშევართა რაოდენობაც.


შირაკმა ხელისუფლებას ვერ უშველა.

როგორც ვარაუდობენ, პირველი საკადრო ცვლილება სწორედ პრემიერ-მინისტრის თანამდებობას უკავშირდება. პრეზიდენტი ჟაკ შირაკი, ალბათ, პირველ რიგში, ჟან პიერ რაფარენის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს დააყენებს. მით უმეტეს, რომ ამ პოსტს, დიდი ხანია, უმიზნებს საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ნიკოლა სარკოზი, რომელიც მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მისი სახელი კორუფციასთან და კრიმინალურ დაჯგუფებებთან უკომპრომისო ბრძოლას უკავშირდება. სარკოზის ბევრი ექსპერტი საფრანგეთის მომავალ პრეზიდენტადაც განიხილავს.

თუმცა, არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომ სწორედ ამიტომ შირაკი შეეცდება ძველი, თუნდაც არაპოპულარული გუნდის შენარჩუნებას და რეფორმების ტემპის დაჩქარებას, ანუ არაპოპულარული მინისტრებით მმართველი პარტიის რეიტინგის ამაღლებას.

ამდენად, საფრანგეთის პრეზიდენტი არჩევანის წინაშე დგას - ან საკადრო გადაადგილებები და სარკოზის პრემიერ-მინისტრად დანიშვნა, ან სტატუს-კვოს შენარჩუნება და არსებული ხარვეზების და ნაკლოვანებების ისევ საკუთარი ძალებით გამოსწორება.

# ლიბიის ბაზარზე "შელი" დაბრუნდა

თორნიკე შარაშენიძე

ანგლო-ჰოლანდიური ნავთობგიგანტი "შელი" ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ლიბიის ბაზარზე ბრუნდება. ეს ამბავი ბრიტანეთის პრემიერ ტონი ბლერის ლიბიაში ვიზიტის დროს გაირკვა. "შელი" ადგილობრივ ეროვნულ ნავთობკომპანიასთან ითანამშრომლებს.

ბლერის ვიზიტი და "შელის" მიერ საქმიანობის განახლება კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ლიბია ნელ-ნელა უბრუნდება საერთაშორისო თანამეგობრობას და უარს ამბობს დასავლეთთან ურჩობაზე, რის გამოც იგი აქამდე მრავალი წლის განმავლობაში პრაქტიკულ იზოლაციაში იმყოფებოდა.

ლიბიის დასავლეთისაკენ შემობრუნების პირველი ნიშნები გასულ წელს გაჩნდა, როცა ქვეყნის დიქტატორმა კადაფიმ, ბევრის გასაკვირად, აღიარა ლოკერბის დაბომბვაში ლიბიის ბრალი და მსხვერპლთათვის კომპენსაცია გაიღო. ამას კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი მოჰყვა: ლიბიამ უარი განაცხადა მასობრივი განადგურების იარაღზე, რითაც ძალიან მოიგო ვაშინგტონის გული. ამ მოვლენებიდან მოყოლებული, დასავლეთის სანქციები ლიბიის წინააღმდეგ, პრაქტიკულად, გაუქმდა.

ლიბია ნავთობკომპანიებისათვის ერთობ მიმზიდველი ადგილია. ეს ქვეყანა ერთობ მდიდარია ჰიდროკარბონატული რეზერვებით, რომელთა მოპოვებაც დიდ ხარჯებთან დაკავშირებული არ არის. ბრიტანეთი განსაკუთრებით აქაური გაზით არის დაინტერესებული. ბოლო ხანს გაზის მარაგი ჩრდილოეთ ზღვაში (საიდანაც ბრიტანეთი მას მოიპოვებს) საგრძნობლად შემცირდა და ქვეყანა ალტერნატივას დაეძებს. ერთ-ერთ ასეთ ალტერნატივად შეიძლება რუსეთიდან გაზსადენის მშენებლობა იქცეს. მაგრამ ეს შორეული პერსპექტივაა.

"შელი" ლიბიაში 1950-დან 1974 წლამდე და, აგრეთვე, 80-იანი წლების ბოლოს მუშაობდა და ეს დაბრუნება ისტორიულად შეიძლება მივიჩნიოთ. მით უმეტეს, რომ "შელს" ბოლოხანს გარკვეული პრობლემები შეექმნა - კომპანიამ აღიარა, რომ საკუთარი რეზერვები (ნებსით თუ უნებლიეთ) 20 პროცენტით გააზვიადა, რამაც სერიოზული სკანდალი გამოიწვია. ლიბიაში შესვლა სკანდალის მიზეზით დაცემულ "შელის" აქცევს ისევ ნორმალურ მაჩვენებელს დაუბრუნებს.

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №109

*2004 წლის 26 მარტი ქ. თბილისი*

საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ.

1. შეუწყდეთ საქართველოს მოქალაქეობა სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით შემდეგ პირებს:

იანინა აგაბეკიანს, დაბადებულს 1970 წელს სომხეთის რესპუბლიკაში, ქ. ერევანში, მცხოვრებს ქ. ახალქალაქში, ეროვნებით სომეხს;

რობერტ აგაჯანიანს, დაბადებულს 1934 წელს საქართველოში;

ვალერი ადამიანს, დაბადებულს 1958 წელს საქართველოში, ქ. თბილისში, მცხოვრებს ქ. თბილისში, ეროვნებით სომეხს;

აღასი ავაქიანს, დაბადებულს 1948 წელს საქართველოში, ახალქალაქის რაიონში, მცხოვრებს ქ. ახალქალაქში;

ართურ ავდალიანს, დაბადებულს 1971 წელს საქართველოში, ქ. ახალქალაქში, მცხოვრებს ქ. ახალქალაქში, ეროვნებით სომეხს;

ვიქტორია აიბოვას, დაბადებულს 1984 წელს საქართველოში, ქ. თბილისში, მცხოვრებს ქ. თბილისში, ეროვნებით ეზიდს;

ნაზილიკ აკოპიანს, დაბადებულს 1950 წელს საქართველოში, ახალქალაქის რაიონში, მცხოვრებს ქ. ახალქალაქში, ეროვნებით სომეხს;

სამველ აკოფიანს, დაბადებულს 1974 წელს საქართველოში, ახალქალაქის რაიონში, მცხოვრებს ქ. ახალქალაქში, ეროვნებით სომეხს;

სათენიკ ალექსანიანს, დაბადებულს 1966 წელს საქართველოში;

რაისა ალექსენკოს, დაბადებულს 1940 წელს საქართველოში, ქ. თბილისში, მცხოვრებს ქ. თბილისში, ეროვნებით რუსს;

თედორე ანოხინს, დაბადებულს 1925 წელს რუსეთის ფედერაციაში, სტავროპოლის მხარეში, მცხოვრებს ქ. თბილისში;

ანაიდა აშხატოიანს, დაბადებულს 1978 წელს საქართველოში, ქ. თბილისში, მცხოვრებს ქ. თბილისში, ეროვნებით სომეხს;

მარიანა ბაბაჯანიანს, დაბადებულს 1981 წელს საქართველოში;

მიხაელ ბაბოიანს, დაბადებულს 1968 წელს საქართველოში, ახალციხის რაიონში, მცხოვრებს ქ. ახალციხეში, ეროვნებით სომეხს;

მკრტიჩ ბადიმიანს, დაბადებულს 1957 წელს საქართველოში;

ტაისა ბარახნინს, დაბადებულს 1926 წელს რუსეთის ფედერაციაში, ქ. სვერდლოვსკში, მცხოვრებს ქ. რუსთავში;

გიორგი ბართაიას, დაბადებულს 1962 წელს საქართველოში, ქ. თბილისში, მცხოვრებს ქ. თბილისში, ეროვნებით ქართველს;

ინა ბახტაძეს, დაბადებულს 1960 წელს რუსეთის ფედერაციაში, ქ. სმოლენსკში, მცხოვრებს ქ. თბილისში, ეროვნებით რუსს;

ვლადისლავ ბდოიანს, დაბადებულს 1964 წელს საქართველოში, ქ. თბილისში, მცხოვრებს ქ. თბილისში, ეროვნებით სომეხს;

ლუდმილა ბესპროზვანნაიას, დაბადებულს 1946 წელს ქ. მოზდოკში, მცხოვრებს ქ. თბილისში, ეროვნებით რუსს;

ამირან ბექაურს, დაბადებულს 1952 წელს საქართველოში, ასპინძის რაიონში, მცხოვრებს დუშეთის რაიონში, ეროვნებით ქართველს;

ნატალია ბლინკოვას, დაბადებულს 1975 წელს საქართველოში, ქ. თბილისში, მცხოვრებს ქ. თბილისში, ეროვნებით რუსს;

არკადი ბურდულს, დაბადებულს 1965 წელს საქართველოში, ქ. თბილისში, მცხოვრებს ქ. თბილისში, ეროვნებით ქართველს;

როზა გალუსტიანს, დაბადებულს 1935 წელს სომხეთის რესპუბლიკაში;

რაულ გვარიშვილს, დაბადებულს 1960 წელს საქართველოში, ქ. ბათუმში, მცხოვრებს ქ. ბათუმში, ეროვნებით ქართველს;

ვალენტინა გვაზავას, დაბადებულს 1951 წელს უკრაინაში, მცხოვრებს ქ. თბილისში;

ტერეზა გიგინეიშვილს, დაბადებულს 1973 წელს უკრაინაში, ქ. ნიკოლაევში, მცხოვრებს ქ. ბათუმში, ეროვნებით ქართველს;

ლუდმილა გიგინეიშვილს, დაბადებულს 1947 წელს რუსეთის ფედერაციაში, ქ. გროზნოში, მცხოვრებს ქ. ბათუმში, ეროვნებით ოსს;

ალექსანდრე გოლოსკოჩენკოს, დაბადებულს 1958 წელს საქართველოში;

ვალენტინა გრანკინას, დაბადებულს 1955 წელს საქართველოში, ქ. თბილისში, მცხოვრებს ქ. თბილისში, ეროვნებით რუსს;

ლევ გურპილაშვილს, დაბადებულს 1939 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ქ. ბაქოში, მცხოვრებს ქ. თბილისში;

დიანა დავარაშვილს (დავითაშვილი), დაბადებულს 1978 წელს საქართველოში, ქ. გორში, მცხოვრებს ქ. თბილისში, ეროვნებით ებრაელს;

გალინა დავითაშვილს, დაბადებულს 1949 წელს რუსეთის ფედერაციაში, მცხოვრებს ქ. თბილისში;

გოჰარიკ დემურჩიანს, დაბადებულს 1980 წელს საქართველოში;

ნატალია დუბეიკოს, დაბადებულს 1981 წელს საქართველოში, ქ. თბილისში, მცხოვრებს ქ. თბილისში, ეროვნებით რუსს.

2. ბრძანებულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №142

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

დ. ქისტაურის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ლევან ქისტაური საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტის და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა და 99-ე მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №143

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

გ. გოდაბრელიძის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

დაინიშნოს გიორგი გოდაბრელიძე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №144

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

გ. გოდაბრელიძის საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს გიორგი გოდაბრელიძე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 105-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №141

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

ზ. ბარამიძის საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის რეფერენტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ზურაბ ბარამიძე საქართველოს პრეზიდენტის პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურის რეფერენტის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 25 მარტიდან საკუთარი ინიციატივით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №126

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

მ. მოდებაძის საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საქმეთა მმართველის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს მარინა მოდებაძე საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საქმეთა მმართველის მოადგილის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №125

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

დ. მინდელის საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საწარმოო განყოფილების უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს დავით მინდელი საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საწარმოო განყოფილების უფროსის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება № 132

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

ნ. ვაშაკიძის საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ნინო ვაშაკიძე საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №139

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

დ. ფეიქრიშვილის საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საწარმოო განყოფილების წამყვანი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს დავით ფეიქრიშვილი საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საწარმოო განყოფილების წამყვანი სპეციალისტის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №140

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

ბ. ჯალიაშვილის საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ბიძინა ჯალიაშვილი საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №130

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

გ. ახობაძის საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა და დელეგაციებთან მუშაობის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს გიორგი ახობაძე საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა და დელეგაციებთან მუშაობის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №129

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

ე. აბულაძის საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა და დელეგაციებთან მუშაობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ეკატერინე აბულაძე საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა და დელეგაციებთან მუშაობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №127

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

მალხაზ სუხაშვილის საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანაშემწის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს მალხაზ სუხაშვილი საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანაშემწის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №128

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

გ. ცაგარეიშვილის საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა და დელეგაციებთან მუშაობის სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს გიორგი ცაგარეიშვილი საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა და დელეგაციებთან მუშაობის სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №123

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

გ. მამუკაშვილის საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საკითხთა კოორდინატორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს გივი მამუკაშვილი საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საკითხთა კოორდინატორის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №124

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

ვ. პეტრიაშვილის საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საწარმოო განყოფილების წამყვანი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ვიტალი პეტრიაშვილი საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საწარმოო განყოფილების წამყვანი სპეციალისტის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №135

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

დ. ხუროძის საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს დარეჯან ხუროძე საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №136

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

ლ. ბონდარენკოს საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის წამყვანი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ლილი ბონდარენკო საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის წამყვანი სპეციალისტის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №133

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

რ. ინაიშვილის საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს რუსუდან ინაიშვილი საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №138

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

გ. რევაზიშვილის საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის წამყვანი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს გულნარა რევაზიშვილი საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის წამყვანი სპეციალისტის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №137

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

თ. ძაძუას საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საფინანსო-ეკონომიკური სამმართველოს წამყვანი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს თამარ ძაძუა საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საფინანსო-ეკონომიკური სამმართველოს წამყვანი სპეციალისტის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №131

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

ვ. რობაქიძის საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საფინანსო-ეკონომიკური სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ვლადიმერ რობაქიძე საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საფინანსო-ეკონომიკური სამმართველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*

### საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №134

*2004 წლის 25 მარტი ქ. თბილისი*

გ. ხორავას საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს გოჩა ხორავა საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 26 მარტიდან საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

*ზურაბ ჟვანია*



# არჩევნებისას მომხდარი დანაშაული დაუსჯელი აღარ რჩება

პირველი გვერდიდან

**"ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ქვემო ქართლში ტელევიზორიც არ არსებობს და იქაურ მოსახლეობას ისიც არ გაუგია, რევოლუცია რატომ მოხდა. ამ რეგიონში არჩევნები ძველი ტრადიციით - ტოტალური გაყალბებით ჩატარდა, რაშიც მონაწილეობას უშუალოდ იღებდნენ მარნეულის და გარდაბნის გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები. მათი მთავარი მიზანი იყო, არჩევნები რაც შეიძლება დიდი პროცენტული მაჩვენებლით შემდგარიყო და ამას რა გზით მიაღწევდნენ, მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამიტომ მასიურად იყრებოდა ყუთებში ბიულეტენები, ერთი და იგივე პიროვნება რამდენჯერმე იღებდა არჩევნებში მონაწილეობას და იგი არა მარტო საკუთარი ოჯახის წევრების ნაცვლად, არამედ სხვების მაგივრადაც ყრიდა ბიულეტენებს. საარჩევნო უბნებზე ხდებოდა ამომრჩეველთა ბარათების დარიგება, დამკვირვებლების საჩივრების იგნორირება და სხვა დარღვევები,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელმა თინათინ ხიდაშელმა, რომელიც არჩევნების დღეს ქვემო ქართლში დამკვირვებლის მისიით იმყოფებოდა. ჯერჯერობით, სწორედ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული დარღვევები მოექცა სამართალდამცველთა ყურადღების ცენტრში, რაზეც ქვემო ქართლის პროკურატურამ მოკვლევა უკვე დაიწყო.

**"მოკვლევა მას შემდეგ დაიწყო, რაც ასოციაციის ხელმძღვანელმა თინათინ ხიდაშელმა დარღვევებთან დაკავშირებით საჯარო განცხადებები გააკეთა. ამჟამად დაწყებული გვაქვს მასალების შეგროვება, რის შემდეგაც მათ სამართლებრივი შეფასება მიეცემა და არ არის გამორიცხული, რომ მომავალში კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს,"** - აღნიშნა ქვემო ქართლის პროკურორმა მამუკა ცაავამ.

წინასწარი ინფორმაციით, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა სისხლის სამართლის საქმის აღძვრას არ გამორიცხავს გარდაბნის რაიონის სოფელ გაჩიანის საკრებულოს თავმჯდომარის მირდავით საფაროვის მიმართ. მამუკა ცაავას განცხადებით, გავრცელებული ინფორმაციით, იგი 28 მარტს საარჩევნო უბანზე ყალბ პირადობის მოწმობებს არიგებდა. ამ ეტაპზე გამოკვეთილია ბოლნისში მცხოვრები მოქალაქე თელა ისაევას საარჩევნო დარღვევაც, რომელსაც მარკირება არ გაუვლია და სხვადასხვა უბანზე ოთხჯერ მისცა ხმა. ერთი სიტყვით, ქვემო ქართლის არჩევნებით სამართალდამცველები უკვე დაინტერესდნენ. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭიაბერაშვილმა ამ ფაქტების შესახებ აცნობა გენერალურ პროკურორს ირაკლი ოქრუაშვილსაც, თუმცა, წინ არჩევნებთან შედარებით (დარღვევებთან დაკავშირებით გენპროკურატურაში თითქმის ყველა არჩევნების შემდეგ შედიოდა მასალები, მაგრამ აქამდე არავინ დასჯილა), პროკურატურის გამოცოცხლება ამ მხრივაც აშკარაა და ობიექტური გამოძიების იმედი ამჟამად უნდა გვქონდეს.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*არჩევნების ჩაშლის ფაქტზე 4 ადამიანი დაისაჯა. დამტვრეული საარჩევნო ყუთი.*

### არჩევნების გაყალბებისთვის რამდენიმე პიროვნება უკვე დაისაჯა

2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების "პოლიტიკური შეფასება" სახეზეა. ცალკეულ საარჩევნო უბნებზე თავი სიტყვა თქვა მართლმსაჯულებამაც, თუმცა მთლიანობაში რა მოხდა 2 ნოემბერს საქართველოში, ან ვინ გახლდათ მთავარი დამნაშავე საარჩევნო სიების გაყალბებაში, ამას სამართლებრივი შეფასება ჯერ კიდევ არ მისცემია და, როგორც გენერალურ პროკურატურაში ვარაუდობენ, საბოლოო დასკვნამდე კიდევ დიდი დროა. არადა, 2 ნოემბრის არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით გენპროკურატურაში 162-ე მუხლის "ა" და "დ" პუნქტით, ანუ "ამომრჩეველთა ერთი ნაწილისათვის არჩევნებსა და რეფერენდუმში ნების განხორციელებისთვის ხელის შეშლა ჯგუფურად, სამსახურებრივი მდგომარეობის ან იარაღის გამოყენებით" და 341-ე მუხლით - "სამსახურებრივი სიყალბე" აღძრული სისხლის სამართლის საქმე უკვე რამდენიმე ათეულ ტომს ითვლის.

სამაგიეროდ, უკვე სახეზეა წინა საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით რაიონის პროკურატურებში აღძრული საქმეების შედეგი. გენპროკურატურის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამ მხრივ უკვე დასჯილია ოთხი პიროვნება, ხოლო ერთი საქმე შემდგომი განხილვისათვის სასამართლოშია გადაგზავნილი.

კერძოდ, გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურამ დაასრულა ვინმე ნოდარ ქაშიბაძის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება. მასალების თანახმად, მან ერთ-ერთ უბანში საარჩევნო ყუთი დაამტვრია. აღნიშნული დანაშაულისთვის სასამართლომ ქაშიბაძეს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, რომელიც პირობითი სასჯელით შეეცვალა.

ანალოგიური სასჯელი დაეკისრა ჩხოროწყუს რიონის სოფელ ჯუმათის ერთ-ერთი საუბნო კომისიის თავმჯდომარეს მიხეილ გულუას, რომლის სამსახურებრივი გულგრილობის შედეგად დაიკარგა საარჩევნო კომისიის ბეჭედი.

საარჩევნო კომისიის ბეჭედი გახდა წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაფიჩხოვის მეთვრამეტე საარჩევნო კომისიის წევრის გენადი ლაგვილავას დასჯის მიზეზიც. გამოძიების მასალების თანახმად, ლაგვილავამ ბეჭედი სახლში წაიღო.

საარჩევნო ყუთის დამტვრევა არ აპატიეს წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში მცხოვრებ ლაშა ვეკუასაც.

დაბოლოს, მართლმსაჯულების გადაწყვეტილებას ელოდება ხაშურელი ნიოზაძე, რომელსაც ბრალი ედება საარჩევნო კომისიის მუშაობისთვის ხელის შეშლაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ის საქმეებია, რომლებიც სასამართლოში გადაიგზავნა და რომლებზეც გამამტყუნებელი განაჩენი დადგა, თუმცა რაიონის პროკურატურებში 2 ნოემბრის არჩევნებთან დაკავშირებით აღძრული საქმეების რაოდენობა ამით არ შემოიფარგლება. ამ ეტაპზე მათი უმრავლესობის გამოძიება შეჩერებულია დამნაშავის დაუდგენლობის მოტივით. გამოძიების პროცესის გართულებას პროკურატურაში ერთი მიზეზით ხსნიან. საარჩევნო უბნებში ხალხი ჯგუფურად შედიოდა და ამიტომ რეალური დამნაშავის დადგენა ჭირს.

რაც შეეხება გახმაურებულ საქმეს - რუსთავში დეპუტატობის კანდიდატის სალაყაიას სახელით ამანათების დარიგებას.

რუსთავის პროკურორის თამაზ კოლუას თქმით, დადგენილი არიან უშუალოდ ის პირები, რომლებიც ამანათს არიგებდნენ, მაგრამ მათი დანაშაული არ იკვეთება. ხოლო უშუალოდ ვინ იყო აღნიშნული უკანონობის ორგანიზატორი, ამ ეტაპზე ვერ დადგინდა ეს საქმეც დროებით შეჩერებულია და მთავარი დამნაშავის დადგენა პოლიციას აქვს დავალებული.

ერთი სიტყვით, პროკურატურა საარჩევნო კანონდარღვევებზე მუშაობს და გარკვეულ შედეგსაც იმკის. როგორ აისახება იგი შემდგომ არჩევნებზე და რა შედეგს გამოიღებს, მომავალი გვიჩვენებს.


## კულტურული მემკვიდრეობის საველე მეთვალყურე

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს კულტურული მემკვიდრეობის საველე მეთვალყურის თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს აღწერა:**

კულტურული მემკვიდრეობის საველე მეთვალყურე უზრუნველყოფს ობიექტზე მიმდინარე ყველა სამშენებლო სამუშაოს შესაბამისობას კონტრაქტის ერთ-ერთი გარემოსდაცვითი პირობის - პროექტის "კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმის" (CHMP) მიზნებთან. კერძოდ, იგი განახორციელებს სამშენებლო ობიექტებზე არსებული არქეოლოგიური და მიწისზედა ძეგლების და მიმდინარე სამუშაოების შემოწმებას პროექტის CHMP-ის IV ფაზით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების საფუძველზე. საველე მეთვალყურე ანგარიშვალდებული იქნება "ბი-პი"-ს წინაშე და დაეხმარება მას მილსადენის პროექტის უსაფრთხო განხორციელებაში, არქეოლოგიურ და მიწისზედა ძეგლებზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის გზით. იგი ურთიერთობას დაამყარებს გარეშე დაწესებულებებთან მხოლოდ "ბი-პი"-ს თანხმობით.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**

ძირითადი მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- მშენებლობისას მიწის სამუშაოების მონიტორინგის ჩატარება, რომლის დროსაც შეიძლება გამოვლინდეს უცნობი არქეოლოგიური მასალები და მონიტორინგის შედეგად მოპოვებული დადებითი და უარყოფითი მონაცემების შესახებ ყოველდღიური ანგარიშების მომზადება.
- სამშენებლო სამუშაოების მიწისზედა ძეგლების დაცვის პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგი და აღნიშნულთან დაკავშირებით ყოველდღიური ანგარიშების წარდგენა.
- ობიექტის ზედამხედველის მეშვეობით რეკომენდაციის მიცემა მშენებლობის კონტრაქტორისთვის ან/და გარემოსდაცვითი საველე ზედამხედველისთვის, CHMP-ის მიზნების მიღწევის მიზნით.
- გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის მიერ შემუშავებულ ტრეინინგის პროგრამაში მონაწილეობის მიღება.
- პროექტის სხვა საველე პესონალისთვის მითითებების მიცემა კულტურული მემკვიდრეობის საკითხების გათვითცნობიერების და დაცვის კუთხით.
- ყოველდღიური მონიტორინგის საქმიანობის აღრიცხვა და სპეციალური ანგარიშების მომზადება.
- საჭიროებისამებრ ზედამხედველის საქმის კურსში ჩაყენება კონტრაქტორის მიერ კონატრაქტის პირობების შეუსრულებლობის ირგვლივ, რათა მან კონატრაქტორს ამის შესახებ სპეციალური გაფრთხილებები მისცეს.
- დაინტერესებული პირების ინფორმირება მარშრუტის სპეციფიკურ/ლოკალურ საკითხებზე.
- კულტურული მემკვიდრეობის საკითხების ირგვლივ კონტრაქტორისთვის საორიენტაციო შეხვედრის ჩატარება და მისი დახმარება პროექტის კულტურული მემკვიდრეობის საკითხების ირგვლივ სპეციალიზებული ინსტრუქციული და სახელმძღვანელო მასალების მომზადებაში.
- შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნულების და შემოღობვის დამზადება, განთავსება და შენარჩუნება არქეოლოგიური რესურსებისა და ისტორიული ძეგლების დასაცავად.
- "არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა" და "ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისთვის" ფაქსით დროული შეტყობინებების გაგზავნა არქეოლოგიური და მიწისზედა ძეგლების მნიშვნელოვანი გვიანი აღნოჩენების შესახებ და ამ აღმოჩენების კოორდინირება აღნიშნული სახელმწიფო დაწესებულებების შესაბამის წარმომადგენლებთან.
- შემთხვევითი აღმოჩენების მნიშვნელობის წინასწარი შესწავლა.

**მოთხოვნები:**

- კვირაში ექვსი დღე საველე ბანაკებში ცხოვრებისთვის მზადყოფნა
- სასურველია გამოცდილება მილსადენის მშენებლობის მეთოდებში
- ურთიერთობის კარგი უნარი და კოლეგიალობა
- ინგლისური ენის თავისუფლად ფლობა (ანგარიშგება წარმოებს წერილობით და ზეპირად ინგლისურ ენაზე)
- რეგიონის არქეოლოგიის, ისტორიის და გეოლოგიის ცოდნა
- სხვადასხვა ტიპის ობიექტებზე არქეოლოგიური კვლევების და დაზვერვის სამუშაოების ჩატარების ფართო გამოცდილება
- სულ მცირე 3 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში ან შესაბამისი მოვალეობის შესრულების კუთხით
- კონტრაქტორის თანამშრომლებთან მჭიდრო მუშაობისთვის მზადყოფნა და უნარი და ობიექტზე კონტრაქტორის საქმიანობაზე ზემოქმედების უნარი
- საქმისადმი ორგანიზებული, პრაქტიკული და რეალისტური მიდგომა
- "ბი-პი"-ს პრინციპების და ძირითადი ღირებულებების კარგი ცოდნა და ველზე მათი განხორციელებისთვის მზადყოფნა
- MS Word-თან მუშაობის საბაზისო უნარ-ჩვევები, Microsoft Office-ის პროგრამების ცოდნა

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 13 აპრილი, 6:00 სთ.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი ჯორჯია"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38


## საარჩევნო დღეების კრიმინალური სტატისტიკა

*არჩევნების დღეები სამართალდამცველებისთვის ნაყოფიერი აღმოჩნდა. შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი ბარამიძის ყოველდღიური მითითებები პოლიციამ საპარლამენტო არჩევნების პერიოდში მაქსიმალურად და მონდომებით შეასრულა. რაც ყველაზე მთავარია, დაკავებულ და დანაშაულში მხილებულ სამართალდამცველთა რიცხვი ბოლო დღეების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა.*

გუშინწინ ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურამ გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის თანამშრომელი გიორგი ლონდარიშვილი ნარკოტიკების მოხმარების ფაქტზე დააკავა. "ჰეროინის" ზემოქმედების ქვეს მყოფი პოლიციელი კოლეგებმა "წითელი ხიდის" საბაჟო ტერმინალის საგუშაგოსთან დააკავეს. მოულოდნელად ჩატარებული პირადი ჩხრეკისას დაკავებულს ჯიბეში აღმოაჩნდა 0,48 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი". პოლიციელ ლონდარიშვილს ბრალი უკვე წარუდგინეს. მას 6-დან 12 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა დღეს ბრალს წაუყენებს მეორე პოლიციელს, უფროს ლეიტენანტს ალექსანდრე ყურაშვილს. ყურაშვილი კოლეგებმა ქრთამის გამოძალვაში სცნეს ეჭვმიტანილად. პოლიციის უფროსი ლეიტენანტის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე და ბრალდება (დამტკიცების შემთხვევაში) 8-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**"ალექსანდრე ყურაშვილი თელეთის საგუშაგოზე სწორედ ქრთამის გამოძალვის ფაქტზე დავაკავეთ. მან რამდენიმე დღის წინ მოქალაქე დააკავა, რომელსაც მობილური ტელეფონი და საბუთები ჩამოართვა, ხოლო მათი დაბრუნების სანაცვლოდ 30 ლარი მოითხოვა",** - ასეთი გახლავთ ბრალდების არგუმენტი. ქვემო ქართლის საოლქო პროკურორის მამუკა ცაავას განმარტებით, დაკავების დროს ყურაშვილს დანომრილი თანხა ამოუღეს.

მიუხედავად დიდი მონდომებისა, მეორე დღეა, შიდა ქართლის რეგიონის სამართალდამცველები უშედეგოდ ეძებენ სოფელ რუისთან მომხდარი ავტოავარიის მონაწილე მძღოლს, რომელიც ავარიის შემდეგ მიიმალა. ავარიას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ორი კი მძიმედ დაშავდა.

როგორც საგზაო პოლიციაში აცხადებენ, **"ავტომანქანა "მერსედესი" დაეჯახა ავტომანქანა "ვაზ 21099"-ს, რის შედეგადაც "ვაზ 21099"-ის მგზავრები მძიმედ დაშავდნენ. ყველა მათგანი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ორის გადარჩენა ვეღარ მოხერხდა. "მერსედესის" მძღოლმა ავტომანქანას ნომრები ახსნა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა."** ვრცელდება ინფორმაცია, რომ "მერსედესი", რომლის საჭესთან მჯდომსაც პოლიცია ეძებს, თბილისიდან რამდენიმე დღის წინ გაიტაცეს.

გუშინწინ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს დამნაშავეთა სამყაროში ცნობილი ნარკორეალიზატორი ცოლ-ქმარი - დავით გუჯაბიძე და მზია გასაშვილი. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, გუჯაბიძეს დაკავებისას სარეალიზაციოდ გამზადებული ათი აბი ტრამალი აღმოაჩნდა. გაირკვა, რომ ნარკოტიკული ნივთიერება გუჯაბიძეს სარეალიზაციოდ გადასცა მისმა მეუღლემ, ცნობილმა ნარკორეალიზატორმა, წარსულში ამავე დანაშაულისთვის ნასამართლევმა მზია გასაშვილმა. სამართალდამცველები ირწმუნებიან, რომ გუჯაბიძემ და გასაშვილმა დანაშაული აღიარეს.

არჩევნების დღეს სამართალდამცველებმა დააკავეს თბილისში "მოღვაწე" ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის ორი წევრი - 19 წლის ბაჩანა ბაშარული და 20 წლის ბექა კვიციანი. დაკავებისას ბაშარულს - კუსტარული წესით დამზადებული დანა, ხოლო კვიციანს პისტოლეტი "ვოლტრა-მაჯორი" აღმოაჩნდა.

პოლიციის ინფორმაციით, დაკავებულები არჩევნების წინა დღეს, ღამის საათებში თავს დაესხნენ რესპუბლიკის მოედანზე მოძრავ 5-ა მარშრუტის მიკროავტობუსის მძღოლს მიხეილ ახალაიას და განსაკუთრებული სისასტიკით, სიცოცხლის ხელყოფის მუქარით გასტაცეს 50 ლარი. სამართალდამცველები თავდამსხმელთა თანამოაზრეების, ჯგუფის სხვა წევრების ვინაობას ადგენენ.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გუშინ საქართველოში საფრანგეთიდან ჩამოვიდა 20 ათასი ცალი საზღვარგარეთის პასპორტი. როგორც საპასპორტო და მოქალაქეთა რეგისტრაციის ეროვნული ბიუროს უფროსი შოთა ასათიანი აცხადებს, ბიურო საფრანგეთთან ეტაპობრივად დებს ხელშეკრულებებს პასპორტების დამზადების შესახებ. შესაძლოა, მომავალში საქართველოს ეროვნული გერბის შეცვლის საკითხი დაისვას, ამიტომ ხელშეკრულება მხოლოდ მცირე რაოდენობის პასპორტებზე დაიდო. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, დღეიდან საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს (კანონის თანახმად) უპრობლემოდ შეეძლება პასპორტის მიღება **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიას ახალი რექტორი ჰყავს. შს მინისტრმა გიორგი ბარამიძემ ამ თანამდებობაზე სამხრეთ კავკასიაში კონრად ადენაუერის ფონდის წარმომადგენელი, 30 წლის ლევან იზორია დანიშნა. იზორიას დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, სწავლობდა გერმანიაში, წმინდა ავგუსტინეს სახელობის უნივერსიტეტში, 2002 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და უშიშროების საბჭოში. იზორიამ ამ თანამდებობაზე შეცვალა გურამ ქარქაშაძე, რომელიც ცოტა ხნის წინათ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის ხელმძღვანელად დაინიშნა. **მედია-ნიუსი**



ნესტან ნიჟარაძე იუსტინა მიელნიკიევიჩი

რეპორტაჟები (ფოტო)კომენტარებით

# „ივერია" გაბრწყინდება?!

პირველი გვერდიდან

## სასტუმროდან ქალაქამდე

ისევე, როგორც სხვა ყველა ჩვეულებრივ ქალაქში, ამ (არა)ჩვეულებრივ ქალაქშიც, რომელსაც "ივერია" ჰქვია, ცხოვრებას თავისი დინება აქვს. მათ, ვისაც თავის საკუთარ სახლში და მიწაზე არ დასცალდა არც ცხოვრება, არც სიკვდილი და არც დაბადება, აქვე სასტუმროს ნომრების 12 კვადრატულ მეტრზე უწევთ ცხოვრებაც, გარდაცვალებაც და არსებობის კანონზომიერების შესაბამისად, დაბადებაც. გარდაცვლილებს სასტუმროს ვესტიბიულში ასვენებენ (ლტოლვილებს სახელმწიფოსგან მართალია უვარგისი, მაგრამ უფასო კუბოებიც კი ეკუთვნით), ახალშობილებს კი დერეფნებში და აივნებზე ზრდიან. იმ თაობისთვის, რომელიც სასტუმროში დაიბადა და იზრდება, სწორედ სართულებს შორის განლაგებულმა კიბის უჯრედმა შეცვალა სათამაშო მოედანი, ხოლო სასტუმროს მიმდებარე მოედნის შადრევანმა ზღვაც და მისი სანაპიროც.

სხვა ყველა ნებისმიერი ქალაქის მსგავსად ივერიაშიც არის სასტუმრო (მეორე სართულზე) და სტომატოლოგიური კაბინეტი, მანქანების ყიდვა-გაყიდვის ბიურო, ტოტალიზატორი და, რა თქმა უნდა, მაღაზიებიც - სასტუმროს თითქმის ყველა სართულზე - სადაც ფასები თბილისთან შედარებით თითქმის 50 პროცენტით დაბალია(?!). აქვე შეიძლება შეკვეთის მიცემა ხინკალზე და მწვადზე და, შესაბამისად, სახლში ანუ ნომერში მიტანის სერვისიც არსებობს.

ისვევ, როგორც ყველა სხვა ჩვეულებრივ ქალაქში, "ივერიაშიც" ქირავდება, გირავდება და იყიდება კიდევაც ბინები (იგივე ნომრები). სასტუმროში ცხოვრების მსურველი დევნელებისთვის თუ არადევნილებისთვის მრავლად ... ვრებლად მრავალ არალტოლვილსაც იზიდავს. მე ლტოლვილი არ ვარ, - ამბობს ჩვენთან საუბარში ლია, - ადრე სვანეთის უბანში ვცხოვრობდი. არც დენი გვქონდა და არც წყალი. თან ცენტრიდან შორს ვიყავით. ახლობლებისგან გავიგეთ, რომ "ივერიაში" ნომრები ქირავდება. სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ აქ გადმოსვლა და მას შემდეგ გაცილებით უკეთეს პირობებში ვართ. ლია და მისი მეუღლე ას ლარად ქირაობენ ლტოლვილებისგან ნომერს სასტუმროს ერთ-ერთ სართულზე.

ამასთან ერთად ისიც ირკვევა, რომ ლტოლვილების ერთი ნაწილისთვის, სასტუმროს ნომრების გაქირავება, დაგირავება ან გაყიდვა შემოსავლის ის ერთადერთი წყაროა, რომელიც სახელმწიფო დახმარების ანუ 14 ლარისგან განსხვავებით, მათ არსებობის შესაძლებლობას აძლევს. თუმცა, მეორე ნაწილისთვის იგივე პროცესები კარგად აწყობილ ბიზნესს უფრო ჰგავს, ვიდრე საარსებოდ გამონახულ გამოსავალს.

და ისევე, როგორც სხვაგან ყველგან, სასტუმრო "ივერიაშიც" უნებართვოდ და სპონტანურად შენდება ლოჯები და იტიხრება აივნები. სასტუმროს დირექციამ არაერთხელ სცადა ამ პროცესების აღკვეთა და ისედაც სახეცვლილი შენობის ფასადის ვიზუალურად შემზარავი მეტამორფოზისაგან გადარჩენა. თუმცა, ლტოვილების წინააღმდეგობის და თვითმკვლელობით მუქარის ფონზე ეს მცდელობები, ბუნებრივია, უშედეგოდ დასრულდა. გვეუბნებოდნენ, გადავხტებით მე-16 სართულიდანო, - ამბობს სასტუმროს დირექტორი, - ჩვენც თავი დავანებეთ... მეორე მხრივ კი, რა ქნან მათ, ვინც 12 წლის მანძილზე ისევ 12 კვადრატულ მეტრიან ოთახებში ცხოვრობენ და ისევ და ისევ ბუნებრივი კანონზომიერების თანახმად, უბრალოდ, მრავლდებიან.

რომ თბილისის სასტუმროებიდან და საბავშვო ბაღებიდან ლტოლვილები თბილისის ზღვაზე სპეციალურად მათთვის აშენებულ კოტეჯებში უნდა დაესახლებინათ. მას შემდეგ ბევრი რამ და მათ შორის ქვეყნის პრეზიდენტიც შეიცვალა, მაგრამ ლტოლვილების განსახლება-დასახლების საკითხი კვლავაც ღია დარჩა.

მოულოდნელი არავისთვის აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ლტოლვილების შესაფერისად დაბინავების პრობლემა (სამწუხაროდ, არა აფხაზეთში მათი დაბრუნების გზით) სწორედ სასტუმრო "ივერიადან" დაიწყებოდა. აფხაზეთში შესაძლებელი დაბრუნების მოლოდინში ერთმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი აზრიც ჩამოყალიბდა (რაც თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში დიდ იშვიათობად იქცა!): თუ ძველ საქართველოში ყველაფერი დაშვებული იყო, ახალი საქართველოს დედაქალაქის ცენტრში ლტოლვილთა თავშესაფრის არსებობა დაუშვებელია. საზოგადოებრივი აზრის პარალელურად, ბუნებრივია, ლტოლვილებსაც ჩამოუყალიბდათ საკუთარი აზრი თავიანთ პრობლემაზე. როგორც მოსალოდნელი იყო, თანხვედრა ამ ორ აზრს, ორ პოზიციას შორის მინიმალურია. ერთადერთი პუნქტი, რომელშიც ორივე მხარის პოზიცია ემთხვევა, ის არის, რომ სასტუმრო "ივერია" იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი დღეს არსებობს, ქალაქის ცენტრს აუშნოებს, მაგრამ...

ჩვენ მივესალმებით ამ წამოწყებას, - ამბობს 27 წლის დათო სოხუმიდან, - კარგი იქნება, რომ სასტუმრო გარემონტდეს და სხვა სახე მიიღოს, ჩვენ კი ფულადი კომპენსაცია მოგვცენ, **მაგრამ...** ჩვენ არც სასტუმროში გვინდა ცხოვრება და არც ბინაში. ჩვენ იქ გვინდა დაბრუნება, საიდანაც მოვედით.



"ივერიის" ახალი თაობა

ვსი სული ვცხოვრობთ 12 კვადრატულში. არც თბილისში და არც ცენტრში მინდა ცხოვრება. მე აფხაზეთში მინდა დაბრუნება, **მაგრამ...** თუ აქედანაც გაგვასახლეს, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ აფხაზეთში ჩვენ აღარასდროს დაგვაბრუნებენ.

65 წლის გურამი გულრიფშიდან კი ამბობს: "ყველას გვესმის, რომ სასტუ-

ბევრმა მათგანმა, ქართველმა თუ აფხაზმა სწორედ ასევე, დაბრუნების იმედით დაკეტეს სახლები, გასაღები შეინახეს და დატოვეს განთიადი, გაგრა, ბიჭვინთა, გუდაუთა, სოხუმი, გულრიფში, ოჩამჩირე... ბევრი მათგანი დღემდე ინახავს იმ სახლების გასაღებს, რომლებიც ან დაბომბვის შედეგად დაინგრა და დაიწვა, ან რომლებშიც აგ-

**ამ...** ისიც ვიცი, რომ მე იქ ცოცხალს ვერ წამიყვანენ. იმის გამო, რომ ვიბრძოდი, დღემდე ძებნილი ვარ - ჩემი ფოტოები გალიდან სოჭამდეა გაკრული. ისევ "ივერიის" ვესტიბიულიდან უნდა გამასვენონ, ალბათ. ან ჩვენ კი დავბრუნდებით, **მაგრამ**... ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი, ვინც ახლა ჩვენ, სახლებში ცხოვრობენ, ლტოლვილები უნდა



ლიფტში



კიბის უჯრედზე



დილის მაწონი



ნანა და დათო - ქართულ-აფხაზური ოჯახი



აფხაზეთიდან ლტოლვილი ებრაელების ოჯახი "ივერიაში" დაბრუნებას ამჯობინებს



მაღაზიაში

ის თუ არადევნილებისთვის ლუქსის ტიპის ნომრის ფასი 100 დოლარია, ახლადგარემონტებული, მაგრამ სტანდარტული ნომრები 50-80 დოლარი ღირს. მნიშვნელოვანი სიიაფეა მე-16 სართულზე - იქ, სადაც ცნობილი რესტორნის მხარეს ფიცრებით ამოყვანილი ოთახებია განლაგებული. ასეთი ოთახის ქირაობა საერთო ტუალეტითა და დუშით, 50 ლარადაც კი არის შესაძლებელი. და ეს ყველაფერი მიუხედავად იმისა, რომ ვესტიბიულში გაკრული ოფიციალური განცხადებით დირექცია აუწყებს ლტოლვილებს, რომ სასტუმროს ის ნომრები, რომლებშიც ისინი **დროებით** არიან შესახლებულები (**უკვე 12 წელია!**), არ წარმოადგენს მათ საკუთრებას და შესაბამისად, ნომრების გაყიდვის, გაქირავების და დაგირავების უფლება მათ, უბრალოდ, არ აქვთ. უკვე რამდენიმე წელია, ეს პროცესი უმართავი გახდა, - აცხადებს სასტუმროს დირექტორი ვახტანგ ცხადაძე, - პირადად მე, იმის შესახებ, რომ სასტუმროში ნომრები ქირავდება და იყიდება, მორბენალი სტრიქონიდან შევიტყვე. თავად ლტოლვილები ამ თემაზე საუბარს, ბუნებრივია, თავს არიდებენ, თუმცა არც იმას უარყოფენ, რომ ამგვარ ფაქტებს ივერიის რეალობაში ადგილი ნამდვილად აქვს.

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მდებარეობა, ელექტროენერგიით და წყლით მუდმივი მომარაგება, საყოფაცხოვრებო გადასახადების არარსებობა დღეს სასტუმრო "ივერიაში" საცხოამოშენებული აივნის საძინებლად გადაკეთება კი ორი ადამიანის განთავსების შესაძლებლობას იძლევა.

დაბოლოს, სასტუმრო ივერია ქალაქი ნამდვილად არ იქნებოდა, ყველა სხვა ქალაქის მსგავსად (როგორც ეს ხშირად ხდება საქართველოში!) ნაგავი პირდაპირ ფანჯრიდან, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე რომ არ იყრებოდეს. სამაგიეროდ, სხვა ჩვეულებრივი ქალაქებისგან განსხვავებით, მენაგვეს, რომელიც ყოველ დილას სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიას ასუფთავებს, დამცავი კასკა ახურავს; რადგან არ იცის, რომელი სართულიდან გადმოგდებული ნაგვის პარკი მოხვდება მას პირდაპირ თავში.

ასე რომ, "ივერია", უბრალოდ, (არა)ჩვეულებრივი ქალაქია, მკვეთრად გამოხატული სუბტროპიკული კლიმატით.

## ახალი გადასახლების მოლოდინში

სასტუმრო "ივერიადან" ლტოლვილების შესაძლებელი გასახლების შესახებ თავად ლტოლვილებმა სატელევიზიო რეპორტაჟიდან შეიტყვეს. ჯერჯერობით არც დირექციისთვის და არც სასტუმროს აქციონერებისთვის ოფიციალურად არავის მიუმართავს. თუმცა, ჯერ კიდევ 1998 წელს საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით გადაწყდა,

ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს, **მაგრამ...** ჩემთვის ძალიან რთული იქნება აქედან წასვლა, რადგა ერთ ოჯახად ვცხოვრობთ. ბავშვები ერთად იზრდებიან, მეგობრობენ. ახლა კი ისევ უნდა დავიშალოთ, ერთმანეთს მოვწყდეთ. ჩვენ მხოლოდ ერთად ყოფნამ გადაგვარჩინა, - ამბობს 40 წლის ნინო გაგრიდან.

დღესვე წავიდოდი აქედან, ოღონდ გაგრაში შემეძლოს დაბრუნება შვილის საფლავზე, **მაგრამ...** აქედან რატომ უნდა გაგვასახლონ. დაგვაბრუნონ იქ, საიდანაც ვართ. ეს იქნება ჩვენი დასახლება, - ეს 65 წლის ქალბატონის აზრია.

აქ არარაობად ვგრძნობ თავს, - გვეუბნება 45 წლის ლამარა, - ყველას გვეგონა, რომ დროებით შემოგვასახლეს "ივერიაში". გასაგებია, რომ მთავრობას არ მოსწონს ჩვენი ქალაქის ცენტრში ყოფნა, **მაგრამ...** შიში გვიპყრობს, რომ აქედან ჩვენი გასახლებით მთავრობას სულ დავავიწყდებით.

მე აფხაზი ვარ, - ამბობს 37 წლის მარა, - და ისევე მინდა აფხაზეთში დაბრუნება, როგორც ქართველებს. გაგრაში ჩემი ქმრის საფლავია. იგი ქართველი იყო. უკვე 12 წელია, სასტუმროში ვცხოვრობ. ძალიან რთულია, როდესაც არ იცი, რა გელოდება, **მაგრამ...** არ მგონია, რომ სასტუმროდან ჩვენი სხვა ადგილას გადაყვანა გამოსავალი იყოს.

გაგრის ბატალიონის მებრძოლი ქალბატონი კი ამბობს: 12 წელია, ამ ერთ ოთახში ვცხოვრობთ. გაგრიდან რომ წამოვედით, სამნი ვიყავით. ახლა კი ექ-

მრო "ივერიას" პრობლემა უნდა მოგვარდეს, **მაგრამ...** ჩვენი აქედან გასახლება იმ ტრაგედიის ტოლფასი იქნება, რომელიც ერთხელ უკვე აფხაზეთის დატოვების დროს გადავიტანეთ. და ასე უსასრულოდ...

## დაბრუნება

იმ დღეს დედამ, უბრალოდ, სახლის კარი გადაკეტა გასაღებით და გაგრა დავტოვეთ. მაშინ მე პატარა ვიყავი და გვეგონა, მალე დავბრუნდებოდით. დედა სახლის გასაღებს დღემდე ინახავს, - ამბობს ჩვენთან საუბარში ნანა, რომლის ბებიაც აფხაზია, მამა აფხაზების წინააღმდეგ იბრძოდა, თავად კი, ასევე, სასტუმრო "ივერიაში" მცხოვრებ აფხაზზე დაქორწინდა. თუ აფხაზეთში როდისმე მაინც გვეღირსა დაბრუნება, - ამბობს ნანას მეუღლე დათო, - ყველაზე რთულ სიტუაციაში სწორედ შერეული ოჯახები და ის ქართველები აღმოჩნდებიან, რომლებსაც აფხაზების წინააღმდეგ ბრძოლა მოუხდათ. შემდეგ კი, როდესაც იგებს, რომ ჩვენ სოხუმში უკვე რამდენჯერმე მოგვიწია ჩასვლა, იმასაც გვეკითხება, სასტუმრო "აფხაზეთის" უკან სამი საცხოვრებელი კორპუსი თუ გადაურჩა დაბომბვასო. როგორც აღმოჩნდა, სწორედ ერთ-ერთში ცხოვრობდა იგი ოჯახთან ერთად. ... და კაფე "პინგვინი" კიდევ არსებობს? - გვეკითხება იგი. აი, კაფე "პინგვინი" კი სოხუმში ნამდვილად აღარ არსებობს, სამწუხაროდ.

ერ უკვე 12 წელია, აფხაზები ცხოვრობენ. მათ პირადობის მოწმობებშიც კი საცხოვრებელი ადგილის მისანიშნებლად ძველი ანუ გაგრის, სოხუმის, ბიჭვინთის მისამართები აქვთ აღნიშნული. მათ იმისიც სჯერათ, რომ ერთ დღეს აუცილებლად დაუბრუნდებიან თავიანთ სახლებს. თუმცა, როგორ, ჯერ არც მათ და არავინ სხვამ არ იცის. ამ მოლოდინში კი თორმეტი წელი უკვე გავიდა.

ხვალ რომ შეგეძლოთ დაბრუნება? - ყველას ვეკითხებით ივერიაში. ყველა გვპასუხობს: ხვალვე დავბრუნდებით! მაგრამ... და ამ მაგრამ-ს მიღმა ისევ და ისევ ის რეალური პრობლემები იკვეთება, რომლებიც აფხაზეთში დაბრუნების მოწოდების ფონზე არც თუ ისე ხშირად ჟღერს. აი, რას ამბობენ ისინი, ქართველები და აფხაზები, ქალები და მამაკაცები, ახალგაზრდები და მოხუცები, მებრძოლები და ისინიც, ვისაც არც ერთ მხარეს არ უბრძოლია ანუ ისინი, ვისაც დღეს, უბრალოდ, აფხაზეთიდან ლტოლვილები ჰქვიათ: თუ დავბრუნდებით, ჩვენ სახლებში უნდა დავბრუნდეთ, **მაგრამ...** იქ ხომ აფხაზები ცხოვრებენ! შიშიც კი გვიპყრობს, რომ დავბრუნდეთ, ვიქნებით დაცულები? ან მე სიამოვნებით დავბრუნდებოდი, **მაგრამ...** ბავშვები თბილისში გაიზარდნენ და როგორ მოვწყვიტო სკოლას, მეგობრებს? ან დავბრუნდებოდი, **მაგრამ...** როგორ ვიცხოვრო იმ ადამიანების გვერდით, ვინც დედა მომიკლა? ან რომ შემეძლოს, დღესვე დავბრუნდებოდი. **მაგრ-**

გახდნენ? ...ან წავიდოდით, **მაგრამ...** ჩვენ იქ არავინ გველოდება, არავის ვჭირდებით. იქ ვერც ყოფილი მებრძოლები დაბრუნდებიან, ვერც შერეული ოჯახები და ვერც ის თაობა, რომელიც აქ დაიბადა და გაიზარდა; ვერც ისინი, ვისაც ცხოვრების თავიდან დაწყების არც ძალა და არც სურვილი აღარ აქვს. ვინ დარჩა სხვა?

დარჩა მხოლოდ მოწოდება: ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით აფხაზეთში!, რომელიც აქვე, "ივერიის" მეხუთე სართულზე განთავსებულ მინი-მარკეტში წარმატებული კომერციული საქმიანობის საწინდარიც გახდა. პასუხები ყველა სხვა დასმულ კითხვაზე, სამწუხაროდ, ამ მოწოდებას არ ახლავს.

ასე რომ, ვიდრე ისინი (აუცილებლად) დაბრუნდებიან აფხაზეთში, მემაწვნე ისევ ისე მოვა ყოველ დილით სასტუმრო ივერიაში და ახალ მაწონს მოიტანს; ისევ ისე გაქირავდება ნომრები და მათ არალტოლვილებიც იქირავებენ; ისევ ისე გადაიყრება ფანჯრიდან ნაგავი და მენაგვე თავის კასკას დაიხურავს; ამოშენდება ლოჯები და დერეფნებში დაგებული ნოხები გასამზეურებლად აივნებიდან პირდაპირ რესპუბლიკის მოედანზე გადმოიფინება, მიცვალებული ვესტიბიულში დაესვენება და ცხოვრება თავისი დინებით გაგრძელდება, ვიდრე... აფხაზეთში დაპირებულ დაბრუნებამდე და იბერიის დაპირებულ გაბრწყინებამდე "ივერია" მაინც არ გაბრწყინდება.



ზღვის მაგივრად შადრევანი



მე-16 სართულის აუზი



სოხუმელი აგრონომი

www.24hours.ge
24
B

# მისია

## რომელიც დღეს გაცილებით დიდია

პირველი გვერდიდან

პროცესები ჩვენს წინაშეც აქტუალურად დგას. მცირე ქვეყანამ, როგორიც საქართველოა, ისე უნდა დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი მსოფლიო კულტურათა და ცივილიზაციათა შორის, რომ უფრო ძლიერმა ქვეყნებმა, დიდმა კულტურამ და ცივილაზაციამ, ერთგვარი უხერხულობა არ შეუქმნას. ჩვენ ეს, თუნდაც, დიდი რუსეთის მაგალითზე ვნახეთ. გარდა იმისა, რომ დღეს ქრისტიანიზაცია უნდა მოხდეს, ეკლესიამ, შეიძლება ითქვას, თავიდან უნდა დაიწყოს სამისიონერო საქმიანობა.

**- რელიგია ცოცხალი ორგანიზმია და ყოველი ეტაპის გავლისას ინტენსიური რეფორმები და ცვლილებები ესაჭიროება. ამ მხრივ რას საქმიანობს საქართველოს ეკლესია?**

- ქვეყანაში სამისიონერო საქმიანობის განსავრცობად საეპისკოპოსო კათედრების აღდგენაა საჭირო, რაც მოხდა კიდეც. მღვდელმთავართა რიცხვი უნდა გაიზარდოს, სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს სულიერი წინამძღვარი ესაჭიროებათ. არ გამოვრიცხავ, რომ ხარვეზი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ეპარქიების აღდგენამ, მართლაც, დადებითი შედეგი მოიტანა. ჩემი ეპარქია ძალზე მნიშვნელოვანი ეპარქიაა. ეს საზღვრისპირა რეგიონია და, როგორც ცნობილია, ქართველები მოსახლეობის უმცირესობას შეადგენენ. ამ ხალხს თანამდგომი, წინამძღოლი სჭირდება, რომელიც სოციალური მხარის უზრუნველყოფასთან ერთად სულიერ მხარესაც უზრუნველყოფს და ინტელექტუალური, სულიერი მდგომარეობის ამაღლებაში დაეხმარება.

კონკრეტულად, ალბათ, გამიჭირდება იმის თქმა, რა გაკეთდა, იმიტომ, რომ ეს პერიოდი მცირე იყო...

**- მაგრამ, ტენდენციებზე, გადადგმულ ნაბიჯებზე საუბარი, ალბათ, უკვე შეიძლება. ისევე, როგორც სახელმწიფო სტრუქტურაში, კადრების პრობლემა ეკლესიაშიც დგას. რა კრიტერიუმებით ხდებიან მოძღვრები?**

- რამდენადაც ვიცი, სასულიერო პირთა უმრავლესობას უმაღლესი საერო განათლება აქვს. გარკვეული ნაწილი სასულიერო განათლებითაც არის აღჭურვილი. თუ შევადარებთ, ბერძნულ-რუსულ, აღმოსავლეთ ევროპაში, გნებავთ, აზიაში არსებულ მართლმადიდებლურ კერებს უფრო დიდი ხნის ტრადიცია აქვთ და მათი გამოცდილებაც შესაბამისად დიდია. რამდენადაც ვიცი, ჩვენს საზღვრებს გარეთ მოღვაწე მართლმადიდებელი სამღვდელოება რამდენიმე უცხო ენას ფლობს, სხვადასხვა უნივერსიტეტში მიღებული თეოლოგიური და ფილოსოფიური განათლებით არის აღჭურვილი.

ვერ ვიტყვი, რომ დღეს ჩვენთან ყველაფერი კარგად არის, მაგრამ უკეთესი ვითარებისკენ ლტოლვას ვხედავ.

**- ძირითადად, სად იღებენ უმაღლეს სასულიერო განათლებას ქართველი მამები?**

- თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში, სადაც უნივერსიტეტიდან მიწვეული პროფესორები ასწავლიან. ზოგიერთი მათგანი საზღვარგარეთაც სწავლობს.

**- როგორ თანაცხოვრობენ ახალი და ძველი მენტალობის მამები?**

- ჩემი აზრით, განათლება გაუნათლებელი ადამიანისადმი დათმენასაც ნიშნავს. მათ შორის კონფლიქტის არსებობას არ გავამართლებ. ვისაც საშუალება მიეცა და განათლება შეიძინა, ისე უნდა მოახერხოს რეალიზება, რომ გაუნათლებელი სამღვდელოების არსებობამ დღევანდელობას მაინცადამაინც დიდი დაღი არ დაასვას.

**- მაგრამ, გაუნათლებელ მამაოს მრევლთან აქვს საქმე და ამას ზოგჯერ უფრო ცუდი შედეგი მოაქვს, ვიდრე გაუნათლებელი ექიმის მოღვაწეობას. როგორ არეგულირებს ამას საპატრიარქო?**

- საპატრიარქოს სახელით ვერ ვისაუბრებ. ვარ საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის წევრი, თუმცა, ახალი მღვდელმთავარი და სინოდის სხდომას ჯერ არ დავსწრებივარ. როდესაც დავესწრები და ჩემდამი ბოძებული ძალაუფლების რეალიზაციის დრო დადგება, ამის შესახებ უფრო ვრცელი საუბარი შემეძლება.

არ მინდა, ისე გამოგვივიდეს, რომ მამები ან სულ განათლებულები არიან, ან სულ გაუნათლებლები. ეს არ არის მთავარი პრობლემა. ჩემი აზრით, მთავარი მცდელობაა - რამდენად ვცდილობთ, მოვახდინოთ იმ ძველი, როგორც თქვენ ბრძანეთ, ნაკლებად განათლებული კადრების შეცვლა უფრო მომზადებული სასულიერო პირებით.

ისტორიულად, სასულიერო პირები, ძირითადად, არისტოკრატები იყვნენ. წოდებასთან ერთად მათ უმაღლესი განათლება ჰქონდათ, რითიც ქვეყნისა და ერის ნამდვილ განმანათლებლებად გვევლინებოდნენ. ცარიზმის შემდეგომ, ბოლშევიზმის და თანამედროვე ყოფაშიც ქართული საზოგადოება იმდენად შეირყა, რომ არ მიკვირს, როცა სასულიერო პირთა დონე ისეთი არ არის, როგორიც ჩვენ გვსურს. ამ საზოგადოებიდან გამოსული სასულიერო პირებიც ისევე ნაკლოვნად გამოიყურებიან, როგორც საზოგადოების გარკვეული ნაწილი. რა თქმა უნდა, საჭიროა არსებობდეს გარკვეული კრიტერიუმები, რომელიც საეკლესიო სამართლის ნორმებში გვაქვს მოცემული და რისი მიხედვითაც ამა თუ იმ პირისადმი მაღალი წოდების მინიჭება შეიძლება განვსაზღვროთ. ვიზიარებ აზრს, რომ ხარისხი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რიცხოვნობა.

**- იცვლება თაობა, დამოკიდებულებები, ცხოვრების რიტმი. ხშირად მკაცრი საეკლესიო წესები ახალგაზრდებს აფრთხობს და ეკლესიას აშორებს. ახალი თაობის მოზიდვა, რა თქმა უნდა, კონკრეტულ მღვდელმსახურზეც არის დამოკიდებული, მაგრამ როგორია ეკლესიის პოლიტიკა, სად არის პრობლემა?**

- მეც მქონია შემთხვევა, როცა სასულიერო პირის ნათქვამი ჩემს ნაფიქრთან წინააღმდეგობაში მოსულა. მაგალითს მოვიყვან: ერთ-ერთი სასულიერო პირის ნაწერში ამოვიკითხე, რომ სულიწმინდა



*დმანისის ეპისკოპოსი ზენონი.*

დოგმები კი არ აფრთხობს საზოგადოებას, არამედ აფრთხობს ზოგიერთი სასულიერო პირის ქცევა, მიდგომა, ტაქტი...

ეკლესიათა მსოფლიო საბჭო თუ მწვალებლობაა, მაშინ მწვალებელი ყოფილა მთელი მართლმადიდებელი სამყაროც. ერთიანი ეკლესიის წინააღმდეგ ასეთი საშინელი წასვლა, გადატრიალებაა მართლმადიდებლურ სივრცეში, რომლის მსგავსი არ შეუძლია არც იეღოვას მოწმეს და არც ერთ არამართლმადიდებელს.

ჩემთვის მიუღებელია, როდესაც ერის ადამიანი საქართველოს ეკლესიის სახელით საუბრობს. არ ვიცი, არის თუ არა ეკლესიის პოზიცია ის, რასაც ანდრიაძე ლაპარაკობს. ჩემი პოზიცია კი ასეთია – მკალავიშვილი ისეთივე ეკლესიის გარეთ მყოფია, როგორც ყველა სხვა არამართლმადიდებელი.

ტოვებს იმ სახლს, სადაც ძაღლი ცხოვრობს. ეს მოსაზრება თეორიული და სულიერი ცოდნისგან სრულიად განძარცულია, რადგან სამყარო, მათ შორის, ძაღლიც, სულიწმინდამ შექმნა და როგორ შეიძლება, შექმნილის ბუნებრივი არსებობა შემქმნელის წინააღმდეგ წავიდეს?! ეს ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. აღარ ჩამოვთვლი ამგვარ ფსევდოთეოლოგიურ გამოხდომებს.

მართლმადიდებლური სარწმუნოების დოგმა ისეთი შინაარსის არ არის, რომ ადამიანის შესაძლებლობებს აღემატებოდეს. დოგმა ღვთის არსებობის შესახებ გადმოცემული სწავლებაა - თუ როგორია ღმერთი და როგორ უნდა მიხვიდე მასთან. როგორც ღმერთი არ ექვემდებარება ცვლილებას და ყველა დროზე აღმატებულია, ასევე აღმატებულია დოგმაში გადმოცემული პრინციპებიც. დოგმები კი არ აფრთხობს საზოგადოებას, არამედ აფრთხობს ზოგიერთი სასულიერო პირის ქცევა, მიდგომა, ტაქტი... მაგალითად, თავდაუბურავმა ქალბატონმა ტაძარში არ უნდა ილოცოს - ასე წერია წმინდა წერილში, მაგრამ დღეს მე ასე მესმის - ადამიანი უნდა მიიყვანო იმ შეგნებამდე, რომ თავად დაიბუროს, რადგან ადამიანის ღმერთთან მისვლის გზაზე ის უფრო დამაბრკოლებელი შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ჩხუბი დაუწყო და გამოაგდო, ვიდრე ის, რომ დაითმინო, ადამიანზე იმუშაო და მასში ნებაყოფლობით აღადგინო ეს შეგნება. ამას ასწავლის მართლმადიდებლობა და მზად ვარ, ჩემს ყოველ სიტყვაზე ვაგო პასუხი. ამ მაგალითის მოყვანით მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის არსი და მოწოდება - ადამიანში ყველაფერმა იმან გაიღვიძოს, რაც განღმრთობისკენ არის მიმართული - მინდა ვაჩვენო.

თუკი სასულიერო პირმა ადამიანთან ელემენტარული მოპყრობა არ იცის, ის მაღალი იდეალების მატარებელი, ინტელექტით და სულიერად უზრუნველყოფილი ვერ იქნება. თუ ადამიანს ელემენტარული კულტურა არ აქვს და ეთიკურ ნორმებს არ იცავს, მაღალ კულტურას, რასაც ღვთისმეტყველება ჰქვია, ნამდვილად ვერც დაიცავს და ვერც გადმოსცემს.

**- ვინ იცავს ტაძრიდან ამგვარი მიზეზებით გამოგდებული ადამიანის უფლებებს?**

- ვერ დავეთანხმები აზრს, რომ იმის უფლებები, ვინც თავდაუბურავი გამოაგდეს ტაძრიდან, შელახულია. ღვთის მიერ ადამიანისთვის ბოძებული უფლება ღვთის წინააღმდეგ წასვლის საშუალებად არ უნდა იქცეს. ადამიანი საკუთარი თავისუფალი ნებით ღვთის ტაძარშივე მიდის ღვთის წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება ვისაუბროთ ადამიანის უფლებების დაცვაზე. მაგრამ, თუ ის ადამიანი სცემეს, დაარტყეს, ან უხეშად მოექცნენ, ეს ნამდვილად ადამიანის შეურაცხყოფაა, რადგანაც არსად წერია, რომ თავდაუბურავი ადამიანი შეურაცხყავიო. თუ ასეთი შემთხვევები არის (და არის კიდეც), სტრასბურგში წასვლა საჭირო არ გახლავთ, შეუძლიათ მოგვაკითხონ იმათ, ვინც ასე არ ვფიქრობთ და არ ვაზროვნებთ.

**- საქართველოს ეკლესიაში ასეთი სულიერი მოძღვრების უმრავლესობაა?**

- ვერაფერს გეტყვით, ამ საკითხებზე არ მისაუბრია.

**- დღეს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესები აქტიურდება. საქართველო აცხადებს, რომ ის უძველესი ევროპული სახელმწიფოა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კი მსოფლიო საეკლესიო საბჭოდან გამოსულია. როგორ აისახება ეს იზოლაცია მრევლზე, რომელიც ამ ქვეყნის მოქალაქეებისგან შედგება?**

- 17 წლიდან ეკლესიაში ვარ. დღემდე ბევრი რამ ვისწავლე, ვნახე და დავინახე. რაღაც მომწონს, რაღაც - არა. რაღაცაზე შეხედულება შევიცვალე.

დღეს ჩემი ხალხი, ჩემი საზოგადოება აბსოლუტურად არ არის ინფორმირებული, რას წარმოადგენდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო და რა ადგილი ჰქონდა იქ საქართველოს ეკლესიას. საზოგადოებისთვის მხოლოდ ერთი რამ არის ცნობილი, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო სატანისტების საკრებულო ყოფილა, რომ საქართველოს ეკლესია ამ მწვალებლებთან იყო და დღეს იქიდან გამოვიდა... ამ სულისკვეთების შთანერგვა ხდება მრევლში და სხვათა შორის, ეს დიდი იძულებითაც არ მომხდარა.

ეკლესიის არსში ფანატიზმი არ არის. როდესაც ფსიქიკურად აშლილი ადამიანები რელიგიურ ორგანიზმში იშლებიან, ამ გზით ავითარებენ თავის სულიერ მდგომარეობას. ისინი ეკლესიამ როდი გახადა ასეთი - არა, თავად არიან ასეთები. ვხედავ, რომ გამოუკვლევლად და შეუცნობლად ვახდენთ აწმყოს, წარსულის და ლამის მომავლის გადაფასებას.

ჩემი აზროვნებით ნამდვილად მართლმადიდებელი ვარ და მივიჩნევ, რომ ქრისტეს ეკლესიის მადლმოსილების სისავსე ამ აღმსარებლობაშია. სრულიად ჯანსაღად ვფიქრობ, რომ ყოველი ადამიანი ღვთის მიერ არის დაბადებული და, ცუდისკენ მიდის თუ კარგისკენ, ყველას არჩევანი ნებაყოფლობითია. ანუ, თავისუფალი არჩევანით ადამიანი შეიძლება იყოს არამართლმადიდებელი...

**- ეკლესიათა საბჭოში ყოფნის გარეშე სხვა რელიგიურ კონფესიებთან ნორმალური ურთიერთობების დამყარება შეუძლებელია?**

- საბჭოში მართლმადიდებლები თავის სარწმუნოებას ქადაგებენ და ამოწმებენ(დამოწმება). სხვადასხვა აღმსარებლობის მატარებელ კონფესიების წარმომადგენლებთან იყო და დღესაც არის დიალოგები. რაღაც გაზიარებული იყო და რაღაც - არა, ეს პროცესი გრძელდება და დიალოგის უარყოფა დაუშვებელია. საქართველოს ეკლესიაც მართლმადიდებლობას ამოწმებდა ამ საბჭოში - მაგიდის გარშემო სხვადასხვა ფრაქციები სხდნენ, ყველა ფრაქციას თავისი ხელმძღვანელი ჰყავს, ყველა თავისას გადასცემს და როგორც პარლამენტს, თავისი თავმჯდომარეც ჰყავს.

1997 წელს საქართველოში ეკუმენიზმის წინააღმდეგ ერთგვარი ბუმი დაიწყო. გაჰყვიროდნენ, რომ საქართველოს ეკლესია და ქართველი ხალხი იღუპება, რომ მართლმადიდებლობას ტოვებენ, თითქოს, ილია მეორე ქართველებს ღუპავდა. გამოხტნენ ვიღაც სასულიერო პირები, რომელთაც, რა თქმა უნდა, სხვადასხვა სივრციდან საერო პირები უმაგრებდნენ ზურგს. მათი კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ ეკლესიას საბჭო დაეტოვებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ეკლესიაში დიდი განხეთქილებები მოხდებოდა დ ა.შ. სწორედ ამ განხეთქილების თავიდან აცილების მოტივით მიიღო პატრიარქმა გადაწყვეტილება და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან გამოვიდა. სხვა შეფასებას ვერ მივცემ იმიტომ, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო თუ მწვალებლობაა, მაშინ მწვალებელი ყოფილა მთელი მართლმადიდებელი სამყაროც. ერთიანი ეკლესიის წინააღმდეგ ასეთი საშინელი წასვლა გადატრიალებაა მართლმადიდებლურ სივრცეში, რომლის მსგავსი არ შეუძლია არც იეღოვას მოწმეს და არც ერთ არამართლმადიდებელს. ქრისტეს მოწოდება სწორედ ეკლესიის სისავსეშია. ერთიანი მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც უნივერსალური, კათოლიკური საყოველთაო ეკლესიის არსებობაც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი მოწოდება ქადაგებაა - არამართლმადიდებელ სამყაროსთან წმინდა სახარების დამოწმებაა.

როდესაც ვამბობთ, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭო მწვალებლობაა, ამ რანგში მთელ მართლმადიდებელ ეკლესიებს ვაყენებთ. საბჭოდან გამოსვლით გამოვეყოფით არათუ სამყაროს, არამედ მართლმადიდებელთა სივრცეს. ეს არც ეკლესიის სამართლებრივ სივრცეში ზის და საერთოდაც, ბუნების წინააღმდეგ წასვლაა. ამიტომ, ამ თემის გარშემო ატეხილ უაზრო წივილ-კივილს ვერ გავიზიარებ.

**- ამ განცხადებებით დამატებით საკვებს ხომ არ აძლევთ გავრცელებულ ჭორს იმის თაობაზე, თითქოს, მეუფე ზენონი პატრიარქს განუდგა?**

- სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარში მღვდელმთავრად კურთხევისას ეკლესიისა და კათოლიკოს-პატრიარქისადმი უფლისმიერი ერთგულების ფიცი დავდე. ამდენად, ჩემს შესახებ მსგავსი დეზინფორმაციის გავრცელება სრულიად უსაფუძვლოა.

**- ქართული ეკლესიის წიაღში არის ღვთისმსახურთა გუნდი, რომელიც ყველაფერ ახალს ეკუმენიზმს არქმევს. რა დინებებია ამ მიმართულებით?**

- დავუშვათ, რომ ამ რადიკალიზმში ჯანსაღი შიში იგულისხმება. მეც მქვს გრძნობა, რომ რაღაც მოვლენის შეფასებისას თავშეკავებული ვიყო. ამ საბჭოს მიმართ თუ ასეთი მიდგომა იარსებებს, ეს დანაშაული და ფანატიზმის მაჩვენებელი არ არის. ეს კრიტიკული დამოკიდებულებაა მოვლენის ან ორგანიზაციის მიმართ. თუმცა, ვინც დაბეჯითებით ასაბუთებს და გადაჭრით ამოწმებს, რომ ეს - ეს არის, მთლიანად მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე ხდება პასუხისმგებელი.

მსოფლიო ეკლესიათა საბჭოში გადაწყვეტილებებს კრებაზე იღებენ, ამას მსოფლიო კრება ეწოდება. სწორედ ამ ორგანოში დგინდება ჭეშმარიტება. თუმცა, ადგილობრივი ეკლესიები მსოფლიო კრებათა სახელმძღვანელოებზე დაფუძნებით გადაწყვეტილებებს იღებენ, მაგრამ, ამ გადაწყვეტილებებს ნაკლები დატვირთვა აქვს.

მაგალითისთვის - მონოფიზიტებისადმი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება იყო. რუსეთმა კათოლიკური სამყაროსადმი რადიკალური დამოკიდებულება არჩია. თავის დროზე ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის ლამის სიძულვილი იყო ჩანერგილი. ასევე არამართლმადიდებლების ეკლესიაში დასაბრუნებლად ყველა ადგილობრივი ეკლესია სხვადასხვაგვარ წესებს ადგენს... ანუ, მსოფლიო ეკლესიას არ შეუმუშავებია და არ უთქვამს, რა არის მისი სახელმძღვანელო ამ საკითხის გადაწყვეტაში. ის უმაღლესი კრიტერიუმი დედამიწაზე, რომელიც ადგენს, სად არის ჭეშმარიტება და სად პირიქით - მხოლოდ მსოფლიო კრებაა. ამიტომ, ჩემთვის არანაირ ავტორიტეტს არ წარმოადგენს არც ის მღვდელი და არც ის მღვდელმთავარი, რომელიც გადაჭრით ამტკიცებს, რომ საბჭოში ყოფნა უფლის შეურაცხყოფა და მართლმადიდებლობის ღალატია. პიროვნების ეს ნააზრევი სრულიად გაუცხოებულია ერთიანი მართლმადიდებელი ეკლესიის მსოფლმხედველობასთან.

**- თქვენ საზოგადოების ინფორმირებულობაზე საუბრობდით. ღია საზოგადოების მშენებლობის პროცესში საზოგადოება ცდილობს, აღარ ჰქონდეს ტაბუდადებული თემები, რატომ ამბობენ, რომ რელიგიის საკითხების გაშუქებისას ფრთხილად უნდა ვიყოთ - თუკი ადამიანებს ეს აწუხებთ, რა არის აქ საფრთხილო?**

- ჩემი აზრით, მთავარი ფაქტორი უნდობლობაა. ერთი მხრივ, თეოლოგის სტატუსი და საკითხების სათანადო ცოდნაა აუცილებელი და მეორე მხრივ, აუცილებელია იმ უნდობლობის გარღვევა, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში არსებობს. გულახდილად შემიძლია ვთქვა, რომ ამ უნდობლობას საფუძველი აქვს. ზოგი თეოლოგის სახელს ირქმევს და საკუთარ თავს სხვადასხვა კვალიფიკაციას ანიჭებს, ან ეკლესიაში კონკრეტულ პიროვნებაზეა განაწყენებული და ტენდენციურია, ამიტომაც გარკვეული შურისძიების მიზნით საუბრობს, რომ ეკლესიაში სრული სიბნელეა. ობიექტური ადამიანი არ იტყვის, რომ სულ ასეა. ადამიანები ინდივიდები არიან და ყველას ინდივიდუალური დადებითი და უარყოფითი მონაპოვარი აქვს. საჭიროა ეთიკური ნორმების დაცვა. ჩვენ ერთმანეთთან საუბრის კულტურა დავკარგეთ. შეიძლება ეს პოლიტიკურმა ვითარებამაც გამოიწვია.

**- საზოგადოების ბანაკებად დაყოფა კომუნისტების მძიმე მემკვიდრეობაა, რომლისგან დღემდე ვერ გავთავისუფლებულვართ. ხომ უნდა არსებობდეს ადგილი, სადაც დაპირისპირებული მხარეები არ არსებობენ?**

- ეკლესიამ უნდა თქვას, რა არის კარგი და რა - ცუდი. ზოგადად ეკლესიის სახელით ვერ გესაუბრებით, მაგრამ ეკლესიას წარმოვადგენ და უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ჩემი ხედვა საეკლესიო სწავლებას ეფუძნება.

**- საპატრიარქოს პრესცენტრმა საკმაოდ გაუგებარი და ორაზროვანი განცხადება გააკეთა მკალავიშვილის დაპატიმრების თაობაზე. ანდრიაძის განცხადებები ყოველთვის საპატრიარქოს პოზიციაა? საჭირო იყო თუ არა, საპატრიარქოს ცხადად და მკაფიოდ ჩამოეყალიბებინა თავისი დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი?**

- ჩემთვის მიუღებელია, როდესაც ერის ადამიანი საქართველოს ეკლესიის სახელით საუბრობს. ეს საეკლესიო სამართლის ნორმებს არსობრივად ეწინააღმდეგება. იერარქის გარდა არავის აქვს უფლება, ისაუბროს ღვთის მისტიკური სხეულის სახელით. ძალიან ხშირად მეკითხებიან - სამღვდელოებამ ლაპარაკი არ იცის? არ აქვთ შესაფერისი კულტურა და მეტყველების უნარი, რომ რაღაც გადმოსცენ? ამ უხერხულობას მეც ვიზიარებ.

მკალავიშვილი წმინდა სინოდმა განკვეთა, რომლის მეთაურიც პატრიარქი ბრძანდება. მკალავიშვილზე საუბრის დროს შესაბამისი სინოდალური დადგენილებით, ეკლესიის სამართლებრივი ნორმების ძირითადი პოსტულატებით უნდა იხელმძღვანელონ. არ ვიცი, არის თუ არა ეკლესიის პოზიცია ის, რასაც ანდრიაძე ლაპარაკობს. ჩემი პოზიცია კი ასეთია - მკალავიშვილი ისეთივე ეკლესიის გარეთ მყოფია, როგორც ყველა სხვა არამართლმადიდებელი. მას მითვისებული აქვს მართლმადიდებლის სტატუსი, რომელმაც ეკლესიის წინააღმდეგ იმოქმედა. იგი არ არის სასულიერო პირი და არც მართლმადიდებელ ეკლესიას განეკუთვნება. მთელი მისი მოღვაწეობა საქართველოს და მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ იყო მიმართული. როდესაც საზღვარგარეთ მიწევდა ყოფნა, მართლმადიდებელი ეკლესიის წევრები სულ მეკითხებოდნენ - რა ხდება, თქვენთან ფანატიზმია?

თუმცა, მინდა, ჩემი აზრი გამოვხატო მკალავიშვილის აყვანასთან დაკავშირებით - ეს არ მომეწონა, მაგრამ სამართლებრივ სივრცეში ჩარევა ჩემი საქმე არ არის.

**- მოსკოვში შედგა ევროპის რელიგიის საბჭოს ალმასკომის შეხვედრა, სადაც მსოფლიოს გამოჩენილი სულიერი ლიდერები შეიკრიბნენ. საქართველოს სულიერი ლიდერები, განსხვავებით დსთ-ს ანალოგიისგან, ამ შეხვედრაზე არ მიიწვიეს. ნიშნავს ეს, რომ ჩვენი ეკლესიის ურთიერთობებს კვლავ რუსეთის ეპარქია განაგებს?**

- ამ შეხვედრის შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ შემიძლია, ერთი რამ ვთქვა: თუ რაიმე დიალოგში დსთ-ს მასშტაბით შეიძლება მონაწილეობის მიღება, მსოფლიოს მასშტაბითაც შეიძლება. მხოლოდ საქართველოს ეკლესიამ უნდა განსაზღვროს, სად მიიღებს მონაწილეობას და სად - არა.

**- რევოლუციის შემდგომ პერიოდში აუცილებელია რყევებგადატანილ სახელმწიფოში მცხოვრები საზოგადოების ჰარმონიზაცია, დამშვიდების პროცესი. მიგაჩნიათ თუ არა, რომ სახელმწიფოს გარდა ამაში თავისი წვლილი ეკლესიამაც უნდა შეიტანოს და კონკრეტულად, როგორ?**

- რთული საკითხია. ადრე, როცა პატარა ვიყავი, თითქმის გაფეტიშებულ ნაციონალიზმს ვუჭერდი მხარს. ეპისკოპოსი ვარ და შემიძლია ვთქვა, რომ მართლმადიდებლობა ყველა ეროვნებაზე და ეროვნულობაზე მაღლა დგას. ყველაზე დიდი ეროვნულობა არის ის, რომ შევძლოთ ყველა ერებისა თუ აღმსარებლობის მქონე ადამიანებთან ისეთი მუშაობა, რომელიც მათ იესო ქრისტეს ეკლესიის წიაღში დააბრუნებს. ეს არის საქართველოს ეკლესიის მისია. თუ ჩვენ დავამოწმებთ უფლის სახარებას და თავდადებულები ვიქნებით ქადაგებაში, ამ საკითხს გადავწყვეტთ. მე ამ ფორმას ვანიჭებ უპირატესობას. იმდენი გამოცდილება კი მივიღე, რომ დავეთანხმო დავით წინასწარმეტყველს - ყველა ადამიანი ცდება.

**- ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ხშირად იმართება პოლემიკა რელიგიურ თემებზე და ხშირად ეკუმენიზმში გვდებენ ბრალს...**

- მეც ეკუმენისტი რომ არ გამოვიდე, ვიტყვი - ვარ მართლმადიდებელი, სრულად ვეთანხმები მართლმადიდებლურ დოქტრინას და სწავლებას და მივიჩნევ, რომ სისავსით ქრისტეს მაცხონებელი მადლი მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაშია. ჩემი უფლისმიერი მოვალეობაა, დავამოწმო ჭეშმარიტება და თუ არამართლმადიდებელთან მივალ, გავუღიმებ, მის გვერდით დავჯდები, მასთან ერთად ვისაუზმებ და რაიმე ჰუმანურ აქციაში მივიღებ მონაწილეობას - ეს არ არის დანაშაული. რისთვის მოგვეცა გონება? უფალი რომ თავად არ მისულიყო მეზვერესთან ან სხვა უწესოსთან - როგორ იქადაგებოდა სახარება ქრისტესი? მას ხომ ხელით ეხებოდა ათასნაირი აზროვნებისა და ქცევის ადამიანი? რაც უფალმა აღასრულა, ის ჩემს შემთხვევაში დანაშაული როგორ არის? მან ხომ თქვა, "გიყვარდეთ ერთმანეთი"? ჩვენ უნდა განვასხვავოთ პიროვნება და მისი აზროვნება. შეიძლება, ნააზრევს არ ვეთანხმებოდეთ, მაგრამ არ გვაქვს უფლება, ვიყოთ პიროვნების წინააღმდეგ.

**- სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის საკონსტიტუციო შეთანხმებით, ეპისკოპოსებს არა აქვთ უფლება, რაიონის ხელისუფლებებში ეკლესია წარმოადგინონ, როგორ ახსნით ამას?**

- ეპისკოპოსის ძალაუფლება უფლის მიერ არის მიცემული და ხელდასხმით მოწმდება მითიურ ეკლესიაში. ეს იმას ნიშნავს, რომ სადაც ეპისკოპოსია, იქ ქრისტეს ეკლესიაა. ამ უფლების ჩამორთმევა არავის შეუძლია და არც კონკორდატს. ეს საკითხი შეთანხმებაში გაპარულია და ვფიქრობ, გადაიხედება და გამოსწორდება. უფლებამოსილება ხელდასხმის დროს მაქვს მონიჭებული და ჩემდამი რწმუნებულ ეპარქიაში და იმ ქვეყანაში, სადაც ჩემი ეკლესიის პატრიარქი ბრძანდება, წარდგინებას არ ვსაჭიროებ.

**- არც თუ დიდი ხნის წინ თქვენ მონაწილეობდით შეხვედრაში "ადამიანის უფლებები და მართლმადიდებლობა". მართლმადიდებლური მოძღვრებით, ადამიანს ყველაზე მთავარი, არჩევანის უფლება აქვს. ეს, სხვათა შორის, ჩვენი მთავარი კონსტიტუციური უფლებაც არის. რატომ ასეთი სათაური?**

- ნაწილი მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებების საყოველთაო ნორმები მართლმადიდებლურ მოძღვრებას ეწინააღმდეგება, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ძალიან კონსერვატორულია და ის ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების საყოველთაო ნორმებს. ჩემი მიზანი იყო, მეჩვენებინა, რომ მართლმადიდებლობა ქრისტეს წიაღიდან არის წამოსული, ადამიანის უფლებები იქიდან იღებს საფუძველს და ამ მხრივ არანაირი წინააღმდეგობა არ შეიძლება არსებობდეს.

ქართული საზოგადოების აზროვნებაში ძალიან მკვეთრია რადიკალიზმი - ეს სასულიერო სფეროსაც ეხება და სამოქალაქოსაც. ჩვენი ვალდებულებაა, უფლება და მოვალეობა კი არ გავმიჯნოთ, არამედ დავაკავშიროთ ერთმანეთთან. ჩემი უფლება უნდა იყოს დაცული, ჩემი ვალდებულება კი გარესამყაროს და ჩემი ქვეყნის მსახურებაა.



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
პრემიერა
ვოლფგანგ ბორხერი
"რექვიემი კარს მიღმა"
რეჟისორი: ალეკო ესვანჯია
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ჟან კოკტო
"თეთრი ოთახი"
რეჟისორი: ბ. ქავთარაძე
დას: 19.00 სთ.

**ძველი სახლი**
დოსტოევსკი
"იდიოტი"
რეჟისორი: სანდრო მრევლიშვილი
დას: 19:00 სთ.

## გამოფენა

**TMS**
ზაზა ნებიერიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"პერესტროიკიდან" გადატრიალებამდე

**"კოპალა`**
უცნობი გუდიაშვილი

**"ჰობი"**
ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი

**სურათების ეროვნული გალერეა**
გამოფენა "ექიმები ხატავენ"

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ძიძა მამები"
დას: 11:30; 13:15; 15:00 სთ.

"კარიბის ზღვის მეკობრეები"
დას: 17:00; 19:15; 22:30 სთ.

**კინოს სახლი**
"მექანიკური ფორთოხალი"
დას: 18:00 სთ.
ფასი: 1 ლარი

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს,** 1 აპრილს, 17 საათზე მწერალი ზაალ სამადაშვილი ლიტერატურული ციკლით "ახალი განზომილება"; სტუმარი – მალხაზ ხარბედია; თემა – "პირადი ბიბლიოთეკა".

***მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50***

# ნუ გამოიგონებთ ველოსიპედებს

ნანა კობაიძე

*განსხვავებით მსოფლიო კინოსიახლეებისგან, რომელთაც ქართველი მაყურებელი ხშირად უცხოელებზე გაცილებით ადრე ეცნობა, თეატრალური პრემიერებით განებივრებული ნამდვილად არ ვართ. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ის თეატრალები, რომელთაც უცხოეთში წასვლის საშუალება არა აქვთ, მხოლოდ ქეთი დოლიძის გემოვნებასა და მისი ნაცნობ-მეგობრების ჩამოსვლა-არჩამოსვლაზე არიან დამოკიდებულნი. ამას ისიც ემატება, რომ მაღალი კლასის თეატრების საპრემიერო წარმოდგენების ჩამოტანა საკმაოდ დიდ თანხებს უკავშირდება და შორეული მომავლის პერსპექტივად გვესახება, ასე რომ, დავრჩენილვართ გაუნათლებლები და ვერ გაგვიგია. თუმცა, გამოსავალი, მართალია, საუკეთესო არა, მაგრამ მაინც მოიძებნა.*



"ზაფხულის ღამის სიზმარი"

### თეატრი + ვიდეო

ნიდერლანდების კულტურის საერთაშორისო ფონდმა "კავკასიამ" კულტურის ვიდეოცენტრთან ერთად ვიდეოფირზე ჩაწერილი სპექტაკლების ჩვენება მოაწყო. წელს ფესტივალი სახელწოდებით "თეატრი + ვიდეო" მერვედ იმართება. მისი დაარსების იდეა რვა წლის წინათ ფონდ "კავკასიის" დირექტორს ლევან ხეთაგურს და რეჟისორ ავთო ვარსიმაშვილს გაუჩნდათ. ფესტივალი, რომელმაც წლების განმავლობაში თბილისის სხვადასხვა კულტურული სივრცე მოიარა, პირველად იმართება გოეთეს ინსტიტუტში და, შესაძლოა, სამომავლოდ სწორედ აქ დაიდოს ბინა. წელს იგი, ტრადიციულად, თეატრის საერთაშორისო დღეს, 28 მარტს გაიხსნა და პირველ აპრილამდე გასტანს.

ვიდეოჩვენებები ცნობილი პოლონელი მხატვრისა და რეჟისორის, თადეუშ კანტორის სპექტაკლით გაიხსნა და ამერიკელი რეჟისორების შემოქმედებით დასრულდება. ლევან ხეთაგურის თქმით, ეს სიახლეა, რადგან ამერიკული სპექტაკლები ვიდეოზე საკმაოდ რთული მოსაძიებელია. საქმე ის გახლავთ, რომ თავად ამერიკული თეატრალური პროფკავშირი სპექტაკლების ვიდეოგადაღებას კრძალავს. გამონაკლისი ის შემთხვევებია, როდესაც თავად დასი ამზადებს წარმოდგენის ვიდეოვერსიას. ფესტივალზე წარმოდგენილია ორი სპექტაკლი ბროდვეის არქივიდან. ეს არის ლუიჯი პირანდელოს პიესები – "ავტორის მაძიებელი ექვსი პერსონაჟი" და "თამაშის წესები" – კიჩის, პორტერისა და ბრაუნინგის რეჟისურით. რაც შეეხება ევროპულ თეატრს, გუშინ უჩვენეს საკმაოდ დიდი ტრადიციების მქონე შილერის თეატრის წარმოდგენა შექსპირის "ზაფხულის ღამის სიზმარის" მიხედვით. ეს გახლდათ საერთაშორისო პროექტი, რომელშიც სხვადასხვა ეროვნების მსახიობები მონაწილეობენ.

დღეს ორგანიზატორები შვედურ თეატრს წარმოგვიდგენენ. ეს გახლავთ "გარეული იხვი", რომელიც იბსენის პიესის მიხედვით დადგა რეჟისორმა ბ. კიდერბერგმა; ხვალ კი ქართველებისთვის კარგად ცნობილი რეჟისორის, გიორგი ტოვსტონოგოვის "ცხენის ისტორიას" (ლ.ტოლსტოის მიხედვით) ვიხილავთ.

ამ ფესტივალის გარდა ფონდი "კავკასია" და კულტურის ვიდეოცენტრი არაერთ საინტერესო პროექტს შემოგვთავაზებს. ლევან ხეთაგურის თქმით, ამის საშუალებას ის უმდიდრესი კოლექცია იძლევა, რაც ამ ცენტრში წლების განმავლობაში დაგროვდა. სხვათა შორის, მსგავსი ცენტრი ერთადერთია კავკასიაში (და არა მხოლოდ). აქ დაცული მასალები არაკომერციულია და, ძირითადად, საგანმანათლებლო ფუნქციას ასრულებს. არაკომერციულია ფესტივალი "თეატრი + ვიდეოც", მასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

### რატომ არ უყვარდათ საბჭოთა კავშირში თადეუშ კანტორი?

რეჟისორი, რომლის სპექტაკლმაც წლევანდელი ფესტივალი გახსნა, იმდენად საინტერესოა, რომ გადავწყვიტეთ, მისთვის ცალკე თავი მიგვეძღვნა. თადეუშ კანტორი (1915-1990) ერთადერთი პოლონელი რეჟისორია, რომლის დადგმებსაც საბჭოთა კავშირში არასოდეს უჩვენებდნენ. ეს უცნაურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი იმ პერიოდში მოღვაწეობდა, როდესაც სსრკ მთელ აღმოსავლეთ ევროპას აკონტროლებდა. საბჭოთა იდეოლოგია მას არ აღიარებდა, რადგან კანტორი ტიპური ევროპული ავანგარდის წარმომადგენელი იყო.

შემოქმედებით მოღვაწეობას კანტორი თეატრალური მხატვრის ამპლუაში იწყებს და ეგრეთ წოდებული "მხატვრის თეატრის" დაარსებით აგრძელებს. ფესტივალზე პოლონელი რეჟისორის სპექტაკლი - "მკვდარი კლასი" უჩვენეს. ეს მისი ყველაზე ცნობილი დადგმაა, რომელმაც 15 წლის განმავლობაში თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა. ქართველი მაყურებლისთვის კანტორის მსოფლმხედველობა ძალზე უჩვეულოა - რეჟისორი უშუალოდ მოქმედების ცენტრშია და სპექტაკლის მსვლელობის პარალელურად ხელმძღვანელობს და გარკვეულ მითითებებს აძლევს მსახიობებს. თუმცა, ეს ყველაფერი სულაც არ მოგვეჩვენება უჩვეულოდ, თუ გავითვალისწინებთ კანტორის ესთეტიკას, რომლის მიხედვითაც ყველა სპექტაკლი მისი ბიოგრაფიის გარკვეულ ეპიზოდს განახორციელებს.

კანტორი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფორმას, ნაკლებს – სპექტაკლის შინაარსს, უფრო ნაკლებს კი – მსახიობებს. ფესტივალის ორგანიზატორები აპრილის შუა რიცხვებში კანტორის მანიფესტის ქართულად გამოცემას გეგმავენ (ეს პირველი გამოცემა იქნება). ლევან ხეთაგურის თქმით, ამ მანიფესტის გაცნობის შემდეგ ნათელი გახდება, რატომ იკრძალებოდა იგი საბჭოთა კავშირში. მისი ესთეტიკა უარს ამბობდა მსახიობზე და მას მანეკენით ან მარიონეტით ანაცვლებდა. ამით იგი მეოცე საუკუნის დიდი ბრიტანელი რეჟისორის, გორდონ კრეგის თეორიას დაუბრუნდა, თუმცა, როგორც ჩანს, იყო კიდევ მთელი რიგი მიზეზები, რის გამოც დიდ საბჭოეთში ამ საინტერესო პიროვნებას უფრთხოდნენ. კანტორის მიმართ გამოწვეული დიდი ინტერესის გამო ლევან ხეთაგური დაგვპირდა, რომ აპრილში, როდესაც პოლონელი რეჟისორის მანიფესტი დაიბეჭდება, "მკვდარ კლასს" კიდევ ერთხელ უჩვენებენ. ასე რომ, შეეცადეთ, არ გამოგრჩეთ, მანამდე კი გოეთეს ინსტიტუტში მისი გრაფიკული ნამუშევრების დათვალიერება შეგიძლიათ.

დაბოლოს, კანტორზე საუბარმა ლევან ხეთაგური ერთ მნიშვნელოვან დასკვნამდე მიიყვანა, რომელიც ჩვენი წერილის რეზიუმედ გამოდგება. "ქართველებს უამრავი ნიჭიერი ხელოვანი გვყავს, მაგრამ ისინი ხშირად იგონებენ ველოსიპედებს, რომელთაც ხელოვნება ვერ იტანს. მათ გამოგონებაში ტყუილად იკარგება დრო და ენერგია. ჩვენ ამ ფესტივალების საშუალებით გვინდა ვუთხრათ მათ, ნუ გამოიგონებენ ველოსიპედებს. ნახონ ის, რაც უკვე არსებობს. იქნებ მათი ფანტაზია უფრო შორს წავიდეს". ასეთია მისი პოზიცია და ძნელია, არ დაეთანხმო.

# ქეივი პატივს მიაგებს




ამ დღეებში საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა ნიკ ქეივის ოფიციალურ ვებ-საიტზე. ცნობის თანახმად, აპრილისთვის იგეგმება გამოვიდეს ქეივისა და მისი ჯგუფის The Bad Seeds-ის იშვიათი ჩანაწერების DVD (ციფრული ვიდეო დისკი). ამას გარდა, მალევე მელომანებს შესაძლებლობა ექნებათ შეიძინონ DVD-ზე ამ შემოქმედებითი ტანდემის კლიპების კოლექცია, რომელიც მანამდე ვიდეოკასეტებზე გამოიცა.

მაისში კი ქეივის თაყვანისმცემლებს მისი მოსმენა ბრაიტონის ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი ლეონარდ კოენის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტზე (რომლის სახელწოდებაცაა Came So Far For Beauty) შეეძლებათ. ასე რომ, დროებით გაუჩინარებული მუსიკოსი ნელ-ნელა მუსიკალურ სცენას უბრუნდება.

# აუდიომეკობრეებს ემუქრებიან

ბრიტანულმა ხმისჩამწერმა კომპანიებმა გააფრთხილეს ინტერნეტით მუსიკის უკანონოდ მომხმარებლები: ყველას, ვინც არალეგალურად ქაჩავს მუსიკას მსოფლიო გლობალური ქსელიდან, სასამართლო გამოუტანს სასჯელს.

ბრიტანეთის ფონოგრამული ბიზნესის ასოციაციის მონაცემებით, ბრიტანეთში 7,4 მილიონი ადამიანი არალეგალურად აწარმოებს ქსელში მუსიკალური ფაილების გაცვლას. "ეს სერიოზულ ფინანსურ ზარალს მიაყენებს მათ, ვინც ამ ბიზნესში მოღვაწეობს", - ამბობს ასოციაციის წარმომადგენელი პიტერ ჯემისონი. ასოციაციის მონაცემებით, შარშან ინტერნეტით მუსიკალური ფაილების არალეგალურად გავრცელებამ, ალბომების გაყიდვის მაჩვენებელი 32 პროცენტით შეამცირა, სინგლების კი, - 59 პროცენტით.

ექსპერტების აზრით, ყოველ მუსიკალურ ფაილზე სიმბოლური გადასახადი, სულაც არ შეამცირებს მომხმარებელთა რაოდენობას. მუსიკით ვაჭრობის ამ ფორმამ აშშ-ში გაამართლა და მეტიც, - ასეთმა გზამ მუსიკალური ბაზარი გააცოცხლა კიდეც. მუსიკოსთა ნაწილი მზადაა ინტერნეტის შესაძლებლობები გამოიყენოს. მაგალითად, ამას წინათ ჯორჯ მაიკლმა განაცხადა, რომ საკუთარ ახალ ნამუშევრებს მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით გაავრცელებს. მუსიკალურ მეკობრეებთან საბრძოლველად, კომპანიებს შეუძლიათ ისარგებლონ 1988 წელს შედგენილი კანონით საავტორო უფლებების დაცვის შესახებ, რომლის თანახმადაც, მხოლოდ ავტორს შეუძლია გადაწყვიტოს, უნდა გახდეს თუ არა მუსიკალური ნაწარმოები ხელმისაწვდომი ფართო მასებისთვის.

# მუსიკა ლაბორატორიიდან

## ექსპერიმენტი ექსპერიმენტის მოყვარულებისთვის

ვერა ნეფარიძე

*საქართველოში არ გიჟდებიან ექსპერიმენტებზე, მით უმეტეს - მუსიკალურზე. ჩვენთან ყოველთვის ერთეულები ქმნიდნენ ასეთ მუსიკას და მსმენელიც, ძირითადად, ავტორთა საახლობლო ვიწრო წრით შემოიფარგლებოდა. შემოქმედებითი გაერთიანება "გოსლაბი" ერთადერთი სამამულო პროექტია, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე იყიდება.*


სერგი გვარჯალაძე "გოსლაბს" წარადგენს

"გოსლაბის" ხვალინდელი ექსპერიმენტული საღამო ელექტრონული მუსიკის პოპულარიზაციის ნაწილია, რომელსაც "აჭარა მიუზიკ ჰოლი" თავისი არსებობის ძირითად გამართლებად მიიჩნევს. კლუბი, რომელსაც წელიწადზე ოდნავ მეტი ხნის ისტორია აქვს, აქტიურად მუშაობს ელექტრონული მუსიკის პოპულარიზაციაზე და გარკვეული მიღწევებიც აქვს. დღემდე "მიუზიკ ჰოლის" სცენაზე 50-მდე ელექტრონულ ჟანრში მომუშავე დი-ჯეი და პროდიუსერი გამოვიდა. მათ შორის, ბაჯუ ერთადერთი იყო ადგილობრივი მუსიკოსებიდან. ხოლო, თუ არ ჩავთვლით ნინო ქათამაძისა და "ინსაითის" პროექტს (რომელშიც კიდევ ერთი ქართველი "ელექტრონშიკი" და "გოსლაბის" წევრი გოგი ძოძუაშვილიც მონაწილეობდა), შეიძლება ითქვას, რომ "აჭარა მიუზიკ ჰოლი" "გოსლაბს" პირველად უმასპინძლებს.

"გოსლაბი" რვა წლის წინათ დაარსებული შემოქმედებითი გაერთიანებაა და ასე იშიფრება: Государственная лаборатория. მის წევრებს თანამედროვე მუსიკალური და ვიზუალური ხელოვნებით დაინტერესებული საზოგადოების ნაწილი მეტ-ნაკლებად იცნობს. ორგანიზაციის დაარსების იდეის ავტორი ნიკა მაჩაიძე ელექტრონული მუსიკის ერთ-ერთი "პიონერია". იმის მიუხედავად, რომ გერმანიაში მისი - ორი, ხოლო იაპონიაში ერთი სოლოალბომი გამოვიდა, ჩვენთან ფართო საზოგადოება, ძირითადად, მაინც მის სატელევიზიო გადაცემებისთვის ("ფაილი" და "კლიპ-ლოტო") შექმნილ მუსიკას იცნობს. ნიკას, ასევე, დაწერილი აქვს მუსიკა დიზაინერების: მაკა ასათიანის, ნინო ჩუბინიშვილისა და თამუნა ინგოროყვას მოდების ჩვენებისთვის; "გოსლაბის" წევრია გოგი ძოძუაშვილიც, რომელიც ნინო ქათამაძისა და "ინსაითის" ელექტრონული საკონცერტო და სტუდიური პროექტის თანაავტორია. არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს მისი მუსიკა, რომელიც ფოტოკონკურს "ქოლგას" კომპაქტ-დისკს ფონად გასდევს (სხვათა შორის, აქ ხვალინდელი საღამოს კიდევ ერთი მონაწილისა და "გოსლაბის" წევრის ტუსია ბერიძის ვოკალსაც მოისმენთ). რაც შეეხება, ტუსია ბერიძეს, იგი გოგისთან და ნიკასთან შედარებით, გვიან ამღერდა. ჩვენთან უფრო მეტად მისი ვიზუალური ექსპერიმენტები უნდა ახსოვდეთ (განსაკუთრებით საინტერესო იყო შარშან "აპენდიქსის" ფარგლებში "გოსლაბის" გამოფენა "არტერიაზე" წარმოდგენილი მასალა). ხვალინდელ კონცერტზე ტუსია ბერიძე შეასრულებს რამდენიმე კომპოზიციას საკუთარი ალბომიდან TBA, რომელიც გერმანულმა ფირმამ – "მაქს ერნსტმა" გამოუშვა.

ორი ალბომი (Sestrichka და Shentimental) გერმანიაში და ერთიც (Goodair) იაპონიაში აქვს გამოცემული ნიკა მაჩაიძეს. ქართველი მუსიკოსი სამ ფსევდონიმს იყენებს. ძირითადად, იგი მაინც Nikakoi-ის სახელითაა ცნობილი; იაპონიაში მისი ალბომი Erast-ის ფსევდონიმით იყიდება; ნიკა მაჩაიძე კი მაშინაა, როდესაც შვეიცარიაში მცხოვრებ მეგობარს თამრიკო კორძაიას საფორტეპიანო მუსიკას უწერს.

ნიკა მაჩაიძის საერთაშორისო კარიერა 1999 წელს ცნობილი ელექტრონული მუსიკის ფესტივალით – Love Parade-ით დაიწყო. ერთი წლის შემდეგ მოხვდა გერმანიაში - ბერლინში. "თავიდან ვიყავი WMF-ში - კლუბიც არის და ფირმაც. სწორედ აქ გამოვიდა ჩემი პირველი ორი ალბომი. გერმანიასთან არანაირი კავშირი არ მქონდა. უბრალოდ, ჩემი მეგობრების მეგობრები იყვნენ კლუბის მეპატრონეები. მათ მოისმინეს ჩემი მუსიკა და მთხოვეს, დამეკრა მათთან; მოგვიანებით კი გადაწყვიტეს, დისკებიც გამოეშვათ", - ამბობს ნიკა მაჩაიძე. ქართველი მუსიკოსის ჩანაწერებს WMF-ის ექსპერიმენტალურ-ელეტრონული მუსიკის ფილიალი უშვებს (აღსანიშნავია, რომ ეს ფირმა რამდენიმე მიმართულებით მუშაობს). აქედან გამომდინარე, მუსიკოსი არავის წინაშე არაა ვალდებული, აკეთოს კომერციულად მოგებიანი მუსიკა (ასეთი ფუფუნება ქართულ რეალობაში, ალბათ, წარმოუდგენელი იქნებოდა). ასევე, წარმოუდგენელია ამ მუსიკოსების ევროპასა და იაპონიაში გამოცემული ალბომების საქართველოში გავრცელებაც (მალე გოგი ძოძუაშვილის ალბომიც გამოიცემა გერმანიაში). "თუ გინდათ მოსმენა, ჩაგიწერთ", - შემოგვთავაზეს გუშინ მუსიკოსებმა, როდესაც მათი ალბომების საქართველოში გავრცელებაზე ჩამოვარდა საუბარი. "იგივე ალბომები რომ საქართველოში დავბეჭდოთ, მათი ფასი, ალბათ, 35 ლარამდე მიაღწევს", - გვითხრა ნიკა მაჩაიძემ, რომლის დისკებიც გერმანიაში 7-10 ევროდ იყიდება. თანამედროვე ქართული ელექტრონული მუსიკის ევროპულ დაინტერესებაზე მეტყველებს "აჭარა მიუზიკ ჰოლის" მოწოდებული საინტერესო ფაქტიც. "კომუნას" მიერ გამოშვებული კომპილაცია New Georgian Aesthetic (ახალი ქარტული ესთეტიკა), თურმე, გერმანული რადიოსადგურების ქსელის – Antenne ეთერში მოხვდა.

დაბოლოს, ხვალინდელ კონცერტს "აჭარა მიუზიკ ჰოლში" "გოსლაბის" კიდევ ერთი წევრი, ვი-ჯეი თამუნა ქარუმიძის ვიდეოინსტალაციები გააფორმებს. თამუნას ნიკა მაჩაიძესთან თანამშრომლობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. მისი ნამუშევრები კი ზემოთ ნახსენებ გამოფენა "არტერიაზეც" იყო თბილისში წარმოდგენილი. ასე რომ, ექსპერიმენტებისა და ელექტრონული მუსიკის მოყვარულებს ხვალ სრულფასოვანი ელექტრონული მუსიკის საღამო ელით. კონცერტს მხოლოდ მასმედიის წარმომადგენლები და "აჭარა მიუზიკ ჰოლის" ვებ-საიტზე დარეგისტრირებული მომხმარებლები დაესწრებიან ერთი განსხვავებით – ჟურნალისტებს კონცერტზე უფასოდ ეპატიჟებიან. სამომავლოდ კი "მიუზიკ ჰოლი" პროექტის საკონცერტო ვერსიის ჩაწერასა და გავრცელებას გეგმავს.

# ორ კონტინენტზე აშენებულ ქალაქში

ანა კორძაია-სამადაშვილი

ყოველ დილით მინარეთებიდან მოძახილი ისმის: “ჩემო ღმერთო, შენ მოგმართავ, პატიებას გთხოვ და გადიდებ. შენი დიდება უსაზღვროა და შენს გარდა, ღმერთი არ არსებობს...” ამ სიტყვებით აღვიძებს მუეძინი უზარმაზარ, დედამიწაზე ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქს - სტამბულს.

მუსულმანისთვის ნამაზი ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე ძვირფასი ქმედებაა – ის მას შემოქმედთან უწყვეტი კავშირის განცდას ანიჭებს. ალიონზე, შუადღისას, ნაშუადღევს, დღის მიწურულს და ღამით მორწმუნენი, განურჩევლად იმისა, სად იმყოფებიან, ისევე ასრულებენ ნამაზს, როგორც მას წინასწარმეტყველი მუჰამედი თოთხმეტი საუკუნის წინათ ასრულებდა.



ცისფერი მეჩეთი



სტამბულის ბაზარი

### გზად

“ჰოი, თურქეთო, აღმოსავლური ნეტარების ქვეყანავ, ქვეყანავ სასტიკი იანიჩარებისა, ძლევამოსილი სულთნებისა და მაღალი მინარეთებისა, მე ყოველთვის ვოცნებობდი შენს ნახვაზე, თურქეთო...” – ეს ბარონმა მიუნჰაუზენმა ბრძანა, მაგრამ, ვფიქრობ, თურქეთში მოხვდერა ისედაც ყველა ადამიანს უნდა.

რასაკვირველია, თქვენი ნებაა: თუ მოგინდებათ, ძალიან ისიამოვნებთ, ხოლო თუ გადაწყვეტილი გაქვთ, რომ ყველაფერი უნდა გეჯავრებოდეთ, არც ამის მიღწევა გაგიჭირდებათ, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ ავტობუსით გაემგზავრებით – საბაჟოზე უნამუსოდ იტყუებიან, გადამყიდველები გულისამაჩუყებელი ისტორიების თხრობით ცდილობენ, ბარგის ნაწილი გადაგატანინონ, დაუჯერებელი თმის ფერით გამორჩეული მეძავები ქართლის დედის გამომეტყველებით დგანან, ხოლო რესპექტაბელური, “წესიერი” ქართველი მანდილოსნები განუწყვეტლივ წიწინებენ და უკმაყოფილება კარგ ტონად მიაჩნიათ. ეს უკანასკნელი საზოგადოება თურქულ მუსიკას ვერ იტანს და ავტობუსში კატეგორიული ტონით მოითხოვს მშობლიური, რუსული ესტრადის მოსმენას, მერე ჯდომისგან ფეხები დაგისივდებათ, კისერი მოგეღრიცებათ – რა საშინელებაა, არა?

მაგრამ, სამაგიეროდ, მერე სტამბულში მოხვდებით!

### ცისფერი მეჩეთი

ოფიციალურად, მას სულთან აჰმედის მეჩეთი ჰქვია. სულთანს მისი აშენება 1609 წელს უბრძანებია. ამბობენ, - ცოდვების გამოსყიდვა უნდოდაო, - მაგრამ, იმხანად ის მხოლოდ 19 წლისა იყო – ამდენი რა მოასწრო! უფრო პროზაული ვერსია უფრო მისაღებად ჟღერს: იმხანად სულთანმა ჰაბსბურგთა დინასტიის ერთ მმართველთან დადო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ის თავის სწორად აღიარა, ჰოდა, თავი მოვალედ ჩათვალა, საჯაროდ დაემტკიცებინა თავისი რწმენა და ისლამის ერთგულება.

მეჩეთის ხუროთმოძღვარი მეჰმედაღა იყო. მან ტაძრის მშენებლობა შვიდ წელიწადში დაასრულა. თქმულების თანახმად, ოსტატს მექის უხუცესთა გულისწყრომა დაუმსახურებია, რადგან ტრადიციული ოთხი მინარეთის ნაცვლად, ექვსი ააგო. მაგრამ, ესეც საეჭვო ამბავია, ჩვენი სვეტიცხოვლისა არ იყოს – რატომ გადავწყვიტეთ, რომ იმ პატიოსან კაცს მარჯვენა მოჭრეს?

მეჩეთში ცისფერი და ლურჯი სჭარბობს; სხვა მრავალ ფერს მხოლოდ მაშინ შენიშნავთ, თუ გულმოდგინედ დააკვირდებით. ეს მშვენიერი კერამიკა იზნიკის ფაბრიკებში დაუმზადებიათ. მეთექვსმეტე საუკუნეში იქაური ოსტატები თავის ნაკეთობას მთელ მსოფლიოში ავრცელებდნენ, მაგრამ სულთანი აჰმედი მოითხოვდა, რომ მეჩეთისთვის დამზადებული ყოველი ფილა უნაკლო ყოფილიყო, და ოსტატებს სხვა შენობებისთვის მუშაობა სასტიკად აუკრძალა. როგორც მიამბეს, იმ ოსტატებთან ერთად წარსულს ჩაბარდა თურქული ცისფერის საიდუმლოც – ასეთ ნაკეთობას დღეს ვეღარვინ ქმნის.

სულთანს თავისი ქმნილებით ტკბობა არ დასცალდა. მისი დასრულების შემდეგ სულ მალე, 27 წლისა ტიფისგან გარდაიცვალა. მეჩეთი კი ღვთის და მის სადიდებლად დღესაც დგას და ყველასთვის ღიაა. უბრალოდ, შესვლისას ფეხსაცმელს გაიხდით, პარკში ჩააწყობთ და თან შეიტანთ. დარდი არ გქონდეთ, არ შეგცივდებათ – მთელი ტაძარი ხალიჩებითაა მოფენილი.

ცისფერი მეჩეთის აღწერა შეუძლებელია – ის უნდა ნახოთ. კედლებისა და თაღების ორნამენტების სილამაზეს ვერაფერი გადმოსცემს, სინათლე ფერადი ვიტრაჟებიდან აღწევს, გუმბათიდან ასობით სანათური ეშვება და ყველაფერი ცისფერია, ცისფრად ციალებს, როგორც... არც კი ვიცი, რა.

### ბაზარი

სტამბულის უზარმაზარი, გადახურული ბაზარი უკვე ოთხასი წლისა ყოფილა. თუ არ დაიზარებთ და კარგად დაათვალიერებთ, ყველაფერს გადააწყდებით, რაც კი სტამბულში უკანასკნელი ოთხასი წლის განმავლობაში გაჭაჭანებულა – ძველისძველ თუნგსაც და არცთუ სურნელოვან საპონსაც. მაგრამ, ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, რადგან ბაზარი არასოდეს მთავრდება - უამრავი განშტოება აქვს, და დახლთან ცოტა ხნით შეჩერება შეუძლებელია, აუცილებლად საუბარში ჩაგრთავენ.

აქაური გამყიდველები თავიანთ საქონელს არაჩვეულებრივად უწევენ რეკლამას. მაგალითად, თუ წელში გამოყვანილი ჩაის ჭიქის წინ ჩამოდგებით, ვაჭარი მას მიწაზე დემონსტრაციულად დაახეთქებს, კედელს მიარტყამს, ზედ შედგება – ხედავ, არ იმტვრევა! იყიდე, მადამ!

ოქროს რიგი შორიდანვე მოგჭრით თვალს. იმდენნაირი სამკაულია გამოფენილი, რომ მე ნამდვილად ვერასოდეს ვერაფერს ავარჩევ და, ალბათ, ისევ ცისფერ, მინის თვალს ვეცემი, ამბობენ, - ბოროტისგან იფარავსო – კი არ მჯერა, მაგრამ მაინც.

სულ ერთია, რის ყიდვას დააპირებთ - ფირუზის მძივია თუ სუნელები: უნდა ივაჭროთ. სხვა თუ არაფერი, ძალიან სახალისოა. არ იფიქროთ, რომ ამის გამო ვინმე ნაწყენი დარჩება, პატივსაცემი თურქი ვაჭარი თავს არაფრით გაიფუჭებს და მაინც მოგებულია. თქვენ კი ფულსაც დაზოგავთ და გაერთობით კიდეც.

“რა ღირს ეს მძივი?”

“ო,” გპასუხობთ გამყიდველი. “ეს არაჩვეულებრივი მძივია!”

მერე დაგაკვირდებათ და თქვენი მშვენებით დაბრმავებული იტყვის:

“ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ვინმეს ასე მოუხდებოდა,” – უნდა ითქვას, რომ თურქ მამაკაცებს სრულიად მოულოდნელ დროს დამაგდებელი ქათინაურების თქმა ახასიათებთ, თან ისეთი გზნებით, რომ აუცილებლად გესიამოვნებათ.

“და რა ღირს?”

“15 მილიონი”. მიუხედავად იმისა, რომ თანხა შემზარავად ჟღერს, ნუ დაფრთხებით – ერთი დოლარი, დაახლოებით, 1300 000 ჯდება. მაგრამ, მძივი მაინც უნდა მოიხსნათ, ცხადია, ოხვრით.

“შენ რამდენს გადაიხდი?”

“სამს.”

და მერე იწყება დიდი სიყვარული, ჩაის შემოთავაზება, შეძახილები “ზარალ, ზარალ”... გამყიდველი გარწმუნებთ, რომ, თქვენი ღვთაებრივი სილამაზე რომ არა, ამდენს არც ილაპარაკებდა. ბოლოს ხუთ მილიონზე თანხმდებით, გამყიდველი კმაყოფილია და გპირდებათ, - თუ მძივმა არ ივარგა და არ გაგაბედნიერა, ჩამოდი იმ შენი გურჯისტანიდან და აუცილებლად გამოგიცვლიო.

### ჰამამი

რაც არ უნდა დაკავებული იყოთ, სტამბულში ჩაბრძანებულმა თავს პატივი ეცით და ჰამამს ეწვიეთ, თურქულ აბანოს – დიდი სიამოვნება გელით. ჰამამი მთელი ფილოსოფიაა, ფიზიკური და სულიერი განწმენდის საწინდარი. გახსოვთ, აღმოსავლურ ზღაპრებში მზეთუნახავის აღწერის დროს ჰყვებიან, - აბანოდან ახალი გამოსული იყოო? ჰოდა, გარწმუნებთ, ჰამამიდან გამობრძანებულნი ნამდვილი მზეთუნახავები იქნებით, ყოველ შემთხვევაში, თავად ასე გეგონებათ.

ეს სიამოვნება წინკარში, ანუ გასახდელში იწყება. აქ უკვე ძალიან თბილა, რომ ერთბაშად პაპანაქებაში არ ამოჰყოთ თავი – ძირითად დარბაზში დიდი სიცხეა. იქ გახურებულ ფილებზე შეიძლება წამოგორება, რომლებსაც თურქები “მუცლის ქვებს” უწოდებენ. ამ დარბაზებიან ორთქლის ოთახებში გადახვალთ და დასასვენებლად კვლავ თქვენს ქვის საწოლს დაუბრუნდებით.

სათანადოდ გახვითქულს მექისე ჩაგიგდებთ ხელში, მასაჟისტი, რომელიც, სიმართლე რომ ვთქვათ, შავ დღეს დაგაყრით. მერე იბანავებთ დიდხანს, მონდომებით, აუჩქარებლად და ბოლოს პატარა აუზში ჩაძვრებით – არა მგონია, ჩახტომის უნარი შეგრჩეთ.

დასკვნის სახით დასასვენებელ ოთახში ე.წ. კეიფში ამოჰყოფთ თავს. იქ პატარა ჭიქით ჩაის მოგართმევენ და უცებ მიხვდებით, რომ ზღაპრებში სულ ტყუილები წერია: არც ერთი დალაგებული ქალი არ გაცვლის ჰარამხანის ფუფუნებას ბაზრის ბოგანოს სიყვარულზე, თან როცა არც იმის გარანტია არსებობს, რომ ბოგანო მოჯადოებული უფლისწული გამოდგება...

**P.S.** მოგზაურობისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ ორგანიზაცია “ტუიაპს” (h), რომლის წყალობითაც, სამედიცინო აღჭურვილობის საერთაშორისო ბაზრობაზეც აღმოვჩნდი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ჯანმრთელობის ფასი არაფერია.

# კოსტელო წარმოგიდგენთ ლიტერატურას



ელვის კოსტელო ერთხანს მღეროდა, რომ ყოველდღიურად წერდა წიგნებს. როგორც ჩანს, ის მართლაც წერდა და წერს კიდეც. საგამომცემლო სახლის “საიმონ & შუსტერის” წარმომადგენლების განცხადებით, კოსტელოს ავტორობით რიგრიგობით გამოვა ორი წიგნი. პირველი დღის შუქს 2005 წლის შემოდგომაზე იხილავს. როგორც გამომცემლები აცხადებენ, ტექსტი სავსე იქნება კოსტელოს პირადი ნააზრევითა და დაკვირვებებით, რომლებიც მისი სიმღერების თემატიკიდან და პერსონაჟებიდან იღებს სათავეს. მეორე წიგნს ერქმევა “როგორ დავუკრათ გიტარაზე, ვიმღეროთ ხმამაღლა და მოვხიბლოთ გოგოები... ან ბიჭები”. როგორც სათაურიდან ჩანს, ეს იქნება ე.წ. კომიკური ფილოსოფიის ნიმუში.

ასე რომ, მათ, ვისაც კოსტელოს საშუალებით მუსიკალური ინდუსტრიის კულუარებში შეხედვა სურდა, იმედი გაუცრუვდება. მუსიკოსი წიგნებს დაწერს მხოლოდ მათთვის, ვისაც მისი აზრისა და მსოფლმხედველობის გაგება ახლა უკვე წერილობითი მასალით სურს და არა სიმღერით. რაც შეეხება მუსიკას, კოსტელოს ბოლო ალბომი North (“ჩრდილოეთი”) 2003 წლის სექტემბერში გამოვიდა. შარშან მისთვის კიდევ ორი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა: კოსტელომ იქორწინა ჯაზის ცნობილ მომღერალ დაიანა კრალზე და გაწევრიანდა როკ-ენ-როლის დიდების დარბაზში.

სვეტი

# კოტე.GE



კოტე ყუბანეიშვილი

ლექსილა დამრჩა საკვეხნად,
სიტყვად რაც გადმომიცია,
პოეზიაა ამქვეყნად
მუდმივი ოპოზიცია.

და მისი მთელი მიგნება
არის სიმართლე ხალხური,
პოეტი როგორ იქნება
ვინმეს ან რამეს მსახური?!

■ ■ ■

ლურჯია ზღვა და სილა ნაზია,
ნაპირზე დგანან დიდი ნაძვები
და იმნაირი სილამაზეა, რომ
მისი ცქერით ვერც კი გაძღები.

დედაო ღვთისავ, მზე Абхазия,
გამახსენდები და ვილანძღები
და თუ გადავრჩი ომში უვნებლად,
ჩამოვალ მე შენს დასაბრუნებლად.

■ ■ ■

გინების ხარ თუ ღირსი,
გეწოდება ულირსი

■ ■ ■

ქვეყნად თაყვანი არავის სცე
სანანებელი დაგრჩება,
და თუ არ გთხოვეს, არ მისცე
არც მარილი და არც რჩევა.

■ ■ ■

უმოქმედობა ერს რყვნის,
ნება უხდება სუსტი,
მიტომ ყველა ქვეყნის
არჩევანია ზუსტი.

თუმც უძნელდება ზოგს ის,
ამ სიჭრელეში ბაზრის,
ამორჩევას ხომ სწორ გზის,
ქონა ჭირდება აზრის.

■ ■ ■

იმის თქმას რაც სხვებმა იგრძნეს
ჩვენ დავარქმევთ მოკლედ სიბრძნეს.

■ ■ ■

რომ დააკვირდეთ დინჯად,
ამ ჩემ შაყირით ნაწერს,
ნახავთ რა ჩამყვა ხინჯად,
ან გულს რა დარდი მაწევს.

■ ■ ■

სიტყვით მოვაწყვე მე რალი
და ამიტომ ვარ მწერალი,
როდესაც მუზა მეწვევა,
უკვე ვერავინ მეწევა.

სივრცეს ოცნებად ვაკრივარ,
დროის ბორბლებით დავქრივარ,
სწორ გზას მივაგნო რომ რულით,
ახალ ქართული ფორმულით.

■ ■ ■

კალიფორნიის გუბერნატორი,
იყო ოდესღაც ტერმინატორი.

■ ■ ■

არც ხელფასები არც მოსავალი,
როგორ ვიპოვოთ გამოსავალი?!

■ ■ ■

ყოველგვარი ხელოვნება
ამქვეყნად უსარგებლოა,
ეს ერთადერთი ჭეშმარიტებაა,
რაშიც ოსკარ უაილდი არ ცდებოდა.

■ ■ ■

თავს ადვილად ირჩენს შტერი,
თუ უვარგა ვინჩესტერი.

■ ■ ■

ლექსებს დაწერ მაგარს რითი
თუ არ გექნა მაგალითი
სანამ შენ საკუთარს არ ქმნი
რა თქმა უნდა სხვისას თარგმნი.

■ ■ ■

შვილები ხომ ძირს უთხრიან მშობლებს
და სწყურიათ ხშირად სისხლი ძმებს ძმის.
ან საჭმელი რომ აკლიათ ობლებს,
და სიკეთეს ბოროტება ებრძვის.
ყველაფერი ეს ხომ ნიშნავს იმას,
რომ ღრუბელი, გამოიწვევს წვიმას.

■ ■ ■

თქვენ მითხარით, ახალი,
რა უნდა თქვან მგოსნებმა,
ვაჟკაცს შვენის ფარხმალი,
ქალწულს - პატიოსნება.

■ ■ ■

როცა სიტყვა ვიახლე. დაიბადა სიახლე.

■ ■ ■

თვალს როცა დროის ვადევნებ სირბილს,
ასეთი არის ცხოვრების არსი,
რომ შეარიგოს სიცოცხლე სიკვდილს,
ვენერას მუდამ თან ახლავს მარსი.

# საგადასახადო ინსპექცია

## საგადასახადო შემოსავლები

**საშემოსავლო გადასახადი**

*დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი*

1001 დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან
1002 დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან
1003 დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადი არასაბიუჯეტო სექტორიდან

*საშემოსავლო გადასახადი ინდივიდუალური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან*

1004 საშემოსავლო გადასახადი ბაზრის ორგანიზების ფიქსირებული გადასახადიდან ფიზიკური პირის შემთხვევაში
1005 საშემოსავლო გადასახადი პურ-ფუნთუშეულის წარმოებისათვის ფიქსირებული გადასახადიდან ფიზიკური პირის შემთხვევაში
1006 სხვა არაკლასიფიცირებული საშემოსავლო გადასახადი ინდივიდუალური საქმიანობით მიღებული შემოსავლიდან

*საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მიღებული დივიდენდებიდან და*

1007 საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მიღებული დივიდენდებიდან
1008 საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მიღებული პროცენტებიდან
1009 არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი
1010 სხვა არაკლასიფიცირებული საშემოსავლო გადასახადი

### მოგების გადასახადი

*მოგების გადასახადი*

1011 მოგების გადასახადი ბაზრის ორგანიზების ფიქსირებული გადასახადიდან
1012 მოგების გადასახადი პურ-ფუნთუშეულის წარმოებისათვის ფიქსირებული გადასახადიდან
1013 არაკლასიფიცირებული მოგების გადასახადი

*მოგების გადასახადი საწარმოს მიერ მიღებული დივიდენდებიდან და პროცენტებიდან*

1014 მოგების გადასახადი საწარმოს მიერ მიღებული დივიდენდებიდან
1015 მოგების გადასახადი საწარმოს მიერ მიღებული პროცენტებიდან

**დამატებული ღირებულების გადასახადი**

*საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან*

1016 დამატებული ღირებულების გადასახადი ბაზრის ორგანიზების ფიქსირებული გადასახადიდან
1017 დამატებული ღირებულების გადასახადი პურ-ფუნთუშეულის წარმოებისათვის ფიქსირებული გადასახადიდან
1018 დღგ ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებზე (მათ შორის შამპანურზე)
1019 დღგ შემაგრებულ ღვინოებზე
1020 დღგ ვერმუტზე და სხვა ნატურალურ ღვინოებზე, რომლებსაც დამატებული აქვთ მცენარეული ან არომატული ექსტრატები
1021 დღგ ყურძნის ნატურალურ ღვინოებზე
1022 დღგ სხვა დადუღებული სასმელებზე (ვაშლის სიდრი, პერი, თაფლის სასმელი) დადუღებული სასმელების ნარევზე და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევზე.
1023 დღგ ეთილის სპირტზე
1024 დღგ-სპირტიან სასმელებზე, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით
1025 დღგ ვისკიზე
1026 დღგ რომზე და ტაფიაზე
1027 დღგ ჯინზე და ღვინის ნაყენზე
1028 დღგ ლიქიორზე და ტკბილ ნაყენებზე
1029 დღგ სხვა სპირტიან სასმელებზე
1030 დღგ ლუდზე
1031 დღგ- სიგარილაზე და სხვა ფილტრიან სიგარეტზე
1032 დღგ თამბაქოს სხვა ნაწარმზე (თამბაქოს ნედლეულის გარდა)
1033 დღგ მსუბუქ ავტომობილებზე
1034 დღგ ქვანახშირის ფისის მაღალი ტემპერატურით გამოხდისას მიღებულ ზეთებზე და სხვა პროდუქტებზე
1035 დღგ ბუნებრივი გაზის კონდესატზე, გარდა მილსადენისა
1036 დღგ საავტომობილო ბენზინზე
1037 დღგ ნავთობის სხვა მსუბუქ დისტილატებზე
1038 დღგ ნავთზე
1039 დღგ ნავთობის სხვა საშუალო დისტილატებზე
1040 დღგ დიზელის საწვავზე
1041 დღგ ნავთობის სხვა მძიმე დისტილატებზე
1042 დღგ ნავთობის სხვა აირებზე და აირისებრი ნახშირწყალბადებზე
1043 დღგ ნედლი ნავთობისაგან და ბითომინოზური მინერალებისაგან მიღებულ სხვა ნავთობპროდუქტებზე
1044 დღგ პიროლიზის თხევად პროდუქტზე
1045 დღგ მისართზე, გამხსნელზე, ანტიდეტონატორზე
1046 დღგ სხვა აქციზურ პროდუქციაზე
1047 სხვა არაკლასიფიცირებული დღგ-ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან

### აქციზი

*საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციიდან*

1048 აქციზის გადასახადი ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებზე (მათ შორის შამპანურზე)
1049 აქციზის გადასახადი შემაგრებულ ღვინოებზე
1050 აქციზის გადასახადი ვერმუტზე და სხვა ნატურალურ ღვინოებზე, რომლებსაც დამატებული აქვთ მცენარეული ან არომატული ექსტრატები
1051 აქციზის გადასახადი ყურძნის ნატურალურ ღვინოებზე
1052 აქციზის გადასახადი სხვა დადუღებული სასმელებზე (ვაშლის სიდრი, პერი, თაფლის სასმელი) დადუღებული სასმელების ნარევზე და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევზე.
1053 აქციზის გადასახადი ეთილის სპირტზე
1054 აქციზის გადასახადი სპირტიან სასმელებზე, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით
1055 აქციზის გადასახადი ვისკიზე
1056 აქციზის გადასახადი რომზე და ტაფიაზე
1057 აქციზის გადასახადი ჯინზე და ღვინის ნაყენზე
1058 აქციზის გადასახადი ლიქიორზე და ტკბილ ნაყენებზე
1059 აქციზის გადასახადი სხვა სპირტიან სასმელებზე
1060 აქციზის გადასახადი ლუდზე
1061 აქციზის გადასახადი სიგარილაზე და ფილტრიან სიგარეტზე
1062 აქციზის გადასახადი თამბაქოს სხვა ნაწარმზე (თამბაქოს ნედლეულის გარდა)
1063 აქციზის გადასახადი მსუბუქ ავტომობილებზე
1064 აქციზის გადასახადი ქვანახშირის ფისის მაღალი ტემპერატურით გამოხდისას მიღებულ ზეთებზე და სხვა პროდუქტებზე
1065 აქციზის გადასახადი ბუნებრივი გაზის კონდესატზე, გარდა მილსადენისა
1066 აქციზის გადასახადი საავტომობილო ბენზინზე
1067 აქციზის გადასახადი ნავთობის სხვა მსუბუქ დისტილატებზე
1068 აქციზის გადასახადი ნავთზე
1069 აქციზის გადასახადი ნავთობის სხვა საშუალო დისტილატებზე
1070 აქციზის გადასახადი დიზელის საწვავზე
1071 აქციზის გადასახადი ნავთობის სხვა მძიმე დისტილატებზე
1072 აქციზის გადასახადი ნავთობის სხვა აირებზე და აირისებრი ნახშირწყალბადებზე
1073 აქციზის გადასახადი ნედლი ნავთობისაგან და ბითომინოზური მინერალებისაგან მიღებულ სხვა ნავთობპროდუქტებზე
1074 აქციზის გადასახადი პიროლიზის თხევად პროდუქტზე
1075 აქციზის გადასახადი მისართზე, გამხსნელზე, ანტიდეტონატორზე
1076 აქციზის გადასახადი სხვა არაკლასიფიცირებულ აქციზურ პროდუქციაზე

### ქონების გადასახადი

*ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი*

1077 არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული უძრავი ქონების გადასახადი
1078 ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების გადასახადი
1079 სხვა არაკლასიფიცირებული ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი
1080 საწარმოთა ქონების გადასახადი
1081 სხვა არაკლასიფიცირებული ქონების გადასახადი

**გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის**

1082 გადასახადი წიაღით სარგებლობისათვის
1083 გადასახადი ტყის ფონდის ზეზეური ხეების მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის
1084 გადასახადი გარემოდან ამოღებული მცენარეული რესურსებით სარგებლობისათვის
1085 გადასახადი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის
1086 გადასახადი ცხოველთა სამყაროს რესურსებით (ობიექტებით) სარგებლობისათვის
1087 სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის

**გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის**

*გადასახადი ატმოსფეროში გამოფრქვეულ (წყალში ჩაშვებულ) მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის*

1088 გადასახადი სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გამოფრქვევისათვის
1089 გადასახადი წყლის ობიექტებში მავნე ნივთიერებათა ჩაშვებისათვის
1090 სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი ატმოსფეროში გამოფრქვეულ (წყალში ჩაშვებულ) მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის

*იმპორტირებული, აგრეთვე საქართველოში წარმოებული და მიწოდებული ნავთობპროდუქტების, თხევადი და ბუნებრივი აირის (გარდა საქონლის საწარმოებლად ნედლეულის სახით გამოყენებული ბუნებრივი აირისა) გადასახადი*

1091 გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის ბენზინზე
1092 გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის დიზელის საწვავზე
1093 გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის ნავთზე
1094 გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის მაზუთზე
1095 გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის თხევად აირზე
1096 გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის ბუნებრივ აირზე
1097 სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის

**გადასახადი ქონების გადაცემისათვის**

1098 გადასახადი უძრავი ქონების გადაცემისათვის
1099 გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაცემისათვის
1100 მემკვიდრეობისა და ჩუქების გადასახადი
1101 სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი ქონების გადაცემისათვის

**ფიქსირებული გადასახადი**

1102 ფიქსირებული გადასახადი

**მცირე ბიზნესის გადასახადი**

1103 მცირე ბიზნესის გადასახადი

**სათამაშო ბიზნესის გადასახადი**

1104 სათამაშო ბიზნესის გადასახადი თითოეული სათამაშო აპარატიდან
1105 სათამაშო ბიზნესის გადასახადი სამორინეს თითოეული სათამაშო მაგიდიდან
1106 სათამაშო ბიზნესის გადასახადი ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს თითოეული სალაროდან
1107 სათამაშო ბიზნესის გადასახადი ლატარიის მოწყობიდან (ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან)
1108 სათამაშო ბიზნესის გადასახადი თითოეული წამახალისებელი გათამაშებიდან
1109 სათამაშო ბიზნესის გადასახადი სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან
1110 სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი სათამაშო ბიზნესიდან

**საკურორტო გადასახადი**

1111 საკურორტო გადასახადი

**სასტუმროს გადასახადი**

1112 სასტუმროს გადასახადი

**რეკლამის გადასახადი**

1113 რეკლამის გადასახადი

**გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის**

1114 გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის

**მიწის გადასახადი**

*სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი*

1115 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი ფიზიკური პირებიდან
1116 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი იურიდიული პირებიდან

*არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი*

1117 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი ფიზიკური პირებიდან
1118 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი იურიდიული პირებიდან

**ჯარიმები მოსახლეობასთან ფულადი ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში**

1119 (ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავალი ჯარიმებიდან მოსახლეობასთან ფულადი ანგარიშსწორებისას საკონტროლო- სალარო აპარატების გამოყენების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში
1120 ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტის შემოსავალი ჯარიმებიდან მოსახლეობასთან ფულადი ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში

**სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი**

1121 სხვა არაკლასიფიცირებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი
1122 სხვა არაკლასიფიცირებული ადგილობრივი გადასახადი

**საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (სოციალური დაზღვევის გადასახადი)**

*დამქირავებლის სოციალური დაზღვევის გადასახადი*

1123 დამქირავებლის სოციალური დაზღვევის გადასახადი ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან
1124 დამქირავებლის სოციალური დაზღვევის გადასახადი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან
1125 დამქირავებლის სოციალური დაზღვევის გადასახადი არასაბიუჯეტო სექტორიდან

*ფიზიკური პირების სოციალური დაზღვევის გადასახადი*

1126 დამქირავებლის სოციალური დაზღვევის გადასახადი ცენტრალური ბიუჯეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან
1127 დამქირავებლის სოციალური დაზღვევის გადასახადი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან
1128 დამქირავებლის სოციალური დაზღვევის გადასახადი არასაბიუჯეტო სექტორიდან
1129 სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში

**სახელმწიფო საგზაო ფონდი**

*გადასახადი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის*

1130 გადასახადი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის ბაზრის ორგანიზების ფიქსირებული გადასახადიდან
1131 გადასახადი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის პურ-ფუნთუშეულის წარმოებისათვის ფიქსირებული გადასახადიდან
1132 არაკლასიფიცირებული გადასახადი საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის

*ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი*

1133 ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი მსუბუქ ავტომობილებზე
1134 ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი ავტობუსებზე
1135 ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი სატვირთო ავტომობილებზე
1136 სხვა არაკლასიფიცირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი

*გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის და ზენორმატიული დატვირთვისათვის*

1137 გადასახადი ზენორმატიული დატვირთვისათვის ქვეყნის შიგნით გადაადგილებისას
1138 სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი სახელმწიფო საგზაო ფონდში

## საბაჟო დეპარტამენტი

**საგადასახადო შემოსავლები**

**დამატებული ღირებულების გადასახადი**

*დღგ იმპორტირებული პროდუქციიდან*

2001 დღგ ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებზე (მათ შორის შამპანურზე)
2002 დღგ შემაგრებულ ღვინოებზე
2003 დღგ ვერმუტზე და სხვა ნატურალურ ღვინოებზე, რომლებსაც დამატებული აქვთ მცენარეული ან არომატული ექსტრატები
2004 დღგ ყურძნის ნატურალურ ღვინოებზე
2005 დღგ სხვა დადუღებული სასმელებზე (ვაშლის სიდრი, პერი, თაფლის სასმელი) დადუღებული სასმელების ნარევი და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევი).
2006 დღგ ეთილის სპირტზე
2007 დღგ სპირტიან სასმელებზე, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით
2008 დღგ ვისკზე
2009 დღგ რომზე და ტაფიაზე
2010 დღგ ჯინზე და ღვინის ნაყენზე
2011 დღგ ლიქიორზე და ტკბილ ნაყენებზე
2012 დღგ- სხვა სპირტიან სასმელებზე
2013 დღგ ლუდზე
2014 დღგ სიგარილაზე და ფილტრიან სიგარეტზე
2015 დღგ თამბაქოს სხვა ნაწარმზე (თამბაქოს ნედლეულის გარდა)
2016 დღგ მსუბუქ ავტომობილებზე
2017 დღგ ქვანახშირის ფისის მაღალი ტემპერატურით გამოხდისას მიღებულ ზეთებზე და სხვა პროდუქტებზე
2018 დღგ ბუნებრივი გაზის კონდესატზე, გარდა მილსადენისა
2019 დღგ საავტომობილო ბენზინზე
2020 დღგ ნავთობის სხვა მსუბუქ დისტილატებზე
2021 დღგ ნავთზე
2022 დღგ ნავთობის სხვა საშუალო დისტილატებზე
2023 დღგ დიზელის საწვავზე
2024 დღგ ნავთობის სხვა მძიმე დისტილატებზე
2025 დღგ ნავთობის სხვა აირებზე და აირისებრ ნახშირწყალბადებზე
2026 დღგ ნედლი ნავთობისაგან და ბითომინოზური მინერალებისაგან მიღებულ სხვა ნავთობპროდუქტებზე
2027 დღგ პიროლიზის თხევად პროდუქტზე
2028 დღგ მისართზე, გამხსნელზე, ანტიდეტონატორზე
2029 დღგ სხვა აქციზურ პროდუქციაზე
2030 დღგ ცოცხალ ცხოველებზე
2031 დღგ ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე
2032 დღგ ხორბალზე
2033 დღგ სხვა მცენარეული წარმოშობის პროდუქტებზე
2034 დღგ ცხიმებზე, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ზეთებზე
2035 დღგ შაქარზე
2036 დღგ საკონდიტრო ნაწარმზე
2037 დღგ ფქვილზე
2038 დღგ ფქვილ-ბურღულეულის ნაწარმზე
2039 დღგ უალკოჰოლო სასმელებზე, მინერალურ წყლებზე
2040 დღგ კვების სხვა მზა პროდუქტებზე
2041 დღგ მინერალურ პროდუქტებზე (გარდა საწვავისა)
2042 დღგ ფარმაცევტულ პროდუქციაზე
2043 დღგ სარეცხი საშუალებებზე. (საპონი, შამპუნი, სხვა)
2044 დღგ ფოტო და კინომასალებზე, გადაღების საშუალებებზე
2045 დღგ სხვა ქიმიურ პროდუქტებზე
2046 დღგ პოლიმერული ნაწარმზე, პლასტმასზე და მისგან დამზადებულ ნაკეთობებზე.
2047 დღგ კაუჩუკზე, რეზინზე და მათგან დამზადებული ნაწარმზე
2048 დღგ დაუმუშავებელ და დამუშავებულ ტყავზე, მათ ნაწარმზე
2049 დღგ ქაღალდზე, მუყაოზე, მათ ნაწარმზე
2050 დღგ წიგნებზე, გაზეთებზე, ჟურნალებზე, სხვა პოლიგრაფიულ და ბეჭდვით პროდუქციაზე
2051 დღგ ტექსტილზე და ტექსტილის ნაწარმზე
2052 დღგ ტანსაცმელზე და ფეხსაცმელზე
2053 დღგ ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის, კერამიკის, მინის ნაკეთობებზე და მინაზე
2054 დღგ შავ ლითონზე
2055 დღგ შავი ლითონის ნაწარმზე
2056 დღგ სპილენძზე და მის ნაწარმზე
2057 დღგ ნიკელზე და მის ნაწარმზე
2058 დღგ ალუმინზე და მის ნაწარმზე
2059 დღგ ტყვიაზე და მის ნაწარმზე
2060 დღგ თუთიაზე და მის ნაწრმზე
2061 დღგ კალაზე და მის ნაწარმზე
2062 დღგ სხვა არაძვირფას ლითონებზე და მათ ნაწარმზე
2063 დღგ ელექტრული მანქანებზე, მოწყობილობებზე და მათ ნაწილებზე.
2064 დღგ ჩამწერ აპარატურასა და მათ ნაწილებზე
2065 დღგ რკინიგზის ტრანსპორტის საშუალებებსა და მათ მოწყობილობებზე
2066 დღგ სხვა მიწისზედა ტრანსპორტის საშუალებებზე
2067 დღგ ავტოსათადარიგო ნაწილებზე
2068 დღგ- საფრენი აპარატებსა და მათ ნაწილებზე
2069 დღგ გემებზე, ნავებზე და სხვა საცურაო საშუალებებზე
2070 დღგ ოპტიკურ, ფოტო და კინემატოგრაფიულ, საზომ, საკონტროლო და სხვა აპარატურაზე და მოწყობილობებზე
2071 დღგ სამედიცინო და ქირურგიულ ინსტრუმენტებსა და აპარატურაზე
2072 დღგ საათებსა და მათ ნაწილებზე
2073 დღგ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, მათი ნაწილებსა და საკუთნოებზე
2074 დღგ იარაღზე და საბრძოლო მასალებზე
2075 დღგ ყველა სახის ავეჯზე
2076 დღგ ასაწყობ სამშენებლო კონსტრუქციებზე
2077 დღგ სათამაშოებზე, სპორტულ ინვენტარზე, მათ ნაწილებსა და საკუთნოებზე
2078 დღგ სხვადასხვა მზა ნაწარმზე
2079 დღგ ხელოვნების ნიმუშებზე, ანტიკვარულ და საკოლექციო საგნებზე
2080 დღგ ელექტროენერგიაზე
2081 დღგ სხვა არაკლასიფიცირებულ საქონელზე **აქციზი**

*აქციზი იმპორტირებული პროდუქციიდან*

2082 აქციზის გადასახადი ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებზე (მათ შორის შამპანურზე)
2083 აქციზის გადასახადი შემაგრებულ ღვინოებზე
2084 აქციზის გადასახადი ვერმუტზე და სხვა ნატურალურ ღვინოებზე, რომლებსაც დამატებული აქვთ მცენარეული ან არომატული ექსტრატები
2085 აქციზის გადასახადი ყურძნის ნატურალურ ღვინოებზე
2086 აქციზის გადასახადი სხვა დადუღებული სასმელებზე (ვაშლის სიდრი, პერი, თაფლის სასმელი) დადუღებული სასმელების ნარევი და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევი).
2087 აქციზის გადასახადი ეთილის სპირტზე
2088 აქციზის გადასახადი სპირტიან სასმელებზე, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით
2089 აქციზის გადასახადი ვისკზე
2090 აქციზის გადასახადი რომზე და ტაფიაზე
2091 აქციზის გადასახადი ჯინზე და ღვინის ნაყენზე
2092 აქციზის გადასახადი ლიქიორზე და ტკბილ ნაყენებზე
2093 აქციზის გადასახადი სხვა სპირტიან სასმელებზე
2094 აქციზის გადასახადი ლუდზე
2095 აქციზის გადასახადი სიგარილაზე და ფილტრიან სიგარეტზე
2096 აქციზის გადასახადი თამბაქოს ნაწარმზე (თამბაქოს ნედლეულის გარდა)
2097 აქციზის გადასახადი მსუბუქ ავტომობილებზე
2098 აქციზის გადასახადი ქვანახშირის ფისის მაღალი ტემპერატურით გამოხდისას მიღებულ ზეთებზე და სხვა პროდუქტებზე
2099 აქციზის გადასახადი ბუნებრივი გაზის კონდესატზე, გარდა მილსადენისა
2100 აქციზის გადასახადი საავტომობილო ბენზინზე
2101 აქციზის გადასახადი ნავთობის სხვა მსუბუქ დისტილატებზე
2102 აქციზის გადასახადი ნავთზე
2103 აქციზის გადასახადი ნავთობის სხვა საშუალო დისტილატებზე
2104 აქციზის გადასახადი დიზელის საწვავზე
2105 აქციზის გადასახადი ნავთობის სხვა მძიმე დისტილატებზე
2106 აქციზის გადასახადი ნავთობის სხვა აირებზე და აირისებრ ნახშირწყალბადებზე
2107 აქციზის გადასახადი ნედლი ნავთობისაგან და ბითომინოზური მინერალებისაგან მიღებულ სხვა ნავთობპროდუქტებზე
2108 აქციზის გადასახადი პიროლიზის თხევად პროდუქტზე
2109 აქციზის გადასახადი მისართზე, გამხსნელზე, ანტიდეტონატორზე
2110 აქციზის გადასახადი სხვა აქციზურ პროდუქციაზე

### საბაჟო გადასახადი

*საბაჟო გადასახადი აქციზურ პროდუქციაზე*

2111 საბაჟო გადასახადი ცქრიალა და შუშხუნა ღვინოებზე (მათ შორის შამპანურზე)
2112 საბაჟო გადასახადი შემაგრებულ ღვინოებზე
2113 საბაჟო გადასახადი ვერმუტზე და სხვა ნატურალურ ღვინოებზე, რომლებსაც დამატებული აქვთ მცენარეული ან არომატული ექსტრატები
2114 საბაჟო გადასახადი ყურძნის ნატურალურ ღვინოებზე
2115 საბაჟო გადასახადი სხვა დადუღებული სასმელებზე (ვაშლის სიდრი, პერი, თაფლის სასმელი) დადუღებული სასმელების ნარევი და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევი).
2116 საბაჟო გადასახადი ეთილის სპირტზე
2117 საბაჟო გადასახადი სპირტიან სასმელებზე, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით
2118 საბაჟო გადასახადი ვისკზე
2119 საბაჟო გადასახადი რომზე და ტაფიაზე
2120 საბაჟო გადასახადი ჯინზე და ღვინის ნაყენზე
2121 საბაჟო გადასახადი ლიქიორზე და ტკბილ ნაყენებზე
2122 საბაჟო გადასახადი სხვა სპირტიან სასმელებზე
2123 საბაჟო გადასახადი ლუდზე
2124 საბაჟო გადასახადი სიგარილაძე და ფილტრიან სიგარეტზე
2125 საბაჟო გადასახადი თამბაქოს ნაწარმზე (თამბაქოს ნედლეულის გარდა)
2126 საბაჟო გადასახადი მსუბუქ ავტომობილებზე
2127 საბაჟო გადასახადი ქვანახშირის ფისის მაღალი ტემპერატურით გამოხდისას მიღებულ ზეთებზე და სხვა პროდუქტებზე
2128 საბაჟო გადასახადი ბუნებრივი გაზის კონდესატზე, გარდა მილსადენისა
2129 საბაჟო გადასახადი საავტომობილო ბენზინზე
2130 საბაჟო გადასახადი ნავთობის სხვა მსუბუქ დისტილატებზე
2131 საბაჟო გადასახადი ნავთზე
2132 საბაჟო გადასახადი ნავთობის სხვა საშუალო დისტილატებზე
2133 საბაჟო გადასახადი დიზელის საწვავზე
2134 საბაჟო გადასახადი ნავთობის სხვა მძიმე დისტილატებზე
2135 საბაჟო გადასახადი ნავთობის სხვა აირებზე და აირისებრ ნახშირწყალბადებზე
2136 საბაჟო გადასახადი ნედლი ნავთობისაგან და ბითომინოზური მინერალებისაგან მიღებულ სხვა ნავთობპროდუქტებზე
2137 საბაჟო გადასახადი პიროლიზის თხევად პროდუქტზე
2138 საბაჟო გადასახადი მისართზე, გამხსნელზე, ანტიდეტონატორზე
2139 საბაჟო გადასახადი სხვა აქციზურ პროდუქციაზე
2140 საბაჟო გადასახადი ცოცხალ ცხოველებზე
2141 საბაჟო გადასახადი ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე

*საბაჟო გადასახადი მცენარეული წარმოშობის პროდუქტებზე*

2142 საბაჟო გადასახადი ხორბალზე
2143 საბაჟო გადასახადი სხვა მცენარეული წარმოშობის პროდუქტებზე
2144 საბაჟო გადასახადი ცხიმებზე, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ზეთებზე

*საბაჟო გადასახადი კვების მზა პროდუქტებზე*

2145 საბაჟო გადასახადი შაქარზე
2146 საბაჟო გადასახადი საკონდიტრო ნაწარმზე
2147 საბაჟო გადასახადი ფქვილზე
2148 საბაჟო გადასახადი ფქვილ-ბურღულეულის ნაწარმზე
2149 საბაჟო გადასახადი უალკოჰოლო სასმელებზე, მინერალურ წყლებზე
2150 საბაჟო გადასახადი კვების სხვა მზა პროდუქტებზე
2151 საბაჟო გადასახადი მინერალურ პროდუქტებზე (გარდა საწვავისა)

*საბაჟო გადასახადი ქიმიური მრეწველობის და მასთან დაკავშირებულ პროდუქტებზე*

2152 საბაჟო გადასახადი ფარმაცევტულ პროდუქციაზე
2153 საბაჟო გადასახადი სარეცხი საშუალებებზე. (საპონი, შამპუნი, სხვა)
2154 საბაჟო გადასახადი ფოტო და კინომასალებზე, გადაღების საშუალებებზე
2155 საბაჟო გადასახადი სხვა ქიმიურ პროდუქტებზე
2156 საბაჟო გადასახადი პოლიმერული ნაწარმზე, პლასტმასზე და მისგან დამზადებულ ნაკეთობებზე.
2157 საბაჟო გადასახადი კაუჩუკზე, რეზინზე და მათგან დამზადებული ნაწარმზე
2158 საბაჟო გადასახადი დაუმუშავებელ და დამუშავებულ ტყავზე, მათ ნაწარმზე
2159 საბაჟო გადასახადი ქაღალდზე, მუყაოზე, მათ ნაწარმზე
2160 საბაჟო გადასახადი წიგნებზე, გაზეთებზე, ჟურნალებზე, სხვა პოლიგრაფიულ და ბეჭდვით პროდუქციაზე
2161 საბაჟო გადასახადი ტექსტილზე და ტექსტილის ნაწარმზე
2162 საბაჟო გადასახადი ტანსაცმელზე და ფეხსაცმელზე
2163 საბაჟო გადასახადი ქვის, თაბაშირის, ცემენტის, აზბესტის, კერამიკის, მინის ნაკეთობებზე და მინაზე

*საბაჟო გადასახადი არაძვირფას ლითონებზე და მათ ნაკეთობებზე*

2164 საბაჟო გადასახადი შავ ლითონზე
2165 საბაჟო გადასახადი შავი ლითონის ნაწარმზე
2166 საბაჟო გადასახადი სპილენძზე და მის ნაწარმზე
2167 საბაჟო გადასახადი ნიკელზე და მის ნაწარმზე
2168 საბაჟო გადასახადი ალუმინზე და მის ნაწარმზე
2169 საბაჟო გადასახადი ტყვიაზე და მის ნაწარმზე
2170 საბაჟო გადასახადი თუთიაზე და მის ნაწრმზე
2171 საბაჟო გადასახადი კალაზე და მის ნაწარმზე
2172 საბაჟო გადასახადი სხვა არაძვირფას ლითონებზე და მათ ნაწარმზე
2173 საბაჟო გადასახადი ელექტრულ მანქანებზე, მოწყობილობებზე და მათ ნაწილებზე.
2174 საბაჟო გადასახადი ჩამწერ აპარატურასა და მათ ნაწილებზე

*საბაჟო გადასახადი სატრანსპორტო საშუალებებზე და მასთან დაკავშირებულ*

2175 საბაჟო გადასახადი რკინიგზის ტრანსპორტის საშუალებებსა და მათ მოწყობილობებზე
2176 საბაჟო გადასახადი სხვა მიწისზედა ტრანსპორტის საშუალებებზე
2177 საბაჟო გადასახადი ავტოსათადარიგო ნაწილებზე
2178 საბაჟო გადასახადი საფრენ აპარატებსა და მათ ნაწილებზე
2179 საბაჟო გადასახადი გემებზე, ნავებზე და სხვა საცურაო საშუალებებზე
2180 საბაჟო გადასახადი ოპტიკურ, ფოტო და კინემატოგრაფიულ, საზომ, საკონტროლო და სხვა აპარატურაზე და მოწყობილობებზე
2181 საბაჟო გადასახადი სამედიცინო და ქირურგიულ ინსტრუმენტებსა და აპარატურაზე
2182 საბაჟო გადასახადი საათებსა და მათ ნაწილებზე
2183 საბაჟო გადასახადი მუსიკალურ ინსტრუმენტებზე, მათი ნაწილებსა და საკუთნოებზე
2184 საბაჟო გადასახადი იარაღზე და საბრძოლო მასალებზე
2185 საბაჟო გადასახადი ყველა სახის ავეჯზე
2186 საბაჟო გადასახადი ასაწყობ სამშენებლო კონსტრუქციებზე
2187 საბაჟო გადასახადი სათამაშოებზე, სპორტულ ინვენტარზე, მათ ნაწილებსა და საკუთნოებზე
2188 საბაჟო გადასახადი სხვადასხვა მზა ნაწარმზე
2189 საბაჟო გადასახადი ხელოვნების ნიმუშებზე, ანტიკვარულ და საკოლექციო საგნებზე
2190 საბაჟო გადასახადი ელექტროენერგიაზე
2191 საბაჟო გადასახადი სხვა არაკლასიფიცირებულ საქონელზე

**მსუბუქი ავტომანქანების იმპორტის ფიქსირებული გადასახადი**

2192 მსუბუქი ავტომანქანების იმპორტის ფიქსირებული გადასახადი

**ფიქსირებული გადასახადი სიგარილასა და ფილტრიანი სიგარეტის იმპორტზე**

2193 ფიქსირებული გადასახადი სიგარილასა და ფილტრიანი სიგარეტის იმპორტზე

**სახელმწიფო საგზაო ფონდი**

*გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის და ზენორმატიული დატვირთვისათვის*

2194 გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის
2195 გადასახადი ზენორმატიული დატვირთვისათვის და ზედმეტი წონისათვის საქართველოს საზღვრის გადმოკვეთისას

**დეპოზიტები**

**დეპოზიტები საბაჟოს კუთხით**

2000 დეპოზიტები საბაჟოს კუთხით

## არასაგადასახადო შემოსავლები

**მოსაკრებლები**

3001 საბაჟო მოსაკრებლები

*სალიცენზიო მოსაკრებლები*

3002 მოსაკრებელი სადაზღვევო საქმიანობის და დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის ლიცენზირებიდან
3003 მოსაკრებელი საბანკო და არა საბანკო სადეპოზიტო საქმიანობის, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის ლიცენზირებიდან
3004 მოსაკრებელი ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების, აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის ლიცენზირებიდან
3005 მოსაკრებელი სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირებიდან გადახდევინებული ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ
4001 მოსაკრებელი სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირებიდან გადახდევინებული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ
3006 მოსაკრებელი საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირებიდან გადახდევინებული ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ
4002 მოსაკრებელი საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირებიდან გადახდევინებული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ
3007 მოსაკრებელი აღმზრდელობით-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის ლიცენზირებიდან
3008 მოსაკრებელი აუდიტორული საქმიანობის ლიცენზირებიდან
3009 მოსაკრებელი მეტროლოგიური და გაზომვათა საშუალებების წარმოება და შეკეთების ლიცენზირებიდან
3010 მოსაკრებელი იარაღისა და საბრძოლო მასალების დამზადება, შეკეთება და მათით ვაჭრობის ლიცენზირებიდან
3011 მოსაკრებელი საზღვაო სამგზავრო გადაყვანის ლიცენზირებიდან გადახდევინებული ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ
4003 მოსაკრებელი საზღვაო სამგზავრო გადაყვანის ლიცენზირებიდან გადახდევინებული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ
3012 მოსაკრებელი საბაჟო ბროკერისა და საბაჟო გადამზიდველის საქმიანობის ლიცენზირებიდან
3013 მოსაკრებელი ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზირებიდან
3014 მოსაკრებელი ალკოჰოლიანი სასმელების და ეთილის სპირტის წარმოების ლიცენზირებიდან გადახდევინებული ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ
4004 მოსაკრებელი ალკოჰოლიანი სასმელების და ეთილის სპირტის წარმოების ლიცენზირებიდან გადახდევინებული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ
3015 მოსაკრებელი ლუდის, უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის, მათ შორის მინერალური წყლის, სასაქონლო პროდუქციის წარმოების ლიცენზირებიდან გადახდევინებული ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ
4005 მოსაკრებელი ლუდის, უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის, მათ შორის მინერალური წყლის, სასაქონლო პროდუქციის წარმოების ლიცენზირებიდან გადახდევინებული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ
3016 მოსაკრებელი ყველა სხვა სახის კვების (მათ შორის, ბავშვთა კვების) პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების ლიცენზირებიდან გადახდევინებული ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ
4006 მოსაკრებელი ყველა სხვა სახის კვების (მათ შორის, ბავშვთა კვების) პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების ლიცენზირებიდან გადახდევინებული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ
3017 მოსაკრებელი ელექტროენერგიის და ბუნებრივი გაზისწარმოება, (`ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ~ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მნიშვნელობით) გადაცემა, დისპეჩერიზაცია, განაწილება, ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი, რეიმპ
3018 მოსაკრებელი კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის ლიცენზირებიდან
3019 მოსაკრებელი ვეტერინარიის, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში საქმიანობის ლიცენზირებიდან
3020 მოსაკრებელი ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობა, ნავთობის გადამუშავება, გაზის დამუშავება, ნავთობის, გაზის ან/და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების ("ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში) ლიცენზირებიდან
3021 მოსაკრებელი საშემფასებლო საქმიანობის ლიცენზირებიდან გადახდევინებული ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ
4007 მოსაკრებელი საშემფასებლო საქმიანობის ლიცენზირებიდან გადახდევინებული ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ
3022 მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის (გარდა ნავთობისა და გაზის, მიწის რესურსებითა და ტყით სარგებლობისა) ლიცენზირებიდან გადახდევინებული ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ
*სხვა საგარეო სესხები*

**3278** ცენტრალური ბიუჯეტის სხვა საგარეო სესხები
**4128** ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების სხვა საგარეო სესხები
**3279** ლიკვიდურობის მიზნით არსებული ნაღდი ფულისა და დეპოზიტების ნაშთების ცვლილება

**დეპოზიტები**
**სხვა დეპოზიტები**

**3000** სხვა დეპოზიტები

## საგადახდო დავალების შევსების წესი:

ბიუჯეტის შემოსულობის ჩასარიცხად ბანკში წარსადგენ საგადახდო დავალებაში სავალდებულოა შემდეგი რეკვიზიტების მითითება:

საგადახდო დავალების ნომერი

საგადახდო დავალების შევსების თარიღი

"გადამხდელის დასახელება" - გადამხდელი ფიზიკური ან იურიდიული პირის სრული დასახელება.

"საიდენტიფიკაციო კოდი" - გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი.

"ანგარიში (დებეტი)" - გადამხდელის ანგარიში.

"გადამხდელის ბანკი" - გადამხდელის ბანკის დასახელება.

"ბანკის კოდი" - ეროვნული ბანკის მიერ მინიჭებული გადამხდელის ბანკის ან ბანკის ფილიალის კოდი.

"მიმღების დასახელება" - შესაბამისი სატრანზიტო ანგარიშის დასახელება (მაგ.: ვაკე-საბურთალოს საგადასახადო ინსპექციის სატრანზიტო ანგარიში; წყალტუბოს რაიონის არასაგადასახადო შემოსულობების სატრანზიტო ანგარიში);

"საიდენტიფიკაციო კოდი" - შესაბამისი საგადასახადო ინსპექციის ან რეგიონალური საბაჟოს საიდენტიფიკაციო კოდი **(არასაგადასახდო შემოსულობების გადახდის შემთხვევაში საიდენტიფიკაციო კოდი არ უნდა იქნეს მითითებული)**.

"ანგარიში (კრედიტი)" - შესაბამისი სატრანზიტო ანგარიშის ნომერი;

"მიმღების ბანკი" - საქართველოს ეროვნული ბანკი

"ბანკის კოდი" - 220101107

*"ბიუჯეტის შემოსულობის სახაზინო კოდი" - საქართველოს ფინანსთა მინისტრის **N?** ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობის სახაზინო კოდი, რომელიც ბიუჯეტის შემოსულობის გადახდის დროს აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული *****.

"გადახდის დანიშნულება" - გადახდილი თანხის დანიშნულება (უნდა შეესაბამებოდეს "სახაზინო კოდი"-ს ველში მითითებული კოდის შესაბამისი სრულ დასახელებას).

"დამატებითი ინფორმაცია" - სარეზერვო ველი. (არასაგადასახადო შემოსავლის შემთხვევაში, ამ ველში მიეთითება იმ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების საქვეუწყებო დაწესებულებების დასახელება, რომელთა მიერ გაწეული სახელმწიფო მომსახურეობისათვის გადაიხდევინება საფასური).

"თანხა" - გადასახდელი თანხა ციფრებით.

"თანხა სიტყვებით" - თანხის სიტყვიერი მითითება.

18**. "ბანკში შემოსვლის თარიღი" - გადამხდელის მიერ საგადახდო დავალების ბანკში წარდგენის თარიღი.

19***. "გატარებულია ბანკის მიერ" - საგადახდო დავალების ბანკში გატარების თარიღი.

*** ბიუჯეტის შემოსულობის სახაზინო კოდის მიუთითებლობის შემთხვევაში გადარიცხვა ეროვნული ბანკის მიერ იქნება უკან დაბრუნებული. კოდის შეცდომით შევსების შემთხვევაში მოხდება შემოსულობის (გადასახადის ან არასაგადასახადო შემოსავლის) იმ სახეში აღრიცხვა, რომლის სახაზინო კოდიც იქნა მითითებული, რაც გამოიწვევს გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობას.**

**** უთითებს კომერციული ბანკი**

***** უთითებს ეროვნული ბანკი**







## საქართველოს ეროვნულ ბანკის საოპერაციო სამმართველოში ბიუჯეტების შემოსულობებისათვის გახსნილი სატრანზიტო ანგარიშები /ბანკის კოდი 220101107/

### 1. ტერიტორიული ერთეულებისათვის ბიუჯეტის შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშები"

| # | ტერიტორიული ერთეულის დასახელება | სატრანზიტო ანგარიშის ნომერი | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | საგადასახადო ინსპექციისათვის | მსხვილ გადამხდელთა ინსპექციისათვის | აქციზის გადამხდელთა ინსპექციისათვის | არასაგადასახადო შემოსულობებისათვის |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1. | გლდანი-ნაძალადევი | 107121101 | 807121401 | 307121901 | 507121701 |
| 2. | დიდუბე-ჩუღურეთი | 107121402 | 807121702 | 307121202 | 507121002 |
| 3. | მთაწმინდა-კრწანისი | 107121703 | 807121003 | 307121503 | 507121303 |
| 4. | ვაკე-საბურთალო | 107121004 | 807121304 | 307121804 | 507121604 |
| 5. | ისანი-სამგორი | 107121305 | 807121605 | 307121105 | 507121905 |
| 6. | რუსთავი | 107121606 | 807121906 | 307121406 | 507121206 |
| 7. | დმანისი | 107121907 | 807121207 | 307121707 | 507121507 |
| 8. | თეთრიწყარო | 107121208 | 807121508 | 307121008 | 507121808 |
| 9. | ბოლნისი | 107121509 | 807121809 | 307121309 | 507121109 |
| 10. | მარნეული | 107121910 | - | 307121710 | 507121510 |
| 11. | გარდაბანი | 107121211 | 807121511 | 307121011 | 507121811 |
| 12. | წალკა | 107121512 | - | 307121312 | 507121112 |
| 13. | მცხეთა | 107121114 | 807121414 | 307121914 | 507121714 |
| 14. | თიანეთი | 107121415 | - | 307121215 | 507121015 |
| 15. | დუშეთი | 107121716 | 807121016 | 307121516 | 507121316 |
| 16. | ყაზბეგი | 107121017 | 807121317 | 307121817 | 507121617 |
| 17. | ახალგორი | 107121318 | 807121618 | 307121118 | 507121918 |
| 18. | ქუთაისი | 125121219 | 825121519 | 325121019 | 525121819 |
| 19. | ზესტაფონი | 125121620 | 825121920 | 325121420 | 525121220 |
| 20. | თერჯოლა | 125121921 | 825121221 | 325121721 | 525121521 |
| 21. | სამტრედია | 125121222 | 825121522 | 325121022 | 525121822 |
| 22. | საჩხერე | 125121523 | - | 325121323 | 525121123 |
| 23. | ვანი | 125121824 | - | 325121624 | 525121424 |
| 24. | ბაღდათი | 125121125 | - | 325121925 | 525121725 |
| 25. | წყალტუბო | 125121426 | 825121726 | 325121226 | 525121026 |
| 26. | ჭიათურა | 125121727 | 825121027 | 325121527 | 525121327 |
| 27. | ტყიბული | 125121028 | 825121328 | 325121828 | 525121628 |
| 28. | ხარაგაული | 125121329 | - | 325121129 | 525121929 |
| 29. | ხონი | 125121730 | - | 325121530 | 525121330 |
| 30. | ამბროლაური | 125121031 | - | 325121831 | 525121631 |
| 31. | ლენტეხი | 125121332 | - | 325121132 | 525121932 |
| 32. | ონი | 125121633 | - | 325121433 | 525121233 |
| 33. | ცაგერი | 125121934 | - | 325121734 | 525121534 |
| 34. | ზუგდიდი | 119121335 | 819121635 | 319121135 | 519121935 |
| 35. | მარტვილი | 119121636 | - | 319121436 | 519121236 |
| 36. | აბაშა | 119121937 | - | 319121737 | 519121537 |
| 37. | სენაკი | 119121238 | 819121538 | 319121038 | 519121838 |
| 38. | ჩხოროწყუ | 119121539 | - | 319121339 | 519121139 |
| 39. | წალენჯიხა | 119121940 | 819121240 | 319121740 | 519121540 |
| 40. | ხობი | 119121241 | - | 319121041 | 519121841 |
| 41. | მესტია | 119121542 | - | 319121342 | 519121142 |
| 42. | ფოთი | 137121443 | 837121743 | 337121243 | 537121043 |
| 43. | გორი | 114121644 | 814121944 | 314121444 | 514121244 |
| 44. | კასპი | 114121945 | 814121245 | 314121745 | 514121545 |
| 45. | ქარელი | 114121246 | 814121546 | 314121046 | 514121846 |
| 46. | ხაშური | 114121547 | 814121847 | 314121347 | 514121147 |
| 47. | თიღვი | 114121848 | - | 314121648 | 514121448 |
| 48. | ერედვი | 114121149 | - | 314121949 | 514121749 |
| 49. | ქურთა | 114121550 | - | 314121350 | 514121150 |
| 50. | გურჯაანი | 115121151 | 815121451 | 315121951 | 515121751 |
| 51. | თელავი | 115121452 | 815121752 | 315121252 | 515121052 |
| 52. | სიღნაღი | 115121753 | - | 315121553 | 515121353 |
| 53. | დედოფლისწყარო | 115121054 | - | 315121854 | 515121654 |
| 54. | ახმეტა | 115121355 | - | 315121155 | 515121955 |
| 55. | საგარეჯო | 115121656 | 815121956 | 315121456 | 515121256 |
| 56. | ყვარელი | 115121957 | - | 315121757 | 515121557 |
| 57. | ლაგოდეხი | 115121258 | 815121558 | 315121058 | 515121858 |
| 58. | ახალციხე | 108121359 | - | 308121159 | 508121959 |
| 59. | ასპინძა | 108121760 | - | 308121560 | 508121360 |
| 60. | ახალქალაქი | 108121061 | - | 308121861 | 508121661 |
| 61. | ადიგენი | 108121362 | - | 308121162 | 508121962 |
| 62. | ბორჯომი | 108121663 | 808121963 | 308121463 | 508121263 |
| 63. | ნინოწმინდა | 108121964 | - | 308121764 | 508121564 |
| 64. | ლანჩხუთი | 131121465 | - | 331121265 | 531121065 |
| 65. | ჩოხატაური | 131121766 | 831121066 | 331121566 | 531121366 |
| 66. | ოზურგეთი | 131121067 | 831121367 | 331121867 | 531121667 |
| 67. | სოხუმი | 101121068 | - | 301121868 | 501121668 |
| 68. | გალი | 101121369 | 801121669 | 301121169 | 501121969 |
| 69. | ბათუმი | 102121070 | 802121370 | 302121870 | 502121670 |
| 70. | ქედა | 102121371 | - | 302121171 | 502121971 |
| 71. | ქობულეთი | 102121672 | 802121972 | 302121472 | 502121272 |
| 72. | ხულო | 102121973 | - | 302121773 | 502121573 |
| 73. | ხელვაჩაური | 102121274 | - | 302121074 | 502121874 |
| 74. | შუახევი | 102121575 | - | 302121375 | 502121175 |

### 2. რეგიონალური საბაჟო სამსახურების ბიუჯეტის შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშები"

| # | საბაჟოს დასახელება | სატრანზიტო ანგარიშები |
|---|---|---|
| 1 | საბაჟო „აღმოსავლეთი" | 400121701 |
| 2 | საბაჟო „დასავლეთი" | 400121002 |
| 3 | საბაჟო „ჩრდილოეთი" | 400121303 |
| 4 | საბაჟო „სამხრეთი" | 400121604 |
| 5 | საბაჟო „რკინიგზა" | 400121905 |
| 6 | აფხაზეთის ა/რ საბაჟო სამსახური | 400121507 |
| 7 | აჭარის ა/რ საბაჟო სამსახური | 400121808 |

### 3. ცენტრალიზებული შემოსულობების სატრანზიტო ანგარიში /ხაზინა/ 300121500

ფეხბურთი

# კახა კალაძე: "ჟირესს უნდა დავეხმაროთ"

მიხეილ აბაიშვილი

დღეს მანჰაიმში საქართველოს ეროვნული ნაკრები ახალი მწვრთნელის, ალენ ჟირესის ხელმძღვანელობით, თავის პირველ მატჩს გამართავს. ეროვნული გუნდის მეტოქე გერმანიის ოლიმპიური ნაკრები იქნება. სამწუხაროდ, ჟირესს თამაშამდე სერიოზული პრობლემები შეექმნა. ფეხბურთელთა 18-კაციან სიას ტრავმის გამო 3 ფეხბურთელი გამოაკლდა. მანჰაიმში ჩავლენ, მაგრამ თამაშს ვერ შეძლებენ ფრაიბურგელი ცქიტიშვილი და "შალკეს" ნახევარმცველი ლევან კობიაშვილი, ხოლო "მილანის" ქართველი ლეგიონერი კახა კალაძე საერთოდ ვერ ახერხებს გერმანიაში გამგზავრებას. "24 საათი" გუშინ ტელეფონით დაუკავშირდა კალაძეს.

- ქუსლის ტრავმა მაქვს და მკურნალობის კურსს გავდივარ. უახლოესი სამიოთხი დღის განმავლობაში ვარჯიში საერთოდ აკრძალული მაქვს. რამდენიმე დღეში სამედიცინო შემოწმებას გავივლი და გაირკვევა, შევძლებ თუ არა ვარჯიშს.

**- საქართველოს ნაკრები უშენოდ ითამაშებს გერმანიის ოლიმპიურ გუნდთან. ალბათ, ძალიან არ გწყდება გული. შენ ხომ გერმანიის ნაკრებთან თამაშის წინააღმდეგი იყავი...**

- არა, წინააღმდეგი არა. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ ახალგაზრდულ ნაკრებთან თამაში, თუნდაც ეს გერმანიისა იყოს, ეროვნული ნაკრების საქმე არ არის. მაგრამ, რას ვიზამთ, თუ არც ერთმა ეროვნულმა ნაკრებმა ჩვენთან თამაში არ იკადრა და შესაფერისი სპარინგი არ გამოინახა, ამ მეტოქეს უნდა დავჯერდეთ. გერმანიის ოლიმპიური ნაკრები ხელწამოსაკრავი მეტოქე არ იქნება. მისი ფეხბურთელების უმეტესობა ბუნდესლიგაში თამაშობს და მწვრთნელიც კვალიფიციური ჰყავთ.

**- ამ მატჩის წინ საქართველოს ნაკრებს პრობლემები შეექმნა. შენს გარდა, ვერ ითამაშებენ კობიაშვილი და ცქიტიშვილი. რამდენად შეიძლება აისახოს ეს გარემოება მატჩის შედეგზე?**

- ვფიქრობ, მატჩის შედეგს უფრო მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მთავარი მიზანი ჟირესისთვის ფეხბურთელთა გაცნობაა.


კალაძეს ქუსლი აწუხებს

**- ბიშოვეცის დანიშვნის წინააღმდეგი იყავი. კამყოფილი ხარ თუ არა ჟირესის დანიშვნით?**

- ბიშოვეცის წინააღმდეგი არ ვყოფილვარ. მიმაჩნდა, რომ საქართველოს ნაკრები უფრო მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელს იმსახურებდა, თუნდაც ისეთს, როგორიც ალენ ჟირესია. თუმცა, მარტო მწვრთნელის კვალიფიკაცია და ავტორიტეტი წარმატების გარანტია არ არის. ჟირესი საერთოდ არ იცნობს ქართულ ფეხბურთს. არც ქართველი ფეხბურთელების შესაძლებლობები იცის. დროზე რომ გაერკვეს, ყველა - ფეხბურთელები, ფედერაცია, ჟურნალისტები, გულშემატკივრები, ერთი სიტყვით, მთელი ქართული საფეხბურთო სამყარო გვერდში უნდა დაუდგეს და დაეხმაროს.

**- მანჰაიმში ჟირესის გასაცნობად და ნაკრების საქომაგოდ ჩასვლას აპირებ?**

- ძალიან მინდა, მაგრამ მკურნალობის გამო მილანიდან გასვლას ვერ ვახერხებ.

**- გუშინ "მილანმა" უკანასკნელ წუთზე გატანილი გოლით გადაარჩინა ქულა. თანაც, ეს მატჩი საკუთარ მოედანზე გამართა და ისეთ მეტოქესთან, რომელიც სერიოზულ მიზნებს არ ისახავს. ეს შემთხვევითი ჩავარდნაა თუ კრიზისის დაწყების სიმპტომი?**

- არა, რა კრიზისზეა საუბარი. მართალია, გუშინ ამ სეზონის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი თამაში ვაჩვენეთ, მაგრამ ქულა მაინც მოვიპოვეთ და უახლოეს მდევართან, "რომასთან" შედარებით კიდევ უფრო წინ წავიწიეთ. ლიგაშიც დამაჯერებლად გამოვდივართ. ასე რომ, კრიზისზე საუბარი ნამდვილად უადგილოა.

**- ჩემპიონთა ლიგა ახსენე. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ "მილანი" უკვე ნახევარფინალშია?**

- 4:1 გავიმარჯვეთ და განმეორებით მატჩში 3-ბურთიანი სხვაობით ჩვენი დამარცხების შანსი რამდენად მაღალია, ფეხბურთის გულშემატკივარმა კარგად იცის. ვფიქრობ, 80 პროცენტით ნახევარფინალში ვართ. თუმცა, რადგან შანსი მაინც არსებობს, მოდუნება არ შეიძლება. მით უფრო, ისეთ გუნდთან, როგორიც "დეპორტივოა".

# დევიდ ბექჰემი კინოვარსკვლავი ხდება



ნინო პირველი

მას ყველაფერი აქვს - ფული, სახელი, ოჯახი, ჰყავს უამრავი ფანი, რომლებიც მისთვის გიჟდებიან. მსოფლიოს საუკეთესო კლუბში თამაშობს და ერთ-ერთი უძლიერესი ეროვნული ნაკრების კაპიტანია. თითქმის მთელი მსოფლიო იცნობს, პატივს სცემენ თვით ისეთ დიდ ქვეყნებშიც კი, სადაც ფეხბურთი ნამდვილად არ ითვლება სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობად. კვირაში იმდენ ფულს უხდიან, რასაც სხვები წლების განმავლობაში ვერ შოულობენ. მოკლედ, ბედნიერი კაცია. ეს ქერა ინგლისელი "სპაის ბოი" ბულვარული პრესის მკითხველებსაც ძალიან უყვართ. დევიდ ბექჰემი და მისი მეუღლე ვიქტორია ადამსი იმ ვარსკვლავების კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომელთა შესახებაც ჭორებსა და სენსაციებს დახარბებულ საზოგადოებას ყველა წვრილმანი აინტერესებს. საბრალო ბექჰემს საკუთარი პოპულარობა ლამის ბორკილებად ექცა - ის მოკლებულია იმ შეუზღუდავ თავისუფლებას, რითაც ყველა ჩვეულებრივი მოკვდავი სარგებლობს. მისთვის შეუძლებელია შეუმჩნევლად დარჩენა. სადაც არ უნდა გამოჩნდეს, ყველგან დიდ აჟიოტაჟს იწვევს. მხოლოდ ერთხელ აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, როცა ვერ იცნეს და მაშინაც ეს ეპიზოდი უსიამოვნოდ დასრულდა: გასულ წელს დევიდი და ვიქტორია ლოს ანჯელესში იყვნენ. "პოშ სპაისი" იმდენად დარწმუნებული იყო, მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმული წყვილი ვართო, რომ, ერთ-ერთ მაღაზიაში შესულმა, ყველა მყიდველის გარეკვა მოითხოვა. მაღაზიის მფლობელთან მივიდა და განუცხადა, ერთი საათით კარი დაკეტეთ, რათა მე და მისტერ ბექჰემმა მშვიდად ვივაჭროთო. ამ გაუგონარმა თავხედობამ მაღაზიის მფლობელი ძალიან გააღიზიანა. მისტერ ბექჰემი ვინ ოხერიაო, - გადაირია ამერიკელი და თავად ვიქტორია და დევიდი მიაბრძანა მაღაზიიდან. ასეთ ინციდენტებს ნამდვილად ის ჯობს, "ბექსი" ყველგან იცნონ და მოთხოვნისთანავე ყველა სურვილი შეუსრულონ.

ასეთი სახელგანთქმული კაცი ყველგან უაღრესად სასურველი ფიგურაა. სარეკლამო აგენტები მის ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს ეცილებიან. ვარსკვლავის რეკლამაში გადაღება უბრალო საქმე ნამდვილად არ გახლვათ. ბექჰემსაც რა ენაღვლება - არხეინად აფორმებს კონტრაქტებს "ადიდასთან" თუ "პეპსისთან" და თავის უზღვევ ქონებას კიდევ უფრო ზრდის. რეკლამებში მონაწილეობა ინგლისელ ვარსკვლავს ძალიან გაუტკბა. ეკრანზე საკუთარი თავი ისე მოეწონა და იმდენად ნიჭიერი ეჩვენა, რომ უცებ კინოვარსკვლავობა მოუნდა. აბა, ამ ახალ ამბავს ჟურნალისტებს როგორ გამოაპარებდა და ატყდა ერთი ამბავი, დევიდ ბექჰემი მსახიობი ხდებაო. ბექჰემის კინოვარსკვლავად ქცევის იდეა ეკუთვნის ამერიკულ კონცერნ MGM-ს, რომელიც "ვარდისფერი პანტერას" ახალ ვერსიას იღებს. ბექჰემთან ერთად ფილმში სხვა ცნობილი სახეებიც მიიღებენ მონაწილეობას: ფრანგი მსახიობი ჟან რენო, ამერიკელი პოპ-ვარსკვლავი ბიონსი და მსახიობი სტივ მარტინი. ბიონსს და ბექჰემს დიდი გარდასახვა არ დასჭირდებათ - ისინი ეკრანზე იმას განასახიერებენ, რაც რეალურ ცხოვრებაში არიან. ბიონსი ითამაშებს მომღერალს, რომელსაც მკვლელობაში სდებენ ბრალს, ბექჰემი, რა თქმა უნდა, ფეხბურთელი იქნება. სტივ მარტინი კომისარს, ჟან რენო კი მის მძღოლს ითამაშებს.

თითქოს ყველაფერი რიგზეა - როლები განაწილებულია და მსახიობებისგან თანხმობაც მიღებულია, მაგრამ ფილმში ბექჰემის მონაწილეობას ორი ფაქტორი აფერხებს. პირველი ხელის შემშლელი გარემოება ის გახლავთ, რომ გადაღებები მაისში იწყება. ამ დროს, მოგეხსენებათ, ესპანეთში სეზონი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. "რეალს" კი ნამდვილად არა აქვს საქმე საიმისოდ, რომ ვარსკვლავები გადაღებებსა და კონცერტებზე გაუშვას. "სამეფო კლუბი" მეორე ადგილზე მყოფ "ვალენსიას" მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს და თავს მოდუნების უფლებას ნამდვილად ვერ მისცემს. "რეალი" 25 მაისს ამთავრებს სეზონს სან-სებასტიანის "რეალ სოსიედადთან" მატჩით. მანამდე მადრიდელები, ალბათ, არსად არ გაუშვებენ ბექჰემს. მეორე პრობლემა კი ბიონსია. ამ უაღრესად სექსუალურ ახალგაზრდა მომღერალს ინგლისში ძალიან ცუდი იმიჯი აქვს. ბიონსი საერთოდ არ აქცევს ყურადღებას საზოგადოების მიერ დაკანონებულ მორალის და ზნეობის წესებს და ლამის შიშველ-ტიტველი დადის ყველგან. ის, ალბათ, შეეცდება ბექჰემის მოხიბვლას, რაც მორიგ სკანდალს გამოიწვევს. აქ ვიქტორია ადამსიც არ უნდა დაგვავიწყდეს. "პოშ სპაისი" ნამდვილად ვერ აიტანს ბიონსის მსგავს სახიფათო მეტოქეს. "რეალში" არ უარყოფენ, რომ "ბექსმა", მართლაც, მიიღო მსგავსი წინადადება და სერიოზულად ფიქრობს ფილმში მონაწილეობაზე. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, როგორ მოახერხებს "ბექსი" ფეხბურთისა და გადაღებების შეთავსებას.

რაგბი

# მაშ, მოვიგოთ!

პაატა თოთაძე

"15 აპრილს, ალბათ, ყველანი დავესწრებით ყრილობას და ამ გაუგებრობას ერთხელ და სამუდამოდ მოვუღებთ ბოლოს", - "24 საათთან" საუბარში განაცხადა საქართველოს რაგბის კავშირის მედია-მენეჯერმა გია კუბლაშვილმა.

გაუგებრობა, არეულობა, პრობლემები... ბევრი სახელი შეიძლება ეწოდოს ქართულ რაგბიში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენებს. კლუბების ერთ ნაწილს კავშირის დღევანდელი ხელმძღვანელობა არ მოსწონს და მის გადაყენებას ცდილობს, მეორე ნაწილი კი ამაში ხელს უშლის.

გუშინ გეგიძის მოწინააღმდეგეები რიგგარეშე ყრილობაზე შეიკრიბნენ სპორტის დეპარტამენტში. თავიდანვე ნათელი იყო, რომ შეკრებილები ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კვორუმი არ შეიკრიბებოდა, თუმცა, ცდა ბედის მონახევრეაო და... ამასთან, თუ ეს ყრილობა არ გაიმართებოდა, მომდევნო ყრილობაზე დამსწრე დელეგატთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდებოდა. მოკლედ, ვითარება ამგვარი იყო: ყრილობა რომ გამართულიყო და რაიმე გადაწყვეტილება გამოეტანა, მის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიეღო ხმის უფლების მქონეთა ორ მესამედს. რიცხობრივად ეს 19 დელეგატის დასწრებაში გამოიხატებოდა, გუშინ კი ოპოზიციონერებმა მხოლოდ 15-ის შეკრება მოახერხეს. "ლელო", "ყოჩები", "ლოკომოტივი", "არმაზი", "ხულიგანა", ვეტერანები და უნივერსიტეტი – აი, ის სუბიექტები, რომლებიც გუშინ შეიკრიბნენ დეპარტამენტში. დანარჩენები ანუ ქუთაისის "აია" და სპორტსკოლა, აჭარა, "იმედი L - აკადემია" და "დინამო" ყრილობაზე არ გამოცხადდნენ და ამგვარად გამოხატეს თავიანთი მხარდაჭერა კავშირის ამჟამინდელი ხელმძღვანელობისადმი.

"ჩვენი ოპონენტები სულ იმას გაიძახიან, რომ ყველაფერს სამართლიანად და კანონის ფარგლებში აკეთებენ, მაგრამ მათი გუშინდელი საქციელიდან გამომდინარე, ამას ვერ იტყვი. ჯერ ერთი, გაუგებარია, საიდან მოიმატა ხმის უფლების მქონე პირთა რაოდენობამ. წინა ყრილობაზე 28 კაცს ჰქონდა ხმის მიცემის უფლება, გუშინ აღმოჩნდა, რომ ეს რიცხვი ერთით გაიზარდა. როგორც მათ ახსნეს, ეს ერთი ხმა ავტომატურად მიეცა ვეტერანთა კავშირს, როცა ეს ორგანიზაცია კავშირის წევრად აღიარეს. ვეტერანთა კავშირი რაგბის კავშირის წევრად, მართლაც, აღიარეს, მაგრამ ეს ავტომატურად ხმის უფლების მინიჭებას როდი ნიშნავს. ხმის მიცემის უფლება კავშირის ნამდვილ წევრს აქვს და არა ყველა წევრს. ნამდვილ წევრობას კი პრეზიდენტის და გამგეობის ერთობლივი გადაწყვეტილება სჭირდება, რაც ვეტერანთა კავშირის მიმართ მიღებული ამ დრომდე არ არის. მეორე უზუსტობა, თუ შეიძლება ამას ასე ვუწოდოთ, არის ის, რომ გაუგებარია, რა უფლება გამოიყენა დავით კილასონიამ, როცა განაცხადა, რომ ის წარმოადგენს უნივერსიტეტს და აქვს ორი ხმის უფლება. დაახლოებით ორი თვეა, რაც კილასონია უნივერსიტეტიდან გარიცხეს", - აღნიშნა კუბლაშვილმა.


ყრილობა ჩაიშალა

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

გუშინვე გადაწყდა, რომ მომდევნო ყრილობა 15 აპრილს გაიმართება. ამ დროისთვის ყრილობის ჩასატარებლად ხმის უფლების მქონეთა ნახევრის, ანუ 14 კაცის შეკრებაც საკმარისია გადაწყვეტილებების მისაღებად. თუ გეგიძის მომხრეები არც მომდევნო ყრილობაზე არ გამოცხადდებიან, შესაძლოა, პრეზიდენტი მათ გარეშე გადაირჩიონ. მოვლენები ამგვარად რომ არ განვითარდეს, 15 აპრილის ყრილობას, ალბათ, ყველანი დაესწრებიან და გეგიძის მომხრეები თავიანთი უპირატესობის დამტკიცებას შეეცდებიან. აბა, არ იშლიან თავისას და... ამგვარია პრეზიდენტის მომხრეთა არგუმენტი.

ბილიარდი

# ამჯერად ცხრიანი პული

დალი კუპრავა

*ცხრიანი ბილიარდის პროფესიონალური სახეობაა და მასთან შედარებით რვიანი მოყვარულთა სახეობად ითვლება. ცხრიანში ბურთულები თავდაპირველად რომბის ფორმით ლაგდება და თუ დაშლისას ცხრა ნომერი ბურთულა ლუზაში ჩააგდე, თამაშიც მოგებული გაქვს. თუმცა, ეს ხშირად არ ხდება. ბურთულებს ლუზაში ნუმერაციის მიხედვით აგდებ, მაგრამ სნუკერის პრინციპში არ აგერიოთ. სნუკერში ყველა ბურთულას თავისი ქულა აქვს. უკეთესად რომ გაიგოთ, დაინტერესდით ბილიარდით და ჩემი პუბლიცისტური კიის იმედად ნუ დარჩებით.*

საბილიარდო "იმპერიალში" დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი მობილიარდე ქალთა და ვაჟთა შორის ამერიკული ბილიარდის სახეობა ცხრიანში.

უკვე მეორედ დავესწარი მერაბ ჩიტაურისა და დათო გახოკიძის ფინალს და თუ მაშინ "ოლიმპიკში" მათი ოსტატობით რვიანში გაოცებული დავრჩი, ამჯერად "იმპერიალში" ცხრიანი პულის ფინალს ვადევნებდი თვალს.

ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა დათო გახოკიძე (საბილიარდო კლუბ "რვიანიდან"). მეორე ადგილზე მერაბ ჩიტაური გავიდა ("რიო"), მესამეზე - არტურ პოღოსიანი. ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა თეა აბალაკმა ("ოლიმპიკი"), მეორე და მესამე ადგილები - ანა დარახველიძემ და ქეთი ჯაკობიამ (ორივე - "კლოპშტოსი"). გამარჯვებულები მედლებით, თასებით, სიგელებითა და ფულადი პრიზებით დაჯილდოვდნენ.

ბილიარდის ფედერაციამ პატივი მომაგო და დაჯილდოებისას ჩემპიონის თასი თეა აბალაკს მე გადავეცი, ხოლო გამარჯვებულ ქალ მობილიარდეებთან ერთად ვარდების თაიგული თქვენმა მონა-მორჩილმაც მიიღო - ჯერ კიდევ ერთადერთი ჟურნალისტი ვარ საქართველოს საბილიარდოში. ჟურნალისტებო, რატომ არ გინდათ ბილიარდის ტურნირების გაშუქება - ბილიარდი შესანიშნავი სახეობაა, მობილიარდეთა საზოგადოება კი - დელიკატურზე დელიკატური?!


ტურნირის გამარჯვებულები

დალი კუპრავას ფოტო

ივნისში ფედერაცია ყრილობას მოიწვევს. ფედერაციის თავმჯდომარემ, დავით ალექსიძემ გვითხრა, რომ ბილიარდის განვითარების პროგრამა, რომელსაც ყრილობაზე წარმოადგენენ, კონცეპტუალურად მასობრივი და პროფესიული ბილიარდის განვითარებას ეფუძნება. არსებული საბილიარდო კლუბების დიდი ნაწილი ფედერაციის სრულუფლებიანი წევრები არიან და მათ შეუძლიათ როგორც ბილიარდის სწავლების წრეების გახსნა, ისე ტურნირების მოწყობა და ჩემპიონატებში მონაწილეობა. უკვე დიდი ხანია, სპორტი და კომერცია სასარგებლო ტანდემად ითვლება.

დღეს საქართველოს ბილიარდს ქვეყნის გარეთ უფრო ჰყავს გულშემატკივარი და ლობისტი, ვიდრე შიგნით. თუ საქართველოს პრეზიდენტმა ფეხბურთის პატრონობა საკუთარ თავზე აიღო, მობილიარდეები იმედოვნებენ, რომ სახელმწიფო პოლიტიკა შეიცვლება, სპორტი პრიორიტეტული გახდება და მზრუნველი ბილიარდსაც გამოუჩნდება. ჩემდა თავად, გავიხსენე გიგი წერეთელი, რომელიც "პოლიტიკური ბილიარდის" ტურნირზე აზარტულ და პროფესიონალ მოთამაშედ წარმოჩნდა. ბატონმა დავითმა კი, საინტერესო, პრინციპული პიროვნებაა და მისი ხასიათისა და გამოცდილების ადამიანს ბილიარდის დახმარება არ გაუჭირდებაო, თქვა. ამასთან ერთად, გიგი წერეთელი ბილიარდის ფედერაციის წევრი ყოფილა. რაც შეეხება უცხოელ ლობისტებს, საქართველოს ფედერაცია ლას ვეგასის მსოფლიო კონგრესზეა მიწვეული. ეს კი ისეთივე პატივია, როგორც ბრიტანეთის დედოფალთან ხუთსაათიან ჩაიზე მოხვედრა.

მომავალ ტურნირამდე, ანუ აპრილში, პირამიდაზე შეხვედრამდე!

TV-სპორტი

## სამშაბათი. 30 მარტი

### НТВ+ ФУТБОЛ

09:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1981. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. "PHILADELPHIA 76 ERS" - "BOSTON CELTICS". მე-7 თამაში
11:00 11:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" – "ვერდერი"
15:45 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:45 თავისუფალი დარტყმა
17:00 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:55 "FUTBOL MUNDIAL"
18:25 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:25 "ევროფანკლუბი" – "რომა"
19:55 მინი-ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "სპარტაკ-შელკოვო". პირდაპირი ტრანსლაცია
21:25 თავისუფალი დარტყმა
21:40 სახვალიო ტელეპროგრამა
21:45 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
22:15 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:10 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:10 თავისუფალი დარტყმა
00:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. A3-67 – "აიაქსი"
02:10 "ევროფანკლუბი" – "რომა"
02:40 02:40-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 NBA TV – NBA შიგნიდან
05:30 NBA TV. დღიური
06:00 NBA TV. "MILWAUKEE DUCKS" - "INDIANA PACERS". პირდაპირი ტრანსლაცია

### НТВ-ПЛЮС СПОРТ

11:00, 17:00, 19:15, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20, 15:00 "ფორმულის ჰარმონია"
11:40 ჩოგბურთი. "Masters series" მაიამიში. შესვენებისას (14:00) – პრესცენტრი
15:20 "ორშაბათამდე მივატანთ"
15:50 სპორტული ცეკვები. "სტანისლავ შკლიარის თასი". პირველი ნაწილი
17:15 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
17:45 ჭადრაკი. "საჭადრაკო მიმოხილვა"
18:15 "ბილიარდის მეუფენი"
18:45 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ფინალი იტალიაში
19:30 ჩოგბურთი. "Masters series" მაიამიში
21:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
00:15 ახალი ამბები
00:30 ჩოგბურთი. "Masters series" მაიამიში. პირდაპირი ტრანსლაცია
02:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ფინალი იტალიაში

### EUROSPORT

11:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ჩემპიონთა თაობა
12:00 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
12:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა
13:30 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
15:00 ფეხბურთი. ევროგოლები
16:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში
17:30 ველოსპორტი. საერთაშორისო შეჯიბრება ბელგიაში
19:30 ფეხბურთი. ევრო 2004. ჩემპიონთა თაობა
20:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. კლასიკა
21:00 ფეხბურთი. ევროგოლები
22:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
23:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება გერმანიაში
00:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება გერმანიაში
02:30 ახალი ამბები
02:45 ნასკარის ავტორბოლები. შეჯიბრება აშშ-ში
03:45 "ოლიმპიური თამაშები". ტელეჟურნალი
04:15 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიადის კულტურული პროგრამა

# საღეჭი რეზინის ქერათმიანი ქალები



ბრიტნი სპირსი



ბრიჯიტ ბარდო

რაში შეიძლება გამოიყენო ისეთი უსარგებლო გამოგონება, როგორიც საღეჭი რეზინია? ამ შეკითხვაზე თამამი პასუხი გასცა 29 წლის ტორონტოელმა მხატვარმა ჯეისონ კრონევალდმა, რომლის გალერეაში გამოფენილია ცნობილი ქერათმიანი ქალბატონების 15 პორტრეტი. სერიას ავტორმა ასეთი სახელწოდება შეურჩია - Gum Blonds.

რატომ ფაფუკთმიანი ქერები? იმიტომ, რომ მათი ვარცხნილობები ისედაც რეზინის ბუშტჩამოცმულს ჰგავს და მხატვარმაც გადაწყვიტა, საკუთარი შემოქმედებით მხარი დაეჭირა ასეთი იმიჯისთვის. ამას გარდა, ცნობილი ადამიანები ყოველთვის იყვნენ ახალგაზრდა მხატვრის შთაგონების წყარო. "მინდოდა, ხარკი გადამეხადა თანამედროვე კერპებისთვის და არაფერი მომიფიქრებია იმის გარდა, რომ შემექმნა ბრიტნი სპირსის პორტრეტი საღეჭი რეზინისგან", - ამბობს ჯეისონ კრონევალდი.

ბრიტნი სპირსი იყო პირველი "რეზინის ქერათმიანი ქალბატონი", რომელიც ჯეისონმა უნივერსიტეტში სწავლისას შექმნა. პორტრეტზე 500 ცალი საღეჭი რეზინი დაიხარჯა, მასზე მუშაობა კი, 40 საათის განმავლობაში გრძელდებოდა.

ჯეისონ კრონევალდმა საღეჭი რეზინის მასალად გამოყენება უნივერსიტეტში სწავლისას დაიწყო. ამას ერთადერთი მიზეზი ჰქონდა – საღეჭი რეზინი იყო ერთადერთი მასალა, რომლის ყიდვაც ყველაზე იოლად შეეძლო ღარიბ სტუდენტს. შემდეგ ეს გატაცებად იქცა. ახლა კი, მხატვარს მიაჩნია, რომ დაღეჭილი კევი ისევე გამოიყურება, როგორც კარგად მოვლილი კანი. "ეს რეზინი არაფრით არ ჩამოუვარდება სხვა მასალებს, რომლებსაც მხატვრები ვიყენებთ", - ამტკიცებს ჯეისონ კრონევალდი.

ბუნებრივს მიმსგავსებული პორტრეტისთვის მხატვარს 30-40 ფერის კევი სჭირდება. ფერების შეზავება მხოლოდ ღეჭვისას ხდება. მხატვარი საამისოდ არ იყენებს არანაირ დამატებით საღებავს. სირთულეების მიუხედავად (მხატვარს ძალიან აღიზიანებს, როდესაც მუშაობის დროს ხელები ეწებება), კრონევალდი აგრძელებს კევით მუშაობას. გალერეაში გამოფენილ 15 ქერათმიანი ცნობილი ქალბატონის პორტრეტს შორისაა: ბრიტნი სპირსი, პამელა ანდერსონი, ჯენიფერ ლოპესი, ანა კურნიკოვა. ესაა პირველი მცდელობა, როდესაც მხატვარმა საკუთარი ნამუშევრები ფართო საზოგადოებას წარუდგინა.

# ბილ გეიტსის წინააღმდეგ



ბილ გეიტსი

როგორც ცნობილია, აშშ-ში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი "მაიკროსოფტის" წინააღმდეგ. სარჩელი მინესოტას შტატში მცხოვრებლებმა შეიტანეს. ისინი აცხადებენ, რომ "მაიკროსოფტი" თავისი მონოპოლიით სარგებლობს და თავის ნაწარმს ძვირად ყიდის. იმის გამო, რომ კორპორაცია შტატში მცხოვრებთა უფლებებს არღვევს, ვალდებულია მათ ნახევარი მილიონი ამერიკული დოლარი გადაუხადოს. პროცესზე ნივთმტკიცების სახით, გამოყენებულია ბილ გეიტსის მიერ, "ინტელის" ხელმძღვანელისთვის მიწერილი ბარათი. მასში საუბარია მცირე კომპანიის, Go-ს ინვესტირების შესახებ. გეიტსი არწმუნებს ენდი გროუვს, უარი თქვას პატარა ფირმის დაუფლებაზე. ბარათი დამადასტურებელი მტკიცებულებაა იმისა, რომ გეიტსს მსოფლიოს მონოპოლიზაცია აქვს გადაწყვეტილი.



მეუღლე მარიამი, შვილები ბუთა (შანშე), ნატო, რძალი ეკა ბუღაძე, ძმა, ძმისშვილები და ახლობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სერგო (სოსო) შანშეს ძე თავხელიძე**

**პანაშვიდი 30, 31 მარტს 5 საათზე.
გამოსვენება ხუთშაბათს, 1 აპრილს, 2 საათზე.
მისამართი: დიდი დიღომი, მე-3 მ/რ. კორპ. 11,
მე-2 სადარბაზო, მე-9 სართული.**


## მთავარი ინჟინრის ვაკანსია
### საპროექტო დეპარტამენტი

აქსისი AXIS

ძირითადი მოთხოვნები

- განათლება: სამშენებლო-საინჟინრო
- რვა წლის გამოცდილება ინდივიდუალური, სამოქალაქო და საცხოვრებელი სახლების პროექტირებაში
- პროექტის მთავარ ინჟინრად ან ჯგუფის უფროსად მუშაობის გამოცდილება
- საინჟინრო კომუნიკაციების საკითხების კარგი ცოდნა
- კანდიდატს უნდა გააჩნდეს მოქმედი ნორმატიული დოკუმენტაციის საკუთარი ბაზა
- კანდიდატი უნდა წარმოადგენდეს დღეს მოქმედ პროექტანტს
- ასაკი: 50 წლამდე

თუ თქვენი მონაცემები შეესაბამება ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი საბუთები აქსისის ოფისში:

- რეზიუმე (ავტობიოგრაფია)
- ფოტოსურათი
- დიპლომის ასლი
- რეკომენდაცია

არაყიშვილის 14, ტელ: 25 34 34.
საკონტაქტო პირი ნესტან ზურაბიშვილი

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 14 აპრილი






## სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო "ი ელ ელი" (ELL Ltd) გთავაზობთ სწავლას დიდი ბრიტანეთის (ლონდონი, ოქსფორდი, კემბრიჯი, ბრაიტონი და ა.შ.) უნივერსიტეტების მოსამზადებელ პროგრამებზე და ინგლისური ენის სკოლებში.

ენის სასწავლო პროგრამები:

- ინგლისური ენა ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო (IELTS, TOEFEL, FCE, CAE) 2-12 თვიანი კურსები.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა 2-4 კვირიანი სკვალიფიკაციო კურსები.
- საზაფხულო სკოლა ინდივიდუალური ან ჯგუფური სწავლა და დასვენება მოსწავლეთათვის და მოზრდილთათვის 2 კვირიდან 3 თვემდე (ჯგუფების დაკომპლექტება 1 მაისამდე).
- Work Experience/Internship ინგლისური ენის კურსი და სამუშაო გამოცდილების მიღება კომპანიებში, სათანადო სერთიფიკატის მიღებით, 2 თვიდან 1 წლამდე.

საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:

- A-Level 10-11 კლასელთათვის და სკოლადამთავრებულთათვის 1-დან 2 წლამდე.
- Foundation სკოლადამთავრებულთათვის 1 წლით.

MBA 1 წლიდან 2 წლამდე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 74, 12-ე სართული, ტელ: 22 59 57; 29 91 78; მობ.: 899 50 40 12
ელ-ფოსტა: Nargiza_makatsaria@hotmail.com



## ნორთუმბრიის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები

ვიღებთ აპლიკაციებს ნორთუმბრიის უნივერსიტეტის პროგრამებისათვის, რომლებიც ჩატარდება ლონდონის კომერციის სკოლაში (ლკს). ნორთუმბრიის უნივერსიტეტი უკანასკნელი სამი წლის სახელდება ხანდეი ტაიმსის მიერ ნომინირებულ საუკეთესო თანამედროვე უნივერსიტეტად. ლკს აკრედიტირებულია ბრიტანეთის სააკრედიტაციო საბჭოს მიერ. შემდეგი სასწავლო წელი იწყება 2004 წლის ივნისში.

მაგისტრატურა £3950
ბიზნეს ადმინისტრაციაში
ბიზნეს ინფორმაციების ტექნოლოგიაში
1 წლიანი პროგრამა

ბაკალავრიატი £6950
საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციაში
გამოყენებით ინფორმატიკაში
2 წლიანი პროგრამა

ნორთუმბრიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაიარონ ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურა (MBA). MBA გრძელდება 6 თვე და სწავლის ღირებულება შეადგენს 1500 ფუნტ სტერლინგს.

შესაბამისად სტუდენტებს აქვთ უნიკალური შანსი მიიღონ მაგისტრის ორი ხარისხი სულ რაღაც 5450 ფუნტ სტერლინგად.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ნონა მესხიაშვილი / ლკს-ის პროგრამები თბილისი, მცხეთის ქუჩა 2, I სადარბაზო, I ოფისი ტელეფონი: 25 30 25, 23 02 84: მობილური: 893-35-20-67
ელ-ფოსტა: nona@mail.ru; http://www.lsclondon.co.uk

2004 წლის ივნისიდან ერთ სტუდენტს ექნება საშუალება უფასოდ მიიღოს განათლება.

შესაძლებელია ინგლისური კურსების გავლა

ლონდონში



საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი
**"რუსული კლუბი"**
წარმოგიდგენთ

*ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს*

## "ყვითელი ანგელოზი"

5, 12, 19, 26 აპრილი
"თავისუფალი თეატრი"
დასაწყისი 19.00 საათზე
ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21








## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.




...პრინციპთა ხმარებისას მოკრივეს უნდა ჰგავდე და არა გლადიატორს. მართლაც, საკმარისია ამ უკანასკნელს ხელიდან გააგდებინონ მახვილი, რომლითაც იბრძვის, და მას ვეღარაფერი იხსნის სიკვდილისაგან. მაშინ როდესაც, პირველს მუდამ თანა აქვს საკუთარი ხელები და ამიტომ არ სჭირდება სხვა არაფერი, მათი დამუშტვის გარდა.

...ისევე როგორც შენ საზოგადოების წევრი ხარ და მისი ნაწილი, ყოველი შენი მოქმედებაც საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილი უნდა იყოს. რადგან შენი ნებისმიერი მოქმედება, რომელიც უშუალოდ თუ რისამე მეშვეობით არ ამტკიცებს საზოგადო სიკეთეს, ანაწევრებს ცხოვრების მთლიანობას, არღვევს მის ერთობას და შინააშლილობას იწვევს, ტომის იმ წევრის მსგავსად, რომელიც, თვითნებობით აღძრული, ანგარიშს არ უწევს თვითტომთა ერთსულოვან ნებას.

**მარკუს ავრელიუსი "ფიქრები"**

## პოლიტიკური მეცნიერება

*ვიცით, რომ ხელისუფლების მშვიდობიან ცვლილებას, რომელიც "ვარდების რევოლუციად" მოინათლა, ხალხის უმრავლესობა დიდი ნდობითა და იმედით შეეგება. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ხელისუფლების ცვლა არის არა მიზანი, არამედ მიზნის მისაღწევად აუცილებელი (მაგრამ არასაკმარისი) საშუალება. ჩვენი რწმენით, საჭიროა, რომ საზოგადოების თავისუფლებისადმი ლტოლვას ახალი ხელისუფლების მხრიდან მოჰყვეს მართლაც რევოლუციური ცვლილებები როგორც მმართველობის ოპერირების სტილში, ისე მმართველ სუბიექტთა მიერ საკუთარი როლისა და სტატუსის გადაფასებისა და ახლებურად გააზრების საქმეში. გაჩნდა დიდი იმედი, რომ ხელისუფლებასა და ხალხს შორის გაწყვეტილი საუკუნოვანი კავშირი, რომელიც იდეაში ურთიერთმომთხოვნელობასა და პროაქტიურ აზროვნებას ეფუძნება, აღდგენის კონდიციაშია. ჩვენ გვაქვს იშვიათი შესაძლებლობა იმისა, რომ ვირწმუნოთ - ჩვენი მთავრობა აღარ არის ჩვენი მტერი. ამის მიუხედავად, ნებისმიერი ხელისუფლებისადმი სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ჯანმრთელი ეჭვის არსებობა თავისუფლების შენარჩუნების უმთავრეს ფაქტორად ითვლება, რომელიც კეთილგონიერებითა და ისტორიის გაკვეთილებითაა ნაკარნახევი. მომხდარმა ცვლილებებმა კიდევ უფრო მეტად გახადა აუცილებელი, რომ საზოგადოების წევრებმა ლოკალურ ქმედებებს გლობალური კატეგორიებით აზროვნება შეუფარდონ. მოვლენათა სრულყოფილი ანალიზისათვის კი საჭიროა გავეცნოთ იმ უნივერსალურ ტერმინოლოგიასა და კონცეფციებს, რომელთა საშუალებითაც დღეისათვის ყველა თავისუფალი ქვეყანა ურთიერთობს. მკითხველს ვთავაზობთ პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო სამართლის გავრცელებულ ტერმინებს, რომელთა შესისხლხორცებაც, ერთი მხრივ უმიზნო და, მეტწილად მსმენელთა დაბნევაზე გათვლილი მრავალსიტყვიანობისგან დაგვიცავს; მეორე მხრივ კი, არსებულ გაუგებრობათა აღმოფხვრაში დაგვეხმარება.*

**ფეოდალიზმი** - ეს ტერმინი ჩვეულებრივ ხმარებაში აღნიშნავს ყველანაირ ურთიერთობას, რომელშიც მორჩილების ელემენტი გამოსჭვივის. თუმცა, ისტორიკოსები საკითხს უფრო ფრთხილად უდგებიან და ფეოდალიზმს ახასიათებენ, როგორც მიწათმფლობელურ ურთიერთობას, რომელსაც ალიანსებისა და ვალდებულებების მთელი ქსელი ახლავს თან. ურთიერთობის ეს სისტემა ევროპაში ე.წ. ბნელი პერიოდისა და რომაული იმპერიის დაშლის შემდგომ ჩამოყალიბდა. მან არსებობა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს შეწყვიტა.

ფეოდალურ სისტემაში მიწები რიგდებოდა თავადთა მიერ მათი ვასალებისათვის, და იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელთ ფეოდალი პროდუქტითა და სამსახურით უნდა უზრუნველყოთ. როგორც წესი, მოსავლის რაღაც ნაწილი და შრომა დღეების გარკვეული რაოდენობა ამ გადასახადის ჩვეულ სახეობას წარმოადგენდნენ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, თავადისათვის ვასალების მხრიდან სამხედრო სამსახურიც აუცილებელი ხდებოდა. ამ გადასახადებს ითხოვდა თავადი საკუთარი არსებობისათვის და თავის მხრივ იმ მონარქის წინაშე საკუთარ ვალდებულებათა აღსრულებისათვის, ვისგანაც მას ეს მიწები თავდაპირველად ერგო. ამგვარი გარიგებები ფიცით მტკიცდებოდა, მაგრამ უთანხმოების შემთხვევაში საკუთრების დასაცავად საჭირო ხდებოდა შეიარაღებული ძალა. მიწაზე მომუშავე გლეხისთვის ამაში ის სარგებელი იყო, რომ მის უფლებას ამ მიწაზე მისი ბატონი იცავდა. ასე რომ, მთელი ეს სისტემა ერთგვარად განდიდებულ და შემდგომში რომანტიკულ საბურველში გახვეულ პროტექციის მიზნით განხორციელებულ რეკეტს წარმოადგენდა.

თანამედროვე სამყაროში ყველაზე მიახლოებული ეკვივალენტი ფეოდალიზმისა, არის ლათინურ ამერიკაში არსებული Latifundia, სადაც მიწაზე არმომუშავე მეპატრონეები აგენტებს იყენებენ იმისათვის, რომ ამ უკანასკნელებმა მეპატრონის მიწაზე იმ ყოველდღიურ შრომას გაუკეთონ ორგანიზება, რომელსაც უმიწო მშრომელთა ჯგუფები აწარმოებენ. მაგრამ სწორედ ამიტომ, რომ აქ მიწათმოქმედს მიწა საკუთრებაში არ გააჩნია, ამგვარი ანალოგია ფეოდალიზმთან არცთუ ისე ზუსტია.

**შტატების (ფედერალური ერთეულების) უფლებები** - ფედერალური მთავრობის პირობებში არსებობს ბუნებრივი კონფლიქტი ცენტრალურ ხელისუფლებასა და ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის; ისეთებს, როგორიცაა, მაგალითად, შვეიცარიაში - კანტონები, კანადაში - პროვინციები, ავსტრალიაში და შეერთებულ შტატებში კი - შტატები. ამერიკის შეერთებული შტატების დაარსების დღიდანვე არსებობს შტატების უფლებები და 1791 წელს, კონსტიტუციის მეათე ჩასწორებამ ეს უფლება საბოლოოდ დააკანონა: "ძალაუფლებანი, რომელიც არ გადაეცემა კონსტიტუციის მიხედვით შეერთებულ შტატებს (იგულისხმება ფედერალური მთავრობა) და კონსტიტუციისავე მიხედვით არ იკრძალება მათი ცალკეული შტაბისთვის გადაცემა, ეკუთვნის შტატებს, ან მათ ხალხს, ამავე თანმიმდევრობით". მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში სამხრეთულმა შტატებმა საკუთარ ტერიტორიებზე მონათმფლობელობის პრაქტიკის დასაცავად და შესანარჩუნებლად, სცადეს იმის მტკიცება, რომ ისინი სუვერენულ ერთეულებს წარმოადგენდნენ, რომელთაც კავშირიდან გამოყოფის უფლება გააჩნდათ. შტატების უფლებები ამერიკულ პოლიტიკაში აქტუალურ საკითხად რჩება, თუმცა 1930-იანი წლებიდან ცენტრალურმა ხელისუფლებამ შტატების ხელისუფლებასთან შედარებით მკვეთრად გაზარდა საკუთარი ძალაუფლება. ასევე მოხდა დანარჩენ ფედერალურ სისტემებშიც, კანადის გარდა.

**ინდუსტრიული დემოკრატია** - ეს ტერმინი ცნებათა ფართო სპექტრს მოიცავს. ერთი მათგანი პოლიტიკურ, როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე ფლანგებს ეხმიანება. რომელ მათგანთანაა ინდუსტრიული დემოკრატიის არსებობა შესაძლებელი - კაპიტალიზმთან თუ სოციალიზმთან? ამ ტერმინის სხვა განზომილება კავშირია მოსამსახურეთა ამ სისტემაში მონაწილეობის ამპლიტუდასა და სიძლიერესთან. რომელი სახის გადაწყვეტილებებს ემყარება ინდუსტრიული დემოკრატია - ადგილობრივსა თუ ცენტრალურს? ტერმინის კიდევ ერთი განზომილება ეხება ამ სისტემის ქვეშ გადაწყვეტილებათა მიღების ფორმებს: არიან ეს გადაწყვეტილებანი მიღებული წარმომადგენლობითი სახით თუ პირდაპირი დემოკრატიის მეშვეობით, და ვის აქვს მასში ხმის უფლება?

დაქირავებულთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის პრაქტიკა როგორც ინდუსტრიულ, ისე კომერციულ წარმონაქმნებში ჯანსაღი კაპიტალიზმის შენარჩუნების ინსტრუმენტადაა მიჩნეული. კმაყოფილი და ბედნიერი მუშახელი, როგორც წესი, კარგი რამ არის პროდუქტიულობისათვის. ამგვარად, მეორე მსოფლიო ომისშემდგომ გერმანიაში დაქირავებულთა რიგებიდან არჩეული საბჭოები წარმოადგენდა ნებისმიერი დიდი კორპორაციისათვის აუცილებელ რამეს. ამგვარი პოლიტიკა, რომელიც ცნობილია სახელით mit-tbestimmung, გახდა სამოდელო ევროკავშირისათვის და დღეს იქცა ნაწილად მისი სოციალური ქარტიისა. ინდუსტრიული კაპიტალიზმის კიდევ ერთი წესი მდგომარეობს იდეაში, რომ დაქირავებულთ გადაეცეთ საკუთარი კომპანიის აქციები (წილები), რასაც ხშირად "მშრომელთა კაპიტალიზმს" უწოდებენ. უფრო მცირე საწარმოები კი, რომელთაც "მომუშავეთა კოოპერატივების" სახელით იცნობენ, ხშირად საკუთარი მთავრობებისაგან სხვადასხვა სახის წამახალისებელ დახმარებებს იღებენ ხოლმე. მაგალითად, შვედეთში კანონი სავალდებულოს ხდის, რომ დამქირავებელმა საინვესტიციო ფონდებზე გადაანაწილოს კომპანიის აქციები მხოლოდ მაშინ, თუ მას საკუთარი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში დაქირავებულთა რიგებიდან უმრავლესობა ჰყავს. ინდუსტრიული დემოკრატიის ამ ვარიანტს აქვს უნარი, რომ მუშახელს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა შემთხვევაში სერიოზული კონტროლის საშუალება მიანიჭოს.

ინდუსტრიული დემოკრატიის გარშემო არსებული წინააღმდეგობა ძირითადად დაკავშირებულია პროფესიული კავშირების მოძრაობების მიერ დასმული კითხვასთან, თუ ვინ უნდა წარმოადგინოს დაქირავებულთა ინტერესები - მათივე რიგებიდან არჩეულმა წარმომადგენლებმა, თუ პროფესიულმა კავშირებმა? საბოლოო და ერთგვარი პასუხი ამ კითხვაზე ჯერაც არ არსებობს.

რა ფორმაც არ უნდა ჰქონდეს მიღებული ინდუსტრიულ დემოკრატიას, მას უფრო მეტად ლიბერალები სწყალობენ, ვიდრე კონსერვატორები. ისეთი პოლიტოლოგები, როგორებიც არიან დალი და ლინდბლომი, თვლიან, რომ გადაწყვეტილებათა მიღების იერარქიული სტრუქტურები, როგორებიც თანამედროვე კორპორაციებში გვხვდება, ძნელად თუ იმყოფებიან შესაბამისობაში დემოკრატიულ თეორიასა და ხედვასთან.

**წარმომადგენლობითი დემოკრატია** - მის ალტერნატიულ ვერსიას წარმოადგენს პირდაპირი დემოკრატია. წარმომადგენლობით დემოკრატიაში, რომელსაც ასევე შეიძლება ეწოდოს "არაპირდაპირი დემოკრატია", ხალხი ირჩევს ადამიანთა მცირე ჯგუფებს, ვინც მათი შეხედულებები და ინტერესები უნდა წარმოადგინონ პარლამენტში.

ამ სისტემის დადებითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ იგი გვთავაზობს საკმაოდ მცირე ფორმატს, რომელშიც შესაძლებელი ხდება გასატარებელი ან შესარჩევი პოლიტიკის გულდასმით და სიღრმისეულად განხილვა, რაც საბოლოოდ დეტალურად გაწერილ დოკუმენტად იქცევა. ამასთანავე, კანონმდებლებს ამ ფორმატში საშუალება ენიჭებათ, რომ ამა თუ იმ პროგრამის პოლიტიკის პრიორიტიზება და რაციონალიზება მოახდინონ. კანონმდებელს ასევე შესაძლებლობა აქვს, რომ განიხილოს საჩივრები, პეტიციები და წინადადებები, რომელნიც მოქალაქეების მიერ არიან გამოგზავნილი. ყველაზე მთავარი კი, რასაც წარმომადგენლობითი დემოკრატია გვთავაზობთ, პირდაპირისაგან განსხვავებით, ესაა ხალხის ერთი ჯგუფის შერჩევა უკვე შერჩეულთაგან, რომელთაგანაც წარმომადგენლობითი ხასიათის მთავრობა დაკომპლექტდება. რამდენადაც ვიცით, დემოკრატია მმართველობისა და მთავრობის გარეშე ვერ არსებობს.

უარყოფითი თვისებები, რომელნიც წარმომადგენლობითი დემოკრატიისაგან გამომდინარეობენ, კავშირში არიან იმ დისტანციასთან ხალხსა და მათ წარმომადგენლებს შორის, რომელსაც ეს სისტემა ქმნის. აქ არ იგულისხმება მხოლოდ დემოკრატიული დისტანცია. წარმომადგენლის როლში ყოფნა შეიცავს სპეციალიზაციის დიდ ხარისხს და ამ ფუნქციამ დროთა განმავლობაში პროფესიონალიზაცია განიცადა. წარმომადგენლად შერჩეული ადამიანები სოციალურად მოწყვეტილნი არიან ჩვეულებრივი მოქალაქეებისაგან ბევრი სხვადასხვა სახით. ერთი განმასხვავებელი თვისება ისაა, რომ წარმომადგენლებს სურთ ძალაუფლებასთან ახლოს ყოფნა და მისი მოპოვება, რაც ადამიანთა უმეტესობას არ სურს იმ მიზეზით, რომ ძალაუფლებას ყოველთვის თან ახლავს პასუხისმგებლობა და ვალდებულებები. პროფესიონალი პოლიტიკოსები ხშირად მოდიან პროფესიონალთა სოციალური კლასებიდან. ამდენად, არსებობს როგორც სოციალური, ისე ფსიქოლოგიური ბარიერები ხალხსა და მათ წარმომადგენლებს შორის. ყველა ეს განსხვავება აქცენტირებულია პოლიტიკური პარტიების საქმიანობაშიც. ძირითადად, ისინი საკუთარ კანდიდატებს ამომრჩეველთა მოწონების გარეშე აკეთებენ. პარტიის პროგრამებში შესაძლოა ამოღებულ იქნეს ის საკითხები, რომელთა შესახებ მსჯელობაც მოქალაქეებს სურთ. ასევე შესაძლოა, რომ პარტიების კონკურენციამ ბავშვური და უაზრო კინკლაობასა და შეურაცხყოფებში ჰპოვოს განსხეულება, რაც დემოკრატიის დისკრედიტირებას უწყობს ხელს. ამდენად, პირდაპირ დემოკრატიას მაინც რჩება გარკვეული ფუნქციები, რომელთაც ყველა ამ ჩამოთვლილი სისუსტეების კომპენსირება ევალება.

## პრეცედენტი

# ნიკოლაე და ელენა ჩაუშესკუს სასამართლო პროცესი: 1989

ბერნარდ რაიანი

**ბრალდებულები** - ნიკოლაე და ელენა ჩაუშესკუები.

**ბრალდება** - გენოციდი, სახელმწიფოს ღალატი, გამოწვეული უიარაღო მოქალაქეთა ჟლეტვის ბრძანების გაცემით, საზოგადო საკუთრების განადგურება, ეკონომიკის დანგრევა, ქვეყნიდან გაქცევის მცდელობა უცხო ქვეყნების ბანკებში მოთავსებული თანხების მეშვეობით.

**მთავარი დამცველი** - ნიკუ თეოდორესკუ.

**მთავარი ბრალმდებელი** - გეორგიკა პოპა.

**მოსამართლე** - გეორგიკა პოპა.

**პროცესის ადგილმდებარეობა** - ტიგროვიშტე, რუმინეთი.

**პროცესის თარიღი** - 1989 წლის 25 დეკემბერი.

**ვერდიქტი** - დამნაშავე.

**სასჯელი** - სიკვდილით დასჯა და საკუთრების კონფისკაცია.

**მნიშვნელობა** - თუმცა კომუნიზმის დამარცხება 1989 წელს ევროპის სხვა ქვეყნებში შედარებით მშვიდობიანად მოხდა, მან რუმინეთში ორკვირიანი სამოქალაქო ომი გამოიწვია. ქუჩებში გამართული ასეთი სასტიკი ბრძოლები ევროპას მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არ უნახავს. დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია მაშინ, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი და მისი მეუღლე აჯანყებულებს ხელში ჩაუვარდათ, რასაც მოჰყვა მოკლე, იმპულსური სასამართლო პროცესი და მათი დაუყოვნებელი სასჯელი.

ნიკოლაე ჩაუშესკუ 1918 წელს გლეხის საკმაოდ მრავალრიცხოვან ოჯახში დაიბადა. თხუთმეტი წლის ასაკში იგი კომუნისტურ პარტიაში გაწევრიანდა. მეორე მსოფლიო ომამდე ის ციხეშიც კი აღმოჩნდა, როგორც პოლიტიკური აგიტატორი. როგორც კი რუმინეთი "რკინის ფარდის" მიღმა დარჩენილ ქვეყნებთან ერთად კომუნისტურმა სტრუქტურებმა შთანთქა, ჩაუშესკუს ძალაუფლებამ ზრდა იწყო, და სულ რაღაც ხუთ წელიწადში იგი რუმინეთის კომუნისტური პარტიის იერარქიაში მეორე პირად იქცა. 1965 წელს ის პარტიის პირველ მდივნად დაინიშნა; სამი წლის შემდგომ - პრეზიდენტად და სახელმწიფოს მეთაურად.

### პიროვნების კულტი

საბჭოთა დიქტატორის, იოსებ სტალინის მსგავსად, ჩაუშესკუმ საიდუმლო პოლიციის, ინფორმატორთა (რომელთა რიცხვშიც იყვნენ ექიმები, მზარეულები, მცველები და მოსამსახურენი), პარტიულ მუშაკთა და სამხედროთა რიგებიდან დაკომპლექტებული ხალხით რთული ქსელი შექმნა, რომელსაც ლიდერის დაცვა და მისივე ძალაუფლების გაძლიერება ევალებოდა. ჩაუშესკუ ზოგიერთ საკითხში კრემლს წინააღმდეგობასაც უწევდა, რამაც დასავლეთში მას გარკვეული მხარდაჭერა მოუპოვა.



ჩაუშესკუ რამდენიმე დღით ადრე მისი რეჟიმის დამხობამდე

80-იანი წლებისათვის რუმინელებმა გამოფხიზლება დაიწყეს. ქვეყნის ეკონომიკა სულს ღაფავდა, მაგრამ პრეზიდენტი საკუთარ ტირანულ მმართველობას მშვიდად აგრძელებდა და განაგრძობდა საკუთარ ნათესავთა საკვანძო სამთავრობო და პარტიულ თანამდებობებზე დანიშვნებს. მისი მეუღლე, ელენა ჩაუშესკუ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში პოლიტბიუროს წევრი იყო, გახდა პრემიერის პირველი მოადგილე. 1981 წლიდან 1989 წლამდე, ქვეყნის საგარეო ვალის შემცირების მიზნით შექმნილი ინტენსიური პროგრამის მიხედვით, ჩაუშესკუ რუმინეთიდან საკვებისა და საწვავის დიდი რაოდენობით გაზიდვას ეწეოდა; თუმცა ამ რეზერვების ექსპორტირებით მოპოვებული თანხები სახელმწიფოს სულაც არ უბრუნდებოდა. ჩაუშესკუმ რვა მილიარდისა და ხუთასი მილიონის რაოდენობით ვალის გასტუმრება მოახერხა, მხოლოდ იმ სხვაობით, რომ ეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხარჯზე მოხდა.

ამასთანავე, ქვეყნის პრეზიდენტმა დაწერა საკუთარი, ე.წ. "სისტემატიზაციის" პროგრამა, რომლის მიხედვითაც რუმინელი გლეხები იძულებულნი იყვნენ, რომ საკუთარი სოფლების ევაკუაცია მოეხდინათ გეგმით გათვალისწინებულ ვადებში და ჩართულნი ყოფილიყვნენ გიგანტურ აგრო-ინდუსტრიულ კომპლექსებში. ეს გეგმები არასდროს განხორციელებულა.

### დისიდენტები და ეკლიანი მავთულხლართები

ადრეულ 1989 წელს ჩაუშესკუს გააჩნდა საკმაო მტკიცებულებანი დასკვნის გასაკეთებლად, რომ მისი რეჟიმი საფრთხეში იყო. რუმინეთის გადამდგარ თანამდებობის პირთა კოლექტიური წერილი მას ბრალს სდებდა საერთაშორისო ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების დარღვევაში (კონკრეტულად - 1975 წლის ჰელსინკის საბოლოო აქტის დარღვევაში); მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებათა შელახვაში; ქვეყნის ეკონომიკის გაპარტახებასა და მის მოკავშირეთა გაუცხოვებაში. უნგრეთისა და სხვა დასავლურ სახელმწიფოთა ინიციატივით, გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომისიამ მიიღო რეზოლუცია რუმინეთის საქმიანობის გამოძიების შესახებ. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საბჭოთა ბლოკის ქვეყანა ითხოვდა საკუთარი მოკავშირე ქვეყნის საქმიანობის გამოკვლევას. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასევე მოსთხოვა ბუქარესტს, რომ ამ უკანასკნელს მიეწოდებინა ინფორმაცია იმ 23 დაპატიმრებული დისიდენტის შესახებ, რომლებსაც incommunicado, ანუ გარე სამყაროსთან ყველანაირი კავშირის გარეშე ამყოფებდნენ პატიმრობაში. როდესაც ესპანეთმა მოსთხოვა ბუქარესტს სხვა 24 დისიდენტის ბედის შესახებ გარკვეული ინფორმაცია, ევროგაერთიანებამ რუმინეთთან სავაჭრო მოლაპარაკებების უვადო შეწყვეტა გადაწყვიტა. რუმინეთის ადამიანის უფლებათა სფეროში დაშვებულ დარღვევათა მიმართ პროტესტის გამოსახატავად გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ საკუთარი ელჩი ბუქარესტიდან გამოიხმო და ჩაშალა გერმანო-რუმინული ეკონომიკური კომისიის საგანგებო სესია.

1989 წლის ივნისში რუმინეთმა უნგრეთთან მოსაზღვრე საკუთარ ტერიტორიაზე 360-კილომეტრიანი მავთულხლართი აღმართა, რაც გათვლილი იყო საზღვარგარეთ გაქცევის მსურველ რუმინელთა შესაჩერებლად. ევროპის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების კონფერენციაზე, რომელიც პარიზში გაიმართა, ბრიტანეთის მთავარმა დეპუტატმა, სერ ენტონი უილიამსმა მკაცრად გააკრიტიკა როგორც მავთულხლართების ქვეყნის შემოღობვის, ისე ბუქარესტის მიერ დისიდენტთა დევნა-შევიწროებისა და სოფლებიდან გადასახლების ფაქტები. ამავე თვის ბოლოს რუმინეთმა საკუთარი საზღვრებიდან მავთულხლართები აიღო.

ხალხის უკმაყოფილება ამავე წლის დეკემბრისათვის ღია წინააღმდეგობაში გადაიზარდა. ერთი თვით ადრე, უნგრელი წარმოშობის პროტესტანტმა მღვდელმა ლასლო ტოკესმა, რომელიც საიდუმლო პოლიციამ დანით დაჭრა, დეპორტაციის თავიდან ასაცილებლად თავი საკუთარ ეკლესიას შეაფარა. დემონსტრანტთა მოზრდილმა ჯგუფმა დაჭრილი მღვდლის დაპატიმრებისაგან დასაცავად თავი ეკლესიის გარშემო მოიყარა. დეკემბრის თექვსმეტისათვის ხალხის მღელვარება ბუქარესტიდან 600 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ ტიმისოარაში დემოკრატიის დაცვის მოთხოვნებით გამართულ დემონსტრაციაში განსხეულდა. ჩაუშესკუმ იქ დაუყოვნებლივ მიავლინა არმიისა და სეკურიტატეს (პრეზიდენტის პირადი საიდუმლო პოლიცია) ტანკები და ვერტმფრენების დემონსტრაციების დარბევის დავალებით. 17 დეკემბერს, დაახლოებით რამდენიმე ასეული უიარაღო ქალი, კაცი და ბავშვი იქნა განადგურებული; ხუთასამდე დემონსტრანტი კი, ვინც სიკვდილს გადაურჩა, დააპატიმრეს. ქალაქი მოროდიორების ხელში აღმოჩნდა. თუმცა, დაშინების ეფექტის მაგივრად, ამგვარმა სისასტიკემ მღელვარების მუხტი სხვა ქალაქებსაც გადადო, სადაც ანტისამთავრობო დემონსტრაციათა მთელი წყებების გამართვა დაიწყეს.

### სიკვდილი სასახლის მოედანზე

20 დეკემბერს ტიმისოარაში 50 000-იანი დემონსტრაცია გაიმართა. მომდევნო დღეს ჩაუშესკუმ მთავრობის მიერ დადგმული მიტინგისას იქ მყოფ ხალხს მიმართა, რომელთა რიცხვშიც მრავალი სტუდენტი ერია. როდესაც ჩაუშესკუ ხალხს უფრო მეტი საკვებისა და საწვავის გადაცემას დაპირდა, მასაში უკმაყოფილებისა და დაცინვის შეძახილები გაისმა. სეკურიტატემ არ დააყოვნა - მისმა ერთ-ერთმა ჯავშანმანქანამ ორ ახალგაზრდას გადაუარა. ჯარისკაცებმა აღშფოთებული ხალხის მისამართით ცეცხლი გახსნეს, რასაც ორმოცამდე ადამიანის სიკვდილი მოჰყვა. აღელვებული ხალხის მასა სასახლის მოედნიდან მეზობლად მყოფ უნივერსიტეტის მოედნისაკენ გარეკეს.

21 დეკემბრის ღამეს სეკურიტატეს 30 000-იან რაზმებს ამდენივე აჯანყებული დაუპირისპირდა. მათ მოახერხეს სეკურიტატეს განდევნა სასახლის მოედნისაკენ. ამ დროისათვის საჯარისო ფორმირებებმა, რომელთაც სძულდათ ჩაუშესკუს მიერ ნაფერები სეკურიტატე, ხალხს გაუნაწილეს საკუთარი ავტომატური იარაღის მარაგი და თვითონაც გაისროლეს საძულველი საიდუმლო პოლიციის მისამართით. დღის ბოლოსათვის სახელმწიფო ტელევიზია, ბუქარესტის რადიო, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა და ცეცხლმოხვეული პრეზიდენტის სასახლე აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა.

იმავე ღამეს სტუდენტთა კოალიციის, სამხედრო ოფიცრების ყოფილი კომუნისტებისა და დისიდენტების ინიციატივით დაფუძნდა ეროვნული ხსნის კომიტეტი, რომელსაც გარდამავალი პერიოდის მთავრობის ფუნქციის შესრულება ევალებოდა. 22 დეკემბრის დილას ტიმისოარაში აჯანყებულებმა მიაგნეს მასიურ საფლავებს, რომელნიც ასობით შიშველ კაცს, ქალს და ბავშვს იტევდნენ. გარდაცვლილებს სხეულზე წამების კვალი ეტყობოდათ და თითქმის ყოველ მათგანს ხელები მავთულხლართებით ჰქონდა შეკრული. ეს აშკარად სეკურიტატეს ხელწერა იყო.

22 დეკემბრის შუადღისათვის სეკურიტატემ ცენტრალური კომიტეტის შენობის თავზე ვერტმფრენი დასვა. პრეზიდენტი, მისი მეუღლე, მათი მცველები და რამდენიმე თანამდებობის პირი ამ ვერტმფრენით ქალაქ ტირგოვიშტეს მიმართულებით გაფრინდა, რომელიც ბუქარესტიდან 90 კილომეტრის დაშორებით იმყოფებოდა, თუმცა, ჩაუშესკუს მითითებით, ვერტმფრენის ჩამოგდების თავიდან ასაცილებლად, გაქცეულთა ჯგუფი მიწაზე დაეშვა, მანქანებში გადასხდა და გზა ისე განაგრძო. ყოფილი პრეზიდენტი და მისი მცველები ქალაქ ტირგოვიშტეს მახლობლად, აჯანყებულთა მიერ იქნენ დაპატიმრებულნი.

### საკლასო ოთახში გამართული სასამართლო პროცესის 55 წუთი

სამი დღის განმავლობაში აჯანყებულები სეკურიტატეს დასაბნევ-

გაგრძელება C3 გვერდზე

პრეცედენტი

# ნიკოლაე და ელენა ჩაუშესკუს სასამართლო პროცესი: 1989

C2 გვერდიდან

ად ჩაუშესკუებს ჯავშანმანქანით აქეთ-იქით ატარებდნენ. 25 დეკემბერს კი, ქალაქ ტიგროვიშტეს არმიის ბაზაზე განთავსებული სკოლის მცირე შენობაში ეროვნული ხსნის კომიტეტის "საგანგებო სამხედრო ტრიბუნალის" შეკრება გადაწყდა. ამ შეკრებას ესწრებოდა ეროვნული ხსნის კომიტეტის ლიდერი ჯელუ ვოიცანი და რუმინეთის არმიის გენერალი ვიქტორ სტანკულესკუ, ვინც ორგანიზება გაუკეთა ამ სახელდახელოდ გამართულ სასამართლო პროცესს. დამსწრეთა რიგებში იყვნენ რამდენიმე "დამკვირვებელი", რომელნიც ბუქარესტიდან ვერტმფრენით ჩამოიყვანეს.

ადვოკატი ნიკუ თეოდორესკუ რუმინეთის იურისტთა ასოციაციის მიერ ჩაუშესკუს დამცველად იყო დანიშნული. მან ჩაუშესკუს ურჩია, რომ ამ უკანასკნელს საკუთარი შეურაცხადობა ეღიარებინა. "მე თქვენ არ გცნობთ" - პასუხობდა ჩაუშესკუ - "და მე არ ვცნობ ამ სასამართლოს. ჩემი გასამართლება შესაძლებელია მხოლოდ დიდი ეროვნული ყრილობისა და მშრომელთა კლასის წარმომადგენელთა წინაშე". მიუხედავად ამგვარი პოზიციისა, ჩაუშესკუ დათანხმდა ხანმოკლე სამედიცინო შემოწმების ჩატარებას, რომელმაც დაადგინა, რომ მისი სისხლის წნევა 170/107-ს უდრიდა.

როგორც გენერალ-მაიორმა და სამხედრო ტრიბუნალის მეთაურმა გეორგიკა პოპამ მოსამართლეობასთან ერთად ბრალმდებლის ფუნქციაც შეითავსა. მას ჩვეულებრივი სვიტრი და ჯინსები ეცვა. გენერალს ასევე გაუჭირდა რამდენიმე მისთვის უცნობი იურიდიული ტერმინის წარმოთქმა, რომელიც მისთვის მიწოდებულ დებულების ტექსტში იყო ნახმარი. მიუხედავად ამისა, გენერალს დრო არ დაუკარგავს იმისათვის, რომ სასამართლო პროცესი და მისი წინასწარ ცნობილი ფინალი - სიკვდილის მისჯა - სწრაფად დამთავრებულიყო. გენერალი და ეროვნული ხსნის კომიტეტის სხვა ლიდერები თვლიდნენ, რომ სეკურიტატე არ შეწყვეტდა პრეზიდენტის გამოსახსნელ ოპერაციებს, რასაც შეეძლო აჯანყებულთა განზრახვის ერთიანად გაუვნებლება.



ნიკოლაე და ელენა ჩაუშესკუები სასიკვდილო განაჩენის აღსრულებისთანავე



ბრალმდებელმა ბრალდება წარმოთქვა. ეს იყო გენოციდი ტიმისოარაში და დემონსტრანტების ხოცვა. "მე ვერაფერს ვიტყვი" - განაცხადა ჩაუშესკუმ - "მე ვიცნობ მხოლოდ დიდ ეროვნულ კრებას. მე პასუხს არ ვცემ მათ, ვინც ეს გადატრიალება დაგეგმა და აღასრულა. მე ვარ რუმინეთის პრეზიდენტი და რუმინეთის არმიის მთავარსარდალი. მე ვარ ხალხის პრეზიდენტი. მე თქვენნაირ პროვოკატორებთან სალაპარაკო არაფერი მაქვს და მე არ ვილაპარაკებ პუტჩის ორგანიზატორებთან".

მოსამართლე-ბრალმდებელმა ამცნო ჩაუშესკუს, რომ დიდი ეროვნული კრება აღარ არსებობდა. "არავის არ აქვს უფლება მისი დაშლისა" - იყო ჩაუშესკუს პასუხი. - "ეს არის ის, რისთვისაც ხალხი იბრძვის".

ეკონომიკის დაშლის ბრალდებაზე ჩაუშესკუმ პასუხის გაცემა არ დაიზარა: "როგორც უბრალო მოქალაქე, გიცხადებთ, რომ პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მშრომელს აქვს წელიწადში 200 კილოგრამი ფქვილი და სხვა დამატებითი რესურსები. არასდროს ჩვენს ქვეყანაში არ ყოფილა ამგვარი პროგრესი".

"უცხოურ ანგარიშებზე მყოფ თქვენს 400 მილიონ დოლარზე რაღას გვეტყვით?" - იყო ბრალმდებლის კითხვა.

"მიჩვენეთ ამის მტკიცებულება" - პასუხობდა ჩაუშესკუ - "ეს ყველაფერი სიცრუეა. იქ ჩემი ერთი დოლარიც არ არის".

პროცესის დაწყებიდან 55 წუთი მიილია. მოსამართლე-ბრალმდებელმა პოპამ "შესვენება" გამოაცხადა, რომლის დროსაც სასამართლოს ორგანიზატორებსა და სხვებს უნდა "ემსჯელათ". ხუთიოდ წუთში პროცესი განახლდა. როდესაც მონაწილენი დაბრუნდნენ საკლასო ოთახში, ვერდიქტი პოპამ წაიკითხა: "ჩაუშესკუების ოჯახის საქმიანობის გამო თქვენ ორივეს ჩვენ სიკვდილით დასჯა გამოგიტანეთ. ჩვენ აგრეთვე კონფისკაციას ვუკეთებთ თქვენს მთელ საკუთრებას". შემდეგ მან კითხვით მიმართა წყვილს, სურდათ თუ არა მათ განაჩენის გასაჩივრება. არც ერთმა ჩაუშესკუმ მას პასუხი არ გასცა. ოთხმა ჯარისკაცმა ჩაუშესკუებს ხელები ზურგსუკან შეუკრა, რის შემდეგაც წყვილი ეზოში გაიყვანეს. ისინი იმავე შენობის კედელთან მიაყენეს. როგორც კი წყვილი სახით ჯარისკაცებისკენ მოტრიალდა, ჯარისკაცებმა ცეცხლი გახსნეს. თითოეულ სიკვდილმისჯილს ოცდაათზე მეტი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი.

მომდევნო დღეს დახვრეტის ამსახველი ვიდეოჩანაწერის ერთი ნაწილი რუმინეთის ტელევიზიით გადაიცა. ჩაუშესკუ ამ კადრებში საკუთარი სისხლის გუბეში მწოლი იხილეს. რამდენიმე თვის შემდეგ ხალხს მთლიანი ფირი უჩვენეს. ის, თუ რა მოუვიდა გარდაცვლილთა გვამებს, არ იყო ცნობილი საზოგადოებისათვის.

30 დეკემბრისათვის მთელ სახელმწიფოს აჯანყებულები აკონტროლებდნენ. გაირკვა, რომ კომუნისტური პარტიისა და სამთავრობო შენობები საპრეზიდენტო სასახლესთან მიწისქვეშა გვირაბებითა და გზებით იყო დაკავშირებული; თვით სასახლეში კი ხელოვნების იშვიათი ნიმუშები და უნიკალური კოლექციები აღმოაჩინეს. გარდაცვლილი პრეზიდენტისა და მისი მეუღლის ცხოვრების წესზე აგრეთვე მიანიშნებდნენ ოქროსაგან ჩამოსხმული სასადილო ჭურჭელი, მთლიანი ოქროსაგან გაკეთებული სააბაზანოები და ხელსაბანები. სასახლეშივე აღმოაჩინეს დაბომბვის საწინააღმდეგო თავშესაფარი, რომელიც უკავშირდებოდა საცურაო აუზსა და ტენისის კორტებს.

უზარმაზარ სანახებში კი მიაგნეს უზომო რაოდენობის ხორცეულს, შოკოლადის, ყავისა და ფორთოხლის მარაგებს, რომელთა დანიშნულებასაც მათი ექსპორტირება ან პარტიისა და მთავრობის წევრების მიერ მოხმარება წარმოადგენდა.

28 დეკემბერს, ავსტრიაში მყოფი რუმინული სავაჭრო მისიის ხელმძღვანელმა მარინ ჩაუშესკუმ, სიკვდილით დასჯილი პრეზიდენტის ძმამ, თავი ჩამოიხრჩო. იგი ამ სავაჭრო მისიას 16 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

1990 წლის 2 მარტს კი სიცოცხლე თვითმკვლელობით გენერალ-მაიორმა პოპამ დაასრულა. უკანასკნელ წერილში მან დაწერა, რომ 25 დეკემბრიდან მოყოლებული, იგი "აუტანელ შიშში" ცხოვრობდა. "მე ვერ ვპოვე სხვა გადაწყვეტილება" - წერდა იგი. - "იმისათვის, რომ გამეთავისუფლებინა ჩემი თავი იმ შიშისა და ძრწოლისაგან, რომელიც აუტანელს გახდიდა ჩემს შემდგომ სიცოცხლეს".

*ინგლისურიდან თარგმნა*
*ნიკოლოზ რურუამ*

პრაქტიკული რჩევები

# იპოთეკა და გირავნობა

### ზოგადად

იპოთეკისა და გირავნობის შესახებ კანონმდებლობა მრავალ პრაქტიკულ პრობლემას წარმოშობს. ხშირად ხდება კანონის აღნიშნული ნორმების არასწორი განმარტება და გამოყენება. მაგალითად, საქართველოში ფართოდ გავრცელებული "ბინის დაგირავება", როგორც ხელშეკრულების ფორმა და სამართლებრივი ინსტიტუტი, საერთოდ არ არსებობს.შესაბამისად, აღნიშნული ურთიერთობის დამყარება არ წარმოშობს მხარეებისათვის სასურველ იურიდიულ შედეგებს და ართულებს მათი უფლებების განხორციელებას.

იპოთეკა და გირავნობა წარმოადგენს ისეთი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს, რომლებიც სესხის ან სხვა ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებით წარმოიშობა; კრედიტორს ენიჭება დატვირთული ქონებიდან უპირატესი დაკმაყოფილების უფლება, მოვალის ყველა სხვა კრედიტორთან შედარებით.

ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს იპოთეკისა და გირავნობის ცნებები, რადგანაც ეს სამართლებრივი ინსტიტუტები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ასევე განსხვავებულია მათ მიმართ მოქმედი სამართლის ნორმები. გირავნობა არის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება მოძრავ ნივთზე. იპოთეკის ნორმები კი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას უძრავი ნივთი წარმოადგენს.

სსკ-ის 149-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთს წარმოადგენს მიწის ნაკვეთი, მასში არსებული წიაღისეული, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები და ასევე შენობა-ნაგებობები, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. შესაბამისად, ყველა ნივთი, რომელიც არ არის უძრავი, წარმოადგენს მოძრავ ნივთს.

მცდარია საზოგადოებაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც "ბინის დაგირავება" მიიჩნევა კრედიტორისათვის ხელსაყრელ გარიგებად. ამ მოსაზრების თანახმად, მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დატვირთული ნივთი (მაგ: ბინა), მოვალის მიერ ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, "ავტომატურად" უნდა გადადიოდეს კრედიტორის საკუთრებაში. აღნიშნულ მოსაზრებას რომ სამართლებრივი საფუძველი გააჩნდეს, მართლაც ხელსაყრელ გარიგებად მივიჩნევდით მას, ვინაიდან დატვირთული ნივთის ღირებულება, როგორც წესი, არსებითად აღემატება ძირითადი ვალდებულების თანხას. მაგრამ, სესხის ურთიერთობიდან წარმოშობილი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დატვირთული ნივთის საკუთრების უფლების პირდაპირი გადასვლა კრედიტორზე კანონით აკრძალულია (სსკ-ის 302-ე II მუხლი).

ამრიგად, ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების მხარეებს არასწორად ესმით მათ შორის დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი და, რაც მთავარია, სამართლებრივი შედეგები. ამასთან, არ არის გამორიცხული შემთხვევა, როდესაც კრედიტორმა კარგად იცის მის მიერ დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობის შედეგი და ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს მოვალე.

### ცალკეული პრობლემების განხილვა

ნივთის მფლობელობაში (სარგებლობაში) გადაცემა.

პრობლემა: მოვალე კრედიტორს მფლობელობაში გადასცემს იპოთეკის საგანს იმ რწმენით, რომ აღნიშნული მოვალეობა მას იპოთეკით ეკისრება.

შეფასება: აქ ხდება გირავნობისა და იპოთეკის ურთიერთობათა არევა. მოვალის მიერ კრედიტორისათვის დატვირთული ნივთის მფლობელობაში გადაცემას კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ გირავნობის და არა იპოთეკის შემთხვევაში. აღნიშნული ურთიერთობა (მოვალის მიერ კრედიტორზე უძრავი ნივთის მფლობელობაში გადაცემა) იპოთეკის შემთხვევაში უნდა დაკვალიფიცირდეს ქირავნობის, თხოვების, ან სხვა ხელშეკრულების მარეგულირებელი შესაბამისი ნორმებით.

### იპოთეკისათვის სავალდებულო ფორმა

პრობლემა: მოვალეს მოთხოვნის უზრუნველსაყოფად კრედიტორის სასარგებლოდ სურს დატვირთოს უძრავი ნივთი იპოთეკით და არ იცავს ხელშეკრულებისთვის გათვალისწინებულ ფორმას; ხელშეკრულებას დებს ზეპირად ან მარტივი წერილობითი ფორმით.

შეფასება: აღნიშნული ხელშეკრულება მხარეთათვის არ წარმოშობს არავითარ იურიდიულ შედეგებს. იგი ჩაითვლება ფორმის დაუცველად დადებულ და, შესაბამისად, ბათილ გარიგებად (სსკ-ის 59-ე მუხლი).

მსგავსი პრობლემის თავიდან ასაცილებლად მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ იპოთეკისათვის კანონით განსაზღვრული მოთხოვნები. იპოთეკის ნამდვილობისათვის აუცილებელი წინაპირობაა ხელშეკრულების დადების ფორმის დაცვა. კერძოდ:

იპოთეკის შესახებ (წერილობითი) ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმება.

იპოთეკის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (სსკ-ის 289-ე მუხლი).

ამ პირობების დაცვის გარეშე დადებული ხელშეკრულება არ არის ნამდვილი. შესაბამისად, კრედიტორს შეუძლია, თავისი უფლებები დაიცვას მხოლოდ ვალდებულებით - სამართლებრივი ხელშეკრულებიდან (მაგ: სესხიდან) გამომდინარე. დამატებითი გარანტია დატვირთული ქონების სახით, რაც პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენებდა მას სხვა კრედიტორებთან მიმართებაში, მას არ გააჩნია.

### შეცილების უფლება

პრობლემათა წრე: მოვალე ხელს აწერს კრედიტორის მიერ წარდგენილ დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, იგი კრედიტორს საკუთრებაში გადასცემს მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დატვირთულ ნივთს.

შეფასება: აღნიშნული შეცდომა შეიძლება გამოსწორებულ იქნეს, თუ არსებობს შეცილების საფუძველი.

პრობლემა: მოვალე კრედიტორის მიერ გარიგების შინაარსთან დაკავშირებით შეცდომაში იქნა შეყვანილი.

შეფასება: ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სსკ-ის 81-ე მუხლის I მუხლის შემადგენლობასთან, როდესაც მხარე გარიგების დადებისას მოატყუეს. ასეთი გარიგება საცილოა და შეცილების შემთხვევაში ბათილი იქნება, თუმცა შეცილება უნდა მოხდეს სსკ-ის 84-ე მუხლის თანახმად ერთი წლის ვადაში შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან. თუმცა ასეთი ხელშეკრულება დადებისთანავე ბათილი არ არის, მაგრამ იგი შეცილების საფუძველზე ბათილად იქცევა.

პრობლემა: კრედიტორმა მუქარის გზით აიძულა მოვალე, ხელი მოეწერა შესაბამის ხელშეკრულებაზე.

შეფასება: ეს შემთხვევა დაკვალიფიცირდება სსკ-ის 85-ე და შემდგომი მუხლებით. სსკ-ის 85-ე მუხლი განმარტავს, რომ გარიგების დადების მიზნით პირის იძულება წარმოშობს შეცილების საფუძველს. შეცილება უნდა განხორციელდეს იძულების დამთავრებიდან ერთი წლის განმავლობაში (სსკ-ის 89-ე მუხლი). იძულებად ჩაითვლება ისეთი ქმედება, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება. სსკ-ის 86-ე მუხლის თანახმად, იძულება შეიძლება მიმართული იყოს როგორც თვით მოვალის, ასევე მისი მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების თუ ნათესავების წინააღმდეგ. შესაბამისად, კანონი მხარეს (ჩვენს შემთხვევაში მოვალეს) შესაძლებლობას ანიჭებს ერთი წლის განმავლობაში სადავო გახადოს აღნიშნული, იძულების გზით დადებული ხელშეკრულება. მოცემული ვადის ფარგლებში მხარის მიერ შეცილების განხორციელების შემთხვევაში, ხელშეკრულება ბათილად ჩაითვლება.

პრობლემა: მოტყუებით ან იძულებით დადებული ხელშეკრულება (რომელიც ითვალისწინებს საკუთრების უფლების გადასვლას კრედიტორზე) მოწმდება ნოტარულად და ხდება მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, ანუ კრედიტორი რეგისტრირდება ახალ მესაკუთრედ.

შეფასება: სსკ-ის 312-ე მუხლის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. შესაბამისად, საჯარო რეესტრში მესაკუთრედ რეგისტრაციის ძალით, კრედიტორი ხდება მისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დატვირთული ნივთის მესაკუთრე. თუ ნივთი მოძრავია, მაშინ ნოტარული დამოწმება და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია საერთოდ არ არის საჭირო (იხ7 სსკ-ის 186-ე მუხლი).

შეცილების ორივე შემთხვევაში უქმდება საკუთრების უფლების გადაცემისათვის განსაზღვრული ერთ-ერთი წინაპირობა (იხ. სსკ-ის 186-ე მუხლი), კერძოდ, ნამდვილი უფლება (ნამდვილი ხელშეკრულება), შესაბამისად, საკუთრების უფლების გადაცემაც არ არის ნამდვილი და მესაკუთრედ რჩება კვლავ პირვანდელი მესაკუთრე (მოვალე). აღნიშნულის თანახმად, მას, როგორც მესაკუთრეს, შეუძლია მოსთხოვოს კრედიტორს სსკ-ის 172-ე მუხლის თანახმად ნივთის უკან დაბრუნება.

პრობლემა: საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული ახალი მესაკუთრე (კრედიტორი) ასხვისებს საკუთრებაში მიღებულ ნივთს.

შეფასება: ნივთის ახალი შემძენი, სსკ-ის 185-ე მუხლის თანახმად დაცულია, ვინაიდან, ამ ნორმის თანახმად რეესტრში მითითებული მონაცემები ნამდვილად ითვლება ახალი შემძენის მიმართ, მიუხედავად იმისა, შეიძლება თუ არა სსკ-ის 312-ე მუხლის თანახმად რეესტრის მონაცემის უზუსტობის დამტკიცება. ასეთ შემთხვევაში ნივთის თავდაპირველმა მესაკუთრემ კრედიტორს შეიძლება მოსთხოვოს მხოლოდ გასხვისებული ნივთის საერთო ღირებულება, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან გამომდინარე, კერძოდ, სსკ-ის 976-ე I ა) და 979-ე II მუხლების თანახმად. თვით ნივთს იგი ველარ დაიბრუნებს.

### დასკვნა

განხილული პრობლემების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია:

უძრავი ქონების დატვირთვის შემთხვევაში გამოყენებულ იქნეს იპოთეკის, ხოლო მოძრავი ნივთის შემთხვევაში - გირავნობის მიმართ მოქმედი სამართლის ნორმები;

გირავნობის შემთხვევაში მოქმედებს ხელშეკრულების ფორმის თავისუფლების პრინციპი, მაშინ, როდესაც იპოთეკის შესახებ ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს ნოტარულად და რეგისტრირებულ იქნეს საჯარო რეესტრში;

უნდა გაიმიჯნოს, რომ ერთი მხრივ, არსებობს ძირითადი ხელშეკრულება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული მოთხოვნის უზრუნველყოფის ხელშეკრულება (გირავნობა, იპოთეკა), ხოლო მეორე მხრივ კი ამ ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად შეიძლება იმავე მხარეებს შორის დამყარდეს სხვა, აბსოლუტურად დამოუკიდებელი სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს ნივთზე საკუთრების (ჩუქება, ნასყიდობა და ა.შ.), ან მფლობელობის (ქირავნობა თუ სხვა) უფლების გადაცემას..

# ჩუქება

### ქონების გადაცემა ჩუქებით

ჩუქების ხელშეკრულებით, ქონების მესაკუთრე მის საკუთრებაში არსებულ ქონებას დასაჩუქრებულს გადასცემს უსასყიდლოდ საკუთრებაში.

პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ მისი გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მას ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებული იყოს ამა თუ იმ პირობის შესრულებაზე. თუ დასაჩუქრებული პირობას არ შეასრულებს, მაშინ მჩუქებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ჩუქებისას ქონება მჩუქებლის სიცოცხლეშივე გადადის დასაჩუქრებულის საკუთრებაში.

### ჩუქების საფუძველზე ქონების საკუთრებაში მიღების პროცედურა და საზღაური

თუ საჩუქრად უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის, სახლის, ბინის) გადაცემა ხდება, აუცილებელია ჩუქების ხელშეკრულების წერილობითი ფორმით გაფორმება და ნოტარიული დამოწმება. ჩუქების ხელშეკრულების სანოტარო ფორმით დამოწმების საზღაური გამოითვლება საჩუქრად გადაცემული ნივთის (ქონების) ღირებულების მიხედვით. აღნიშნული საზღაურის გამოთვლის წესი მოცემულია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლში.

უძრავ ქონებაზე ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ აუცილებელია მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. აღნიშნულ შემთხვევაშიც, რეგისტრაციის ღირებულება შეადგენს 7 ლარს.

### გადასახადი ჩუქებით ქონების საკუთრებაში გადაცემისათვის

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად, გათვალისწინებულია გადასახადი ჩუქებით ქონების გადაცემისათვის, რომელიც შეადგენს ჩუქებით გადაცემული ქონების ღირებულების 30%. ჩუქების გადასახადს იხდის პირი, რომელსაც აჩუქეს ქონება. გადასახადს პირი იხდის საგადასახადო ინსპექციაში, რომელიც გასცემს ცნობას - დეკლარაციას ჩუქების გადასახადის გადახდის შესახებ.

საჩუქრის მიმღებმა ეს დეკლარაცია, ჩუქების სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებასთან ერთად, უნდა წარადგინოს საჯარო რეესტრში.

ჩუქების გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდებიან პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეები; აგრეთვე პირები, რომლებმაც საჩუქრად მიიღეს ქონება, რომლის ღირებულებაც არ აღემატება 1000 ლარს.

### გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ჩუქების გაუქმება

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მჩუქებლის სიცოცხლეში ჩუქების გაუქმების შესაძლებლობას. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. აღნიშნული მიზეზით ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს. თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს გაჩუქებული ნივთის უკან გამოთხოვის სხვა გარემოებებსაც. კერძოდ, თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს, დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. გასაჩუქრებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში.

### დასკვნა

ამრიგად, ზემოაღნიშნული ინფორმაციის შეჯამების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ:

ჩუქებისას ქონება დასაჩუქრებულის საკუთრებაში გადადის მჩუქებლის სიცოცხლეშივე.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს გაჩუქებული ნივთის უკან გამოთხოვის შესაძლებლობას. კერძოდ, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, აგრეთვე, თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა.

ჩუქებით ქონების მიღებისას დასაჩუქრებული თავისუფლდება გადასახადის გადახდისაგან, თუ ის პირველი ან მეორე რიგის მემკვიდრეა ან, თუ ნაჩუქარი ქონების ღირებულება აღემატება 1000 ლარს.

*მასალები მოგვაწოდა*
*გერმანიის ტექნიკური*
*დახმარების ცენტრმა (GTZ)*
*მოამზადა სოფო ჩაჩავამ*

თვალსაზრისი

# პოლიტიკით განპირობებული კონსტიტუციური პრობლემები

1995 წლის კონსტიტუციის მზადების პერიოდიდან მოყოლებული, ახალი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესს სულ თან სდევს მსოფლიოში ცნობილი კონსტიტუციონალისტის, პროფესორ ჰერმან შვარცის სიტყვები, რომელიც აქტიურად იყო ჩართული საკონსტიტუციო პროცესში და თავად ხედავდა მისთვის დამახასიათებელ სირთულეებს. მან პირდაპირ გვითხრა, რომ "თქვენი პრობლემები კონსტიტუციასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ პოლიტიკასთან."

მოცემულ ფრაზაში სამართლებრივი პოზიციაც არის დაფიქსირებული და სამართლიანი შენიშვნაც. კონსტიტუციამ უნდა დაადგინოს პოლიტიკის განმსაზღვრელი პირობები და არა პირიქით, პოლიტიკოსების ინტერესების ჯამმა - კონსტიტუციური მართვის რეჟიმი. ჩვენ კი ყველაფერი პირიქით გავიგეთ და კონსტიტუცია პოლიტიკური თამაშის საგნად ვაქციეთ. ასე იყო 1995 წელსაც. იმხანად დეპუტატი გახლდით და საკონსტიტუციო კომისიაშიც ვიყავი ჩართული. ორწლიანი საკონსტიტუციო პროცესი სწორედ შერეული მმართველობის მოდელის შექმნაზე იყო მიმართული. დებატების საგანი კლასიკური ფრანგული საპარლამენტო-საპრეზიდენტო და ნდობა-უნდობლობის, დაპირისპირების მექანიზმებისა და პარლამენტის დათხოვნის შესაძლებლობების სიმრავლით გამორჩეული რუსული საპრეზიდენტო-საპარლამენტო მოდელების ვარიანტების ირგვლივ მიმდინარეობდა. გონივრული ვარიანტიც მოიძებნა, რომელიც საკონსტიტუციო კომისიამ მოიწონა და პარლამენტს გადასცა განსახილველად. პარლამენტში მთავრობის ფორმირების მექანიზმი გახდა გადაულახავი წინაღობა, პარლამენტის უმრავლესობამ უარყო მმართველობის შერეული ფორმა, 12 დღეში შეცვალა და ჩვენს პირობებში, კლასიკური ამერიკული მოდელისგან კონცეპტუალური გადახრებით გამორჩეული საპრეზიდენტო რესპუბლიკის მმართველობის ფორმა ხმების დიდი უმრავლესობით იქნა მიღებული. მე იმ კონსტიტუციისთვის ხმა არ მიმიცია, ვინაიდან ვიცოდი, ერთმმართველობაზე გათვლილი მოდელი საქართველოს სიკეთეს ვერ მოუტანდა, ვინაიდან დაუცველი აღმოჩნდებოდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. არადა, ამ კონსტიტუციური გარდასახვის მხარდამჭერთა შორის ბევრი დღევანდელი პოლიტიკოსი აღმოჩნდა. დროთა განმავლობაში, მათივე მხარდაჭერით, იურიდიული კონსტიტუცია კანონმდებლობამ სწორედ პრეზიდენტის უფლებამოსილებების ნაწილში გაამდიდრა, სახელმწიფოს მეთაურად სუპერპრეზიდენტი მოევლინა და შედეგიც საყოველთაოდ ცნობილია.

რამდენიმე წლის შემდეგ პრობლემებმა იჩინეს თავი და აქტიური მსჯელობა გამოიწვია საკითხმა მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობების შემოღებისა და კონსტიტუციურად დამკვიდრების თაობაზე. მსჯელობას მხოლოდ ორჯერ მოჰყვა ოფიციალური მცდელობა: 2001 წელს საქართველოს პრეზიდენტმა გამოაქვეყნა საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომელიც საპრეზიდენტო მოდელის პირობებში ითვალისწინებდა ამგვარ ცვლილებებს, რაც იშვიათობაა კონსტიტუციონალიზმში და ორიოდ, არცთუ წარმატებული, ნიმუშით არის ცნობილი (ეგვიპტე, პერუ). პროექტი საყოველთაო განხილვისთვისაც გამოქვეყნდა, მაგრამ პარლამენტში მისი განხილვა აღარ შემდგარა.

მეორე ოფიციალური მცდელობა 2004 წლის კონსტიტუციური ცვლილებების მიღებით დასრულდა ისე, რომ არც საყოველთაო განხილვისთვის გამოქვეყნებულა, არც ადგილობრივ კონსტიტუციონალისტებს მიუღიათ მათ შემუშავებაში მონაწილეობა და არც ევროსაბჭოს რეკომენდაციებისა და მისი ვენეციის კომისიის კომენტარების გათვალისწინება მომხდარა. სიჩქარე და ავტორთა ჯგუფის კვალიფიკაცია მკაფიოდ აისახა კონსტიტუციაში ცვლილებების მიერ მომრავლებული სერიოზული ხარვეზების სახით. ამ შემთხვევაში კიდევ უფრო აიჭრა ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და თვალნათლივი გახდა ისიც, რომ დაუცველი აღმოჩნდა თავად კონსტიტუცია, ვინაიდან ცვლილებები 102-ე მუხლის დარღვევით იქნა მიღებული.

უკანასკნელ ხანებში ქვეყნის ძირითად კანონში შესწორებების მიღების კონსტიტუციურად დადგენილი ნორმის დარღვევის თაობაზე, თავის მართლების მიზნით, გამარჯვებული პოლიტიკური ერთობის ძველი და ახალი ლიდერებისგან არაერთგზის მსმენია, ვითომდა ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონიაო, რამდენადაც პარლამენტი 2001 წლის პროექტს იხილავდა. სხვა რომ არა ვთქვათ, უბრალოდ, უხერხულია ასეთი განცხადება. რეალობა კი ასეთია: პარლამენტში განხილულ პროექტში იმ ძველი პროექტიდან ხელუხლებლად მუხლებისა და პუნქტების მესამედიც არ დარჩენილა. არადა, სწორედ მათ განაპირობეს კონსტიტუციაში შესული გაუგებრობებისა და ახალ ცვლილებებთან შეუსაბამობის უმრავლესობა. ცვლილებების ნახევარზე მეტი ეს ახალი მუხლები და პუნქტებია. ესეც არ იყოს, პარლამენტში და განხილულ პროექტში იმდენი რამ იყო შეცვლილი, რომ თუ იგი პრეზიდენტ მ. სააკაშვილის ხელმოწერით არ შესულა, არც ექსპრეზიდენტ ე. შევარდნაძის ხელმოწერილ პროექტად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან, თუ 2001 წლის პროექტი საპრეზიდენტო რესპუბლიკის ფარგლებში ქმნიდა მთავრობას - აქედან გამომდინარე თავისებურებებით, მიღებული ცვლილებებით კონსტიტუციაში მოდელიც შეიცვალა შერეული მმართველობის ფორმაზე და მთავრობაც, ფორმალურად, დამოუკიდებელი შტოს სახით გამოიყო. ამას გარდა, 2004 წლის პროექტმა სხვა უამრავი ცვლილებაც განაპირობა საპრეზიდენტო არჩევნების წესთან, მოქალაქეობის საკითხთან, სახელისუფლებო შტოებს შორის ბალანსის თავისებურებებთან დაკავშირებით. ასე რომ, ეს აბსოლუტურად განსხვავებული პროექტი იყო და საყოველთაო-სახალხო განხილვისთვის გამოქვეყნებას ნამდვილად ექვემდებარებოდა.

კონსტიტუციის თანახმად, კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის გამოქვეყნება პარლამენტს ეკისრება, რომელიც მის განხილვას ამის შემდეგ ერთი თვის თავზე უნდა შეუდგეს. მაგრამ ვჩქარობდით. პრეზიდენტის ინაუგურაციიდან, ჩვენთვის ჩვეულ 12 დღეში მიიღო პარლამენტმა ცვლილებები. დრო მოვიგეთ, კონსტიტუცია დავარღვიეთ და თავად სახელმწიფოს ძირითად კანონში ჩადებული იდეები სათუო გავხადეთ. კონსტიტუციის დარღვევა იმპიჩმენტის საგანია. ორივე აღნიშნული ვარიანტის პირობებში პასუხისმგებლობა პარლამენტის თავმჯდომარეზე მოდის, მაგრამ იგი დაცულია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კონსტიტუციაში იმ სუბიექტთა შორის არ მოიხსენიება, რომლებიც იმპიჩმენტის წესით გადაყენებას ექვემდებარებიან.

აქვე, ქართული კონსტიტუციონალიზმისთვის დამახასიათებელი ორი არსებითი მომენტი უნდა გამოვყოთ. თუ 1995 წლის კონსტიტუციამ ევროპაში ერთადერთი საპრეზიდენტო რესპუბლიკა დააფუძნა, რომელმაც შემდეგ კანონმდებლობის სიახლეებით სუპერპრეზიდენტი მიიღო სახელმწიფოს მეთაურად; კონსტიტუციაში განხორციელებულმა ცვლილებებმა მმართველობის შერეული მოდელი კი დაამკვიდრა, მაგრამ სხვა ცვლილებებიც ბევრი განახორციელა და სუპერსაპრეზიდენტო სულისკვეთება არა მხოლოდ შეინარჩუნა, ახალი თავისებურებებით გაამდიდრა. ამასთან, საქართველო კვლავაც ერთადერთ რესპუბლიკად რჩება, ამჯერად პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, რომელსაც მესამე გარდამავალი პერიოდი დაეწყო.

საკუთარი შეცდომების გაკვეთილები ძალიან ძვირი გვიჯდება. ვერა და ვერ ვისწავლეთ კონსტიტუციონალიზმის მდიდარი საინფორმაციო ბანკიდან სახელმწიფო მმართველობის კლასიკური მოდელებიდან იმდაგვარი ნაირსახეობის მოდიფიცირება, რომელიც ყველაზე ახლოს იქნება ჩვენს სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარემოსთან. ამ დროს, ჯერ კიდევ ფესვმოუკიდებელი დემოკრატიის ფონზე, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ამოცანებზეც მსჯელობენ პოლიტიკოსები და ეს მაშინ, როდესაც აღნიშნულ მახასიათებლებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება "საზოგადოებრივ კაპიტალს" და მოქალაქეობის განწყობის ფაქტორს, რომელთა მიმართ, ამდენი ექსპერიმენტისა და აუსრულებელი წინასაარჩევნო დაპირებების გამო, საქართველოში აშკარა დეფიციტია.

ყოველივე ეს ქვეყანაში სერიოზული კონსტიტუციური რეფორმის საჭიროებას აყენებს. ეს პრობლემა ახალი კონსტიტუციური ცვლილება-დამატებებისა და ხისტად შეცვლილი სახელმწიფო მმართველობის ფორმის გამო დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. მიღებული ცვლილება-დამატებების შემდეგ, კონსტიტუციური მართლზომიერების თვალსაზრისით, სახელმწიფო ძირითად კანონში გასასწორებელი და სადავო საკითხები იმდენია, რომ ვრცელი საგაზეთო წერილიც ვერ დაიტევს, ხოლო მათი დეტალური განხილვა მკითხველისთვის შეიძლება ნაკლებ საინტერესოც იყოს, რადგან სპეციალისტთა და შესაბამისი ორგანოს განსჯის სფეროა.

მე, ძირითადად, ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის მნიშვნელოვან საკითხებს შევეხები, რომელთა გადაწყვეტის გარეშე, იქნება ეს თავად კონსტიტუციაში თუ მის მიღმა, წარმოუდგენელია დინამიკური კონსტიტუციური რეჟიმის დამკვიდრება და წარმართვა. ამ მხრივ ქართული რეალობისთვის სერიოზულ პრობლემად მესახება პარტიული სისტემისა და ხელისუფლების ურთიერთმიმართება. ქართული კონსტიტუციური სამართლის უახლოესმა ისტორიამ უკვე გვაწვნია მწარე გაკვეთილი იმისა, რომ არ შეიძლება კონსტიტუცია არჩევნების შედეგებს დაუმორჩილო და მას გამარჯვებული პოლიტიკური ძალის სავიზიტო ბარათის ფუნქცია დააკისრო. ასეთი იყო 1995 წლის კონსტიტუცია მოქალაქეთა კავშირისთვის, ასეთი გახდა სახეშეცვლილი კონსტიტუცია ნაციონალ-დემოკრატებისთვის. ამ უკანასკნელმა პარტიული მშენებლობის დატვირთვაც მიიღო და ახლა, საარჩევნო კოდექსის მხარდაჭერით, იმის საშიშროებაც არის, რომ დემოკრატიის მშენებარე ქვეყანა ერთპარტიული რეჟიმის ბატონობის ქვეშ მოექცეს.

ამ მხრივ ერთობ საინტერესოა კონსტიტუციური ცვლილებების დამოკიდებულება კონსტიტუციის პირველსაწყისი ტექსტისადმი, რომელსაც თავის დროზე დაჩქარებული ტემპით განხორციელებული ჩასწორებების გამო ბევრი ხარვეზი დაჰყვა. ცალსახაა, რომ ცვლილება-დამატებებს მიზნობრივი დატვირთვა ჰქონდა და კონსტიტუციის ტექსტის სრულყოფაზე კანონმდებელსა და ინიციატორთა ჯგუფს არც უფიქრიათ. ამიტომ, არა მხოლოდ უცვლელად დარჩა კონსტიტუციის პირვანდელი რედაქციის ცნობილი ხარვეზები, ზოგიერთმა იმრავლა კიდეც. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს კონსტიტუციურად არამართლზომიერი, ცნობილი ნორმა, რომლის თანახმადაც მოქმედი "პარლამენტის უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე", რომელიც "ვარდების რევოლუციის" ორგანიზატორთა პარლამენტში შეჭრის ერთგვარ არგუმენტად იყო გამოყენებული. კანონმდებელმა იგი არათუ გაასწორა, არამედ მთელ ტექსტში ორგზის ამრავლა კიდეც. კონსტიტუციური ცვლილება-დამატებების მიზნობრივ დატვირთვაზე მის მიერ დარეგულირებული ძირითადი საკითხების სიმრავლეც მეტყველებს.

საზოგადოებაში, მომავალი კონსტიტუციური ცვლილებების პროცესში, თავად უხილავი კანონპროექტის პირობებში, მითქმა-მოთქმის დონეზე გამართულ ე.წ. დებატებს ლოზუნგის შინაარსით გასდევდა ზღაპრული სურვილი - "ძლიერ პრეზიდენტს" და "ძლიერ პარლამენტს" შემატებოდა "ძლიერი მთავრობაც". ეს მაშინ, როდესაც საუკუნეების პრაქტიკით გამოცდილი, კონსტიტუციონალიზმში არსებული ჭეშმარიტების თანახმად, ძლიერი ხელისუფლება სულაც არ ნიშნავს სამი ძლიერი სახელისუფლებო ლიდერისგან შემდგარი განტოლების ჯამს. მთავარი მათ შორის წონასწორობა და კომპეტენციური ბალანსია. ცხადია, კონსტიტუციური ცვლილება-დამატებების ავტორები აღნიშნულ სურვილს ვერ გაითვალისწინებდნენ, მაგრამ მათ შემოქმედებაზე არც ხელისუფლების დანაწილების პრინციპს მოუხდენია სასიკეთო გარანტიის გავლენა.

პრესაში გამართული დებატები თავისი გზით მიდიოდა, ცვლილებათა ავტორები საკუთარი სურვილების საფუძველზე ჩამოყალიბებული არგუმენტებით ხელმძღვანელობდნენ და დროებით შემორჩენილი იმუნიტეტის შენარჩუნების სურვილით შეკრული პარლამენტის, ე.წ. უმრავლესობის "ერთსულოვნებით", ხელისუფლების შტოთა გამიზნული სქემა განახორციელეს. უნდა ითქვას, რომ ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის მოდელის დადგენისას ყველაზე საშიში შედეგის მომტანი მისი პერსონიფიკაციაა. კონსტიტუციის პიროვნულ თარგზე მორგება არ შეიძლება კონსტიტუციონალიზმის კონცეპტუალური პრინციპების დეფორმაციას არ იწვევდეს. ვინც კონსტიტუციის შესწორებებზე მუშაობდა, ხელისუფლების პერსონიფიკაციას იმდაგვარი სახე მისცეს, რომ გამარჯვებული პოლიტიკური ძალის ლიდერ სამეულს მეტ-ნაკლები ერთიანობა მაინც შეენარჩუნებინა. ეჭვგარეშეა, მათი ერთობლიობა, მოცემული ბალანსის პირობებში, რეალურად ვერ იქნება გარანტირებული. ასეთი ეჭვის საფუძველი ის არის, რომ არსებული კონსტიტუციური მოდელის პირობებში მთავრობის დამოუკიდებელ შტოდ გამოყოფას კონსტიტუციონალიზმის ტრადიციული კონცეპტუალური იდეების იგნორირება მოჰყვა.

გულსატკენია, რომ მოქმედი კონსტიტუცია ვერც იმთავითვე და ვერც ამჯერად გაექცა ამას. 1995 წელს მიღებული საპრეზიდენტო რესპუბლიკის კონსტიტუცია პიროვნებაზე იყო მორგებული და შედეგიც ამან განაპირობა. კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა შერეული მმართველობის ფორმის პირობებში ერთი პოლიტიკური ძალის სამ ლიდერს შორის ხელისუფლების დაბალანსებული დანაწილება. შედეგი არა, მაგრამ განწყობილებები უკვე ცნობილია, რომელზეც იგი იქნება დამოკიდებული.

პარლამენტში კონსტიტუციური ცვლილება-დამატებების განხილვასაც თავისებური ელფერი დაჰკრავდა. კაცმა რომ თქვას, პარლამენტარებს დროც არ ჰქონდათ, რათა სრული პასუხისმგებლობით განეხილათ შესწორებები, რომელიც მმართველობის ფორმის რეფორმირებაზე იყო მიმართული, ნებისმიერი შესწორება თუ დამატება მთელ ტექსტთან მიმართებით გაეაზრებინათ და ისე მიეღოთ გადაწყვეტილება. პარლამენტში პირველი მოსმენა პრინციპების განხილვის სტილში სულაც არ წარმართულა. ნიშანდობლივია, რომ დებატების ძირითადი თემა იმუნიტეტის საკითხი შეიქმნა. პროექტის მხარდამჭერთა სიაში ათეულობით ისეთი გვარი ამოვიკითხე, რომლებიც ორივე ხელსაც აწევენ, ოღონდაც იმუნიტეტით ისარგებლონ და პარლამენტის წევრობასთან "შეთავსებით" მომგებიან საქმიანობაზე პასუხი არ აგებინონ.

და მაინც, დებატების დროს მხოლოდ ავტორიტარიზმზე კი არა, დიქტატურის საფრთხეზეც იყო მინიშნებები. ჩვენი აზრით, კონსტიტუციურად უფლებააღჭურვილი სუპერპრეზიდენტი თავისთავად გულისხმობს ავტორიტარული რეჟიმის დამკვიდრებას. კონსტიტუციონალიზმის მამამთავრები დღეს ამაზე არ დავობენ. დიქტატურა ავტორიტარიზმის უმაღლესი დონეა და ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, სახელმწიფოს მეთაური რა დონეზე და როგორ გამოიყენებს სუპერპრეზიდენტის კონსტიტუციური კომპეტენციის მდიდარ არსენალს.

ქართული კონსტიტუციური სამართალი ყოველთვის გამოირჩევა სახელმწიფო მმართველობის მოდელთან მიდგომის თვალსაზრისით. მიზეზი ის არის, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში კონსტიტუციონალიზმის ძირითად კონცეპტუალურ იდეებსა და პრინციპებს ჩვენებურად ვწყვეტთ კონსტიტუციით თუ კონსტიტუციური კანონით: 1918-1921 წლების კონსტიტუციაში სახელმწიფოს ფაქტობრივი მეთაური პრემიერ-მინისტრი იყო; 1992 წლის კონსტიტუციურ კანონში "სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ" სახელმწიფოს შეთავსებით პარლამენტის თავმჯდომარე მეთაურობდა; 1995 წლის კონსტიტუციაში და მის შეცვლილ ვარიანტში სახელმწიფოს მეთაური სუპერპრეზიდენტია. ერთი საერთო მახასიათებელი ყველა აღნიშნული შემთხვევისა ის არის, რომ მმართველობის ფორმის მიუხედავად, მათი ინსტიტუციონალური სისტემა მთელი თავისი ინფრასტრუქტურით არათანაბარ პირობებში ფუნქციონირებენ. ყველაფერი კი, პოლიტიკური ინტერესების გარდა, კონსტიტუციური კულტურისა და კონსტიტუციური განსწავლულობის დაბალი დონით უნდა აიხსნას.

აღნიშნული მიზეზი ყველაზე სრულად მიმდინარე წელს განხორციელებულ ცვლილებებში გამოიხატა და მთლიანად კონსტიტუციასაც მაქსიმალურად დაატყო ხელი. კონსტიტუციურმა რეფორმამ საპრეზიდენტო მოდელი, რომელსაც სუპერპრეზიდენტი მეთაურობდა, შერეული მმართველობის მოდელით შეცვალა, რომლის ყველაზე ნაკლებად ცნობილი ნაირსახეობა მივიღეთ - "პრეზიდენტი - პრემიერ-მინისტრთან ერთად". მოცემულმა მოდიფიკაციამ ამჯერადაც წმინდა ქართული სახე მიიღო: მისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ბუნების ანალიზი იმის მაჩვენებელია, რომ სახელმწიფოს მეთაური კვლავაც სუპერპრეზიდენტია, ოღონდაც მისი კომპეტენციური არსენალი უფრო ფართო ფორმატისაა და, ამდენად, ერთმმართველობის ხარისხი გაცილებით უფრო მაღალია.

საქართველოს პრეზიდენტმა მისი კომპეტენციური დუალიზმიდან დათმო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურობა, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროში შეინარჩუნა წარმმართველი როლი, ხოლო მისი განხორციელება მთავრობასთან გაინაწილა. მაგრამ, ფაქტობრივად, ისე გამოვიდა, რომ არც პრემიერ-მინისტრია აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, ვინაიდან პრეზიდენტი ამ ურთიერთობაში მაქსიმალური სარეგულაციო უფლებებით არის აღჭურვილი და პირადი ინიციატივის დონეზე სანქციურ მექანიზმებსაც ფლობს. ამ დროს, ფაქტობრივად, პრეზიდენტის ხელქვეითობაში გაფორმდა სასამართლო ორგანო და პრეზიდენტმა საკონსტიტუციო სასამართლო ფუნქციებიც მიითვისა. ასე რომ, მმართველობის შერეული ფორმის პირობებში, სახელმწიფოს მეთაური ერთმმართველის სტატუსშია წარმოდგენილი.

ძლიერი პარლამენტის საჭიროებაზე მსჯელობა, თუ სიძლიერედ იმას არ ჩავთვლით, რომ საპარლამენტო მანდატების დიდი უმრავლესობა ერთი პოლიტიკური ძალის ხელთ აღმოჩნდება, საერთოდ პარლამენტის დაკნინებით დამთავრდა. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მისი მეტ-ნაკლები პრინციპულობის გამოვლინება შვიდ შემთხვევაში შეიძლება მისივე დათხოვნით დამთავრდეს. საერთოდ, მთავრობასა და პარლამენტს შორის ნდობა-უნდობლობის მექანიზმი მთავრობის საქმიანობაზე ძლიერი საპარლამენტო კონტროლის მექანიზმია, რომელიც მთავრობის შემხვედრი ინიციატივითაც არის დაბალანსებული. ჩვენი კონსტიტუციური ცვლილებები კი საპირისპირო განწყობილებას ამკვიდრებს. მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტის, მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის წესის შესახებ პრეზიდენტთან წინასწარ შეთანხმებული კანონპროექტის პარლამენტში შეტანისას, მთავრობას შეუძლია ნდობის საკითხიც დააყენოს. თუ პარლამენტი ნდობას არ გამოუცხადებს, პრეზიდენტი, პირადი შეხედულებისამებრ, გადააყენებს მთავრობას ან პარლამენტს. ცხადია, ამ შემთხვევაში პარლამენტს გადარჩენის ნაკლები შანსი აქვს. ან კიდევ, თუ მთავრობის შემადგენლობამ და სამთავრობო პროგრამამ სამჯერ ზედიზედ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, პრეზიდენტი ხუთ დღეში წამოაყენებს ახალ კანდიდატურას ან პარლამენტის თანხმობის გარეშე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო ეს უკანასკნელი პრეზიდენტის თანხმობით ნიშნავს მინისტრებს, პრეზიდენტი კი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

მე არ ვიცი, რა წონასწორობის მექანიზმი დევს ამ ჯიუტ "პრინციპულობაში", მაგრამ ის კარგად მესმის, ერთი უფლებამოსილების ფარგლებში პარლამენტის რამდენიმე დათხოვნა რა დღეში ჩააგდებს ქვეყნის ბიუჯეტს, რა თქმა უნდა, თუ ისევ სხვათა დახმარებაზე არ არის ყველაფერი გათვალისწინებული.

მთლიანობაში, მიღებული ცვლილებების დამოუკიდებლობას, ერთი მხრივ, 8-წლიან კონსტიტუციურ პერიოდს და, მეორე მხრივ, ჩაფიქრებულ მომავალთან ურთიერთმიმართებაში რომ ვაფასებთ, უდავოდ გაკვირვებას იწვევს სერიოზული კონსტიტუციური მექანიზმებისადმი პრინციპულად აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომა, როდესაც ყოველგვარი კვოტების უარყოფით, უბრალოდ, ხმების უმრავლესობის დონეზე, საოცრად მარტივდება საპრეზიდენტო არჩევნების მექანიზმი და წარმოუდგენლად რთულდება, მთავრობის ფორმირების პროცესთან დაკავშირებით, პრეზიდენტისა და ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს - ერთპალატიანი პარლამენტის ურთიერთობა. უცნაურია, რომ ამომრჩევლების მიერ პირდაპირი არჩევნების უმაღლესი ლეგიტიმურობის მანდატით დადასტურებული ორგანო, ირიბი არჩევის წესით ფორმირებულ მთავრობასთან ნდობა-უნდობლობის "აიწონა-დაიწონაში" იმდენჯერ შეიძლება "დაიწონოს", რომ მის ქმედუნარიანობაზე თუნდაც ამის შიშმა სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს. ფაქტობრივად, ლეგიტიმურობის ასეთი მაღალი ფასიც კი ყველა შემთხვევაში ინფლაციურია.

საერთოდ, არაერთი კონსტიტუციური ცვლილება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ისინი შიშის გავლენის ქვეშ არის მოაზრებული. უცნაურია ახლახან ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების ფონზე ასეთი საკითხის დაყენება, მაგრამ მე პირადად სხვანაირად ვერ ამიხსნია საპრეზიდენტო არჩევნების გამარჯვება, ნდობა-უნდობლობის მექანიზმების მოტივაციის ის სიმრავლე, რომელიც პრეზიდენტს აძლევს მანევრირების საშუალებებს, ერთპიროვნულად აამოქმედოს იგი და პირადი შეხედულებისამებრ, როგორც ეს რუსული კონსტიტუციონალიზმისთვის არის დამახასიათებელი, დაითხოვოს ნებისმიერი მისთვის მიუღებელი მხარე. არადა, თუ შეიძლება არსებობდეს ასეთი საფუძველი, იგი უფრო ვადამდელ არჩევნებს უნდა დავუკავშიროთ. ან იქნებ ეს პოსტსოციალისტური წარსულის პირობებში მშენებარე სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ფაქტორია? ამას კი იმიტომ გავუსვი ხაზი, რომ ამ საკითხზე მსოფლიოში ცნობილ კონსტიტუციონალისტს, უნგრელ პროფესორს ანდრაშ შაიოს უფიქრია და აღნიშნა კიდეც: "კონსტიტუციები, დაწერილიც და პირობითად აღიარებულიც, განხილულია როგორც დამფუძნებელი შიშის ქმნილებები. კონსტიტუციის ფუნქციაა, მოათვინიეროს დემოკრატია, ხალხის სუვერენიტეტი და სახელმწიფო სუვერენიტეტი".

მაგრამ ა. შაიოს ისიც აქვს ნათქვამი, რომ "კონსტიტუციონალიზმი და მისი მსახური კონსტიტუცია უფრო მეტია, ვიდრე უბრალო დაპირება". ესეც ერთი იმ არგუმენტთაგანია, რომ ყველა წინასაარჩევნო დაპირება თუ ამოცანა არ შეიძლება კონსტიტუციური რეგულირების საგნად ვაქციოთ. ამიტომაა, რომ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები, ბევრი თვალსაზრისით, არაორგანულად ჩაჯდა მოქმედ კონსტიტუციაში. მიზეზი ის გახლავთ, რომ მიღებული შესწორებების ძირითადი მიზანი ვარდების რევოლუციაში გამარჯვებული ლიდერების ინტერესთა მეტ-ნაკლები დაკმაყოფილება იყო და არა ის, თუ როგორი იქნებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა და კომპეტენცია, როგორ ჩაეწერებოდა მთავრობა კონსტიტუციის სახელისუფლო სქემაში და უფლებამოსილებათა დაბალანსების მეშვეობით რამდენად იქნებოდა უზრუნველყოფილი მმართველობის ფორმის ერთიანობა და მდგრადობა. შედეგად, დღეს მოქმედ კონსტიტუციას მემკვიდრეობით დაჰყვა 1995 წლის კონსტიტუციისა და 2001 წლის ცვლილება-დამატებების პათოლოგია და ისიც ხელისუფლების პერსონიფიკაციაზეა გათვლილი. ვითომდა სამინისტროთა რიცხვი შევამცირეთ, სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა შევინარჩუნეთ, მერე, ყოველი შემთხვევისთვის, კონსტიტუციაში იქვე, ფრჩხილებში მივაწერეთ "სახელმწიფო მინისტრები", დავიწყეთ ერთიდან და ბოლოს ოთხამდე ავიყვანეთ. ამ მხრივ პრობლემა იმ დონეზე "მოგვარდა", რომ იგი არც სამომავლოდ იარსებებს.

ბოლო თვეების მანძილზე ბევრმა მოვლენამ ნიშანდობლივი დატვირთვა მიიღო. ამას შეიძლება, სავარაუდოდ, პარლამენტის არჩევნების მოსალოდნელი ერთპარტიული თუ არა, დიდი რეზერვით კონსტიტუციური უმრავლესობის მფლობელი ერთი პარტიის პარლამენტიც დავუმატოთ და უახლეს პერსპექტივად, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ქვეყანაში ერთპარტიული კონსტიტუციური რეჟიმის დამკვიდრება გველის.

თუმცა, მთელ ამ პროცესს ექნება, უფრო სწორად უკვე აქვს, და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური პერიპეტიებია მოსალოდნელი. სამი ამბიციური პოლიტიკოსის ერთობლიობით მიღებული გამარჯვებული პოლიტიკური ძალის, ხელისუფლების ერთიანობასა და სიძლიერეში იდენტიფიცირება წარმოუდგენელია, როდესაც მათ სამეთაურო ორგანოების ურთიერთობაში კონსტიტუციური წონასწორობა დარღვეულია. ამ შემთხვევაში პოლიტიკით განპირობებული კონსტიტუციური პრობლემები ბუმერანგივით უბრუნდება პოლიტიკოსებს. მით უფრო, რომ განსხვავებულია მათი რეიტინგებიცა და წონადობის მახასიათებელი - საკუთარი დეპუტაცია საერთო საარჩევნო სიებში. სიების შედგენის პროცესთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი სიკეთის მომასწავებელი ნამდვილად არ არის. ცხადია, სამეულმა და ბლოკში გაერთიანებულმა ზოგიერთმა პოლიტიკურმა ძალამ ამ პროცესში და, საერთოდ, დაადასტურეს, რომ ეს არ არის ერთიან პოლიტიკურ პლატფორმაზე მდგომი ერთიანი გუნდი და ყველას, უპირველესად სამომავლოდ საკუთარი ზურგის სიმაგრე აწუხებს. ყველაფერი ეს კი იმას მაფიქრებინებს, რომ ქართული ხასიათის გათვალისწინებით, ხელისუფლების შტოთა შორის ურთიერთობის განმსაზღვრელ ფაქტორად უთუოდ ჩაერთვება ადამიანური გუნება-განწყობილება.

ქართულ პარლამენტარიზმში ეს რომ გადამწყვეტი ფაქტორია, დავას არ უნდა იწვევდეს. პრეზიდენტის მხარდამჭერი პოლიტიკური გუნდის საპარლამენტო არჩევნებში დიდი უპირატესობით გამარჯვებაც გარანტირებულია, რომელსაც სერიოზული ოპოზიცია არ ეყოლება. წინასაარჩევნო უმრავლესობიდან, გაუყოფელი მანდატებისა და საპარლამენტო თანამდებობების განაწყენების შედეგად დაპირისპირებული ჯგუფები პოლიტიკური ოპოზიციის როლს ვერ ასრულებენ. ამიტომ იყო, წინა პარლამენტში მოქალაქეთა კავშირის საკონსტიტუციო უმრავლესობიდან გამოყოფილი ფრაქციების სიმრავლე სერიოზულ ოპოზიციურ ძალად ვერ ჩამოყალიბდა და პოლიტიკური პაექრობის ნაცვლად ხშირად უსიამო კინკლაობის სახეს ღებულობდა. ანალოგია არც მომავალ პარლამენტში უნდა გამოვრიცხოთ. ხელოვნურად შექმნილი ოპოზიციაც ვერ დაფარავს მისი როლის სიყალბეს და ჯანსაღი პოლიტიკური ოპოზიციის დეფიციტი პარლამენტში მთელ მის საქმიანობაზე აისახება.

მიმაჩნია, ჩვენს ვითარებაში მყოფი სახელმწიფოსთვის სახელმძღვანელოდ უთქვამს ცნობილ ფრანგ მეცნიერს ფილიპ ლოვოს, რომ "დეფინიციის მიხედვით კონსტიტუციური ტიპის დემოკრატია ისეთი დემოკრატიაა, რომელიც "მთელ" ძალაუფლებას უმრავლესობას არ ანიჭებს". პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენს კონსტიტუციას ხელისუფლების პარტიული ერთიანობის თავისებური დეფინიცია უდევს საფუძვლად. სხვა მხრივ, ჩემთვის გაუგებარია ევროსაბჭოს თავმჯდომარის ბატონ შვიმერის მითითებისა და შემდეგ არაერთგზის შეხსენებისა, მიღებულ კონსტიტუციურ ცვლილებებთან ერთად რატომ არ მოხერხდა პროპორციული არჩევნების ბარიერის 7-დან 5 პროცენტამდე დაყვანა. ნუთუ ერთი-ორი არამრავალრიცხოვანი ოპოზიციური ფრაქციის პარლამენტში ყოფნა რაიმე სირთულეს შეუქმნის დემოკრატიის მშენებელ ხელისუფლებას? კაცმა რომ თქვას, იმის ფონზე, რაც უკანასკნელ ხანებში კონსტიტუციისა და კანონების დარღვევებთან დაკავშირებით საქართველოში ხდება, ჰიმნით არაერთხელ გასტუმრებული პარლამენტის ხელახლა მოწვევისგან რაღაც ვადების დარღვევით გამოწვეული "უხერხულობით" კონსტიტუციის შესაბამისი პუნქტის შეცვლის შეუძლებლობის არგუმენტირება, უბრალოდ, ღიმილს იწვევს.

*ოთარ მელქაძე*
*"მსოფლიო პარლამენტარიზმის კვლევითი ცენტრი"*
*იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*